

08-80

საქართველო

თეატრული ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

№ VIII

თბილისი, 1902

Meadowland

© ფულგსი

MADE IN THE U.S.A. BY THE AMERICAN TYPE SETTING CO., PHILA. PA., U.S.A.

1902

ბ(სა)
2-80

მ მ ა მ ბ ე

თვიური ჟურნალი


წელიწადი მეცხრე

№ VIII

აგვისტო, 1902



ტფილისი
საქართველოს მწიგნობრობის ცენტრის გამომცემი
1902




Доволено цензурою, Тифлисъ, 7 Сентября 1902 г.

შინაარსი

88

- I—**კურცხალია და ხატი.**—გაგონილი ამბავი (თედოს)
შ. არაგვისპირელისა 1
- II—**სასიკვდილოდ განიჩრულნი. თეია.**—(ისტორიული
დრამა) გერძან ზუაფერძანისა. თარგმანდ ინ-ანისა . 22
- III—**ტარას ბულბა.**—(ძოთხრობა) ნ. გ. გოგოლაისა, თარ-
გმანი ინ-ანისა (გაგრძელება) 54
- IV—**ხეთი.**—რუს-ოსმალის (1877—1878 წ.) უკუასკნელ
ომის დროის ისტორიული რომანი. რაფაელისა (თარგმან-
სომსურდიან) ბ. ევანგელაფისა 79
- V—**სამნი.**—მ. გორკისა, თარგმანი შალუძორდგინა-
ვისა. 115
- VI—**მაკბეძე.**—გერგინაუსისა 1
- VII—**უცხოეთის მიმოხილვა.**—გერმანია. — სამთა კავ-
შირის განახლება. —ვილჰელმ II პოზნანში. —გერმანელების
აღტაცება. —როგორ ჰქმნიან „აღტაცებას“. —ჰოლონელების
სიჩუმე. —ლანდმარშალის სიტყვა. —იმპერატორის პასუხი. —
რუსის აფიცრები პოზნანში.
საფრანგეთი. —დე-სენ-რემის საქმე. —ორგვარი დის-
ციპლინა. —ვიქტორ-ჰიუგოს ძველი ბეზანსონში. 13
- დამატება.**—საბერძნეთის ძველი ისტორია დასაწყი-
ლიდან დამოუკიდებლობის დაკარგვამდე. —ფრან-
გულიდინ ნათარგმნი ვ. დ.—სა 193—208



კურცხალია და ხატი

გაკონილი ამბავი

(თელს)

I

თორმეტი საათი არ იქნებოდა, როდესაც ჩაგუნავამ სო-
ხუმში გათქვირებული ცხენი ზღვის პირას ერთი ღუქნის წინ
უეცრივ შეაყენა და ამაყად გადასძახა მედღუქნეს:

— აბესალომ, ერთი ჩარეკა ღვინო გამომიტა!

აბესალომი ამ დროს დახლზე თავ-დადებული გულიანად
ხვრინავდა; მისი მოსვლა ვერ გაიგო. მთელ ღამეს არ სძინებია
აბესალომს. ვინცლა-ვიდეებმა მთელ ღამეს აქ დაჰყვეს. აი, იქ
ღუქნის პატარა განყოფილებაში, სადაც თითონ იძინებს ხოლ-
მე. ეტყობოდათ, ვინცლა დიდ-კაცები იყვნენ... სულ „გორკას“
იძახდნენ და ტყლაშა-ტყლოში გამოისმოდა ტუჩებისა... ქაღე-
ბი ჰყვანდათ. მხოლოდ დილის ექვს საათზე წავიდნენ გემის-
კენ.

აბესალომი დიდი ხანია შეჩვეულია ამ გვარ მოვლენას.
მისი ფიქრი მხოლოდ ანგარიშისკენ იყო მიმართული...

არც მოტყუვდა აბესალომი. ექვს საათზე რომ ანგარიში
წარუდგინა, ერთმა სტუმართაგანმა გადუგლო ქალაქის ფული
ხმის ამოუღებლივ... აბესალომი შეკრთა და მოწიწებით მოახ-
სენა, რომ ხურდას ვერ მიართმევს, რადგანაც არა აქვს იმდენი...

როდესაც ანგარიში მიჰქონდა, ფიქრობდა: „რამდენსამე მანეთს ჩამომიკრიან, მაგრამ, ვეცდები, არა მოვიქრა-რა იმის გარდა, რაც წაუშატეო“...

მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მოესმა:

— ხურდა შენთვის შეინახეო!..

მთლად მარგალიტად გადაეშალა მოქეიფეთ და ერთი რალაც სასმელი შესთავაზა, მაგრამ მოქეიფეებმა უარი უთბრეს, რადგანაც დაგვიანებული იყო და გემის გასვლა მოახლოვებულიყო.

— თან წაიღეთ, თან... არ ინანებთ!.. ჩემი მომზადებულია... როცა მიირთმევთ, მაშინ დამაფასებთ!..—ემულარებოდა აბესალომი...

ამით უნდოდა აბესალომს თავისი თავი თავის სინიღისის წინ გაემართლებინა, რადგანაც დამნაშავედ სთვლიდა ამათთან თავის თავს... ანგარიშის ჯამს რამდენიმე მანეთი წაუშატა და დამნაშავედ სთვლიდა თავის თავს. შეჩვეული იყო აბესალომი, რომ სწორე ანგარიშიც რომ მიეტანა მოქეიფეებისთვის, ისინი მაინც დაუწყებდნენ ხოლმე ბღვერას და საყვედურს, რომ მეტს ანგარიშობს და იშვიათ შემთხვევაში სრულად აძლევდნენ... ამ გვარ შემთხვევების შემდეგ გამჟიარაბმა აბესალომმა ჩვეულებად გაიხადა ანგარიშის გასწორებისას ხუთმანეთის დანახარჯისთვის ერთი მანეთი წაემატებინა იმ განზრახვით, რომ ბოლოს მობუზღუნე მოქეიფეებისთვის აღერსით ეთქვა: „ერთი მანეთი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, ხუთი მანეთი მიბოძეთო...“

ეს სიტყვები ყოველთვის სასურველ შედეგს გამოიკიდებდნენ ხოლმე... მოქეიფენი სიამოვნებით აძლევდნენ ექვსი მანეთის მაგივრად ხუთ მანეთს და აბესალომის მადლობელნი მიდიოდნენ... აბესალომიც კმაყოფილი რჩებოდა, რადგანაც სრულ სასყიდელს ღებულობდა, და სტუმრებიც მადლობით და მშვიდათ მიდიოდნენ...

დღეს კი დამარცხდა... დანახარჯი ხუთმეტი მანეთი იყო... სამი მანეთი წაუმატა თავის ჩვეულების მიხედვით და თვრამეტი მანეთის ანგარიში მიუტანა. მოქიფემ კი ოცდა-ხუთიანი გადუგდო და ხურდის მიღებაც არ მოისურვა. ხუთმეტი მანეთი დახარჯეს და ოც-და-ხუთი კი მიჰსცეს?! აბესალომისთვის ეს სულ გაუგებარი იყო, და ამისთვის ასე მოუღობა გული, და ერთ უძვირფასეს ბოთლს ამისთვის ატანდა თან...

ერთმა მოქიფემ ქალმა ღიმილით გამოართვა მომუდარე აბესალომს ბოთლი და დაამშვიდა იგი...

თავის პატარა ეზოში რამდენიმე ძირი ვაზისა ჩარგა ამას წინად და აგერ ამ სამი წლის წინად პირველად მოირთვლა, თავის ხელით დაწურა და გადაღებ-ვადმოღების შემდეგ ათი ბოთლი ღვინო დაუდგა. წლის განმამავლობაში ორი ბოთლი ღვინო ახალ-წელიწადს და აღდგომას დალია, წლის თავზე—ახალი რთვლის დროს—როცა ყურძენი დაკრიფა კიდევ, ორი ბოთლი გამოცალა, და მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა...

„შესანიშნავი ღვინოა, შესანიშნავი!“—აღტაცებით იძახდა, როდესაც ამ ღვინოს მიირთმევდა და ყოველ გამოცლილ კიქის შემდეგ ტუჩებს იტკბანურებდა და თან უღვავებს იწუწნიდა, რომ უღვავებზე შერჩენილი ღვინის წვეთი ტყუილად არ დაკარგულიყო...

„ამისთანა ღვინო მთელ ხმელეთზე არ მოიპოვება!..“ უმატებდა პირველ სიტყვებს ტუჩების ტკბანურით, და უეცრივ ოცნება მალლა იტაცებდა და ვინ იცის, რა მაღალ ფარდებში არ დაარბევინებდა აბესალომს თავის ღვინით... „აბესალომ ხოშტარია...“ სახელიც მოუგონა თავის ღვინოს, ამ სახელით დაუწყებდა თავის ღვინოს გაყიდვას და მისი სახელი და გვარი მთელ ქვეყნიერობას მოეფინებოდა... თუმანს, თუმანს დაადებს თითო ბოთლს!...

ძირს მხოლოდ იმისთვის ჩამოდიოდა, რომ იქ დაჩვენული კიქა შეეგსო და კიდევ ჩაეტკბანურებინა... ჩაელია...

ამ ოცნებით გამოცალა ორი ბოთლი და სიხარულით შეუდგა დაწურვას. კიდევ ათი ბოთლი გამოუვიდა. წინა წლისა ექვსი ბოთლი-ლა დაპრჩა... გადაჰყვიტა, ათი წლის განმავლობაში ხელი არ ეხლო ამ ექვსი ბოთლისთვის... მაშინ ფასის დადება გაუძნელდებოდათ ღვინის მცნობთ... ისიც გადაჰყვიტა, რომ ახალი ღვინისა ყოველ-წლივ ოთხი ბოთლის მეტი არ დაეღია და ექვსი ბოთლი კი ათი წლის განმავლობაში ხელ-უხლებლად შეენახა...

კიდევაც ასრულებდა აბესალომი თავის გარდაწყვეტილებას და მხოლოდ დღეს დამარცხდა... მეტის-მეტი გრძნობით ამ სამის წლის წინად შენახულ ექვსი ბოთლიდან ერთს წამოავლო ხელი და გულ-უხვ სტუმრებს ასე გულით შესთავაზა...

კარგია კიდევ აქავე არ განსნეს ბოთლი, თორემ მწარე ოფლი დაასხავდა სირცხვილისაგან აბესალომს. ან იმ გემზე რომ ყოფილიყო, როდესაც სადილობისას მისგან მიცემული ბოთლიდან ჭიქები შეივსეს და პირველ ყლუპზედვე რანაირად დაიმაჩნენ, მაშინ დარწმუნდებოდა თავის სიტყვების: „მაშინ ფასის დადება ღვინის მცნობთ გაუძნელდებოდათ“ მნიშვნელობას მიჰხედებოდა. დარწმუნდებოდა, რომ ღვინის არა ამომცნობიც ისე მოიქცეოდა, როგორც მისი შემთხვევითი სტუმრები, რომელთაც ასე გულ-უხვად მიუძღვნა ეს ფას-დაუდებელი ბოთლი... უეჭველად ფასს ვერ დაადებდნენ და პირ-და-პირ გადაჰღვრიდნენ ისე, როგორც მისმა სტუმრებმა საფსე ჭიქები და ბოთლი მოსამსახურეს გადასაღვრელად გაატანინეს...

ქართლში გლეხები ამბობენ: „კარგი ღვინო თუ გაფუქდა, უეჭველად დამძარდებაო, უხეირო კი—გაწყალდებაო...“ კახეთში ამისთანა არა გამიგია-რა. როცა კახელი იტყვის: „ღვინო გამიფუქდაო“, იქაური გამგონი ყოველთვის სთხოვს გაფუქებული-ღვინის პატრონს: „გეთაყვა, ერთი ხელადა მე არ დამიჭირო, თორე ჩიხირთმა ვერაფრით გაუმეავებია ჩემ ცოლსაო“.

როგორცა ჰჩანს, კახელისთვის ღვინის გაფუჭება დაძმარებას ჰნიშნავს... იმერეთში კი ამის შესახებ არა გამიგონია—რა იმის გარდა, რომ ერთი ვენახი რომ ორ მეკომურს ეკუთვნოდეს, ერთი მეზვრე ჰყვანდეს, ერთმა და იმავემ დააყენოს ღვინო და თითქმის ერთი და იმავე ქვევრიდან იმავე დღეს წაღებული იყოს ორივე მეკომურისას, სადილად რომ ერთ მეკომურთან. იყვე და ვახშმად მეორე მეკომურთან, უეჭველად სადილად ვისთანაც ხარ და, თუ იცის ვახშმად მეორე მეკომურთან იქმნები, გეტყვის: „აი, ამაღამ დაპრწმუნდები, რომ ამ ღვინოს იმისი ღვინო არ შეედრება, ისე ჩამოპრჩება, როგორცა დედამიწას!..“—ამას გეუბნება, თუმცა ორივე მეკომურის ღვინო ერთი ქვევრიდან არის ამოღებული...

ვახშმად კიდევ მეორე მეკომური გეუბნება: „ეს ის ღვინო კი არ გეგონოს, რომელიც ჩემი მეზობლისას სადილად მიირთვი... სოლომონ მეფე ხომ გაგიგონია?! აი, უკანასკნელი... ჰოლდა!.. ძვირფასი სტუმრები რომ ეწვეოდნენ, უეჭველად ამ ღვინისას მიართმევდა... ჩვენ ხარკად გვედვა...“

არ ვიცი, იქმნება იმისთვის აქებდნენ, რომ უფრო მეტი დაეღია და ესამოვნა მათ სტუმარს, მაგრამ რატომ ის კი არ ახსოვდათ, რომ იმ სტუმარსაც თავისი შეხედულობა და გემოვნება ექმნებოდა, როგორც აბესალომის შემთხვევითი სტუმრებს, რომელთაც: „ეს ხომ წყალია, მერე დამპალი!.. შეჰსცდა, საწყალს, თორემ ასე გულ-მოდგინედ არ შემოგვაძლევდა... უთუოდ შეეცვალა?!...“

თუ ქართლელ გლეხს დავუჯერებთ, მაშინ პირველშია ც უვარგისი ყოფილა აბესალომის ღვინო... მაგრამ აბესალომის გულწრფელი სიტყვები წინააღმდეგია...

არ დავკვირვებივარ და არ გამომიცდია ქართლელი გლეხის სიტყვების სინამდვილე, და ამისთვის არას ვამბობ...

ეს კი ვიცი, რომ აბესალომი ძალიან კმაყოფილი დარჩა, და თავიდან არ ეშვებოდა ის აზრი, რომ სტუმრები, როდესაც მის ბოთლს გაჰხსნიან და იგემებენ, ინანებენ, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე—უჰ, არ მისცემდა სულ,

თუნდაც მილიონი მიეცათ—ბოთლი არ გამოართვეს აბესალომს...

თუმცა ლამე ნატეხი იყო, მაგრამ მაინც არ ეძინებოდა, მისი გონება შეპყრობილი იყო თავის ბოთლებით და სტუმრების გულ-უხვობით...

როდესაც სტუმრები წავიდნენ, ქალაქი გაღვიძებული იყო... სოფლებიდან სხვა და სხვა სანოვაგე: კვერცხი, ფრინველი, მწვანილეულობა, სითეთრე, ხილეულობა მოჰქონდათ, აბესალომი სულ უგონოდ ევაჭრობდა, ყიდულობდა, ზოგს ისევ ისე აბრუნებდა, ზოგი კიდევ მისგან ყიდულობდა, და, თუმცა სრულებით უგონოდ ვაჭრობდა და ჰყიდდა, მაინც ერთი იოტის ოდენაც შეცდომა არ მოჰსვლია...

როდესაც რვა-ცხრა საათზე ფეხის ხმა მისწყდა, მსყიდველი და გამყიდველი დამშვიდდა და თავ-თავიანთ გზას გაუდგინენ, აბესალომმა დუქნის კარი მიხურა, დახლზე თავი ხელზე ქვეშ ამოდებული დასდო და მაშინვე ჩაიძინა.

დილის ცხრა საათიდან თორმეტამდის, იცოდა არავინ მოვიდოდა სავაჭროდ, და ამისთვის გულიანად ჩაიძინა...

— აბესალომ, არ გეყურებაა?!—უფრო ხმა-მაღლივ შესძახა ჩაგუნავამ, რაკი პირველ დაძახებაზე დუქნიდან ხმა არავინ გასცა, და თავი დაბლა დახარა, რომ დერეფანს დაჰსცდენოდა და შეეხენდა დუქანში.

ცხენი კი მოუთმენლად ტოკავდა, ფრუტუნებდა და ერთ წამს არ ისვენებდა; ადგილიდან მოსხლეტა უნდოდა...

ფაღავა და კურცხალიას ცხენის აჩქარებული თქარა-თქური, მერე უეცრივი შედგომა ზღვის პირას ხეების ქვეშ მსხდომთ შეესმათ, რამაც ტკბილი საუბარი შეაწყვეტინა.

— იმე, ჩაგუნავა!.. გაკვირვებით წამოიძახა ორივემ, როდისაც ფეხზე წამოდგა...

ფაღავამ კრიალოსანიც კი ჯიბეში ჩაიღო, რასაც მხოლოდ განსაკუთრებულ წუთების დროს ჩაიდენდა ხოლმე...

— ესეთი ცხენი?! ვინ მისცა?..— ორივემ კიდევ ერთად წამოიძახა და ფეხ აკრეფით იმისკენ გზა დაიჭირა.

— ჰაა, რაო?!—ლუქნიდან გამოისმა უგონო ხმაურობა...

— რა მოგივიდა, შეკაცო, გარედ გამოიხედე!.

მოისმა ლუქნიდან ხველა, ცხვირის მოხოცვა, ფრუტუნი, რასაც კარის ჭრიალიც მოჰყვა, და კარებში აბესალომი გამოჩნდა. თვალები შეწითლებული, ქუთუთოები და სახე შეშუპებული ჰქონდა, ცალი უღვაში და წვერის ცალი მხარე ტუჩების ცალი კუთხიდან ნიკაპის ბოლომდის შესველებული ჰქონდა; წვერის ბოლოზე წვეთიც მოჩანდა; ფეხზე ძლივას იდგა. ყველა ეს ცხადი მოწამე იყო, რომ „თათარ-იახნად“*) სძინებია აბესალომს.

— რაო?.. ვინა ხარ?... რა გინდა?..—ნაწყვეტ-ნაწყვეტ მთქნარებით შეეკითხა აბესალომი, როცა დერეფანში მარჯვენა ფეხი დაბუყების გამო იმან ძლივას გამოათრია და თვალის მოჭუქვით, რადგანაც მხედარი მზის ბრწყინვალე სხივებში ლავლავებდა, შეჰხედა...

— ველარ მიცან, თუ?!.

— ოჰ, გიორგი, შენა ხარ?... გამარჯვება, გამარჯვება!—უფრო ხმით იცნო აბესალომმა, ვიდრე სახით...

იმან დაბუყებული ფეხის წინ წამოთრევით ხელი გაუწოდა სალამის მისაცემად და ცხენს თითები ცხვირში წაატაკა. ცხენმა წაიფრუტუნა და წინა ფეხები მაღლა ასწია.

ამ ხმაურობაზე უნებურად უკან გადახტა აბესალომი, ჩაგუნავამ კი გადაიხარხარა.

— ცხენითა ხარ, გიორგი?—შეეკითხა ცოტა დარცხვენით აბესალომი.

— დაჰბრმავდი, კაცო?!—ხარხარითვე შეეკითხა ჩაგუნავა.

— გიორგის გაუმარჯოს!

— გიორგის გაუმარჯოს!—თითქმის ერთად მიესალმენ კურცხალია და ფალავა.

— ოოჰ, გამარჯვებათ, გამარჯვებათ!..—სიხარულით გაუწოდა ხელი ჯერ ფალავას და მერე კურცხალიას ჩაგუნავამ...

*) თათარ-იახნად—სახელ-და-ხელოდ, სასწრაფოდ.

— კაცო, ერა რაში გიზოვია? მე კი გული გამიხეთქა!—
ლიმილით ჰკითხა აბესალომმა, როცა სულ გამოერკვა, თვალ-
მაც გაუჭრა და დაბუყებულ ფეხშიაც სისხლი წესიერად ამო-
ძრავდა:

— რატომ არ გაანთავისუფლებ ე შენ რაშს?—მაშინვე
დაუმატა თავის სიტყვებს.

— მივეჩქარები, საქმე მაქვს!—მოკლედ უპასუხა ჩაგუნა-
ვამ:—ერთი ჩარევა ღვინისთვის შემოვტრიალდი შენკენ, წყა-
ლი ძალიან მწყურიან...

— გწყურიან და ჩამოხტი ცხენიდან და, აი, ჩეროში შენცა
და შენი ცხენიც შეეფარებით.—უპასუხა აბესალომმა და დე-
რეფანზე უჩვენა.

— ცოდვაა, ცოდვა ამისთანა ცხენის წვალემა ამ სიცხე-
ში!...—გულის ტკენით წარმოსთქვეს კურცხალიამ და ფალ-
ავამ...

— მართალს ამბობთ, მე და ჩემმა ღმერთმა!..—დაეთანხმა
ჩაგუნავა:—ისე, ჟინმა მომიარა ჩამეჭროლა სოხუმის ქუჩებზე
ჩემი ცხენით, რომ მტრისთვის თვალეებში მტვერი მიმეყარა,
და ცხენზე კი არ ვიფიქრე...

— ეხლა ვინ იქნება ქუჩებში? როცა აგრილდება, მაშინ
ყველა გამოიშლება და...

— კი, კი!—უპასუხა აბესალომს ჩაგუნავამ და ცხენი მარ-
დად გაანთავისუფლა...

II

მზე შუბის ორ ტარზე-ლა იყო, რომ ჩაგუნავა, აბესალო-
მი, კურცხალია და ფალავა დუქნის დერეფანში ისხდნენ და
ჯერ კიდევ ისევ ღვინოს შეექცეოდნენ. ერთი ჩარეკის მაგივ-
რად აბესალომის გარდა არავინ იცოდა, რამდენი დალიეს. ცხე-
ნიც იქავე ახლოს თივაზე ება, რის ქამაც დღიხანია შესწყვიტა,
რადგანაც პირი გაუშრა წყურვილისგან, და მოუსვენრად ტო-
კავდა...

— ბეჩა, ე ცხენი რას გვეტანება, ღვინო ხომ არ უნდა?.. — წამოიძახა კურცხალიამ, როდესაც უეცრივ თვალი მოჰკრა ღვინის დასხმის დროს ცხენმა თივა იმათკენ ძლიერად გაიწოწიალა, და სავსე ჭიქა ტუჩებთან მიუტანა.

ცხენმა ძლიერად დაიფრუტუნა. ჭიქიდან ღვინო სრულე-ბით წინწკლებად იქცა და კურცხალია და ცხენის ცხვირ-პირი შეიწუნწკლა. შემდეგ ცხენმა ჭიქაში ტუჩები ჩააწოწიალია, რომ დაელია, ხარბად აქნევედა ზევითა ტუჩს, მაგრამ არა ჰხვდებოდა-რა მის პირს, რადგანაც ჭიქის ძირას ფირფიტად-ღა იდგა ღვინო...

კურცხალია ილიმებოდა. ფაღვა წამოდგა და:

— საცოდავი ცხენი უწყლოდ მოგკალით!... ეხლავე წყალს დავალევენებ!.. — წამოიძახა...

— არა, არა!.. მე თითონ დავალევენებ!.. აბესალომ ჩემ-ზე იანგარიზე!.. — წამოიძახა ჩაგუნავამ დამაშინვე ცხენის გვერ-დით გაჩნდა.

— ხვალ-ზეგ ისევ გეწვევი და მაშინ გაგისწორდები! — გა-ნაგრძო ჩაგუნავამ, როდესაც ცხენი აუშვა.

— კარგი, კარგი!... — უპასუხა აბესალომმა.

ფაღვა და კურცხალია კი ცხენს მოსართავებს უჭერდნენ, ჩაგუნავა ამ დროს ლაგამს ცხენს პირში უკეთებდა...

სოხუმიც ამ დროს ამოძრავებულყო და ზღვის პირას პატარა ბალისკენ მიეშურებოდა, რომ სარკეს მაგვარ ზღვაში თუ როგორ ჩაიჭყუპალეებდა მზე, ენახა...

— შინ წადი, თორე... — თითქმის ერთად უთხრეს ფაღ-ვამ და კურცხალიამ: — თორემ, ხომ იცი, ნასვამი ხარ... წყალი კი დაალევენე...

— კი, სწყურიან ჩემ ცხენს!.. შინ უნდა წავიდე, თო-რემ... რო ჩამებინდეს, ხამი ცხენია, იქვე წამიყვანს, საიდგა-ნაც... უნდა ფხიზლად ვიყვე, რომ ჩემ სახლამდის მივიდე... მშვიდობით!.. და მოსწყდა ადგილიდან.

— იწყენს რასმე!.. სთქვა აბესალომმა, როდესაც ცხენი პირველადვე დაოთხდა, და ჩაგუნავა კი ცხენის კისერს გაეკრა.

— არა, მკვდარიც რომ იყვეს ჩაგუნავა, მაშინაც არ გადმოვარდება!—უპასუხა კურცხალიამ.

— მეც აგრე მგონია!..—დაუმატა ფაღავამ...

— მშვიდობით!

— მშვიდობით! ერთად გამომემშვიდობნენ კურცხალია და ფაღავა აბესალომს.

— მშვიდობით!..—აბესალომმაც სამაგიერო უთხრა, თუმცა ცალ-ყბივ, რადგანაც მოლოდინი არ გაუმართლდა: არც ერთმა დანახარჯი არ მიჰსცა...

— სად ჩაუგდია მაგეთი ცხენი?!—კითხვით წამოიძახა კურცხალიამ, როდესაც ორივე აბესალომის დუქანს დაჰშორდნენ და გაჩუმებულები თითქმის ბაზრის თავს ავიდნენ...

— იყიდიდა!..—მაშინვე არ უპასუხა ფაღავამ: საჩუქერ მაინც ჩათვალა ჩხაკუნით თავის კრიალოსანი.

კურცხალია კი ისევ ორივე ჯიბეში ხელეგ ჩაყოფილი მიაბიჯებდა...

— შენგან არ მიკვირს?!.

ფაღავასაც უნდოდა ეთქვა: „მოიპარავდა, მარაო“, მაგრამ საწყენი კილოთი სულ სხვა წარმოსთქვა:

— რას მეუბნები, შე კაცო, ქურდობა რავე შეიძლება?!.

— მართალს ამბობ!..—მოკლედ უპასუხა კურცხალიამ.

— მშვიდობით!..—მაშინვე დაუმატა კურცხალიამ:—ცოტაოდენი საქმე მაქვს აქეთ...

— მშვიდობით!...—უპასუხა ფაღავამ...

— როგორ გგონია, ჩაგუნავა ამაღამ შინ მივა?!.—შეეკითხა კურცხალია ცოტაოდენივ განშორების წინ სიჩუმის შემდეგ...

ორივეს ერთი გზა ჰქონდათ. ორივეს კი უნდოდათ, ერთმანეთს დაჰშორებოდნენ... ამ კითხვაზე გამოწრთენით შეჰხედეს ერთმანეთს, და ორივეს ეტყობოდათ, გულწრფელნი არ იყვნენ. რას უმაღავდნენ ერთმანეთს? თავიანთ თავსაც არ ეტყოდნენ ამას და, აბა, სხვა ვინ რას გაიგონებდა...

— არა გონია!.. — უდარდელად უპასუხა ფლავამ: — ისე დაითრო, რო გზაში სადმე დარჩება...

— მშვიდობით!..

— მშვიდობით!..

III

შუალამე მოტანებული იყო... თითქმის ერთ მამალს კიდევაც შეჰსცდა და სოფლის განაპირას ფრთების ფარფატიც ძლიერად გაჰყვილა. მაგრამ ამ სოფლის სხვა მამლებმა ხმა არ მიჰსცეს, რადგანაც იმეტიჩარავა... გაწვდილი კისრით ყურს ადევნებდა თავის ხმას, რომელიც მთელ სოფელს გადაეწვლიდა და სადღაც მისწყდა.. მეტიჩარას შეჰრცხვა, რომ უდრო უდროვოდ წამოიყვილა... სულ განაბულმა მუხლები ჩაიკეცა და კისერი თავიანად ბუმბულში ჩაფლა...

სოფელი არ შენძრეულა. ღრმა ძილში იყო და მეტიჩარა მამლის ყვილი მხოლოდ სიჩუმის და წყვდიადის მსხვერპლი შეიქმნა...

— ღმერთო, ღმერთო!.. ილორის წმიდა გიორგი!.. — მხოლოდ ერთი არსება შეკრთა მეტიჩარა მამლის ახლოს, რომელიც ფეხ-აკრებით მიეჩქარებოდა, და რომელსაც ყვილმა გული აუფანცქალა და პირჯვარი გადააწერინა.

შესდგა ეს არსება. მამალზე არა ნაკლების ყურადღებით გაჰყვა მისი გონება ამ ხმას... თუ მეტიჩარა მამალი შეარცხვინა მოულოდნელმა ხმის დაკარგვამ, ეს არსება გაახარა და ისევ გზას გაუყენა...

— აი, მეცალოს, თავს მოგიგრებდი, მაგრამ, ბედი შენი, ყვინჩილავ, რომ შენთვის არა მცხელა! — როცა დარწმუნდა, რომ ეს ყვილი მეტიჩარას ყვილი იყო...

მთვარისა ეშინოდა ამ არსებას და ამას კი სრულებით აღარ მოელოდა... კარგად იცოდა, თუ მამლის ყვილი რას ჰნიშნავდა. ეს — სოფლის გამოღვიძება იყო, და გამოღვიძებისას კი თავის წადილს ვეღარ შეასრულებდა. განა ამისთვის

მოეჩქარებოდა?!. კარგად იცოდა, მთვარე გვიანობამდის არ ამოვიდოდა და მის ამოსვლამდის უნდა შეესრულებინა თავის საქმე, და ის კი არა, „მამლის ყვილიც გამხდარა“. ასე იფიქრა, როდესაც ხიდან მამალმა თავზე დაჰყივლა. ამისთვის იყო, რომ გული ასე გადმოუტრიალდა, და უეცრივ იმედი გაღუწვი-ტა...

„ერთ ხეზედ... მოგვითხრობს ერთი ქართული ზღაპარი... ორი კაქკაჭი იჯდა. ვინმე კაცი აცოცდა ხეზე; ორივეს თითო ერთა გამოაძრო და შემდეგ შეცვლით ისევ გაუკეთაო“... ამის მნახველი ზღაპრის გმირი გაკვირდა და შესანიშნავ ქურდს დაუმეგობრდა...

ზღაპრის გმირს რომ ჩვენი გმირიც ენახა, როცა იმან ძაღლებით საესე სოფელი ისე გაიარა და ერთი გოშიაც არ ააწავეწკავა; როცა ის ჩაგუნავას ცხენთან მივიდა, რომელიც სამ რიგად იყო დაბმული: ერთი თოკის წვერი თითონ ჩაგუნავას ფეხზე ჰქონდა მობმული, მეორე პალოს, სადაც ნოყიერი ახლად გათიბული ბალახი ეყარა, რასაც გულიანად ახრამუნებდა ჩვენი ნაცნობი ცხენი და მესამე კიდევ მეცხვარულ ძაღლის კისერს, და ცხენთან ისე მივიდა, რომ სამთავემ ვერა გაიგეს-რა: ვერც ჩაგუნავამ, ვერც ძაღლმა და ვერც ცხენმა... ცხენი ორმოც ნაბიჯს ისე გამოჰყვა, რომ ხრამუნი არ შეუწყვეტია და მხოლოდ მაშინ იგრძნო, რომ ნოყიერ ბალახზე აღარ იყო დაბმული, როდესაც მის კბილებს ლაგამი მოხვდა ბალახის მაგივრად და ზურგზე კიდევ მხედარი. მაგრამ გვიან იყო. უნდა მხედარის ლაგამის ტოტების ბრძანებას დაჰმორჩილებიყო და დაჰმორჩილდა კიდევაც: ადგილიდან მოსწყდა, იქით განქრა, საითაც მხედარმა ანიშნა... ზღაპრის გმირს ყველა ეს რომ ენახა, უეჭველია, ამასაც დაუმეგობრდებოდა... მაგრამ ზღაპრული გმირები ზღაპრებშია მხოლოდ და, რასაკვირველია, ამას ვერ მნახავდა. სამაგიეროდ ჩვენი ღროის ადამიანმა ცხადად დანახა, რომელიც ჩაგუნავას ცხენის მომპარავს თავიდანვე ფეხ-და-ფეხ მოჰსდევდა, და როცა მომპარავი ცხენს ზურგზე კისერ-

თან ახლოს მოექცა, და თითონ კიდევ თითქმის გავაზე, უსიტყვოდ წამოიძახა:

„კაციც მაგეთი უნდა, აი, ჩემო კურცხალიავ!...“

ცხენი თავს არ ჰზოგავდა. მისთვის ყოველივე ეს მოულოდნელი იყო; ასეთ გარემოებაში არას დროს არ ყოფილა... მართალია, ამ ორი დღის წინაღ ღამით მოგზაურობა შეეძთხვა, მაგრამ კარგად დაინახა, როგორ აუშვეს და „ფშვიო, ფშვიოს“ ნახის ხმით როგორ ეუბნებოდნენ; როგორ ზურგზედ ხელის სმით მოახტნენ; ეხლა კი რაღაც უცნაური დაემართა: თივის მაგივრად ლაგამი მოჰხვდა მის კბილებს; ენით გამოგდება უნდოდა, რომ ამ დროს ზურგზე რაღაც სიმძიმეები იგრძნო და ამასთან ერთად ბრძანებაც...ის შეფრთხვა, დაოთხდა, მაგრამ გზა კი იქით დაიჭირა, საითაც ანიშნეს უჩინრებმა...

ცხენი ცხვირპირის მტვრევით გარბოდა და გონს ვერ მოდიოდა, თუ რა დაემართა. უეცრივ, როდესაც სული ყელში მოებჯინა, ლაგამმა კინალამ ყბები არ შეახია, და შემოესმა ნალვლიანი ხმა: „ილორის წმინდა გიორგის ნიშო, ნუ მიწყენ, რადგანაც რამდენიმე ნაბიჯი წამოვდგი!“

— ნამდვილი მეგრელია, ნამდვილი ეს კურცხალია!—უსიტყვოდვე წარმოსთქვა ამისმა გამგონმა მოწმემ...

ცხენს უნდოდა შემდგარიყო, მაგრამ ამ დროს უცნაური რამ დაემართა: ტვირთი გაუნახევრდა, შემსუბუქება იგრძნო, და ამით გაკვირვებული გაფრთხვა...

— ააა!—უეცრივ დასქყვილა კურცხალიამ გაჯავრებით და ისე ძლიერად მოსწია ლაგამი, რომ პირის ნაპობის კუთხეებზე სისხლის წვეთი ამოჯდა. ემწვავა. ეხლა კი მიჰხვდა ცხენი, რომ აღამიანი იყო მის ზურგზე მჯდომი, და შესდგა...

მაშინვე ძირს გადმოხტა კურცხალია.., პირჯვრის წერით ცხენი უკანვე გამოატრიალა და მწუხარებით წამოიძახა:

— მაპატიე, მაპატიე, შენი სახელის ქირიმე, უნებურად მომივიდა!.. სულ ამ ცხენის ბრალია, თორემ შენ სამფლობლოს საზღვარზედვე ფეხით შემოვდგებოდი...

ბევრჯერ გაუფელ-გამოუფელია ამ გზით კურცხალიას და, თუ ცხენით იყო ხოლმე, ერთხელაც არ დაჰვიწყებია ცხენიდან ჩამოსვლა და ორმოციოდე ნაბიჯის ფეხით გავლა. რა კურცხალიას, სხვასაც! ყველა მეგრელია იცის ეს ნიში ამ მუხნარ ტყეში, გზიდან სამოც ნაბიჯამდის ამამრთული ქვითკირის პატარა სვეტი, რომელსაც პატარა თახჩა ატანია და შიგ ხატი ასვენია. გამვლელ-გამომვლელი ყველანი ჰხედავენ, რადგანაც მის წინ გზიდან მხოლოდ მის წინ პატარა ველია. მის უკან კი ისევ ხშირი ტყეა, როგორც დანარჩენი ხუთმეტი-ოცი ვერსი, რომელსაც შუაგულს გზა უღრღნის. ეს ადგილი თითქოს განგებ ერთი ყბის მოსმით შეუკმენჩია ვისმეო, რომ ნიში გამოეჩინა. მართლაც რომ ავაყუდოთ ეს ველი, სამ-კუთხედს წარმოადგენს, რომლის თავში ნიში დგას და იქვე ტყე იწყობა, გზა სწორ პირ-და-პირ ხაზს წარმოადგენს, გვერდისებრი კიდე მრუდედ ჩამომწყვრივებული ხეები...

საშინლად გაჰკიცხა თავისი თავი კურცხალიამ, რომ შეკმენჩილს ცხენით გადმოჰსცდა. უკანვე დაბრუნდა, რომ საზღვრიდან ფეხით გაველო. მივიდა თუ არა შეკმენჩილის პირამდის, გამოტრიალება დააპირა, მაგრამ შეეყოყმანდა... ჩაფიქრდა...

მისი უჩინარი თანამგზავრი კი მეორე ნაპირას პირქვე წამხობილი გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა კურცხალიას. ჯერ ისევ ბნელოდა, მაგრამ მისი გამჭრიახი თვალები მიწის პირას ორმოც ნაბიჯზე გავლებულ ხაზზე რაც ხდებოდა, ჰხედავდნენ...

— ევჰ, ჩემო კურცხალიავ, შენგნით მაგას არ მოველოდლი!.. — მართლა და მწუხარებით წამოიძახა უჩინარმა, როდესაც კურცხალიამ ცხენი ტყეში შეიყვანა, ხის ტოტზე გამოაბა და თითონ კი ფეხთ-საცმელის ხდა დაიწყა...

უჩინარი თანამგზავრი მაშინვე მიხვდა, რომ კურცხალია ნიშთან მისვლას აპირობდა, რადგანაც მეგრელს, თუ ნიშთან ახლო მისვლა უნდოდა, უეჭველად ფეხთ უნდა გაეხადნა და

მუხლის თავებით უნდა მისულიყო, რომ მეტი წყალობა გამო-
ელო ილორის წმიდა გიორგის ნიშნ...

— მაშ თუ მაგრეა...—ჩაილაპარაკა თავისთვის უჩინარმა,
როდესაც კურცხალიამ ნიშისკენ ბობღვა დაიწყო...—საცა შენ-
ზე ილაპარაკო, იქ ფალავაც ახსენე!.. და სწრაფად ცხენთან
გაჩნდა.

უჩუმრად აუშვა ცხენი. კურცხალიას ფეხ-საცმელიც აიღო,
უნდოდა ისაც წაეღო, მაგრამ „ეჰ!“ წამოიძახა და იქავე და-
ყარა...

— ცოდვაა, ფეხშიშველამ რომ ირბინოს!..—სთქვა, რო-
დესაც ფეხსაცმელები დაყარა და სარტყლად შემოკრული აღვი-
რი შემოიხსნა...

— აღვირსაც დაუტოვებ, თორემ, საცოდავი, ძალიან
იჯავრებს, რომ ამისთანა შრომის შემდეგ სარგებლობის მაგიე-
რად მისიც ზედ გაჰყვება!..—და კურცხალიას აღვირის წამოყ-
რის შემდეგ თავისი გაუკეთა...

ჩუმად გაატარა ცხენი ილორის წმიდა გიორგის ნიშის
წინ. უკანასკნელად კიდევ მიჰხედა მბლუნავ კურცხალიას, რო-
დესაც შეკმენჩილის მეორე ნაპირას, საიდანაც ცხენზე შეჯდომა
ალარ ეკრძალებოდათ, მივიდა და სწრაფად მოახტა ცხენს...

IV

სოხუმშივე შეატყო ფაღვამ კურცხალიას, რომ იმან,
როგორც თითონაც, ჩაგუნავს ცხენის მოპარვა განიზრახა.
ამისთვის იყო, რომ კრიალოსანის ჩხაკუნით, უდარდელად
გამოეშვიდობა კურცხალიას და კრიალოსანის ჩხაკუნითვე აღმა-
დაღმა აიარ-ჩამოიარა. თუმცა პირზე ასეთი უდარდელობის ბა-
დე წაიფარა, თუმცა ყველა მისი დამნახველი იტყოდა: „ფა-
ღვა თავისთვის დასეირნობს და უდარდელად გამვლელ-გამომ-
ვლელის ნახვით თვალს წყალს ასმევსო“; მაგრამ მასში მო-
თავსებულთ მეორე ფაღვა საშინელის მოუთმენლობით მომ-
ლოდა მზის ჩასვლას; არც კი ვინმე შეუმჩნევია ქუჩებში, თუბ-

ცა ყველა გამოიშალა საღამოს და ზღვის კიდისკენ მიეშურებოდა... არა უტრიალებდა-რა თავში, გარდა ჩაგუნავას ცხენისა და კურცხალიასი... საშინლად აეწოდა ხოლმე სხეული იმ გაფიქრებაზე, რომ კურცხალია დაასწრობდა მოპარვას... მაგრამ იმედს არ იტებდა და ევედრებოდა ღმერთს ღროით შებინდებას..

თუმცა ფაღავამ ორკეცად წაიფარა პირს ბადე, როდესაც კურცხალიას ემშვიდობებოდა, მაგრამ გამჭირახმა კურცხალიას თვალებმა მაინც დაინახეს მეორე ფაღავა და თავის პატრონი სადარდელს მიჰსცეს.

„ღროით გავეშურო, თვარა ის დამასწრობს“?.. მალი-მალ გაიძახდა კურცხალია ისევე მოუთმენლად, როგორადაც ფაღავა...

კურცხალიას ეს ფიქრი არ მოჰშორებია, ვიდრემდის იმან ცხენი არ დაინახა, რომ ჯერ ფაღავას არ წაეყვანა. მაშინ კი სრულებით გადაავიწყდა ფაღავა...

ფაღავა კი ჩქარა დარწმუნდა, რომ მისი საქმე წაგებული იყო. ძალინ ჩქარა დაინახა თავის წინ, როდესაც ჩაგუნავასკენ გამოემგზავრა, რომ კურცხალია კურცხლად მიდიოდა იქით-კენვე. ყოვლად შეუძლებელი იყო, როგორმე გაესწრო და კურცხალიაზე აღრე მისულიყო მის შეუმჩნევლად. შემჩნევა კი ორივესთვის იმას ჰნიშნავდა, რომ ცხენი ისევ ჩაგუნავას ეზოში უნდა ბმულიყო. ორივე თუ ერთმანეთს შეამჩნევდნენ, მიესალმებოდნენ და ძალა-უნებურად ორივეს განზრახვა ჩაეფუშებოდა... ფაღავას კი ეს არ უნდოდა... ცოტა მოფიქრების შემდეგ გადასწყვიტა აჰდევნებოდა უკან და როდესაც კი შესაძლებელი იქნებოდა, ვითომ-და შემთხვევით, წილი ჩაეღო ნაქურდალში...

სიტყვა და საქმე ერთი იყო იმისთვის. სიტყვა და კიდევაც აასრულა. კურცხალიას არც ერთი ნაბიჯი არ გამოჰპარვია ფაღავას... დაინახა ისიც, როგორ ხელოვნურად გაანთავისუფლა კურცხალიამ სამკეცად დაბმული ცხენი და აღტაცებაში

მოვიდა. კიდევაც უნდოდა შეეყვირა: „ვაშა კურცხალიავო!“. მაგრამ თავის გადაწყვეტილებას არ უღალატა...


ამას კი უეჭველად დაუმეგობრდებოდა ზღაპრის გმირი, რომ ენახა. ისე უჩინრად როგორ შემოუჯდა კურცხალიას უკან; ეგ მხოლოდ ზღაპრებში მოხდება ხოლმე. მაგრამ ეს ცხადად, წარბ-შეუხრელად ათას რვაას ოთხმოცდა ცხრამეტ წელს, მაისის ოცს მოხდა...

ფალავამ რომ ცხენი გაიტაცა, კურცხალია ამ დროს მიბობლავდა ნიშისკენ და სულ ერთს გაიძახდა: „ღმერთო მაპატიე, რომ ცხენით შევლახე შენი მიჯნა და ფეხით არ გავიარეო!“ ერთხელაც არ უხსენებია ქურდობა. ის მხოლოდ ცხენით მიჯნის შელახვას ჩიოდა, ჩვეულების დარღვევას... ამის მოსანანიებლად იღვა თავს ეს სასჯელი, რომ მივიდეს ჩოქით და ნიშის ქვევს თავი ახალოს... მართალია, მოსანანიებლად მიბობლავდა, მაგრამ სულ უნებურად სხვა აზრი გაურბენდა ხოლმე, თუმცა მის პირს: „ილოარის წმიდა გიორგის ნიშო, შემინდე, შენი სახელის ჭირიმე!“-ეს სიტყვები არ ჰშორდებოდნენ. მაგალითად: რამდენჯერმე გაეფიქრა: „ჩემ მაგივრად რომ ჩემი ცხენი (ახლად მოპარულ ცხენს უკვე თავისად სთვლიდა) მიდიოდეს, რა მადიანად გაუსვამდა ამ მშვენიერ და ნოყიერ ბაღსს!..“ ან კიდევ: „ქუთაისის ბუღვრის გვერდით რომ ავაქროლო-ჩავაქროლებ ჩემ ცხენს... არა! იქმნება იქიდანა ჰყავს ჩაგუნავას მოპარული... ქართლში გადავიყვან...“

ჩქარა ჩაიჭერდა ხოლმე თავის თავს სასოებას მოკლებულ აზრებში და ნიშნად თავის თავის განკიცხვისა ხავერდისებურ ბაღსს გაუსვამდა თავის მშობრავ ტუჩებს, რომლებიც განუწყვეტლივ გაიძახდნენ: „ილოარის წმიდა გიორგის ნიშო...“ და სხვას.

დიდის მოწიწებით დაადო ნიშის ძირის ქვევს თავი და მიწას ემთხვია. წუთს ასე იყო გაშტერებული...

რაც თავი ახსოვს, ამ გზით ხშირად უვლია ცხენით, თუ ფეხით, მაგრამ აი ჯერაც არ მისულა აქნობამდის ახლოს, არ იცის, თუ რა ხატი ასვენია თახჩაში.



P. 6307

ცა ყველა გამოიშალა სალამოს და ზღვის კიდისკენ მიეშურებოდა... არა უტრიალებდა-რა თავში, გარდა ჩაგუნავას ცხენისა და კურცხალიისი... საშინლად აეწოდა ხოლმე სხეული იმ გაფიქრებაზე, რომ კურცხალია დაასწრობდა მოპარვას... მაგრამ იმედს არ იტეხდა და ევედრებოდა ღმერთს დროით შებინდებას..

თუმცა ფაღავამ ორკეცად წაიფარა პირს ბაღე, როდესაც კურცხალიას ემშვიდობებოდა, მაგრამ გამჭირახმა კურცხალიას თვალემა მაინც დაინახეს მეორე ფაღავა და თავის პატრონი სადარდელს მიჰსცეს.

„დროით გავეშურო, თვარა ის დამასწრობს“?.. მალი-მალ გაიძახდა კურცხალია ისევე მოუთმენლად, როგორადაც ფაღავა...

კურცხალიას ეს ფიქრი არ მოჰშორებია, ვიდრემდის იმან ცხენი არ დაინახა, რომ ჯერ ფაღავას არ წაეყვანა. მაშინ კი სრულებით გადაავიწყდა ფაღავა...

ფაღავა კი ჩქარა დარწმუნდა, რომ მისი საქმე წაგებული იყო. ძალინ ჩქარა დაინახა თავის წინ, როდესაც ჩაგუნავასკენ გამოემგზავრა, რომ კურცხალია კურცხლად მიდიოდა იქით-კენვე. ყოვლად შეუძლებელი იყო, როგორმე გაესწრო და კურცხალიაზე ადრე მისულიყო მის შეუმჩნეველად. შემჩნევა კი ორივესთვის იმას ჰნიშნავდა, რომ ცხენი ისევე ჩაგუნავას ეზოში უნდა ბმულიყო. ორივე თუ ერთმანეთს შეამჩნევდნენ, მიესალმებოდნენ და ძალა-უნებურად ორივეს განზრახვა ჩაეფუშებოდა... ფაღავას კი ეს არ უნდოდა... ცოტა მოფიქრების შემდეგ გადასწყვიტა აჰდევნებოდა უკან და როდესაც კი შესაძლებელი იქნებოდა, ვითომ-და შემთხვევით, წილი ჩაედღნაქურდალში...

სიტყვა და საქმე ერთი იყო იმისთვის. სთქვა და კიდევაც აასრულა. კურცხალიას არც ერთი ნაბიჯი არ გამოჰპარვია ფაღავას... დაინახა ისიც, როგორ ხელოვნურად გაანთავისუფლა კურცხალიამ სამკეცად დაბმული ცხენი და აღტაცებაში

მოვიდა. კიდევაც უნდოდა შეეყვირა: „ვაშა კურცხალიავო“!. მაგრამ თავის გადაწყვეტილებას არ უღალატა...

ამას კი უეჭველად დაუმეგობრდებოდა ზღაპრის გმირი, რომ ენახა. ისე უჩინრად როგორ შემოუჯდა კურცხალიას უკან; ეგ მხოლოდ ზღაპრებში მოხდება ხოლმე. მაგრამ ეს ცხადად, წარბ-შეუხრელად ათას რვაას ოთხმოცდა ცხრამეტ წელს, მაისის ოცს მოხდა...

ფაღავამ რომ ცხენი გაიტაცა, კურცხალია ამ დროს მიბობღავდა ნიშისკენ და სულ ერთს გაიძახდა: „ღმერთო მაპატიე, რომ ცხენით შევლახე შენი მიჯნა და ფეხით არ გავიარეო!“ ერთხელაც არ უხსენებია ქურდობა. ის მხოლოდ ცხენით მიჯნის შელახვას ჩიოდა, ჩვეულების დარღვევას... ამის მოსანანიებლად იღვა თავს ეს სასჯელი, რომ მივიდეს ჩოქით და ნიშის ქვეშ თავი ახლოს... მართალია, მოსანანიებლად მიბობღავდა, მაგრამ სულ უნებურად სხვა აზრი გაუბრუნდა ხოლმე, თუმცა მის პირს: „ილორის წმიდა გიორგის ნიშო, შემინდე, შენი სახელის ჭირიმე!“-ეს სიტყვები არ ჰშორდებოდნენ. მაგალითად: რამდენჯერმე გაეფიქრა: „ჩემ მაგივრად რომ ჩემი ცხენი (ახლად მოპარულ ცხენს უკვე თავისად სთვლიდა) მიდიოდეს, რა მადიანად გაუსვამდა ამ შშვენნიერ და ნოყიერ ბაღას!..“ ან კიდევ: „ქუთაისის ბუღვრის გვერდით რომ ავაქროლ-ჩავაქროლებ ჩემ ცხენს... არა! იქმნება იქიდანა ჰყავს ჩაგუნავას მოპარული... ქართლში გადავიყვან...“

ჩქარა ჩაიჭერდა ხოლმე თავის თავს სასოებას მოკლებულ აზრებში და ნიშნად თავის თავის განკიცხვისა ხავერდისებურ ბაღას გაუსვამდა თავის მშობრავ ტუჩებს, რომლებიც განუწყვეტლივ გაიძახდნენ: „ილორის წმიდა გიორგის ნიშო...“ და სხვას.

დიდის მოწინააღმდეგეობით დაალო ნიშის ძირის ქვეშ თავი და მიწას ემთხვია. წუთს ასე იყო გაშტერებული...

რაც თავი ახსოვს, ამ გზით ხშირად უვლია ცხენით, თუ ფეხით, მაგრამ აი ჯერაც არ მისულა აქნობამდის ახლოს, არ იცის, თუ რა ხატი ასვენია თახჩაში.



კურცხალიას საშინლად მოუნდა შეეხედნა თახჩისთვის და თანაც კიდევ ეშინოდა. „იქმნება დამაბრმავო ან...“ ფიქრობდა კურცხალია. მაგრამ კარგად ახსოვს, რომ ბევრი მისულა სასოებით და სიკეთის მეტი არა გამოუტანებია-რა. მართალია, ბევრიც დაუსჯია, მაგრამ ისინი უსასოვოდ მისულან... ეს ხომ სასოებით მივიდა?... დაჩოქილმა გაიარა ამოდენა მანძილი და სულ: „ილორის წმიდა გიორგის ნიშო...“ იმეორებდენ მისი ტუჩები. სხვაგვარი სასოება-ღა?... კურცხალიამ არ იცოდა და...

გულის ფანცქალით და თვალების ჩახუჭვით შეაყოლა ტუჩები ნიშის ძირის ქვიდან და ხაზად აკოცნა თახჩის პირამდის. ყოველ წამს მოელოდა თავში ჩაკვრას, ან კიდევ სხვა რამე მოულოდნელს, მაგრამ არა მოხდა-რა. მაშ არ უწყურება ილორის წმიდა გიორგის ნიშო... ქვევითა ტუჩი თახჩის პირზე ჰქონდა მიყრდობილი, ზევითა კი ოდნავ გადაცდენილი...

თვალეზ მაგრა ჩახუჭული ასე იყო... ჰგოდნობდა ხატის სიახლოვეს. მოელოდა ხატის მხრივ რაიმე მოძრაობას, თუ ი ჩაკვრას, და ამისთვის უფრო მაგრად ჰხუჭავდა თვალეზს, მისი მოძრაობა არ დაენახა და ამით ტანჯვა არ გაეორკვეცებინა, ჩარტყმის წინად მაინც არ დატანჯულიყო... მაგრამ მშვიდობით გადაჰრჩა. თუ რასმე უზამდა, აქნობამდისაც მოასწრობდა წმიდა გიორგი... მით უფრო გაბედა ჯერ ოდნავ თვალეზის აბუტება, რომ რაკი ქვედა ტუჩი ეტკინა, რადგანაც ტუჩზე იყო მიწოლილი, და ნიშს ხელები მიაბჯინა, რომ სიმძიმე ხელებზე გადაეტანა... ხელის შეხებამაც მოულოდნელი არა გამოიწვია-რა...

აბუტა კურცხალიამ თვალეზი. ხშირად წამწამების რხევის დროს რაღაც გამოურკვეველი თეთრად თუ შავად მოჩანს... რაკი პირველ სხივებზე სულ არ დაბრმავდა, გაბედულად გაახილა და დააშტერდა...

ახალგაზდა მხედარი, რომელიც თეთრ ცხენზეა გადამჯდარი, შუბლ შექმუხებით, მრისხანედ გველაშაპს შუბს აქერს...

ღმობიერებით ავესო გული, ავესო და ისევ თვალის მობუკვით სამთხვევად ტუჩი გააწოწოლავა. ეშინოდა, მთხვევის ღროს ცხენმა ფეხებით ცხვირ-პირი არ ჩამტერიოს, ან წმიდა გიორგიმ შუბი თავში არ ჩაჰკრას... ასე სიფრთხილით ფაღავას ცხენიც არ აუშვია, როგორითაც ტუჩები ხატს შეახო...

მაგრამ რა დამართა კურცხალიას, რომ ასე გველ ნაკბენსავით უეცრივ ფეხზე წამოიქრა და მრისხანედ ხატს შხერა დაუწყო?..

კურცხალია სულ სხვა შთაბეჭდილებას მოელოდა. ის კი არა და, ტუჩები რომ შეახო, ეხმელა, თითქო ფიცარს აკოცაო...

უცქირა, უცქირა დიდხანს... შიში და მოკრძალება თითქმის გაუმეოთხდა... თამამად წაატანა ხელები ხატს, თახჩიდგან გადმოიღო... ესუმბუქა... თითქოს ფიცარი აიღოვო, ისე ეჩვენა...

თვალებთან უფრო ახლოს მიიტანა კურცხალიამ ხატი... ისევ ის სურათი... უმოძრაო სურათი... ცალი ხელიც აუსეჩამოუსვა... გადმოაბრუნა კიდევაც და:

— იჰ, ფიცარი ყოფილა!..—ზიზლით წამოიძახა და ბალახებში გადაახეთქა ხატი...

წმიდა გიორგიზე არა ნაკლების მრისხანებით მედგრად მოაბიჯებდა კურცხალია და ჰკიცხავდა თავის თავს, რომ ფიცრის გულისთვის მუხლის თავები გადიცვითა!.. ტუჩები კი აღარ ახსოვდა, რომ ნიშის კედელზე ააცურა, თორემ უფრო ძალიან განრისხდებოდა...

შენს მტერს ეცეს პირკატა, როგორც კურცხალიას ეცაჰ... აღვირი, ფეხსაცმელი იქ იყო... ცხენი?!...

ტყის შაშვივით აქ დასტყვილა, იქ მეორე ნაპირას შეჰტყვივლა, ნიშის თავს დაიკვილა, სწრაფ ნიშის წინ გზაზე გაირბინგამოირბინა და:—ვააი, მე ცოდვილს!...—გულწრფელად პირუტყვისავით შეჰბლავლა და ნიშის პირდაპირ გზის პირას დაემხო...

ეხლა კი ნამდვილის სასოებით, ცრემლის ღვრით მიხობავდა ნიშისკენ... მიხობავდა, თავს ბალახებში მიაკურავდა და ხშირადაც დედამიწას უბრაგუნებდა თავით, რომ დაესაჯნა ის თავი, რომელმაც ასე გააკადნიერა და ხატი გადააგდებინა... „სწორედ იმ დროს დაიკარგა, გაფრინდა ჩემი ცხენი... განა არა, ფრუტუნიც შემომესმა“... ფიქრობდა კურცხალია და თავის თავს საშინლად ჰკიცხავდა...

როდესაც ცა გაიცრიცა, ბუნება შეიჩმუნა, გაიზმორა და ხმა, ხმა საამო, მედიდური ამოიღო, სწორედ მაშინ რის ვაისა და ვაგლახით მორჩა კურცხალია ხატის თავის ადგილას დასვენებას... კურთ-უკულმა ბობლით ძლივს მოვიდა გზის პირას და ღრმად, ისე რომ კუქს დააწვა ჰაერი, ჩაისუნთქა... აქეთიქით მიიხედ-მოიხედა, თავი გააქნივ-გამოაქნია, რაკი ცხენი ვერ დაინახა (ეხლა უკვე შორიდან დანახვა შეუძლებოდა) და შინისკენ გაემგზავრა... ფეხ-საცმელს და აღვირს არც კი მიჰხედა...

— კურცხალია, კურცხალია!

— ტრუ ტრუუ ტრუუუ!

— ჩხა, ჩხა, ჩხა!

— გუგუუ, გუგუუ!...

— ქახ, ქახ, ქახ, ტია, ტია!

— ხახხ ხა, ხახხ ხაა!...

— ბიჭო გოგია, ბიჭო გოგია!..

ბედლურა, ხის ბალაღი, ტყის შაშვი, გვრიტი, ბულბული, ჩხიკვი, ბიჭო გოგია, ქედანი, ტყის ქათამი და სხვა მრავალი თავისებურად ეგებებოდა განთიადს... ხოლო კურცხალიას თავისებურად მოესმოდა: ზოგი სახელს უძახდა დაცინვით, ზოგი გვარს, ზოგი იკვირებდა მის მოქმედებას და ზოგი კიდევ დასცინოდა, დაჰხარხარებდა უცნაურად... აგერ მსხვილი ბუზიც როგორ ყურის ახლოს მისდევს, არ შორდება და ჩაჰზმუნის გაკვირვებით! „ზუუუ-ოოოჰოი!.. ზუუუოოჰოი!.. ...როგორ ჩაიღინე მაგი?!..“—ჰკიცხავს კურცხალიას გონება „ჰოოი... ზუუუ-ოოოჰოი?!..—ბზუის ბზუი, რომელიც მის ყურს მისდევს...

კურცხალია კი, როგორც ცხელ კეცზე ცერცივი, ან სიმინდის მარცვალი, ხტის... იწვის... იტანჯება... გადახტა გზიდან და ტყეში ერთი ხის ძირას წაფირქვავდა. . ყურებში თითი დაიცო... მზემ პირველი ისარი ჰკრა ცას... თუ რამ მკრთალი იყო ცაზე, გააღაფვარდა, გააფერადა და სულდგმულთაც შესწყყიტეს ხმაურობა... ახლა ყველაფერი ჩნდოდა... კუქმაც შეაწუხა და საზრდოს ძებნას შეუდგნენ...

„...ზუუუოოჰოო... ჰაჰაჰააა... კურცხა...კუ...გუუ... ჩხიატრუგუუსოობისოო... სუსუუუ!...სსს...“

მისწყდა ყველაფერი... „სსსს...“-ს კურცხალიას ხვრინვა მოჰყვა...

დაღალულს, ნასევამს წინადლით, უძილოს კისერი ჩქარა მოჰსწყდა, და გულიანი ხვრინვა ამოუშვა... ეხლა არავითარი ხმაურობა, აღარავითარი შეხება აღარ აწუხებდა, თუმცა დროგამოშვებით ფრინველნი უდარდელად ხმაურობდნენ და ბუზები და ჭიანჭველები ხომ ბოქაულებსავით თავისუფლად დასეირნობდნენ მის სხეულზე და, სადაც კი მოახერხებდნენ, მის სისხლს ჰსრუტავდნენ...

მ. ჯავახიანი

სასიკვდილოდ განწირულნი

თ ე ი ა

(ისტორიული დრამა)

გერმან ზუდერმანისა

სტენას წარმოდგენს კარავი: უკან თარღები აწეულია და ვეზუვის ზირად მოთენილი გოტების ბანაკი მოსჩანს, იქით ზღვას. ცენტრით მსუნთქავს მთასა და ზღვას ჩამავალი მზის შუქი ანათებს; მარცხნივ, შემადღებულს ადგილას, სამეფო ტახტი სდგას, რაღაც ცუდის ზელოვნებით ნაკეთები. შუაში მაგიდა სდგას, გარს საჯდომები აქვს შემომწკრივებული; მარჯვნივ მეფის საწოლია, ერთს ადგილას შეკრთვებულ ტყაუებისგან გაკეთებული; საწოლის თავზედ სხვა-და-სხვა გვარი იარაღი ჰქვიდია, მარჯვნივ და მარცხნივ მასხალებისათვის რკინის სამაჯურებია.

გამოსვლა პირველი.

კარავს ორი დანაჯი იცავს.

ზირველი დანაჯი. ეი, არ გესმის, გძინავს თუ რა არი!!

მეორე დანაჯი. რათა გგონია, რომ ძძინავს?

ზირველი დანაჯი. რა ვიცი, ე შუბის ტარზედ-კი გუნების კრკალივით გადაზნექილხარ და.

მეორე დანაჯი. რას იზამ, ვიფიქრე, იქნება ე ცარიელი მუ-

ცელი როგორმე დაეამწვიდო-მეთქი და გადავეყუდე. რომ იცოდე, რა საშინლადა მშინა.

პირველი დანაჯი. არას გიშველის! ქამრის მოჭერაც-კი ვერ-რასა ჰშველის თურმე; ისევ პირდაპირ დგომა სჯობიან, თითქოს შეღავათსა ჰგრძნობსო აღამიანი.

მეორე დანაჯი. არ იცი მერე, კიდევ დიდხანს გასტანს ეს წვალება?

პირველი დანაჯი. გემების მოსვლამდე არა იქნება-რა.

მეორე დანაჯი. ეგ ხომ აგრეა, მაგრამ გემები როდის-ღა მოვლენ?

პირველი დანაჯი. აბა რა ვიცი? შეჰხედე აგერ რძიანა მთასა, დარაჯი რომ სდგას. ხუთი მილის სიშორეზედ ზღვას თვალითა ჰხედავს, იქნება იმან იცოდეს რამე. აიქი-დგან, მიზენის ქიმიდგან, უნდა მოვიდნენო.

მეორე დანაჯი. ჰო, მაგრამ ბიზანტიელი გაუშვებს, განა!

პირველი დანაჯი. რას ამბობ, ბიზანტიელს გემები სრულიად არა ჰყავს.

მეორე დანაჯი. ბიზანტიელს არა ჰყავს? ჰმ! რომ მოინდომოს, მთელს იტალიას ღობესავეთ გარს შემოარტყავს ისე-ვე, როგორც ამ ბიზანტიის საჭურისმა შემოგვარტყა ალყა, აგერ შეიდი კვირაა.

პირველი დანაჯი. დიახ, შეიდი კვირა.

მეორე დანაჯი. იცი შენა? დღეს სადილოდ ისევ ის ნაჭერი მერგო, რომელზედაც ამ ერთის კვირის წინად კბილები კინალამ დავიმტვრიევი; მახსოვს, ზედ დანით სამი ჯვარი ამოვჭერი. და დღეს ისევ ის ნაჭერი შემხვდა! დღეს-კი, ვგონებ, ბოლოს როგორმე მოვულე. თუ შენც იტყვი, მეფის ჯვრისწერის დღეს ძაან ხილია ეს, არა?!

პირველი დანაჯი. მერე, გგონია მეფეს-კი შენზედ მეტი აქვს?

მეორე დანაჯი. მერე, როგორა ფიქრობ? განა, მეფის გულისათვის ამდენს მოვაკვლევინებდით, ვაწამებინებდით, დავახვრეტინებდით და გავაუპატიურებინებდით,

რომ ვიცოდეთ მეფეს ჩვენზედ შეტი აქვსო. როგორა გგონია ძალებივით აქ ვეყრებოდით და ვუღარაჯებდით, რომ სადარაჯო მართლა გვეგულებოდეს რამე?

პირველი დანჯჯი. ოქრო ხომ მაინც ყველგან ბევრია აქა.

მეორე დანჯჯი. ოქრო... რა თავში ვიხლი, როცა საკუთარიც საკმაოდ ბლომად მაქვს კანუზიაში ჩაფლული. ეს, აიქ, ქარავანთან დედაკაცები არიან, ხორცი უნდათ, ღვინო!..

პირველი დანჯჯი. ჰო, მაგრამ შენ ხომ ცოლი არა გყავს?

მეორე დანჯჯი. ცოლი ერთმა ბერძენმა გამიუპატიურა. მეც ავდექი და ღორივით ყელი გამოვჭედი (სიჩუქეს). კარგია, დედაკაცები ხორცსა და ღვინოს მიიღებენ... მაგრამ როდემდის, ნეტა, (ხმაურობა და იარაღის ჭდარუნი თან და-თან ახლო ისმის). ოჰო, ეტყობა ჯვრის წერა გათავებულა.

პირველი დანჯჯი. წყნარად. მოხუცი ილდიბადი მოდის—მეფის თარი მოაქვს (ორივენი განუძღვებიან და გასწორდებიან).

გამოსვლა მეორე.

ივინივე და მეფის შესუბე ილდიბადი.

ილდიბადი (ფარს დაჭკიდებს და აქა იქა გახეუფს იარაღს მიაღაცებს). რა იცით, ელჩები გაგზავნეს, ნეტა?

პირველი დანჯჯი. არა.

ილდიბადი. გვიანთ?

მეორე დანჯჯი. ძალიან...

ილდიბადი. შიმშილი დედაკაცების საქმეა; გაოგეთ და დაიხსოვეთ, რომ ახალგაზდა დედოფალთანაც აგრე არ ჩამოგტროოდედ თავ-პირი; ჯვრის წერის დღეს აგრე არ ივარგებს!..

ზამოსვლა მისავე.

(გოტების მეფე თეია და ახლად ჯვარდაწერილი დედოფალი ბაღდგილდა გამოჩნდებიან კარავ წინ; გარს ხალხი ახვევიათ. მეფე-დედოფალი ეპისკოპოსის აცილას მოჭყავს, წინ ორი მგალობელი ბავშვი მოუძღვით და უკმევენ. უკან მოსდევს ამაღაბერკა—დედოფლის დედა—ეფრიხი, ათანარიხი, თეოდემიროსი და სხ. წარჩინებულნი და სარდალნი. კარვის კალთებს ჩამოუშებენ. დარაჯნი წაჟღერენ.)

ეპისკოპოსი (ახლად ჯვარ-დაწერილი ხელს გაუშებებს და ამაღაბერკას მიჭხედავს უკან). თეია (ჩემად სდგას დაღვრემილი, დაფიქრებული). ბაღდგილდა (შოკრასლებით შეჭყურებს უველას, თითქოს შველას ემუდარებაო. სინკმეა).

ილდიბადა—(ჩემად მეფეს). უნდა უთხრა რამე, მეფევ, დედოფალს მიესალმო.

თეია (ესაჯ ჩემად). ჰო? (ერთს მგალობელთაგანს კისერში ჩაავლებს ხელს და ხმა მადლა ეუბნება). არც ვგრე ძლიერ უნდა, ბიჭო! პირდაპირ ცხვირში გვიბოლებ. როცა საცეცხლოურს არ აქნევ, რას შერებო მაშინ?

ბიჭი. ხმაღს ვიქნევ, მეფევ.

თეია. ეგ კარგი არის, ეშურე მაშ, თორემ ვაი-თუ გვიანლა იყოს (ჩემად). ილდიბად, გემები არ მოჩანან?

ილდიბადა. არა მოჩანს-რა, მეფევ, მაგრამ ნუ გავიწყდება, რომ შენს ახალგაზრდა ცოლს უნდა უთხრა რამ!

თეია. ჰო... მართლა, ახლა მე ხომ ცოლი მყავს, ეპისკოპოსო?

ეპისკოპოსი. აი, აქა სდგას და შენს სიტყვას უცდის.

თეია. მაპატიე, დედოფალო, რომ სიტყვის თქმას ვერ ვახერხებ; იმ თავიღვანვე ბრძოლაში ვარ გაზრდილი, სხვა ბინა არა მქონია... არა მგონია შენ იგი ისურვო.

ბაღდგილდა. მეფევ, დედამ მასწავლა, რომ... (შეღებება).

თქვა — (სცდილობს რბილად ელაპარაკოს). რა ვასწავლა დედამა? ამაღაბერგა (ქაღის მაგიერად უმასუხებს). ვასწავლე, მეფევე, რომ ცოლი ყოველისთვის კმარს ეკუთვნის, განსაკუთრებით-კი გაქირვების დროს.

თქვა. ჰო, თქვენთვის ეს, დედაკაცებო, წმიდა სიმართლეა... მაგრამ ერთი კიდევ უნდა გითხრათ, ამაღაბერგა! როგორც მითხრეს იქ, სადაც დედაკაცებსა გაქვთ ბინა, დილ-დილაობით მამლეები თურმე ყივიან: ეს რამდენიმე კვირაა მეომართ ხორცი არ უჭამიათ. გირჩევთ, ის მამლეები მეომართ მისცეთ (ამაღაბერგა თავს მოუხრის).

ეპისკოპოსი. მეფევე...

თქვა. რას იტყვი, ეხლა არ იყო სამგზავრო საკურთხეველის წინ მქვერ-მეტყველობდი; ნუ-თუ კიდევ ქადაგებას გვიპირებ?..

ეპისკოპოსი. მინდა კვლავ გითხრათ რამე, თორემ ლამის არის ნაღველმა სული შემხუთოს.

თქვა. ჰო... აგრე გგონია? სთქვი, მაშ, ყურს გივლებ.

ეპისკოპოსი. აბა დაუკვირდი! ღვთიურ რისხვასავით. შუა ჩავვიდევ სრულიად ჭაბუკი... ხალხი, რომელსაც შენ ეკუთვნი, შენს წლებს-კი არა, საქმესა შენს ითვლიდა სათითაოდა... მოხუცთ სიამოვნებით ქედი მოიხარეს შენის სიჭაბუკის წინაშე და, თუ სხვას, შენებრ მკირეს, ვინ იცის, რამდენი შრომა და მეცადინეობა დასჭირდებოდა, შენ უცებ შეიქმენ ჩვენი მბრძანებელი. თეოდერიხის ოქროს ტახტ წინ, სად სამართლიანობისა ადგილას სიწყნარე იყო დამკვიდრებული; იქ, სად ტოტილა დამნაშავეთ თვისთ ბოროტ საქმეთ ღიმილითა აპატიებდა, გაისმა უცებ შენი მრისხანე სასისხლო სიტყვა... მაგრამ უბედურება მოშხამულ იარასავით გაგვიძნელდა, აღარ გვცილდება... ცეცხლის მფრქვევე მგზნებარე ვეზუვის კალთებ ქვეშ ცოლ-შვილით გადმოხვეწილთ ბიზა-

ნტია თვისის დაქირავებულ მონებით გარს ალყად შემოგვრტყმია და ამოწყვეტას გვიპირებს.

თქვა. ექვი არ არის, სულ იმისი საქმეა. ხა, ხა, ხა, თავი-გვიც-კი ვერსაიდგან გაეპარება!

ეზისკობოსი. გავცქერით საცოდავად ზღვასა, საიდგანაც პური აღგვითქვა უფალმა.

თქვა (ჩუმად). ხომალდებისა არა ისმის-რა?

ილდიბადი. (ჩუმადვე). არასფერი...

ეზისკობოსი. მაგრამ ვიდრე ამ ახალს სამძიმო ბრძოლას შევუდგებოდით, ჩვენ, თავისუფალ შეილთ ჩვენის ქვეყნისათ, გარდავწყვიტეთ, თანახმად ძველთა ძველის კანონებისა, შენთვის საცოლოე აგვერჩია,—რომ მეფეს თვითონაც განეცადა სიკვდილი ასრე რად უყვართ გოტებსა!

თქვა. მერე გგონიათ, რომ თქვენს მეფეს ძალიან უყვარს სიცოცხლე?

ეზისკობოსი. მეფეე...

თქვა. მაგრამ არა, ამის ფიქრს თქვენ ვერ გაჰხედავდით, რადგანაც თვითეული წამი ჩემის ცხოვრებისა გამხილებდათ, თქვენვე გაგასასაცილოებდათ... მაინც ყოველს შემთხვევაში, თუ რომ ძველი კანონი გიბრძანებთ ამას, რად დაგჭირდათ, ნეტა, და რად შემეიერთეთ ამ ნორჩისა სისხლი, რომელიც ჩემდამი შიშისაგან მთლად თრთის და დედის კაბას თავს აფარებს, მემალემა? მერე ისაც ამ დროს, როცა ყველას შიმშილით ამოწყვეტა მოგველის... შემომხედე, დედოფალო, იძულებული ვარ ხარისხის შესაფერისად მოგმართო; ხომ მხოლოდ ნახევარ საათია სულ, რაც დედოფლობ, გეფიცები ღმერთს, სხვა სახელს ვერც-კი ვიტყოდი, რადგანაც არ ვიცი რა გქვიათ! გთხოვ, შემომხედე, მიცნობ, განა?

ბაღდადი. შენ ხარ, მეფეე, ჩემი მბრძანებელი.

ოქია კარგი, მაგრამ მე ხომ შენთვის ის არ ვიქნები, რაც სხვისთვისა ვარ: სხვისა მეფე შენთვის ადამიანი უნდა ვიყო... და მერე იცი, განა, რა ადამიანი ვარ?.. შემომხედე, აბა! ღღემდის ეს ხელები სისხლით იბანებოდა, მაგრამ ვაჟკაცთა სისხლით-კი არა, იგი კაცს პატივსა სდებს, არა, სისხლით საბრალო, უმწეო ბავშვებისა.. (თვათვე შეკრთება). ნუ-თუ სასიამოვნო იქნება ამ ხელებით გულში ჩაგიკრა, ყელს შემოგეჭდო... ხომ გესმის, რას გეუბნები?.. ნაზი, მშვენიერი ხმა მაქვს არა? მხოლოდ ცოტა გახრინწიანებული. ეს სულ ბრძოლისა ველზედ კაცთა საჟლეტად მებრძოლთა ხმოზის, ყიჟინის ბრაღია... გიამება, განა, როცა ამ ხრინწიანის ხმით საალერსოდ ნათქვამს ნაზს სიტყვებს მოისმენ?! მართლა-და, ვგონებ, ვგე-ვარ სწორედ შეყვარებულსა, არა? და აკი კიდეც მიმიხვდნენ ეს ბრძენნი ვაჟკაცი სულთა სწრაფვასა, საქორწინოდ გამამზადეს... ან იქნება ჰგონებდით გაგერთოთ თქვენი მეფე და ბანაკობის მოწყენილობა გულიდგან როგორმე გადაგეყარათ, როგორც ამას დიდი იუსტიანიანე სჩადის ხოლმე ოქროს ბიზანტიაში და ამავე დროს თავისს საქურისთ გოტთა ვაჟკაცების საჟლეტად ჰგზავნის? ხა, ხა, ხა, ხა, ხა!

უწისკაპოსი. მეფევე, ფრთხილად, ნუ განრისხდები.

ოქია. გამაღობ, მეგობარო! მაგრამ არაფერია... ესაც ჩემი საქორწინო ქეიფია... აქლა-კი დალაგებით გეტყვი... (ტახტზედ აჯ). თეოდერიხის ოქროს ტახტზედ ჯდომა, საიდგანაც სიწყნარე მართლმსაჯულლებდა, სამწუხაროდ აღარ შემიძლიან, რადგანაც ბიზანტიაში იგი შეშად დაჩხეს... და არც-თუ ტოტილასავით ღიმილით პატიება შემიძლიან, რადგანაც საპატიებელი არაინა გყავს... გოტთა განთქმულ ერისაგან დღეს ერთი მუჭა შიმშილისაგან სასიკვდილოდ განწირული, გამგელვებული ხალხი-ლაა დარჩენილი. ამიტომაც ამ

ხალხს სწორედ მგელი უნდა უძღვოდეს წინ. შენ, ეპისკოპოსო, ღვთის რისხვისა მიწოდე სული, მაგრამ არა, ამ სულად ჩემი ყოფნა ტყუილია,—მე მხოლოდ თქვენის სასოწარკვეთილების სული და სარკე ვარ. როგორც კაცს, არასოდეს ჩემთვის არასფრის იმედი და სურვილი არა მქონია; როგორც ღღემლისა ვყოფილვარ თქვენ შორის, ისევე თქვენ შორის დავლევ სულს ბრძოლაში. ეს თქვენ კარგად იცით და სცდებით ამიტომ, რომ ჩემ წინააღმდეგ საიდუმლოდ საყვედური დაგზადებიათ. წინააღმდეგს ტყუილად ნულარას მეტყვიით!.. თქვენი დაღვრემილი სახე და ჩამოშლილი წარბები ამ საყვედურს ველარ ჰმაღავენ... მხოლოდ იმიტომ, რომ ცუდს ღღეში ვართ, ყველაფერში ჯოხს მე ნუ მამაყუდებთ... გირჩევთ.

თეოდემიონი. მეფევე, ნუ შეურაცხვეყოფ!.. უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მთლად შენები ვართ, ამ მოხუცებთან ნუ შეგვრევთ!

ეკრახი. ჩვენ, მოხუცნიც, ისრევე კარგად ვიბრძვით, როგორც სხვანი, ნაკლებ არც ჩვენ გვიყვარხართ,

თეია. მაშ კარგი! თქვენი დედოფალი მალე ჰნახავს უთუოდ მეგობრები უბედურების დროს ერთმანეთში როგორ ჩხუბობენ. ახლა, როცა ბანაკზედ გაივლით, უთხარით ყველა მეომართ, რომ ასეთს სასიხარულოდღეს, ხომ ასე არის? მეფის ერთადერთ საფიქრებელსა და სამწუხარო გარემოებას ის შეადგენს, რომ ქორწინების შესაფერად ვერ უმასპინძლდება... მაგრამ, ვინ იცის, იქნება... ილღიბად...

ილღიბადი (რომეფივ მარჯვნივ ჩუმად ახლად შემოსულს, დარაჯს ელაპარაკება, შემკრთაფი) დილა, ბატონო...

თეია. გვაქვს-ლა რამე საკუჭნაოში, მოხუცო?

ილღიბადი (სიღდიფობს მღეფვარებასაცან თავი შეიმაცრას). არ იყო, მეფევე, რაც-კი რამ გვქონდა, ყველა დამარცებინე.

თეას. გეკითხები, თუ დაგვრჩა რამე-მეთქი?

ილღიბადა. არასფერი! ერთი ჯამი დამჟავებული რძე და ორი ხმელი პურის ყუა-ლა.

თეას. ხა, ხა, ხა, ხა! ჰხედავ, დედოფალო, რა გლახანედ გათხოვილხარ! მაგრამ უთხარით, როგორც-კი ხომალდები მოვლენ, მაშინვე უხვად, მეფურად გაგიმასპინძლდებით ყველასა-თქო, ხომ მაინც ხალხისა ყოველივე. მაგრამ, ნუ, წინაღვე ნუ ეტყვი, ისე აღარ გაეხარდებათ!.. მაგრამ როგორც-კი საყვირთა ხმა შემოგესმათ, მაშინვე აუწყეთ ხალხსა და გაუშალეთ სუფრა, რომ ღვინითა და ხორციით თვალი გაუძღეთ... (ილღიბადა ამ დროს მდებარე სახით შეფეს მიუახლოვდება). რა მოხდა?

ილღიბადა (ჩუმად). ეს არის დარაჯი იყო, გემები დაილუპაო.

თეას (თავს იმაგრებს, რომ სახეზედ ცვალილება არ შევნიშნონ). დაილუპაო? როგორ და რანაირად?

ილღიბადა. გვილალატეს!

თეას. მაშ აგრე! ღვინო და პური, ვისაც რამდენი უნდა, იმდენი ექმნება თეთრ სუფრაზედ მირთმეული; ვუბრძანებ ქალებს კიდევ სიცილიისა და მასილიის ხილი მიართვან... (წაიბარბაცებს, სამეფო ტახტში ჩაჯდება და შემჯიჯივით სადღაც შორს იტყირება).

კაცების ხმა. მიჰხედეთ, მეფეს რა მოუვიდა?

ბაღდგილდა. ჰშიან უთუოდ, დედი (მიუახლოვდება, კაცები გზას მისცემენ, უკან დაიწვევენ). მეფეო ჩემო!

თეას. ვინ ხარ, დედაკაცო? რა გინდა?

ბაღდგილდა. იქნება გიშველო რითმე, ბატონო ჩემო?

თეას. ოჰ, შენა ხარ, დედოფალო! მაპატიე! თქვენც, ვაჟ-კაცნო! (ადგება).

ეზასკაზოსი. მეფევ, ძალა უნდა შემოიკრიბოთ!

თეოდემიროსი. დიად, მეფევ, დიად, ჩვენის გულისთვის!

კაცების ხმა. ჩვენ ყველასათვის!..

თეია. მართალს ამბობთ, მართალია, რასაც მასმენტ. თქვენ, დედანო, თქვენს ბანაკშივე დაბრუნდით... ჩვენ-კი აქ ბჭობა გვექნება. ეპისკოპოსო, ქალებს კაცები აახელი.

ამაღაბერგა (ჩუმაღ). შეილო, თავი დაუკარ!

ბაღდგიღდა (ჩუმაღვე). დედი, მეტს აღარას მეტყვის?

ამაღაბერგა. გამოეთხოვე! (ბაღდგიღდა თავს დაუკრავს).

თეია. მშვიდობით! (ბაღდგიღდა, ამაღაბერგა და ეპისკოპოსი მიდის. კარედან მიგებების ძახილი ისმის).

გამოსვლა მითხე

თეია, თეოდემირასი, ევრახი, იღდიბადი, დარაჯი, დიდებულნი.

თეია. ქალები და ბერი გავისტუმრე იმიტომ, რომ რასაც ამას შემდეგ მოისმენტ აქ, ეს მხოლოდ ჩვენ, მეომართ, შეგვეხება. დარაჯი სად არის? წინ წამოდგეს.

კატების ხმა. დარაჯი, შთის დარაჯი სად არის!..

თეია. იცოდეთ, მაშ, რომ გემები დაღუპულან! (საშინელო ხმაურება და ჩიჩქოლი ატუდება).

თეია. სუთ, მეგობარნო, სუთ!.. (დარაჯს) შენ, ევონებ, გარიბალდი გქვიან არა?

დარაჯი. დიად, ბატონო.

თეია. რამდენი ხანია, რაც სადარაჯოზედა ხარ?

დარაჯი. გუშინ დილას აქეთ, ბატონო.

თეია. შენი ორი ამხანაგი სადღაა?

დარაჯი. ზემოდ დარჩნენ, ბატონო, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ.

თეია. კარგი. მერე, რა ნახეთ, გვიამბე.

დარაჯი. ვეზუვიდან ამომავალი კვამლი მიზენის ქიმიდან ზღვაში ჩამოწვა. ამიტომაც დღეს საღამოს 6 საათამდე

ვერა დავინახეთ-რა! უცბად გამოჩნდნენ ხომალდები, რიცხვით ხუთი, თითქმის ზღვის პირად, იქ, სად თურმე რომაელთა ქალაქია ნაცარ-ტუტის ქვეშ დამარხული... ერთი ჩვენგანი უკვე აქეთ გამოქცევას აპირებდა, რომ ამ დროს უცებ...

- თეია. მოიცა! მითხარ ხომალდებს .რა ნიშანი ჰქონდათ?
- დარაჯი. წინა იალქანი ჯვარედინად იყო შეკრული და...
- თეია. მერე?
- დარაჯი. საჭეზედ (руль) ბზის ტოტი.
- თეია. მაშ ბზის ტოტიც დაინახეთ?
- დარაჯი. როგორც შენ გხედავთ, ბატონო.
- თეია. კარგი, მერე?
- დარაჯი. შევნიშნეთ, რომ ბიზანტიელ მეთევზურთა ნაგები მისცურდნენ და...
- თეია. ჰო, მერე, რა მოხდა?
- დარაჯი. ვითომ-და არათერიო, მტრის ბანაკისაკენა ჰქმნეს პირი ხომალდებმა და საგზალიც იქვე დაცალეს. (კაცები თაჯებს შემოიბურჯენ; დუმილია).
- თეია (რომელიც დატინვით შეჭურჭებს ხან ერთს, ხან მეორეს). კარგია... მაგრამ ჩუმად, ხმა, კრინტი არსად არ დასძრა... ყველამ ჩემგან უნდა შეიტყოს ეს ამბავი (დარაჯი მიდის).

გამოსვლა მისუთი

თეია, თეოდემირცია, ეგრანა, ათანარჩი და სხ.
დიდებულნი.

- თეია. რას გვირჩევთ, ვაჟკაცნო?
- თეოდემირცია. რა ვიცით, ბატონო, რა გირჩიოთ?
- თეია. შენ, ევრიხ, შენ რაღას გეტყვის შენი სიბრძნე?
- ეგრანა. მე, ბატონო, როგორც მოგვხსენებათ, დიდს თეო-

დერიხოსსაც ვემსახურებოდი, მაგრამ რომ გეკითხნათ, ისიც ვერას გირჩევდათ ამ გვარს გაჭირვებაში.

თეა.

მაშ, თუ აგრეა, მე გირჩევთ ისევ... მაგრამ მოკლე და ყველასათვის გასაგებია ეს ჩემი რჩევა: სიკვდილი!.. აგრე რად მიბღვრიალებთ თვალებსა?... ნუ-თუ არ გესმით, რას გირჩევთ? ან იქნება გგონიათ გირჩევთ შშიშარა და მხდალ ბერძნებივით თავს საწვიმრები მოიხვიოთ და მეზობელსავე სთხოვოთ, რომ ერთის დაკერით სული გაგაფრთხოთ? ნუ გეშინიანთ, სირცხვილისაგან მაინც დაგივარავთ, თუ იმას ვერ მოვახერხებ, რომ პატივი მოგიპოვოთ. მტერი ჩვენს ადგილს ვერ აიღებს იმ დრომდე, ვიდრე ჩვენგანი ოც და ათი მაინც არის შესძლებს ხელში შუბის აღებასა. მაგრამ დადგება ჟამიც—და უთუოდ დიდხანს აღარ გვაცდევინებს იგი,—როდესაც ველარც ერთი ჩვენგანი, შიმშილისაგან დაუძლოურებული, ველარ შესძლებს შემოსეულს მკვლელს შესანანებლად, საპატიებლად ხელი გაუწოდოს.

თეოდემირასი. პატივებს, მეფევე, არც ერთი გოტი არ ითხოვს.

თეა.

რაც ახლა შენა ხარ, ამისი თავდებობა შეგიძლიან, მაგრამ რა იქმნები შემდეგ, ამისი თავდებობა კი არ შეგიძლიან. ამისათვის გირჩევ შენც და ვუბრძანებ სხვებსაც დღეს სალამოსთვის უკანასკნელად საბრძოლად მოემზადნეთ! ინათებს თუ არა, გამოვალთ კლდის საფარებიდანა და ბიზანტიელებს მივესევით.

ეველანა. ბატონო, ეს შეუძლებელია!

თეოდემირასი. მეფევე, ნუ დაივიწყებთ, რომ ასზედ ერთი მეომარი გაგვყავს!

თეა.

შენ რაღას იტყვი, ევრიხ?

ევრინი.

იმას, რომ დავილუპებით უთუოდ!

თეა.

მერე, და!.. განა, მე კიდევ ახალი რამა ვიქვი? ან იქნება გგონიათ იქამდის გამოუცდელი ვარ ბრძოლის საქმეში, რომ ეს აღარ ვიცი? მაშ, რაღას აყოფ-

ნებთ? ტოტილა რომ გვიძღვოდა წინ, ასი ათასამდე სული ვიყავით; ახლა კი მხოლოდ ხუთი ათასნი-ღა ვართ. ყველა იმათ იცოდნენ, როგორ უნდოდა თავის გაწირვა და ჩვენ კი, საცოდავმა იმათმა მონარჩენებმა, ეს აღარ ვიცით?

ყველანი. არა, მეფევე, არა!

ეგრახი. მცირე რამ დრო მაინც მოგვეცი, ბატონო, რომ ამ საზარელს აზრს შევეჩვიოთ.

თეია. საზარელსაო? რა გესაზარლებათ, განა? მე ხომ რომაელებთან არა მაქვს საქმე, რომლებიც წირვიდან სალაღობოდ, სართეველად სამხიარულო სახლში მიეშურებოდნენ ხოლმე და აქედან კი მერე ისევ წირვის მოსასმენადა. ჩვენ შორის არ მოიპოვება არც ერთი ისეთი, რომლისა გულსაც ქველი ქვის ხავსივით ჭრილობანი არ ჰქონდეს მრავლად მოკიდებული. ოცის წლის განმავლობაში სიკვდილს ებრძოდით, თითქოს ეთამაშებიანო, და ახლა კი, როცა მართლა სიკვდილი კარზედ მოგვადგა, გოტი ვაჟკაცი რაღაც საზარლობაზედ ლაპარაკობს?.. მაშ რა გინდათ? ნუ-თუ ის, რომ იწვეთ და შიმშილით სული ამოგხდეთ?.. ან ის, რომ ვირთაგვებივით ერთმანეთი დასჯამოთ? კარგია... მაგრამ მე მაგას ვერ ვიზამ, ხვალ დილითვე ავიღებ შუბს და მარტოდ-მარტო გავალ სიკვდილის იმ ერთის ცეარის დასაძლევად, რომელიც ასე გულითა მწყურია და რომელსაც ქურდივით კვალ-და-კვალა ვსდევ მას შემდეგ, რაც თქვენის დაღუპილ და წაგებულ საქმის მოთავედ ამომირჩიეთ. მაგრამ შენ მაინც ხომ (ილდი-ბადს) უთუოდ წამოხვალ, არა, ჩემო მოხუცო ერთგულო?

ილდიბადა (თეიას წინ შეხდის თავსუდ დაემსობა). გმადლობ, ბატონო! მე-და არ წამოვიდე შენთან?!

ყველანი. ყველანი წამოვალთ, მეფევე, ყველანი!

თეოდემიროსი. იყავ კურთხეულ, მეფევე, რომ ხსნის გზას გვიჩვენებ! მაგრამ ნუ გაგვირისხდები, თუ ყველა უცებ არ მოგყევით უკან. შენი დიდებული აზრი ახლა შევიგენ ნათლად. მწუხარებისა, განხეთქილებისა და სასოწარკვეთილების გრძნობამ სიკვდილამდე აღგვამალლა და არა ჩამოგვიყვანა მის ქვენა უძლურებამდე. დეე, თვითოეულმა ჩვენგანმა სიცილით გადალაიოს მეორის გვამი, რომ მისებრ სიცილითვე შეეგებოს სიკვდილსა; ჩვენი ნათელი მაშინ შორის ქვეყანას მოეფინება. ნეტარება დაგვათრობს მაშინ ამ მეჯლისზედ... გმადლობ, მეფეო! ხშირად შემშურებია ეგ შენი გვირგვინი, მაგრამ ახლა მაგას ვეღარ გავბედავ!...

თეა. ნურცა აგრე გაამშვენიერებ საქმეს, როგრემ ნამდვილად სულ სხვა დამტკიცდება, თეოდემიროს; მაინც მოხარული ვარ, რომ გოტთა ვაჟკაცებს შორის ასეთი მხნეობა კიდევ მოიძებნება.

ეგრახი. რეკ მათქმევიწე, მეფევე, სიტყვა! კარგად მოგესხენებათ, ჩვენის ოქროს დროის მომსწრე ვარ... არამც თუ ყველაზედ გამბედავი, ყველაზედ უბრძენესიცა ხარ, მეფევე, იმათგან, ვინც-კი ძველთაგან მამაგონდება. ჩვენ რომ ახლა ცდა დაგვეწყო, ეჭვი არ არის, ყველანი მტრის მახვილის მსხვერპლნი შევიქმნებოდით, როგორც ჩვენ, ისე ჩვენი ავადმყოფები, ბავშვები და ქალები.

თეა. დიად... ქალებიც! იმათზედ-კი აღარა ვიზრუნეთ-რა.
ეგრახი. ხვალ საბრძოლად გავალთ; ბრძოლა არ შესწყდება არც ზეგ, არც მაზეგ და ისე დიდხანს გასტანს, რომ ბიზანტიელებსა და იმათგან მოთრეულ გუნებსა და სვევებს ეს გაუოცდებათ, ესაზარლებათ. მართალია, ამოწყვეტით ვერ ამოვწყვეტავთ, მაგრამ ჩვენის სისხლით-კი დავლლით, მოვქანცავთ. თუ მოვესწარიით იმ დროს, რომ შუბისა და ისრის ხელთ ჭერა აღა-

რავის შეეძლება, საკურისი მაშინ უბრძანებს: „წარვედით მშვიდობითაო!“ რამდენი-ღა დავრჩებით მაშინ ცოცხლები, არ ვიცი, მაგრამ მგონია, რომ ძან ცოტანი!

თეა. (ხმა-მადლა გადახარხარებს). ჩვენგანი, რასაკვირველია, არც ერთი!

ეველანი. (აკრეთისავე ხარხართ). რასაკვირველია, ჩვენ არა!

კვრისი. მაშინ დარჩენილები შუაში დედაკაცებსა და ბავშვებს ჩაიყენებენ და ხელში იარაღით თამამადა და უშიშრად განვლიან ბიზანტიელთა ბანაკს, რომ ნეაპოლში პური იყიდონ; და ჰა, გეუბნებით, რომ შიშით ველარც ერთი გუნთა ძალი ვერ დაჰყევს მათ. ამრიგად ჩვენი მსხვერპლი ცოლ-შვილს მიიტყვის.

თეა. ცოლ-შვილსაო, ცოლ-შვილს! ეგ რა ჩვენი საქმეა?

ათანარისი. მეფევ, მაგითი ჩვენს უძვირფასესს გრძობას შეურაცხყოფ!

თეა. იქნება აგრეც იყოს;—მაგრამ ვიცი, რომ დილას, ულუფის დარიგების დროს, მუქთა მქამელი მეტად ბევრი იყო! ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იქნება უფრო მეტ ხანსაც გვებრძოლა. მაგრამ ამას მხოლოდ თქვენ გეუბნებით. გადაეცით გარეთ მდგომთ, რომ მეომართა მოვალეობა არ დაივიწყონ და, რაც აქ მოვისაზრეთ, ან ითქვა, დედაკაცებს არ გააგებინონ. არა მსურს ვინმე თქვენგანი ქალის ცრემლმა და ქვითინმა მკირეოდნადაც არის შეაწუხოს!

ათანარისი. მაშ, ნურც გამოვეთხოვებით, ბატონო? ეს ხომ საზარელი უადამიანობა იქნება!

თეა. კარგი, თუნდ გამოვეთხოვეთ კიდევ, მაგრამ თქმით-კი ნურას ეტყვი: ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს, დეინახულოს, უკანასკნელად ლუკმა შესჭამოს იმათთან

- და მონარჩენი მარტო-ხელთ, უცოლ-შვილოთ გაუნაწილოს. თან იმხიარულონ, ვისაც შეეძლება.
- ევრასი. მერე, რა უთხრან ცოლებს, თუ კი თქმა რისამე აგრე სასტიკად აუკრძალევი?
- თეა. უთხრან, დეე, რომ ჩემის ქორწინებისა გამო არიან მხიარულად, რომ ხომალდები მოგვივიდა, რასაკერე-ლია, თუ რომ ეს დასაჯერებელი იქნება ვისთვისმე; რაც უნდოდეთ; ის უთხრან, მხოლოდ ნამდვილს კი ნუ გაუშუქავენგენ.
- თეოდემიონსა. შენ, მეფევე, შენ კი არა გსურს ახალი პატარ-ძალი ინახულო?
- თეა. რაო? სრულიად არა. არავითარი სურვილი არა მაქვს. მაშ, აგრე, ახლა ხალხს უნდა ველაპარაკო. ნეტავი, ეგ შენი ენა ჩემი მაინცა ქნა, თეოდემ! მეძნელება: უნდა ვუთხრა ის, რასაც თვითონ არა ვგრძნობ. წავიდეთ! (ეგუჯახი კადიან, იღდიბადი ნელის ნაბიჯით გჰქუება უკან).

გამოსვლა მეექვსე.

(პატარა ხანს სტენა ცალიერია, ჯაკონა სჩანს; ისმის მეფის ხმა; ხალხი აღტაცებით ეკებება, შემდეგ უცბო თაფ-დაჭერილი ქვითინი შიისმის ხალხში. იღდიბადი შემობრუნდება, მცირე ხანს ხის წინ მუხლთ ჩაიკეცავს, მერე აანთებს ორს მამხალას, სმანდლეების სამაჯურებში ჩაარტობს და მეფეს იარაღს უმზადებს. გარეთ აღტაცებული ძახილი გაისმის. შემდეგ ისევ დუმილი ჩამოვარდება).

გამოსვლა მეთვრამე.

იღდიბადი, ეპისკოპოსი ავილა (მოშვებული და ადელებული შემოდის).

- იღდიბადი. დაბრძანდით, პატროსანო მამაო, თუ ინებებთ.
- ეპისკოპოსი. შენ, შენ კი არ წახვალ ყურის დასაგდებად, მეფე რას ამბობს?

ილდიბაძე. იქნებ წავსულიყავი, მაგრამ მე არ შემეხება. მეფე და მე დიდი ხანია ერთის აზრისანი ვართ.

ეპისკოპოსი (თავისთვის). მართლა-და, სიკვდილის ანგელოზსა ჰგავს, ისე სდგას ხალხის წინ.

ილდიბაძე (ეურს მოჰყრავს). ანგელოზსა ჰგავს, თუ ეშმაკს, ჩემთვის ორივე ერთია. (აღტაცებული ძახილი კვლად მოისმის, ხმა ქოხს თან და თან უახლოვდება).

გამოსვლა მერვე.

იგინიკე და მეფე (თვალეები უბრწყინავს, გაფითრებულია, მაგრამ დამშვიდებული).

თეია. რაო, იარაღი მზად არის? ოჰ, შენა, ეპისკოპოსო! **ეპისკოპოსი (ბრსავე ზეღს თავ-პირში წაიშენს).** მეფევე, მეფეო!

თეია. დიად, ეხლა უთუოდ სხვა სამწყსოს მოძებნა მოგიხდება, ეპისკოპოსო; თუ გსურს ლოცვა-კურთხევა მოილო, გთხოვ, ნულა დააყოვნებ. უთხარით მოვიდეს თეოდემიროს (ილდიბაძე გადის).

ეპისკოპოსი. და შენ-კი, ჩემო შეილო, არ მოგკარებია, განა, შიში და თრთოლა ცოცხალ არსებისა?

თეია. ეპისკოპოსო, მართლ-მორწმუნე მსახური ვიყავ შენის ეკლესიისა; ტაძრებს მართალია ვერ ვუშენებდო, როგორც ტოტილა იქცეოდა,—ეს არ შემეძლო, მაგრამ სიკვდილით-კი, მის-და სადიდებელად, ვკლავდი ყველაფერს, რის მოკვლაც კიდევ შეიძლებოდა... იქნებ საჭირო იყოს წმ. არიას ილაპი გადაუხადო?

ეპისკოპოსი. შეილო, შენი მე ვერა გავიგე-რა.

თეია. მაგას-კი ვწუხვარ, მამაო.

ეპისკოპოსი. გამოვეთხოვე, შეილო?

თეია. გამოვეთხოვე? ვის? უმალ მზადა ვარ დამეძახა: გამარჯვებათ-მეთქი... მაგრამ არსადა სჩანან ჯერ.

ეზისკოპოსი (გაცხარდება). მე, ბატონო, შენს ცოლზედ მოგახსენებდი!..

თეია. ახლა მე მხოლოდ ვაუკაცნი მაგონდებიან, მამაო, სხვებისა არა ვიცი-რა, მშვიდობით. (თეოდემიროსი და ილდიბადი შეუმდინს).

ეზისკოპოსი. მშვიდობით, ღმერთი იყოს, დეე, მფარველი და მოწყალე შენი.

თეია. გმადლობ, ეზისკოპოსო! ოჰო, შენა ხარ თეოდე? (ეზისკოპოსი ავილა გადის).

ბამოსვლა მეთხრე.

თეია, თეოდემიროსი და ილდიბადი (მეფეს იარაღს უმზადებს, ხან შედის, ხან გადის, მაგრამ ფრთხილად, ფეხ-აკრეფით).

თეია. მეომარნი რასა შერებიან?

თეოდემიროსი. ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს, ქალების ბანაკისაკენ წავიდნენ. უთუოდ შესჭამენ რასმე და პატარა ხანს შვილებს მიუალერსებენ.

თეია. შენი ცოლიც აქ არის?

თეოდემიროსი. დიად, ბატონო.

თეია. შვილები აქა გყავს?

თეოდემიროსი. ორი ბიჭი, ბატონო.

თეია. მერე, შენ-კი არ წახვედი?

თეოდემიროსი. ველოდი, რომ კიდევ მიბრძანებდი რასმე.

თეია. რომელი საათია, ნეტა?

თეოდემიროსი. მეცხრე, ბატონო.

თეია. ისინი რაღას შერებიან. ნეტა, ვისაც ცოლ-შვილი არა ჰყავს, ან ჰყავს და თან არ წამოუყვანია?

თეოდემიროსი. წვანან ცეცხლის პირადა და სდუმან. (ილდიბადი გარედ მიდის).

თეია. ეცადე იმათაც მისცენ რამე. მე უკვე ნაბრძანებთ მაქვს. დაიძინებენ, ნეტავი?

თეოდემიანოსი. ძილით არაეინ არ დაიძინებს.

თეია. შუალამისას უთუოდ შემომივლით.

თეოდემიანოსი. ბატონი ბრძანდებით (ჭსუჭს წავიდეს).

თეია (თან-და-თან შეტის მღეფვარებით). თეოდე, დარჩი!..
შენ ხომ მუდამ ჩემი წინააღმდეგი იყავი...

თეოდემიანოსი. მართალია, ბატონო, მაგრამ ეგ წინად.

თეია (გადაეხვევა). მომიახლოვდი!.. (ერთმანერთს გადაეხვე-
ვიან, შერე ხელებს უჭერენ და დიდ-ხანს ასე დგანან)..
მინდა ჩემთან დარჩე, მაგრამ ცოლი რომ უნდა ინა-
ხულო? (იღვინება კვლად შემოვა). არ დაივიწყო, რომ
ცეცხლზედ თვალეზ-დაბრეცილებსაც უნდა აქამოთ
რამე: საჭიროა გაერთენენ როგორმე, ასეთს დროს
ფიქრი ცუდია.

თეოდემიანოსი. მართალსა ბრძანებ, ბატონო! (მიდის).

გამოსვლა მათი.

თეია და ივლიანა.

თეია. აბა, ბებერო, ჯერი ჩვენზედ მოდვა! საქმე ხომ აღარა
გვაქვს-რა, მოდი ვიყბედოთ!

ივლიანა. თუ შეიძლება, ბატონო, ერთს მოწყალებას ვით-
ხოვ!

თეია. ოჰო, მოწყალებასო? იქნება გინდა მაგითი მასი-
მოვინო?

ივლიანა. ბატონო, მოვხუცდი, მაჯა ძველებურად ვეღარ
მუშაობს, შუბის ტარება უცბად დამღლის ხოლმე;
ეს-კი შენთვისვე არ ვარჯა: არა მსურს ჩემის მიზე-
ზით იძლიო. თუნდაც სულ არაეინ დაიძინოს, მე
მანც ნება დამრთე და ერთი ორი საათით დამაძინე!

თეია (კვლად შემოვთადება). მაგრამ შორს კი არ წახვიდე.

ივლიანა. ბატონო, უიმისოდაც მუდამ შენს კარავ წინ არა
მპინავს, როგორც ერთგულს ძაღლსა, და ნუ-თუ

ახლა-ლა მოვიქცეოდი სხვანაირად. იქნება კიდევ მიბრძანებ რასმე?

თეია. ღამე მშვიდობის მეტს აღარასფერს!.. (იღვინავდა მიდის).

გამოსვლა მითითებით.

თეია, შექდეკ შექოვს ბაღდგილდა.

(მარტოდ დარჩენილი თეია ღოგინზე წამოწეება და მწარე დიმილით გაიჭეირება წინ. ბაღდგილდა ეყომნით შემოდის, ცალ ხელში კალათით ჰური, ხორცი და ხილი უჭირავს, მეორეში ღვინით სავსე თქროს ფიალა. შემოვა და რამდენსამე ნაბიჯს წასდგამს მაკიდისაკენ).

თეია (გასწორდება). რომელი ხარ?

ბაღდგილდა (მოკრძალებით, დაბალის ხმით). ნუ-თუ ვერა მცნობ, მეფევე?

თეია (საწოლიდან მთლად წამოდგება). მაშხალები სუსტად ანათებენ... შენი ხმა ერთხელ უკვე გამიგონია. რა გინდა, მერე?

ბაღდგილდა. მე ხომ, მეფევე, მეუღლე ვარ შენი?!

თეია (მცირე დუმილის შემდეგ). მერე, რა გინდა ჩემგან?

ბაღდგილდა. დედამ გამომგზავნა. მითხრა, საქმელი და ღვინო უნდა წაულოვო. სხვებიც ყველანი სჭამენ და ჰსმენ, მითხრა, რომ... (შედგება).

თეია. როგორ შემოხვედი? დარაჯმა როგორ შემოგიშვა?

ბაღდგილდა (გასწორდება). მე, ბატონო, ვგონებ, დედოფალი ვარ.

თეია. მართალია, მართალი... ილღიბადმა, იმან რალა ვითხრა?

ბაღდგილდა. შენს მოხუცს მეშუბეს სძინავს. ზედ გაღმოვიარე.

თეია. გმადლობ, ბაღდგილდა, გმადლობ, არა მშთან (ღუმილია. ბაღდგილდა დგას და მუდარით შეჭეურებს).

თეია. ვხედავ, კიდევ რამ გინდა ჩემგან? მითხარ რა გინდა?
 ბაღდგილდა. მეფევე, ისევე ასრე სახსე კალათით რომ დავბრუნ-
 დე, ქალები სსსცილო გავხდები და ვაჟკაცი კიდევ
 იტყვიან, რომ...

თეია (გაიღიშეს). რას იტყვიან, რაო?

ბაღდგილდა. ისე უღირსადა სცნობს, რომ საქმელსაც კი არ
 იკარებს იმისაგანაო.

თეია (სიცილით). გარწმუნებ, ბაღდგილდა, ვაჟკაცთ სხვა
 სალაპარაკოცა აქეთ. მაინც სულ ერთია. ჩემ გამო
 სირცხვილი არ უნდა სქამო! კალათა ემანდ დაღვი.
 კიდევ ბევრი გაქეთ იქ ასეთი საქმელები?

ბაღდგილდა. ბატონო ჩემო, დედა, მე და ყველა ქალები,
 ვინც კი გვხლავან, ორი კვირაა, რაც კი რამ კარგი
 გაგვაჩნდა, ფქვილი, ხილი, თუ სხვა რამ, ყველაფერს
 ვინახავდით, ქათმები კი ღლემდის არ დაგვიხოცია.

თეია. მაშ, უთუოდ ძალიან დაიმშეოდით?

ბაღდგილდა. მერე, რა უშავს, ბატონო! ამას სულ მომავალ
 ღღესასწაულისათვის ვამზადებდით.

თეია. მაშ, გეგონათ, რომ ღღეს დიდი ღღესასწაულობა
 გვექნებოდა?

ბაღდგილდა. მერე, განა, ღღესასწაული არ არის?

თეია (სდუმს, ქვეითა ტუჩის ჰებენს და ცოფს გვერდზე გასც-
 ქეის). დაჯე, თუ გსურს, ბაღდგილდა, შენი უკან
 გაბრუნება აღარ ივარგებს. ეს შენთვის დიდი სირც-
 ხვილი იქნებოდა, არა?

ბაღდგილდა (სდუმს და ძირს დაიუგრება).

თეია. მითხარ, რომ მეთხოვნა დარჩი-მეთქი, სიამოვნებით
 დარჩებოდი?

ბაღდგილდა. და მერე, განა, ცოლმა შეიძლება არ იგრძნოს
 ეს სიამოვნება ქმართან?

თეია. მითხარ, გიგრძნობს, განა, გული, რომ მე ქმარი-
 ვარ შენი?

ბაღდგილდა. მაშ როგორ შეიძლება, ბატონო? არ იყო ეპის-
 კოპოსმა შემოგვატარა.

თეია. მერე, გიხაროდა?

ბალდგილდა, დიად... მაგრამ არა, არ მიხაროდა.

თეია. რატომ არა?

ბალდგილდა (თვალებ-გაბრწყინებულად). იქნება იმიტომაც, იმიტომ... რომ... როგორღაც შემეშინდა თითქოს და ვლოცულობდი.

თეია. რას ლოცულობდი?

ბალდგილდა. ვლოცულობდი, რომ ღმერთს შეეძლებინებინა და მე საწყალს მომენიჭებინა შენთვის ის ბედნიერება, რომელიც ასრე გიჭირს შენ და რომელსაც ჩემგან მოვლი?

თეია. მე შენგან? ამასა სთხოვდი?

ბალდგილდა. ხომ არ მიბრძანებ საქმელი და ღვინო მოგართვა?

თეია. არა, არა! ბალდგილდა, იცი რა არის? იქ, ცეცხლის პირად შემოარნი წვანან, მშივრები არიან, მე-კი არა მინდა-რა, არა მშინან!..

ბალდგილდა. უბოძე, ბატონო, რამდენიც-კი გენებოთ, თუნდასულაც!

თეია. გმადლობ, ბალდგილდა! (ფარდას ასწევს). შენ, ეი, დარაჯო, შემოდი, მაგრამ ფრთხილად, მოხუცი არ გამომიღვიძო! (ღარაჯი შემოვა). წაიღე ეს კალათა და ღვინო და პატიოსნურად, ძმურად გაიყავით ერთმანერთში. უთხარ, დედოფალმა გამოგიგზავნათ-თქო!

ღარაჯი. წება მიბოძეთ, მეფეო, დედოფალს მადლობა მოვახსენო!

თეია (თავით თანხმობას ანიშნებს).

ღარაჯი (გულისთვლათ ჩამოართმევს ხელს და წავა).

თეია. აბა, ახლა-კი მეც მაქამე რამე!

ბალდგილდა (შეშვრთვად). რად დამცინი, ბატონო?

თეია. ნუ-თუ არ გესმის, რას გეუბნები? თუ ჩემი ცოლობა გინდა, ჩემი ქონებიდან უნდა მაქამო და არა შენიღვან.

ბალდგილდა. მერე, ბატონო, განა, ჩემი ქონება-კი შენი არ არის?

თეია. ჰმ! (ღუმილია; შემდეგ ორსავე ხელს დაუჭერს). ნუ
ლაშიძახებ ნურც ბატონს, ნურც მეფეს; ნუ-თუ არ
იცი, რა მქვიან?

ბაღდგილდა. როგორ არა, — თეია.

თეია. გაიმეორე კიდევ.

ბაღდგილდა (ჩუმად, ზიზ მიბრუნებით). თეია!

თეია. რაო, გეუცხოება ეგ სახელი?

ბაღდგილდა (თავს აქნევს).

თეია. მაშ რაღას აყოენებ და ყოყმანობ?

ბაღდგილდა. იმიტომ, ბატონო, რომ მას შემდეგ, რაც შევიტყე,
შენი ცოლი გაეხდებოდი, დღისით თუ ღამით ერთობ
ხშირად ვიმეორებდი ხოლმე ჩუმად, მაგრამ ხმა-მალ-
ლა-კი არასოდეს არ წარმომითქვამს.

თეია. იმ დრომდის-კი, სანამ შეიტყობდი — რა მოგელოდა,
რაღას ფიქრობდი ჩემზედა?

ბაღდგილდა. ბატონო, რათ მკითხავ მაგას?

თეია. რატომ არ მეტყვი?

ბაღდგილდა. ბატონო, როდესაც-კი შენს სასტიკს, სასისხლო
ბრძანებას მოგკრავდი ხოლმე ყურსა და ვხედავდი,
როგორა ძრწოდნენ შიშით შენ წინა, ხშირად გაფი-
ფიქრებდი ხოლმე: — უთუოდ მეტად უბედური უნდა
იყოს, რომ ხალხის ბედი აიძულეფს ასეთი სასტიკი
ბრძანება გასცეს-მეთქი.

თეია. შენ ჰფიქრობდი მაგას? შენ...

ბაღდგილდა. მერე, ნუ-თუ ცუდი მომიქმედნია?

თეია. არასოდეს თვალითაც არ გინახვიარ და ჩემი სული
და გული-კი აგრე კარგად გიცენია?! ამათ-კი, გარს
მუდამ რომ მახვევიან, ბრძენთა და ომში გამოწვრ-
თნილ-გამოცდილთ, ჩემი არა ესმით-რა!.. დღემდის
ვერა მცნობენ!.. ვინ ხარ შენ, დედაკაცო? ან ვინ
გასწავლა, რომ ჩემი გულის საიდუმლო გაგეგო...
შენ ხომ ერთად-ერთი ხარ ასეთი ამ ქვეყნად.

ბაღდგილდა. მე, ბატონო..

თეია.

ყველა ძრწოდა, ყველა დრტვინავდა და აქა-იქ კუნ-
ქულებში იმალებოდნენ; გზას-კი, სახსნელს, რომე-
ლიც უთუოდ იპატიებდა იმათ, არვინ ჰხედავდა.
დანა ყელში დააჭირეს და ისინი-კი ისევ ზღაპრებს
მოუთხრობდნენ ერთმანერთს, დიდ-სულოვანად გარე-
მოებას სწონავდნენ და ზომავდნენ; მერე მოვიდნენ
ცბიერი ბერძნები, თავი მათ თანასწორად გამოაცხა-
დეს და დაუწყეს თითო-თითოდ ხოცვა, ვიდრე მთე-
ლის ასი ათასობით დაჰლუპავდნენ ხალხს. მე-კი ნა-
ღველმა და ბრახმა მომიცვა, იმედს ზურგი შევაქ-
ციე, დავივიწყევი და გასისხლიანებულ მჩვარივით
უკუ-ვაგდევე; მარტოდ-მარტომ დაცივით, მწარე
დაცინვით ბუმბერაზივით ამართულ დაბრკოლებათ
გული შევეუშვირე, იგრგვლივ შიშსა და საზარლო-
ბასა ვფენდი. თვითონ იმ დროსაც-კი, როდესაც მზად
იყო გული ჩემი ამ საზარლების წინ შემკრთალიყო;
მაგრამ სისხლმა ვერ გამაძლო; ვხოცდი და ვჟლეტდი,
მაგრამ ვიცოდი, რომ ამაოდ! (ბოღმა და ნადგველი
ეგლში მთაწვება, საჯდომსკედ დაეშეება და უაზრად წინ
გაიციქირება).

ბაღდადიდან (მოკრძალებითა სცდილობს დაუყვავოს). ჩემო საბრალო,
საყვარელო მეფევე! ძვირფასო თვია!

თეია.

(თავს მადლა ასწვევს, თავალებს რაკორდაც ატეკებს). ღმერ-
თო ჩემო, ამას რას ვშვრები! რისთვის გიამბე ყოვე-
ლივე ეს?! ნუ შემიძულე ამ ყბედობისათვის,
არ გეგონოს, ვითომ ენანობდე და იმიტომ ვლაპა-
რაკობდე ასე. შეიძლება მსხვერპლი მებრალებოდეს,
მაგრამ სინიდისი-კი დამშვიდებული მაქვს, იგი ჩემს
ტახტზედ მაღლა ჰგრძნობს თავსა! ნუ მიცქერი აგრე!
მაგ თვალეში თითქოს ანდამატიაო, მიზიდავს ყოვე-
ლივე ჩემი საიდუმლო გადაგიშალო. ვინ მოგცა ეგ
უფლება ჩემზედ? მომშორდი... მაგრამ, არა, დარჩი,
დარჩი!.. ვიდრე წახვიდოდე, მინდა საიდუმლოდ გითხ-

რა რამე კიდევ; მაგის გარდა, არც ასე ხმა-მალლა ყვირილი ვარგა, თორემ დარაჯი გაიგებს... თავი-დაჰხარე, ყური მომაპყარ; ამ საქმეში ჯერ არავის არ გამოვეტყდომივარ, რადგანაც შეუძლებელად მიმაჩნდა. შური მახრჩობს, სულსა მხუთავს, როცა-კი ფიქრს მივცემ თავსა! მერე, იცი, ვისი? ტოტილასი!.. დიად, ტოტილასი და მის სამარისა!.. ხალხმა მას მზე უწოდა სახელადა და დღესაც მისთვისა ნაღვლობს: საკმარისია გაიხსენონ და წამსვე თვალით გაუნათლდებათ!

ბაღდადილა. რად იტანჯავ აგრე თავს?

თეია (შეშფოთებული). გინახავს როდისმე იგი?

ბაღდადილა. არასოდეს!

თეია. მადლობა ღმერთს, თორემ რომ გენახა ისე, როგორც, მახსოვს, სიკვდილის დღეს ვნახე დილით, ბრძოლის წინად... მთლად ოქროს აბჯარი ჰქონდა ასხმული, მისი თეთრი ცხენი მხიარულად მოთამაშებდა, ოქროს ფერი ხუჭუჭი მზის ნათელივით გარს ეხვეოდა, მტერს პირში უცინოდა... ბავშვივით იცინოდა. ბედნიერებაა სწორედ, კაცი მისებრ სიცილიდ მოკვდეს!..

ბაღდადილა. ტოტილას, ბატონო ჩემო, არც აგრე გასჭირებია!.. მოკვდა, მაგრამ ნახევრად გაოხრებული სამეფო დაგიტოვა... ნუ-თუ-ღა შეგეძლო სიცილი?

თეია (სახქარდ). ხომ აგრეა, განა? არა? ოჰ, ეს კარგია! (წელში გასწორდა). შენთან როგორღაც თავს კარგადა ვგრძნობ!

ბაღდადილა. მაგ სიტყვებით, ბატონო, დიდად ვამაყობ!

თეია. მაგრამ ტოტილა რომ გენახა და მერე ჩემთვის შეგედარებინა, სწორედ შემომამფურთხებდი.

ბაღდადილა (ვნებით). მე მხოლოდ ერთად-ერთი შენ მეყოლე-ბოდი თვალ-წინ, ჩემო ძვირფასო!

თეია (დადრემილი უნდობლად გასტკეპრის გვერდზედ, შემდეგ ხუმად მარცხნივ გაიწეოს, ტახტის წინ დასჯდომთან დაგემა, ხელებს ზირზედ აიფარებს და მწარედ იწეებს ქვითინსა).

ბაღდადილა (მოკრძალებით მიუახლოვდება და გვერდით დაუჩოქებს).
თეია, საყვარელო!... მაპატიე, თუ რამე გაწყენინე!

თეია (უცხად წელში გასწორდება და ხელში ხელს სტაცებს).
რაც ნახე, ნურავის ეტყვი!

ბაღდადილა. რასა, ბატონო?

თეია. მას, რომ ვტიროდი. შემომფიცე, რომ არავის ეტყვი!

ბაღდადილა. როგორც მითხრეს, ამიერიდან შენის სულისა და გულის ნაწილს თურმე შევადგენ და რათ მინდა, მაშ, რომ შემოგფიცო?

თეია. მაშ, თუ აგრეა, მომიახლოვდი, რამ ცრემლები აღარ დანიახო.

ბაღდადილა. მომეცი ნება, მთლად ამოგიშრო, მეც მაგისათვის მოვედი.

თეია. ჰო, აგრე, მიამა. მაგრამ ვაი, სირცხვილო! ღირსი ვარ სწორედ დედამიწა გამისქედეს და თან ჩამიტანოს. არა ყოფილა მაგალითი, რომ გოტთა ვაჟკაცს ეტიროს: ტოტილას დასაფლავებაზედაც-კი არ გვიტიროია. მე-კი არა მრცხვენიან და ვტირი. ნეტა, ვიცოდე, რადა ვგრძნობ ასე კარგად თავს? ბაღდადილა! მინდა გითხრა რამე, მაგრამ არ-კი დამცინო!..

ბაღდადილა. რას ამბობ, საყვარელო, ნუ-თუ-ღა შემიძლიან დაგცინო?

თეია. მშინ.

ბაღდადილა (ადშფოთებული წამოფარდება). აი, უბედურება, ხომ სულ დაარიგევი!

თეია. არა, სულ არ დამირიგებია. მიდი, აბა, პირდაპირ, აიქ (ბაღდადილა მიდის), ჩემ საწოლს უკან, კერაა; ხომ ჰხედავ?

ბაღდგილდა. აქ, საცა ნაცარი ყრია, არა?

თეია. ყუთი უნდა იდგეს მანდ.

ბაღდგილდა. სდგას.

თეია. შეგიძლიან ასწიო თავსა?

ბაღდგილდა. ოჰ, რა მძიმე ყოფილა.

თეია. ჩაყავი, აბა, ხელი, მაგრამ ღრმად ჩაატარევი, ილ-
დიბადს, იმ ბებრუცუნა წუწურაქს, ვგონებ... შენ-
ხული... უნდა ჰქონდეს... ჰა, რა ნახე?

ბაღდგილდა (სასოწარკვეთილი). ორი ნატეხი გამხმარი პურის
ყუა... ნუ-თუ სულ ეს არის?

თეია. მეტი არ იქნება.

ბაღდგილდა. მოდი, ქალთა ბანაკში გავიქცევი, იქნება კიდევ
დარჩენოდეთ რამ...

თეია. არა, ნუ იზამ, თვითონ დასჭირდებათ!.. ეგ მომა-
წოდე. ძმურად გავიყოთ. კარგი იქნება, არა? ორ-
თავეს გვეყოფა. ხომ თანახმა ხარ?

ბაღდგილდა. რატომ (თეიას გვერდით დაჯდება).

თეია. აბა, მოიტა. მერე, რა გემრიელია!.. მართლა გემ-
რიელია, არა? შენც ხომა სჯამ.

ბაღდგილდა. მეშინიან, ვაი თუ არ გეყოს.

თეია. არა, ეგ პირობის დარღვევა იქნება. (ბაღდგილდაც
სჯამს) გემრიელია არა?

ბაღდგილდა. ამაზედ კარგი ჯერ არა მიქამია-რა.

თეია. ახლოს მოიწი, მინდა მუხლებიდან ნამცეცები აგიკ-
რიფო; აი აგრე. შიმშილი უცბად დამეკარგა. ჰხედავ
რა კარგა ვლდესასწაულობთ ქორწინებას!

ბაღდგილდა. ბევრად უკეთესად, ვიდრე ისინი ხორციით და
ღვინით.

თეია. მეც აგრე ვგონებ, მაგრამ შენ რომ ვერ ზიხარ კარ-
გადა.

ბაღდგილდა. რათა, კარგათა ვარ.

თეია. წამოდევ, აბა.

ბაღდგილდა (წამოდგება). მერე?

თქვა. აი, იქ დაჯექი.

ბაღდადიდა (შეშინებული). ტახტზედა?! ღმერთო ჩემო, როგორ შეიძლება?!

თქვა. განა, დედოფალი არა ხარ?

ბაღდადიდა (გადაჭრით). მართლა რომ ვიჯდე, სხვა არის, მაგრამ სახუმაროდ-კი—არასოდეს.

თქვა. ოჰ, ეს უტვინო კუნძი (ტახტს გადაგორებს). გამოსადევი მინც იყოს რისთვისმე... აი, აგრე დაუყრდნევი...

ბაღდადიდა (შუღრით). ნუ-თუ კარგია, ძვირფასო, რომ აგრე იქცევი?

თქვა (შემკრთაფი). არა!.. (ტახტს ისევ თავის ადგილას დასდგამს და თავს ზედ დაადებინებს). აგრეც კარგადა ზიხარ, არა? და აღარც ამ დათამაშებულ სიძველის წინააღმდეგა ვცოდავთ რასმე. ოჰ, ეს რომ ეპისკოპოსს დაენახა, ხა-ხა-ხა-ხა! მოიცა, თითქოს კიდევან მშიან...

ბაღდადიდა. აი, დაიქი!..

თქვა. იჯექი შენთვის, თვითონ მოვიტან (ბაღდადიდას გვერდით ხალიჩაზედ დაიჩქებს). აი, შენ წინაც დავიჩოქე. ვინ იცის, ადამიანი რას არ ისწავლის. მართლაც-და მშვენიერი ხარ... იცი, დედა-ჩემი როდი მახსოვს.

ბაღდადიდა. სრულიად არ გინახავს?

თქვა. არც და მყოლია. არ მახსოვს ვისთანმე მეთამაშოს; ახლა-კი, ამ ბოლო დროს ლამის არის თამაშობა ვისწავლო.

ბაღდადიდა. როგორ-თუ „ბოლო დროს“?

თქვა. შავას-კი ნუ მკითხავ!.. ხა, ხა, ხა, ხა!.. აბა, ერთი ეს ჩემი ყუთა მოჰკბინჩე. ეგრე ვამიგონე, აი!.. ხომ ვაიგონე ეპისკოპოსმა რა სთქვა?

ბაღდადიდა (მოჰკბენჩავს და მაშინვე წამოდგება). მართლა-და, ხომ მოგწყურდებოდა კიდევ?

თეია. ჰო, მართლა, მომიტა აიქ. რო ქილით რძეა. ილდი-
ბადი რომ ამბობდა, ისა.

ბაღდადილდა (მივა, სიათაც თეია უჩვენებს). ესა?

თეია (წამოღებდა). ეგ იქნება. მაგრამ, იცი, შენც უნდა
უთუოდ დალიო.

ბაღდადილდა. მერე, კარგი-კია?

თეია. არ ვიცი, ვგონებ, კარგი უნდა იყოს.

ბაღდადილდა. მაშ, კარგი!.. (ცოტას მოჰსვამს და სიცილით თავს
აქნევს), ოჰ, რა უგემურია!

თეია. აბა, მომაწოდე! (გაუმაძღვრდა სვამს). ძალიანაც გემ-
რიელია (კიდევ მოიწაფებს). შენ-კი როგორ გამინაზ-
დი! მერე, ვინა ხარ არა? როგორ მოხვედი აქ? ან
ჩემგან რა გინდა?

ბაღდადილდა. არაფერი. მინდა მიყვარდე...

თეია. ჰო, მართლა, შენ ხომ ცოლი ხარ ჩემი!... (ერთ-
მანერტს გადაეხვევიან. ამ დროს ჩუმად ეუბნება). არ შე-
გიძლიან მაკოცო?

ბაღდადილდა (ღარცხვენილი თავს აქნევს უარის ნიშნად).

თეია. რატომ არა?

ბაღდადილდა (ისევ თავს აქნევს).

თეია. მითხარი, რატომ არ გინდა.

ბაღდადილდა. მაშ ყურში გეტყვი.

თეია. აბა?..

ბაღდადილდა. წვერი მთლად რძიანი გაქვს.

თეია (შეშინებული ზიარს მოიწმენდს, შემდეგ ვითომ განრისხე-
ბული). რაო?.. მე!.. მერე, იცი ვინა ვარ?!.. რო-
გორა ჰბედავ და ეუბნები შენს მეფეს, რომ... მაგ-
რამ, აბა, ერთხელ კიდევ მითხარი? დამცინე
აგრე!..

ბაღდადილდა (იფინის). წვერი რძიანი გაქვს...

თეია (იფინის). მაშ, კარგი და დამაცა, აბა!..

გამოსვლა მითორამბე

იგინივე და ილდიბადი.

ილდიბადი. მეძახოდი, ბატონო?.. (გაშტერდება გაკვირვებულად და უნდა ჩუმადვე უკან გაბრუნდეს).

თეია (უცხად თავს შეიმაგრებს, თითქმის ეს არის გამოფენიზღდაძე, სახესა და მისს მიმოხვრას ისევე ძველი დადგრე-მიღება დაუბრუნდება). შესდევ, დარჩი!.. გარეთ რა ამბავია?!

ილდიბადი. მეომრები ქალთა ბანაკიდან უკან ბრუნდებიან ზნა მომეტებულ ნაწილად ქალები მოაცილებენ!

თეია. სარდლები შეიკრიბნენ?

ილდიბადი. დიაღ, ბატონო.

თეია. ერთ წამს კიდევ მოიცადონ!

ილდიბადი. ბატონი ბრძანდები.

თეია. ახლა ხომ მეც ცოლი მყავს.

ილდიბადი. მართალსა ბრძანებ, ბატონო (ტადის).

გამოსვლა მაცამბე.

თეია და ბაღდგილდა.

ბაღდგილდა. ძვირფასო თეია, რა დაგემართა?

თეია (სდგას მის წინ, შემდეგ ხელებს თავზედ შემოჭხუვებს). ასე მგონია, ვითომ ამ ერთის საათის განმავლობაში მე და შენ მთელის ქვეყნის სიხარული და მწუხარება გამოგვეცადოს... და ახლა-კი ყოველივე ეს უნდა გაჰქრეს, ისევე ისეთი უნდა დავრჩე, როგორც ვიყავი... არა, მე ესეთი არა ვარ; მაგრამ შენ, როგორც დედოფალი, ყველა ქალებზედ მაღლა უნდა იდგე... გსურს ეს თუ არა?

ბაღდგილდა. არ ვიცი, ბატონო, რას ითხოვ ჩემგან?

თეია. მას, რომ ხვეწნასა და ყვირილს არ მოჰყვები.

ბაღდგილდა. სიტყვას გაძლევ.

თეია. აგერ არის თენდება და სიკვდილიც გვიახლოვდება.

ბაღდგილდა. არ მესმის, რას მეუბნები! თავსდასხმა ჯერ არავის არ შეუძლიან და მინამდის-კი ხომ გემებიც მოგვივლენ...

თეია. არა. გემები აღარ მოგვივა.

ბაღდგილდა (ხელებს სახეზედ მიიფარებს და უძრავად სდგას).

თეია. ჩვენ, ვაჟკაცი, მტერთან საბრძოლად გავალთ,

ბაღდგილდა. ეგ არ იქნება.... შეუძლებელია!..

თეია. უთუოდ ასე იქნება; დედოფალი ხარ, მაგრამ არ ჰხედავ-კი, რომ ასე უნდა იყოს.

ბაღდგილდა. ჰო... ვხედავ ახლა... ვხედავ...

თეია. უნდა იცოდე ისიც, რომ მეფე მულამ პირველი მიდის მტერზედ და ამიტომ ჩვენ ერთმანერთს ცოცხლებს ველარა ვნახავთ.

ბაღდგილდა. ვიცი!.. (დუმილია. ერთმანერთს უტყეარებან).

თეია. ახლა-კი მინდა დამლოცო (ბაღდგილდას წინ მუხლთ დაეცემა. ბაღდგილდა თავზედ ხელს დაადებს, ცახცახით დაიხრება და შუბლში აკოცებს. თეია უცბად წამოხრება და ფარდას გასწევს). ვინ ხართ, შემოდით!

გამოსვლა მითოთხმეტი.

აგინივე, ამაღაბერგა, ეზისკ. აგელა, კერახი, ათანარხი, თეოდემირასი და სხ. სარდლები.

ამაღაბერგა. მეფევე, ასული ჩემი შენთან არის. ამბობენ, თქვენ, ვაჟკაცო, საქმე თურმე გაქვთ,—შვილი დამიბრუნე!

თეია. აგერ შენი შვილი. (ამაღაბერგა და ბაღდგილდა მიდინ).

გამოსვლა მისუთმობი.

ოგინიკე, ამაღაბერგასა და ბაღდგილდას გარდა.

თეია (თვალს გადაქვნებს, მაგრამ უცბად მოაგონდება და ეპისკოპოსს შეჰქინებინებს). დღეს საღამოთი, ეპისკოპოსო, ცოტა მკაცრად მოგვექცი, მაგრამ მაპატიე; გმადლობ, ვიცი ახლა, რატომ უყვართ გოტებს სიკვდილი (მასწავლს აიდეებს). აბა, მზადა ხართ? გამოთხოვება გათავდა!..

თეოდემირსი. ბატონო, შენი ბრძანება დავარღვიევი. ზოგის ჩვენთავანის ცოლი თითონ მიჰხვდა, ზოგს ქმარი გამოუტყდა, თუ როგორ იყო, არ ვიცი, მაგრამ საიდუმლო ყველამ იცის.

თეია. მერე, ბევრი ვიში და უი გამოიწვია?

თეოდემირსი. არა. ჩუმიად დავგილოცეს გზა და შუბლში გვაკოცეს ყველას.

თეია (შემკრთაღი, თავისთვის). მანაც ხომ ასრე ჰქმნა... (ხმა-მადლა) მართლა რომ მეფობის ღირსი ხალხი ვართ, ცოდვას სწორედ ჩვენი დალუბვა. აბა, წაფილეთ!.. (შიდის და სტენას შიეფარება, სხვები უკან მისდევენ. ფარდა დაეშვება. ისმის ხალხის ადტაცებული ძახილი, მეფეს რომ ეკებებიან).

ან-ანი.



ტარას ბულბა

მოთხრობა

ნ. გ. გავაჯისა.

IV

მეორე დღეს ტარას ბულბა უკვე მოელაპარაკა ახლად ამორჩეულს კოშევიკის იმის შესახებ, თუ ზაპოროჟელები როგორ უნდა ამხედრებულიყვნენ და ვის წინააღმდეგ. კოშევიკი კვიციანი და ეშმაკი ყაზახი იყო, მასთან ზაპოროჟელთა ზნე-ხასიათის მეტად კარგად მცოდნე: „არა, ფიცის დარღვევა არ შეიძლება“, უპასუხა პირველად ბულბას, მაგრამ მაშინვე იფიქრა მცირე და დასძინა: „არა უშავს-რა შეიძლება, ფიცს არ დავარღვევთ, ისე რასმე მოვიმიზეზებთ; ოღონდ ხალხი შეიკრიბოს, მაგრამ ჩემი ბრძანებით-კი არა, თავისით, — თორემ თქვენ უკეთ იცით, როგორც მოახერხებთ, — მაშინ ჩვენც უცბად იქ გავჩნდებით, ვითომ არა ვიცით-რა“.

არ გასულა ამ ლაპარაკის შემდეგ სულ ერთი საათი, რომ დაფის ხმა გაისმა. გადაკრულიც და უგუნური ყაზახებიც ბლომად აღმოჩნდნენ. მალე მოედანი ყაზახებით გაივსო და ატყდა ლაპარაკი; „ვინ იყო? რად? რისთვის მოგვიწვიესო?“ მაგრამ პასუხს არაფერ იძლეოდა. ბოლოს გაისმა აქა-იქ ჩივილი: „რა ამბავია, რო ყაზახთა ძალ-ღონე ასე უქმად არის დატოვებული, ომი არ არის! ჩვენი სტარშინები როგორღაც დედაბრობას

*) იხ. მოამბე მე-6 და მე-7 №-რი.

მიეჩვივნენ, უსაქმობით თვალები ჩაჰსუქებიან! ეტყობა დედა-
მიწაზედ სამართალი აღარ არის!“ სტარშინები მთლად გაოცე-
ბულნი იყვნენ. ბოლოს წამოდგა კოშველი და უთხრა: „ნება
მომეცით, ბ-ნო ზაპოროჟელნო, სიტყვა მოგახსენოთ!“

„თქვი!“

„აგერ ახლა თქვენში ლაპარაკი და მსჯელობაა, პანოვე
კეთილ-მოწყალენო! იქნება ჩემზედ უკეთ თქვენვე იცოდეთ,
რომ ბევრი ზაპოროჟელი ყელთამდე ვალით სავსეა ურიების
ღვინის დუქნებში, ჰმართებთ აგრეთვე ჩვენისავ ძმებისა, ასე
რომ აღარც ერთი ძალი აღარ ენდობა მათ. ლაპარაკია აგ-
რეთვე იმაზე, რომ ბევრს ჩვენს ახალგაზრდას ომი თვალით
არ უნახავს, მაშინ როდესაც, თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, პა-
ნოვე, ახალგაზრდა კაცს უომრად ყოფნა არ შეუძლიან. აბა,
რა ზაპოროჟელი უნდა იყოს ახალგაზრდა, რომ ჯერ ბუსურ-
მანებთან არ ებრძოლოს?“

„კარგად ლაპარაკობს“, იფიქრა ბულბამ.

„მაგრამ არ იფიქროთ, პანოვე, იმიტომ ვამბობდეთ ამასა,
ვითომ მშვიდობის დარღვევა მინდოდეს: ღმერთმა დაგვიფაროს!
მხოლოდ ისე ეთქვი. მასთან ღვთის სახლი,—სათქმელადაც ცოდ-
ვაა, რას წარმოადგენს: აგერ რამდენი წელიწადია ღვთის წყა-
ლობით „სეჩი“ არსებობს, მაგრამ აქამდის, არამც თუ გარედან,
შიგნით ხატუბის შემკობაც კი არავის ფიქრად არ მოჰსვლია; ნეტა
ერთს მაინც ვისმე გაჰხსენებოდა და ვერცხლით ნაკერი პირ-ბადე
შეეწირა. მხოლოდ ისა აქვთ ჩვენს საყდრებს, რაც ათასში
ერთხელ კეთილს ყაზახებს უანდერძებიანთ, მაგრამ ესაც მეტად
მცირედი ყოფილა, რადგანაც სიცოცხლითვე თითქმის მთლად
შეუქამიანთ თავისი ქონება. მაგრამ იმიტომ კი არ ვამბობ ამას,
რომ ბუსურმანებს ომი აუტეხთ: დავპირდით სულთანს,
რომ მშვიდობიანობას დავიცავთ და ჩვენის სჯულისა მებრ
შევფიცეთ; მაშასადამე, დიდი ცოდვა იქნება ფიცი დავარ-
ღვიოთ“.

„რას შვრება, როგორა ჰრევს საქმესა“, გაიფლო გულში
ბულბამა.

„ასე, ხომ ჰხედავთ, პანოფე, რომ ომის დაწყება არ შეიძლება: რაინდული პატიოსნება ნებას არ გვაძლევს. მაგრამ ჩემი პატარა ჭკუით, იცით, რასა ფიქრობ: გავგზავნოთ ახალგაზრდები პატარა ნავებით, რომ ნატოლიის ნაპირებზედ ცოტა რამ მოინადირონ. თქვენ რასა ფიქრობთ, პანოფე?“

„წაგვიყვა, ყველა წაგვიყვა!“ იგრილა ოთხივე მხრივ ხალხმა: „სარწმუნოებისთვის მზა ვართ სიცოცხლე გავწიროთ.“

შეშინდა კოშევოი, რადგანაც მთელის ზაპოროჟიეს შეიარაღება ფიქრად არ ჰქონია: მშვიდობიანობის დარღვევა ამ შემთხვევაში დიდ უსამართლობად მიაჩნდა. „ნებას მომცემთ, პანოფე, ერთი სიტყვა კიდევ მოგახსენოთ?“

„კმარა!“ ყვიროდნენ ზაპოროჟელები: „მაგაზე კარგს ვეღარას იტყვი.“

„იყოს აგრე, რაკი აგრეა. მე თქვენი მონა ვარ. არ ვიცი, განა, და დაწერილიც არის, რომ ხმა ღვთისა და ხმა ერისა ერთი ხანსა. იმაზე ჭკვიანურს ვეღარავინ რას მოიგონებს, რაც ხალხს მოუგონია და მოუფიქრია. მხოლოდ აი საქმე რაშია: მოგებსენებათ სულთანი ამ ახალგაზრდების განადირებას დაუსჯელად არ ჩაგვიტარებს. უნდა ვეცადნეთ, რომ იმ დროსთვის მზად ვიყოთ, ხალხი საკმაოდ გვეყვანდეს და შიში აღარავისი გვექონდეს, მაგრამ გაგვიგულებენ თუ არა, თათრებიც უთუოდ შემოგვესევინან: ისინი, ხომ იცით, ოსმალური ძაღლები არიან, თვალთ არ დაგენახვებიან, სახლში პირდაპირ მოსვლას ვერ გაჰბედავენ, მაგრამ ზურგთ უკან, თუ მოახერხებს, უთუოდ მოგეპარებიან და გიკბენენ, მასთან ძალიანაც გიკბენენ. რაკი საქმე მანდამდის მივიდა, ახლა ისიც უნდ ვთქვათ, რომ ნავებიც სამყოფი არა გვაქვს და არც თოფის წამალი გვაქვს იმდენი. დაფქული, რომ ყველანი წავიდეთ. თორემ მე, თქვენი მონა და მოსამსახურე, თქვენის ბრძანების მორჩილი ვარ.“

მოხერხებული კოშევოი გაჩუმდა. მაშინათვე ხალხში ჯგუფ-ჯგუფად ლაპარაკი დაიწყეს, კურენების ატამანებმა ბქობა იწყეს; საბედნიეროდ, მთვრალეები ცოტანი აღმოჩნდნენ და

ამიტომ გადასწყვიტეს კოშვეოსი გონიერულს რჩევას დამოწ-
ჩილებოდნენ.

მშინათვე რამდენიმე კაცი დნებრის მეორე ნაპირს ეცა,
სადაც ჯარის ავეჯეულობა იყო შენახული და სადაც ჯარის
ხაზინა და მტრისგან წართმეული იარაღი იყო სამალულებში,
წყალსა და ჩალის ქვეშ მიწაში დაფლული. სხვები კიდევ
ნავებს ეცნენ და დაუწყეს სინჯვა და მზადება. თვალის დახამ-
ხამებაზედ მდინარის ნაპირი ხალხით გაივსო. მოვიდა რამდე-
ნიმე დურგალიც ცულით. ხნიერი, გარუჟული, მხარ-ბეჭიანი,
ფეხ-ღონიერი ზაპოროჟელები, ზოგი ქალარა შერეული და
ზოგიც შავ-ულვაშიანი, შარვალ აწეულები იდგნენ მუხლამდე
წყალში და ნავებს მაგარი თოკით ნაპირიდან წყლისაკენ მია-
თრევდნენ. აქ ფიცრებით აკერებდნენ ნავებს; იქ გადმოებრუნე-
ბინათ და ქონსა და კუპრს უსვამდნენ; იქით კიდევ, ყაზახთა
ჩვეულებისამებრ, ნავებს გვერდზედ ლერწამისა და ჩალის გრძელ-
კონებს აბამდნენ, რომ ზღვის ტალღებს ადვილად არ გადაე-
ბრუნებინათ და წყალი არ ჩასულიყო; მდინარის პირად, აქა-
იქ, გაეჩაღებინათ ცეცხლი, შემოედგათ სპილენძის ქვაბებით
წებო და ადუღებდნენ, რომ ხომალდები გაეფისათ. ლაშქრო-
ბაში მყოფი და ხნიერები ახალგაზრდებს არიგებდნენ, ასწავ-
ლიდნენ, როგორ და რა გაეკეთებინათ. კაკუნი და მუშების
ხმაურობა ისმოდა ყველგან მთელს არე-მარეში; დნებრის ნა-
პირი მთლად გაცოცხლდა, ამოძრავდა.

ამ დროს ნაპირს მოადგა დიდი ბორანი. ზედ მდგომმა
ხალხმა ჯერ ისევ შორიდგან დაიწყა ხელის ქნევა. ესენი იყე-
ნენ მთლად დაფლეთილ-დაგლეჯილი ყაზახები. ესეთი ღარიბი
და უწყესო ჩაცმულობა, — ზოგიერთს პერანგისა და პირში მო-
კლე ჩიბუხის მეტი არა გააჩნდა-რა სხვა, — ნიშანი იყო იმისი,
რომ ან რაიმე უბედურება გადაჰხედოდათ, ან-და ქეიფში შე-
ეკამათ ყველაფერი, რაც-კი ტანთ გარეთ გააჩნდათ. ამათგან
ერთი მხარ-ბეჭიანი, დაბალი, ასე ორმოც და ათის წლის ყა-
ზახი, ყველაზე წინ გადმომდგარიყო, ხმა მალლა გაჰყვიროდა

და აქნევდა ხელებს; მაგრამ კაკუნში და მუშების ხმაურობაში არა ისმოდა-რა.

„რა ამბავი მოგვიტანეთ?“ ჩაეკითხა კოშველი, როგორც-კი ბორანმა ნაპირზე მოსცურა. მუშებმა ყველამ საქმეს თავი ანებეს, უროები და ცულები ამართეს და დაუწყეს ცქერა, აცა რას იტყვიანო.

„უბედურებისა!“ ყვიროდა ბორნიდან დაბალ-დაბალი ყაზახი.

„რა უბედურებისა?“

„ნება მამეცი, პანოვე ზაპოროჟელნო, მოგახსენოთ!“

„თქვი!“

„ან იქნება გინდათ „რადე“ შეჰყაროთ?“

„თქვი, ყველანი აქა ვართ.“

ხალხი სულ ერთად შექუჩდა.

„განა, არა გაგიგიათ-რა გეტმანშინაში რა ამბავი ხდება?“

„რაო, რა არი?“ ჩაეკითხა ერთი კურენის ატამანი.

„რალა რა არი, ეჰ? ეტყობა თათრებს თქვენთვის ყურები დაუწებებიათ, რომ არა გაგიგიათ-რა!“

„თქვი დროით, რა მოხდა?“

„რა-და ისა, რომ დაბადებიდგანა და მონათვლიდგან დღემდის ჩვენს ყურს ამისთანა არა ჰსმენია-რა და თვალს არა უნახავს-რა.“

„თქვი, რა მოხდა და გაათავე, რალა, შე ძაღლის შვილო!“ დაუყვირა ერთმა მოთმინება-დაკარგულმა ხალხილამ.

„ასეთი დრო დაგვიდგა ეხლა, რომ წმიდა საყდრები ჩვენები აღარ არის.“

„როგორ თუ ჩვენები აღარ არის?“

„ისე, რომ ურიებსა აქვთ იჯარით აღებული. თუ ურიას წინაღვე ფულს არ მისცემ, ვერც აწირვინებ.“

„რას მიჰქარავ?“

„და თუ თავისი უწმინდური ხელით ურია არ დაასვამს წმინდა პასკას ნიშანსა, პასკის კურთხევაც არ შეიძლება.“

„სტყუის ეგ, ძმანო პანოვე, არ შეიძლება ეგ, რომ უწმინდურმა ურიაჲმ წმინდა პასკა, ნიშანი დაასვას.“

„ყური დამიგდეთ, ჯერ კიდევ არ მითქვამს: ქსენდებიც ტარათაიკებით (ეტლია) დადიან მთელს უკრაინაში. მაგრამ ეგ არაფერი, რომ დადიან; საქმე ის არის, რომ ცხენების მაგივრად შიგ მართლ-მადიდებელ ქრისტიანებს აბამენ. ყური დამიგდეთ, კიდევ რა გითხრათ: ამბობენ, ურიის ქალები ღვდლის კაბებისასა და ფილონებისას იუბკებს იკერავენო. აი, რა ხდება პანოვე, უკრაინაში! თქვენ-კი სხედხართ აქ, ზაპოროჟიეში და ქეიფობთ; ეტყობა თათრებს ძალიან დაუშინებისხართ, რომ ველარც არასა ჰხედავთ და აღარც თუ რამე გესმით, ქვეყანაზე რა ხდება.“

„შედექ, კარგი!“ გააწყვეტინა კოშევიომ, რომელიც აქამდე დანარჩენებსავეით თავ-ჩაკიდული ჩუმად ჩაიციქვრებოდა დედამიწაში და ასე ისმენდა, როგორც საზოგადოდ ეს ჩვეულებადა ჰქონდათ ზაპოროჟელთ ყოველ დიდი საქმისა და გარემოების დროს: ჩუმად მოესმინათ ბოლომდე ამბავი და თავისი რისხვა ამითი გაეთკეცებინათ.—„შედექი! ახლა მეც ვიტყვი სიტყვასა. მერე, თქვენ რაღასა სჩადიოდით თქვე მამასულ-წაწყმენდილებო! — თქვენ თვითონ რაღას შერებოდით? ნუ-თუ ხმლები არა გქონდათ? როგორ მიეცით ნება, რომ ასეთი უსჯულობა ჩადინათ?“

— ეჰ, როგორ მიეცით ნებაო!... აბა, ერთი თქვენა სცდიდით, რო მარტო თიახი იყო ორმოც და ათი ათასი და, ცოდო გამჟღავნებული სჯობია, როცა ჩვენშიაც გამოჩნდნენ ისეთი ძაღლები, რომ იმათი სარწმუნოება მიიღეს.“

„თქვენი გეტმანი, ან პოლკოვნიკები რაღას შერებოდნენ?“

„ისეთი საქმე მოიქმედეს პოლკოვნიკებმა, რომ ღმერთმა ჩვენ ყველას გვაშოროს.“

„როგორ?“

„ისე, რომ გეტმანი ახლა, სპილენძის ქვაბში მოხრაკული, ვარშავაში ძევს, პოლკოვნიკების ხელ-ფეხი კიდევ ბაზრობაში

დააქვთ აქა-იქ და ხალხს აჩვენებენ. აი, რა ჰქმნეს პოლკოვნიკებმა!“

მთელი ხალხი შეირყა, შეჩოჩქოლდა. ჯერ მთელს ბრბოში რალაცა დუმილი ჩამოვარდა, როგორც დიდი ქარიშხლის წინ იცის ხოლმე, შემდეგ-კი ასტყდა ხმაურობა და ლაპარაკი. მთელი ნაპირი შეიძრა: „როგორ! რომ ქრისტიანების საყდრები იჯარით ურიებს ჰქონდეთ აღებულო?! რომ ქსენძედი უღელში ქრისტიანებს აბამდნენ! როგორ უნდა მოვითმინოთ, რომ რუსთა მიწაზედ წყეულ ურწმუნოებისაგან ასეთს ტანჯვაში იყოს ხალხი! რომ პოლკოვნიკებსა და გეტმანს ასრე უშვრებოდნენ?! არა, ეს არ შეიძლება, არა! არ იქნება!“ ასეთი სიტყვები ისმოდა ყველა მხრიდან. ახმაურდნენ ზაპოროჟელნი და საკუთარი ძალა იგრძნეს. აქ მარტო სუბუქი ხალხი არა ღელავდა: ღელავდნენ მძიმე და მაგარის ხასიათის ზაპოროჟელნი, რომლებიც, მართალია, ადვილად არ გაცხარდებიან ხოლმე, მაგრამ თუ ერთი გაცხარდნენ, მერე დიდხანს აღარ გამოჰნელდებათ ხოლმე შინაგანი სიცხე. „ჩამოვანჩოთ ყველა ურიები!“ გაისმა ბრბოში: „დეე, ნუ უკერავენ თავიანთ ქალებს ღვდლის შესამოსლიდან იუბკებს! ნუ ასმენ წმ. პასკებს თავისს ნიშნებსა! ყველანი დნებრში დავანჩოთ!“ წამოიძახა ვიღამაც ბრბოში და უცებ ელვასავით მოეფინა იგი მთელს ბრბოს. აღელვებული ხალხი მაშინვე მიდამოს ეცა, რომ ყველა ურიებისათვის ყელები დაეჭრათ.

საბრალო ისრაილის შენიღებმა მთლად დაკარგეს უიმისოდაც წვრიმალი სულის სიმტკიცე და თავ-გადაგლეჯილებმა დაუწყეს ძებნა „გარელკის“ ცალიერს ბოკებს დასამალადა; სხვები ძვრებოდნენ ღუმელებში და ქალების ჩიხოლ ქვეშაც-კი; მაგრამ ყაზახები ყველგანა პოულობდნენ.

„ბრწყინვალედ წარჩინებულო ბატონებო!“ ყვიროდა ვილაც ჯოხივით გამხმარი, მალალი ებრაული, რომელსაც შიშისაგან საცოდავად დაღრეჯილი სახე შეეჯგუფულ ამხანაგთა წრიდან სასაცილოდ გამოეყო. „ბრწყინვალედ წარჩინებულო ბატონებო! ერთი სიტყვა გვათქმევინეთ, მარტო ერთი! ისეთ

რასმე გამოგიცხადებთ, რაც ჯერ არსად გსმენიათ,—ისეთს დიდს რასმე, რომ თქმაც კი ძნელია, რა დიდი რამ არის!“

„დღე, სთქვან“, დაპრთო ნება ბუღბამ, რომელსაც ბრალდებულის მოსმენაც უყვარდა.

„ბრწყინვალე ბატონებო!“ დაიწყა ურიამ. „ასეთი პანები ჯერ არსად და არასოდეს არა ნახულა, ღმერთმანი, არასოდეს! ასეთი კარგი, კეთილი და მამაცები ჯერ ქვეყნიერებას არ უნახავს!“ და შიშისაგან ხმა უწყდებოდა, უკანკალებდა. „როგორ იქნება, რომ ჩვენ ზაპოროელებზე ცუდს რასმე ვფიქრობდეთ! ისინი ჩვენები სულაც არ არიან, უკრაინაში რომ იჯარადრობენ! ღმერთმანი ჩვენები არ არიან! არც ურიები არიან ისინი: ეშმაკმა იცის რანი არიან; ისეთი რამეები არიან, რომ უნდა მიაფურთხო და გადაადგო! აი, ესენიც ამსვე იტყვიან. მართალია, შლემა, არა, მართალია, შმულ, განა!“

„ღმერთმანი მართალია!“ იძახოდნენ წრეში მდგომი დაღლეჯილი შლემა და შმული, შიშისაგან თიხასავით გადაფითრებულნი.

„ჩვენ ჯერ არსად არა გვექონია საქმე მტრებთანა“, განაგრძობდა გძელი ებრაელი თავისს სიტყვასა. „კათოლიკებისა ხომ ცნობაც არ გვინდა: ეშმაკიც მოჰმანებიათ იმათ! ჩვენ ზაპოროელებთან ღვიძლ ძმებისავითა ვართ...“

„როგორ? ზაპოროელები თქვენთან ძმებივით იყვნენ?“ წამოიყვირა ვიღამაც ხალხიდან. „ვერ მოესწრებით მაგას, წყულებო! დნებრში დავახრჩოთ ეს მურღლები, დნებრში, პანოვე!“

ითქვა თუ არა ეს სიტყვები, ეცნენ მაშინვე ურიებსა და დაუწყეს დნებრში პარტყა-პურტყით ყრა. გაისმა ყოველ მხრივ საცოდავი ყვირილი, მაგრამ მკაცრი ზაპოროელები მხოლოდ იცინოდნენ, რომ ჰხედავდნენ, რა სასაცილოდ გაჰქონდათ ურიების ჩულქ-ბაშმაკიან ფეხებს ჰაერში ფართხალი.

საბრალო მქვერმეტყველი ურია, თხილივით გაშიშვლებული გამოვარდა მოკლე ახალუხით კაბიდან, როგორც-კი გადასადგებად ხელი სტაცეს, ჩაუვარდა ბუღბას ფეხებში და

საცოდავის ხმით დაუწყა ხვეწნა: „დიდო ბატონო, ბრწყინვალედ წარჩინებულო პანე! ვიცნობდი შენს ძმასაც, განსვენებულს დოროშს! მთელის ჯარის თვალი იყო. რვაასი ცეხინი^{*)} მივეცი თურქების ტყვეობიდან თავის დახსნის დროს“...

„მაშ იცნობდი ჩემს ძმას!“ დაეკითხა ბუღბა.

„ღმერთმანი ვიცნობდი! დიდსულოვანი ბატონი იყო!“

„სახელად რა გქვიან?“

„იანკელა“.

„კარგი მაშ“, მიუგო ტარასმა და მცირე მოფიქრების შემდეგ მიჰმართა ყაზახებს: ურიის ჩამოხრჩობა ყოველთვის შეიძლება, როცა-კი ეს საჭირო იქნება; დღეს-კი მე დამითმევით ესა“.

უთხრა ტარასმა და ურია თავისს ბინისაკენ წაიყვანა, სადაც მისი ყაზახები იდგნენ. „აბა, შეძვერ ურემ ქვეშ და იწეპი მანდ, არ გაინძრე, თქვენ კი, ძმებო, არსად გაუშვათ ეს ურია“.

ტარასმა ამის შემდეგ ისევ მოედნისაკენ გასწია, სადაც კარგა ხანია ხალხი შეკრებილიყო. ყველამ უცბად ნავებს თავი ანებეს, რადგანაც წყლით აღარ მოუხდებოდათ წასვლა; ნავების ნაცვლად ახლა ურმები და ცხენები იყო საჭირო. გალაშქრება ახლა ყველას უნდოდა: ახალგაზრდასაც და მოხუცსაც. თანახმად კოშევოისა, სტარშინებისა და კურენების ატამანების რჩევისა, გადასწყვიტეს მთელი ჯარი ამხედრებულიყო პოლონეთის წინააღმდეგ, სარწმუნოებისა და ყაზახთა სახელის შეგინებისა და შელახვისათვის შური ეძიათ, ქალაქებიდგან დავლა აეღოთ, სოფლებისა და ყანებისათვის ცეცხლი წაეკიდებინათ და მინდვრად შორს გაეგდოთ სახელი. ყველა ემზადებოდა, იაჩადს ისხამდა. კოშევოის ფასი და ღირსება მოემატა; ახლა იგი მოკრძალებულად აღმასრულებელი-კი აღარ იყო თავისუფალ ხალხის ქადაგმუტა, სუბუქ წადილებისა, არა: იგი იყო უსაზღვრო მბრძანებელი და დესპოტი, რომელსაც მხოლოდ ბრძანება

*) იტალიური ფულია, 3 მან. უდრის. მთარგმნ.

ებერებოდა. ყველა თავის-ნება და მოქიეფე რაინდები გაკავებულნი იდგნენ წყობისად და თავჩაკიდულნი პატივისცემით ისმენდნენ კოშევოის ბრძანებას: ყვირილით კი არ აძლევდა ბრძანებას, არა წყნარად, აუჩქარებლივ, დალაგებით, როგორც ძველი, გამოცდილი ყაზახი, რომელსაც არა ერთხელ აუსრულებია ასე გონივრულად მოფიქრებული საქმე.

„დასინჯეთ ყველაფერი, კარგად დასინჯეთ!“ ეუბნებოდა კოშევოი.“ გამართეთ ურმები, სასაპნეები, გასინჯეთ იარაღი. ტანისამოსს ბევრს ნუ წამოიღებთ: თითო პერანგი და წყვილი შარვალი საკმარისია, თითო ქოთანი შორვა და დაფქული ფეტვი—მეტი არავინ რა წამოიღოს! სხვა საგზალი ურმებით იქმნება, რაც-კი საჭიროა. წყვილი ცხენი უნდა ჰყავდეს ყველა ყაზახსა! ამასთან ორასიოდე ხარიც ჰუნდა წამოიყვანოთ, წყლებში გასვლის დროს დაგვჭირდებიან. მაგრამ ყველაზედ მეტად ეცადეთ წესიერება დაიცვათ: ვიცი, არიან თქვენში ისეთებიც, რომ როგორც-კი ღმერთი სადმე სიმდიდრეს დაანახვებს, მოჰყვებიან მაშინვე გაუმძღრად შემოხვეჭასა და ძვირფასს ფარჩებს ფეხზედ დასახვევად ხმარობენ. დაივიწყეთ ეს ეშმაკის ჩვეულება, დაკარგეთ და გადაყარეთ იუბკები და წამოიღეთ მხოლოდ იარაღი, თუ სადმე რიგიანი შეგზვდებათ, ოქრო და ვერცხლიც, რადგანაც ფასი არას დროს არ ეკარგებათ. წინაღვე გატყობინებთ ამასთან, ბატონებო, რომ ვინც-კი გაპბედავს და ლაშქრობის დროს დაითვრება, არავითარს გასამართლებას არ ეღირსება: ძაღლისავით მივაქაჩვინებ ურემზე, ვინც უნდა იყოს, თუნდაც უმამაცესი ყაზახი და ძაღლისავითვე მოვაკვლევინებ და გადავადვინებ დაუმარხველსა, რომ ფრინველმა შესჭამოს: ლაშქრობაში ლოთი ღირსი არ არის ქრისტიანულად დამარხვისა. ახალგაზრდებო, უფროსებს გაუგონევით ყველაფერში! თუ რომ ტყვია ან ხმალი გაგაკაწრავთ თავში, ან სხვაგან სადმე, ნუ შეუშინდებით: აიღეთ ერთი სროლა თოფის წამალი, გალესეთ ერთ ფიალა პურის არაყში და გადაჰკართ, უცებ გაგივლით, არც კი გაგაციებთ; ქრილობაზე კიდევ, თუ დიდი არ იქნება, დაიდეთ ლამაზად ხელის

გულზე ფურთხით აზელილი მიწა და მორჩა, კრილობა შეიკვრის. აბა, ახლა კი საქმეს შეუდექით, მაგრამ არ აჩქარდეთ, ყველაფერი კარგად გასინჯეთ და გაამზადეთ!“

ასე ეუბნებოდა კომევი თავმოყრილ ყაზახობასა. გაათავა თუ არა ლაპარაკი, ყველა მაშინვე საქმეს ეცა. მთელი „სეჩი“ გამოფხიზლდა, ასე რომ ადამიანი ვერც ერთს მთვრალს ვერ იპოვიდა, თითქოს არასოდეს ყაზახთა შორის სიმთვრალე არ გავონილაო. ერთნი ურმის თვლებსა და სალტეებს ასწორებდნენ, სხვანი რერძებს უცვლიდნენ; ამათ საგზლით სავსე ტომრები მიჰქონდათ ურმებზე დასადებად, იმათ იარაღი; სხვანი კიდევ ცხენებსა და ხარებს მოერეკებოდნენ. ყველა მხრიდან ისმოდა ცხენების თქარა-თქური, სანიმუშო სროლა, ხმლების წკრიალი, ხარების ბლავილი, ურმების კრაჭუნი, ლაპარაკი, ძახილი, ხმაურობა. და მალე ყაზახთა ქარავანი მინდორს შორად მოეფინა, ასე რომ თავიდან ბოლომდის გამსვლელს დიდი სირბილი დასჭირდებოდა. ხის პატარა ეკკლესიაში მღვდელმა პარაკლისი გადაიხადა, ყველას წმ. წყალი ასხურა; ყველა ჯვარს ემთხვია. დაიძრა თუ არა ქარავანი „სეჩიდან“, ყველა ზაპოროქელმა უცებ თავი შემოიბრუნა და ერთხმად შესძახა: „მშვიდობით, მშობელო! ღმერთი იყოს შენი მფარველი ყველა უბედურებისაგანო!“

„სეჩის“ ბოლოზედ რომ სოფელში შევიდნენ, ბუღბამ უცებ თვალი მოჰკრა, რომ მისს ურიას იანკელას დაედგა რალაცა ქოხი და ჰყიდიდა ტალებს, საშალებს (шашлыки), თოფის წამალსა და სხ. სალაშქრო ავეჯეულობას, — კულიჩებსა და პურებსაც კი. „ჰხედავთ, რა არის ეშმაკი ურია?“ გაიფიქრა ტარასმა და ცხენი შეაბრუნა:

„შე სულელო, რას ზიხარ აქა, რომ ჩიტივით სული გაგაფრთხობინონ?“

იანკელა პასუხის მაგივრად მიუახლოვდა ბუღბას, ორივე ხელებით რალაცა ანიშნა, თითქოს დიდი საიდუმლო უნდა გაემჟღავნებინა და უთხრა: „ოღონდ, ბატონო, თქვენ ნურსად რას იტყვიოთ და, — ყაზახთა ურმებში ერთი ჩემია; მომაქვს

ყოველივე საგზალი, რაც-კი ყაზახებისათვის საჭირო იქნება და გავყიდი ისე იაფად, რომ ჯერ არც ერთს ურიას ისე იაფად არ გავყიდოს; ღმერთმანი, მართალს ვამბობ; აგრეა, ღმერთმანი!“

ტარას ბუღბამ მხრები შეიშმუშნა, გაიოცა ურიის ასეთი მოხერხებულობა და ქარავენისაკენ გასწია.



მალე მთელი სამხრეთ-დასავლეთი პოლონეთისა შიშმა მოიცვა. გაისმა ყველგან: „ზაპოროჟელნი გამოჩნდნენ, ზაპოროჟელნიო!..“ ყველამ, რასაც და ვისაც თავის ხსნა შეეძლო, თავს უშველა. ყველა წამოიშალა და გაიქცა, როგორც საზოგადოდ სჩვეოდა იმ კურთხეულ უზრუნველ დროსა, როცა არც სიმაგრეებსა და არც ციხეებს არ იშენებდნენ და როგორც მოჰხვედებოდათ, ისე იხუზულავებდნენ ჩაღის ქოხს დროებით. ყველა ფიქრობდა: „ტყუილად რაზე დავხარჯო ფული და შრომა ქოხზე, როცა შემოგვესევა თათარი და გაანიაგებოსო!“ ყველა შეჩოჩოლოდა: ზოგი ჰყიდიდა ხარებსა და გუთანს და სამაგიეროდ იარაღსა და ცხენს ყიდულობდა, რომ ჯარში გასულიყო; ზოგი კიდევ იმალებოდა და ჰმაღავდა თავისთან საქონელსა და ავეჯს, რასაც-კი მოასწრებდა და წაიღებდა. იყვნენ შიგა და შიგ ისეთებიც, რომლებიც მტერს შეიარაღებულნი უხვდებოდნენ შინ, მაგრამ უმეტესობა გარბოდა. ყველამ კარგად იცოდა, თუ მოუსვენარი და თავისნება მრისხანე ჯარი ზაპოროჟელთა, უიმისოდ და გარეგნობით მოუწყობელი, ბრძოლის დროს რა საშიში და მოფიქრებით მომქმედი იყო. ცხენოსანნი მიდიოდნენ დინჯად, ცხენებს არ ჰლლიდნენ, ქვეითნი კიდევ ფიზილად მისდევდნენ ურმებსა. ასე ვლიდა მთელი ქარავანი ლამ-ლამობით, დღისით კიდევ საღმე უდაბურ და მიუდგომელ, ტყიან ადგილებში ისვენებდნენ, რომელთა რიცხვიც მაშინ საკმაო იყო. მაგრამ წინ მუდავ მზვერავებსა და შიკრიკებს ჰგზავნიდნენ, რომ გავეოთ, სად, როგორ და

რა მზადებაში იყო ხალხი. ხშირად სრულიად მოულოდნელად დაესხმოდნენ ხოლმე თავსა და ასალმებდნენ სიცოცხლეს: სოფლებს ცეცხლს უკიდებდნენ, საქონელსა და ცხენებს, თუ თან არ წაიყვანდნენ, იქვე ყელებს დასჭრიდნენ და სხ. ამ რიგად თითქოს უფრო მეჯლისობდნენ, ვიდრე ლაშქრობდნენ. თმა ყალბზედ დაუდგებოდა ახლა ადამიანს ყველა იმ სიმხეცისაგან, როგორის ველურობითაც მაშინ აღნიშნეს ის დრო ზაპოროელებმა. ჰოცდნენ ბავშვებს, დედაკაცებს ძუძუებს აჭრიდნენ, განთავისუფლებულთ მუხლის თავიდან ფეხთამდე ტყავს აძრობდნენ; ერთი სიტყვით, სამაგიეროს ერთი ათად უხდიდნენ ყაზახნი მტრებსა. ერთის მონასტრის წინამძღვარმა რომ ზაპოროელების მიახლოვება შეიტყო, გამოუგზავნა ორი ბერი და აცნობა, რომ ურიგოდ იქცეოდნენ, რომ მთავრობასა და ზაპოროელებთა შორის თანხმობა იყო და იგინი ამ თანხმობას და მასთან ხალხის უფლებას არღვევდნენ. „უთხარით ეპისკოპოსს ჩემ მაგიერ და მთელის ზაპოროელების მაგიერადაო,“ შეუთვალა კოშვერიძე, „რომ შიში ნუ ექნება: ყაზახები ჯერ მხოლოდ ჩიბუხებს ეწვეიან-თქო“. მაგრამ მალე მთელს სააბზატოს ცეცხლი წაუკიდეს და უშველებელი გოტური ფანჯრები აღს შუა მრისხანედ გამოიყურებოდნენ. გამოქცეულმა ბერებმა, ურიებმა და დედაკაცებმა უცბად გააესეს ის ქალაქები, სადაც-კი ჯარისა და ქალაქის სიმაგრის იმედი ჰქონდათ. დრო გამოშვებით მთავრობის მიერ გამოგზავნილი დაგვიანებული მიმშველი მცირე ჯარი ან ვერა პოულობდა ხოლმე მტერსა, ან-და შიშითა ძრწოდა და პირველსავე შეხვედრაზე პირს იბრუნებდა, თავისის მალი ცხენებით თავს უშველიდა ხოლმე. მაგრამ მოხდებოდა ხოლმე ისეც, რომ წარსულს ომებში განთქმული მეფის სარდლები და ჯარის უფროსები შეერთებულის ძალით მტერს შეეგებებოდნენ ხოლმე. აი, აქა სკდიდნენ ხოლმე ახალგაზრდა ყაზახები თავისს ძალ-ღონესა, რომლებიც უიმისოდ მტაცებლობას, უსამართლოდ მოხვეჭასა და სუსტ მტერზე გალაშქრებას კაცობად არა სთვლიდნენ; აქა სკდილობდნენ შეჭმობდნენ ძველს მეომრებს, შეჭმობდნენ

დნენ თითო-თითოდ შარდსა და ბაქია ლიხებეს, რომელნიც ამაყად მიაფრიალებდნენ ხოლმე ცხენით კაბის ყურთმაჯებს. კარგი და გასართობი იყო ეს მეცნიერება: მრავლად შეიძინეს ცხენის შეკაზმულობაც, ძვირფასი ხმლებიც, თოფებიც. ახლად შებუმბლული ბარტყები ერთს თვეში მთლად გამოიცვალნენ, დავაჟკაცდნენ; სახის მოხაზულობამ, რომელიც დღემდის უფრო კაბუკის რბილს ხასიათს ამხელდა მათში, ახლა უკვე სასტიკი და ძლოვანი გამომეტყველება მიიღო. ტარასი ხომ უზომოდ გახარებული იყო, რომ მისი ორი შვილი საუკეთესო მეომრები დადგნენ. თითქოს დაბადებითვე ჰქონდა დაწერილიო მეომრობა, ოსტაპი უეცრად შეეთვისა ომსა. არსად იგი არ დაბნეულა, არსად შემკრთალა, მუდამ განსაკვიფრებელის გულ გრილობით ეგებებოდა ხოლმე ყოველსავე შემთხვევას; ერთს წამში მოიფიქრებდა, რა გაჭირვებულს მდგომარეობაშიაც იყო ჩაყენებული, ყოველ მხრივ გაჰზომავდა თვითონ საფრთხესაც და იქვე გადასწყვეტდა, როგორ და რა ნაირად დაეღწია თავი, რომ შემდეგ გაორკეცებულის ძალითა და მხნეობით დაეძლია იგი. ახლავე დიდი გამოცდილება და დაკვირვება ემჩნეოდა ყოველსავე მისს მოქმედებასა და ეტყობოდა, რომ მომავალში სარდლობა არ ასცებოდა. ძალითა და ღონით სავსე იყო იგი და რაინდუღმა თვისებამ ხომ მთლად გაალომგულა. „ო, კარგი სარდალი იქნება თავისს დროზედ!“ იძახდა ხოლმე მოხუცი ტარასი: „მართლა რომ კარგი პოლკოვნიკი იქნება,—ბატკას აჯობებს!“

ანდრია მთლად ტყვიამა და ხმლის ტრიალმა გაიტაცა. ამან სრულიად არ იცოდა, რა იყო მოწინააღმდეგის ძალ-ღონის აღრევე გაზომა, გამოანგარიშება. უზომო სიამოვნებასა და კმაყოფილებას ბრძოლაში ჰპოვებდა: რაღაც მეჯლისად ეჩვენებოდა ხოლმე ის, რომ თავი გაუხურდებოდა, თვალთ აღქრელდებოდა, აებლანდებოდა, ცვიოდნენ მოჭრილი თავები, დახოცილი ცხენები და ის-კი ამ მოწუწუნე ტყვიებსა და მოელვარე ხმლებში მთვრალივით მიჰქროდა, მარჯვნივ და მარცხნივ სცემდა და ჰკაფავდა და ნაკრავს თვითონ-კი ვერა ჰგრ-

ძნობდა. არა ერთხელ უნახავს მამას ანდრია, თავისის გამტაცის გრძნობით ანთებული, როგორ მიისწრაფვიდა ხოლმე ისეთ საშიშროებისაკენ, რომელსაც ვერც ერთი გონიერი და ღინჯი მეომარი ვერ შეჭბედავდა და ამ წინდაუხედავის, ცხარე მისევით როგორ ახდენდა ნამდვილს სასწაულებს, რაც ძველს მეომრებს მართლა ანცვიფრებდა ხოლმე. ჰკვირობდა მაშინ ნანახს მოხუცი ტარასი და ამბობდა ხოლმე: „ესაც კარგი მეომარია— მტერი ვერ დაიმორჩილებს! ოსტაპს არა ჰგავს, მაგრამ კარგი მეომარია მეტადაო!“

ჯარმა გადასწყვიტა პირდაპირ ქ. ღუბნოზე მიეტანა იერიში, რადგანაც ხმა დადიოდა—დიდი ხაზინა და მრავალი მდიდარი მცხოვრებელია იქა. ღღე-ნახევრის შემდეგ ზაპოროჟელნი ქალაქს მიაღწენენ. მცხოვრებთ გადაეწყვიტათ უკანასკნელ ღონისძიებამდე მტერს გაჰმაგრებოდნენ და თავისს სახლ წინ და ქუჩებში დახოცილიყვენენ ყველანი, ვიდრე მტერი შეეშვათ შინ. ქალაქს გარს მალალი მიწის თხრილი ჰქონდა შემოვლებული, სანჯღლები დაემართათ; სადაც მიწა დაბალი იყო, იქ ქვის კედელი, ან სახლი და ხშირი მესერი იყო შემორტყმული, რომლებიც ერთად სიმაგრეს წარმოადგენდნენ. ჯარიც საკმაოდ ძლიერი ჰყვანდა ქალაქს, თავისის მოვალეობის ნათლად შემგნები. გაცხარებულნი ეცნენ ზაპოროჟელნი თხრილებს, მაგრამ მტერმა ტყვია დაუშინა. მოქალაქენი და ქალაქის მცხოვრებნიც უქმად არ იყვნენ, ყველანი მიწის ზვინებთან იდგნენ გროვად. ყველას რაღაცა სასოწარკვეთილი წინააღმდეგობა ეხატებოდა სახეზედ. ქალებიც კი მონაწილეობას იღებდნენ და უშენდნენ ზემოდან ქვებს, კასრებს, ქოთნებს, ცხელს ნახარშსა და ქვიშით სავსე ტომრებს, რომლებმაც თვალები მთლად დასთხარა ზაპოროჟელებსა. სიმაგრეების აღება საშინლად ეგავებოდათ ზაპოროჟელებს, რადგან ეს მათი ხელობა არ იყო. კოშევიომ ამისათვის უბრძანა უკან დაეწიათ და უთხრა: „არა უშავს-რა, ძმებო, დავიწიოთ უკანა; მაგრამ ბილწი თათარი ვიყო და არა ქრისტეანი, თუ ერთიც არის მაგათგანი ქალაქიდან გამოეჟუშვათ! დეე, ყველა ძაღლებივით შიმშილით ამოიღრძონ!“ ჯარ-

მაც უკან დაიწია და ქალაქს ალყა შემოარტყა; სხვას როგველარას გახდნენ, მიჰყვეს ხელი მიდამოებსა და მთლად ააოხრეს იქაურობა: გადასწვეს მახლობელი სოფლები და მინდვრად დადგმული ჰურის ფრთა-ქცეულები და გაუშვეს თავისი ცხენები გაუქრელ ყანებში, რომლებიც არა ჩვეულებრივს მოსავალს უქადიდნენ მემამულეთ. გულის ხეთქით გაჰყურებდნენ საცოდავად ქალაქში მომწყვდეულები, როგორ იწვოდა მათის ცხოვრების საღსარი. ამავე დროს ზაპოროჟელებს კი თავისი ურმები ორ პირად ალყად შემოერთყათ ქალაქისათვის, მოწყობილიყვენ ისრევე კურენებათ, როგორც „სეჩში“ სცხოვრობდნენ ხოლმე, ეწეოდნენ ჩიბუხსა, უცვლიდნენ ერთმანერთს ნადავლს იარაღს, თამაშობდნენ ჩიხარდასა, ლუსტუ-კენტსა და გულგრილად, დინჯად გაჰყურებდნენ ქალაქსა, ვითომდა აქ არაფერიაო. ღამ-ღამობით გააჩენდნენ ცეცხლს, შემოსდგამდნენ ყველა კურენის მექაშეები ვეებერთელა სპილენძის ქვაბებით ქაშსა და ჰხარშავდნენ. მთელს ღამეს ცეცხლთან დარაჯი იდგა ხოლმე. მაგრამ მალე მოსწყინდათ ზაპოროჟელთ ასეთი უმოქმედობა და ფხიზლობა, რომელსაც თან საქმე არ მოსდევდა. კოშვეოიმი გასცა ბრძანება ღვინო (არაყი) ერთი-ორად მეტი ეძლიათ, რაიცა მოხდებოდა ხოლმე ხან-და-ხან ჯარში, თუ რამ საქმელო საქმე არ მოელოდათ. ახალგაზრდებს და განსაკუთრებით ტარას ბულბას შვილებს არაფრად მოსწონდათ ასეთი ცხოვრება. ანდრიამ მთლად მოიწყინა. „უტვინო თავო“, ეუბნებოდა მამა: „მოითმინე ყაზახო, ატამანი იქნები! ის კი არ არის კარგი მეომარი, ვინც გაქირვებაში არ დაიბნევა, არამედ ის, ვინც უსაქმურადაც არ მოიწყენს, ყველას მოითმენს და რაც უნდა ჰქმნა, მაინც თავისას გაიტანს“. მაგრამ ახალგაზრდა და მოხუცი, აბა, როგორ მორიდდებოდნენ: სხვა იყო მათი ბუნება და სხვა თვალთ უყურებდნენ საქმესა.

ამ დროს კი ტარასის რაზმიც მიეშველათ ტოვკაჩის უფროსობით; რაზმს თან ახლდნენ ორი ესაული, მწერალი და სხვა თანამდებობის კაცნი. მთლად ოთხი ათასამდე ყაზახი შეიყარა. ბევრი იყო ამათში თავისუფალი ცხენოსანიც, რო-

მელნიც თავისის სურვილით გამოსულიყვნენ საომრად, როგორც კი საქმის გარემოება შეეტყუათ. ესაულებმა ტარასის შვილებს მოხუც დედისაგან ლოცვა-კურთხევა და თითო კვიბაროზის ხატი მოუტანეს კიევის მეჭიგორსკი მონასტრიდან. ჩამოიკიდეს ხატები ორთავე ძმებმა და უნებურად ფიქრს მიეცნენ მოხუცი დედა რომ მოაგონდათ. რას უწინასწარმეტყველებდა მათ ეს ლოცვა-კურთხევა? იმას, რომ მტერზე გაიმარჯვებდნენ და სამშობლოში მხიარულად დაბრუნდებოდნენ სახელოვანი ნადავლით, რომ მეფანდურეებს ქება შეესხათ ხოლმე თავის სიმღერებში, თუ?.. მაგრამ მომავალისა ვინ რა იცის, კაცის წინა სდგას, მაგრამ შემოდგომის ბურუსს ემზავსება: უაზროდ დაჰფრინავენ მალლა და დაბლა შიგ ფრინველები და ფრთებს აფრთიალებენ, თუმცა ერთმანერთს ვერა სცნობენ—მტრედი ვერ ჰხედავს ქორსა, ქორი—მტრედსა და არავინ იცის, უბედურება რამდენად შორიახლოს აქვს..

ოსტაპმა დიდი ხანია გააკეთა ყოველივე და თავის ბნაზე დაბრუნდა; ანდრიას კი რაღაცა გული ჰქონდა დახურული, თუმცა არ იცოდა, რადა და რისთვის. კარგა ხანია ყაზახებმა ივანშმეს. მთვარე დიდი ხანია ჩაესვენა და მკათათვის მშვენიერი ღამე იდგა; მაგრამ ანდრიას კუჭენში დაბრუნება არ უნდოდა, არა წვებოდა და უნებურად თავისს წინ გადაშლილს სურათს გასცქეროდა. ცა ურიცხვის მოკაშკაშე და ოდნავ მბჟუტავ ვარსკვლავებით მოქედილიყო. მინდვრად გაშლილი იყო ურმები ზედ ჩამოკიდულის სასაპნე-საკუბრეებითა და მტრისაგან ნადავლ სიმდიდრითა და საგზლითსავსე. ურმების გვერდით, ურმებს ქვეშ და მოშორებით ბალახში ყველგან ზაპოროჟელნი მოსჩანდნენ მწოლარენი. ყველას სასურათოდ ეძინა: ზოგს თავე ქვეშ ტომარა ამოედო, ზოგს ქული, ზოგს კიდევ ამხანაგის გვერდზე მიედო თავი. ხმალი, თოფი და მოკლე ჩიბუხი თავისის მოწყობილობით: სპილენძის ბალთებით, რკინის საშალებით და საკვესით ყველა ყაზახს მუდამ თან ჰქონდა. ვეებერთელა ხარებიც იქვე წამოწოლილიყვნენ და ფეხები ქვეშ ამოეწყუათ, ასე რომ შო-

რიდგან თეთრსა და რუხს ღიდრონ ქვებს ემსგავსებოდნენ. ყველა მხრიდგან ბალახებში მძინარე მხედრობის ზვრინვა გაისმა მიძიმედ, რომელსაც მინდორში გაშვებული ფეხებ-გაკრული ულაყები ფრუტუნით ბანს აძლევდნენ. მკათათვის ამ მშვენიერს ღამეს თითქოს ღიადი და მასთან მრისხანე რალაც დაპრთვოდა: შორიდგან დაპკრავდა შუქი ჩამწვარ მიდამოებისა. ერთს ადგილას ალი წყნარად და დიდებულად მიპკროდა ცასა; სხვადგან, უცებ აფეთქებული, ქარიშხალებრ მისწრაფვოდა მაღლა, გაპქონდა შუილი და მიპკროდა ვარსკვლავთ კიდისაკენ; თან შენაწყვეტი ალისა ზოლი შორეულს ცაში პქრებოდა. ჩაბუგული შავი მონასტერი კიდევ კარტეზიანელ მკაცრ ბერსავით რდგა მრისხანედ და თვითოეულს გაშუქებაზედ თავისს შავ-ბნელს დიდებულს სახეს აჩენდა; იქით მონასტრის ბალი იწვოდა: ისმოდა თითქოს როგორ გაპქონდათ შიშინი ცეცხლ-მოდებულ კვამლში გახვეულს ხეებსა; ავარდებოდა აქა-იქ უცბად ალი და მწიფე კუნძულებს დამასხვას გოგირდისა და ლილის ფრად გაანათებდა, ან ყვითელი, მწიფე მსხლები გამოპკრთებოდნენ ხოლმე ოქროს ფრად; იქვე მოსჩანდა კედელზე ან ხეზე ჩამოკიდული საბრალო ურისა ან ბერის შავად გარუჟული სხეული, რომელიც შენობასთან ერთად უნდა შთაენთქა ცეცხლსა. ცეცხლს შორიდან დასტილებდნენ მაღლა ფრინველები, რომლებიც ცეცხლისაგან გავარვარებულს მინდორზე პატარა შავ ჯვრებად მოსჩანდნენ. ალყა-შემორტყმულმა ქალაქმა თითქოს ჩაიძინა; ათასში ერთხელ გააშუქებდა ხოლმე შორეული ცეცხლი მხოლოდ სახლისა ბანებს, მაღალ შენობებს, კედლებს, გარეშემორტყმულ მესერს. ანდრიამ მთლად შემოიარა ყახახთა ბინა. ცეცხლი, რომლის პირადაც დარაჯნი ისხდნენ, მუდამ ჟამს ჩაქრობას პლამობდა, თვითონ დარაჯთაც ალბად ყახახურად ეგემათ რამე და მიეძინათ. გააცვიფრა, ცოტა არ იყოს, ამ უზრუნველობამ ანდრია და იფიქრა: „კარგია, რომ ახლო სადმე ძლიერი მტერი არა გვყავს და შიში არავისი გვაქვს“. ბოლოს მივიდა თვითონაც ერთ ურემთან, ავიდა ზედ, გადაწვა გულთ-აღმა და ხელები თავ ქვეშ ამოიწყო. მაგრამ არ იქნა

ვერ დაიძინა და დიდ-ხანს შეჰყურებდა ცას: გაკაშკაშებული ცა ხელის გულივით გადაშლილიყო; ირმის ნახტომი, ხშირნი ვარსკვლავნი, ცაზედ სარტყლად გარდართხმულნი, მთლად განათებული იყო. დროგამოშვებით ანდრია თითქოს მთლად დავიწყებას ეძლეოდა და სუბუქი ბურუსი გადაეკვროდა ხოლმე ცასა, მაგრამ მალე ისევ გამოერკვეოდა, ისევ განათდებოდა ხოლმე.

უცებ მოჩვენა ანდრიას, ვითომ ვიღაც ადამიანის სახე დაინახა. ეგონა სიზმარია და გაივლისო, მაგრამ თვალთ რომ გაახილა კარგად, ნახა, რომ ვიღასაც შეწუხებული, გამხმარი სახე დაეხარა და თვალეში ჩასცქეროდა. გრძელი, ნახშირით შავი, დაუწვნილი თმები თავზე წამოგდებულ შალ ქვეშ დაუდევრად ჩამოჰშლოდა. უცნაური ელვარება თვალებისა და შავი სახე, მკაცრად გამონასკვული, უფრო აჩრდილს ამსგავსებდა ამ მოჩვენებას. ანდრიამ უნებურად სიათას გაიკრა ხელი და ათრთოლებულმა შესძახა: „ვინ ხარ? თუ მაცდური ხარ, ვაჰქერ, თუ ცოცხალი ადამიანი, უადგილოა ეგ ხუმრობა— მოგკლავ ამავე წამს“.

პასუხის მაგიერ მოჩვენებამ თითი ტუჩთან მიიტანა და გაჩუმებას ემუდარებოდა თითქოს. ანდრიამ ხელი ჩამოაშვა და ყურადღებით დაუწყო სინჯვა. გრძელს თმასა, კისერსა და ნახევრად ღია შავ გულზე იცნო, რომ დედაკაცი იყო. მაგრამ იქაური არ იყო: პირი-სახე შავი და დაუძლურებული ჰქონდა; განიერი ყბის თავის ძვალი ჩაცვივულ ლოყებზე გადმოჰკიდოდა; წვრილი თვალეები კრკალივით მალლა ჰქონდა აწეული. რამდენადაც მეტად უკვირდებოდა, იმდენი თან-და-თან მეტს მზგავსებასა ჰპოვებდა, რომ ვიღაც ნაცნობი უნდა ყოფილიყო. ბოლოს ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

„მითხარი, ვინ ხარ? თითქოს გიცნობდი, სადღაც მინახინხარ?“

„ორის წლის წინად კიევში“.

„ორის წლის წინად კიევში“, გაიმეორა ანდრიამ და თან იგონებდა, თუ-ღა რამე ახსოვდა წარსულ ბურსაკულ ცხოვრე-

ბიდანა. კიდეე ჩააკვირდა თვლებში და უტბად ხმა-მადლა შეჰყვირა: „თათრის ქალი ხარ! მოურავის ქალის პანოჩკას მოახლე...“

„ჩუუ...“ წარმოსტკვა თათრის ქალმა, მთლად აცახცახე-ბულმა ხელები გულზე დაიწყო და უკან მიიხედა, ანდრიას ყვირილზე ხომ არავინ გამოიღვიძაო.

„მითხარი, მითხარ, საიღამ და როგორა ხარ აქა?“ ეუბნებოდა ანდრია თითქმის სულ-შეგუბებული, ჩურჩულით, რომელსაც მხოლოდ შინაგანი ძლიერი მღელვარება გააწყვეტი-ნებდა ხოლმე. „პანოჩკა სად არის? ცოცხალია კიდეე?“

„პანოჩკა აქ, ქალაქშია“.

„ქალაქში?“ გაიმეორა ანდრიამ და კინაღამ ისევ ძლიერად არ შეჰყვირა, თან იგრძნო, რომ სისხლი მთლად გულზე მოაწვა: „ქალაქში რა უნდა?“

„იმიტომ, რომ დიდი ბატონიქ ქალაქში ბრძანდება: აგერ წელიწად-ნახევარია დუბნოშია მოურავად“.

„რა-ა; გათხოვდა? მითხარი ჩქარა, რა უცნაური რამა ხარ! —ახლა რას შერება?..“

„მეორე დღეა, აგერ, არა უკამია-რა“.

„როგორ?“

„დიდი ხანია არც ერთს ქალაქის მცხოვრებს ლუკმა პური აღარა აქვს, ვველა მიწასა სკამს“.

ანდრია მთლად გაქევადა.

„პანოჩკამ ქალაქის სანგლებიდან დაგინახა, რომ ზაპორო-ჟელებთან იყავი და მითხრა: „წადი, უთხარი რაინდს, თუ ვახსომვარ, მოვიდეს ჩემთან, არა—და ერთი ნაქერი პური მაინც მოგცეს მოხუც დედისათვის, არ მინდა დედიჩემის სიკვდილი ვნახო. დეე, უწინ მე მოგკვდე, მერე ის. სთხოვე, მოეხვიე მუხლებზე: იმასაც ჩემსავით მოხუცი დედა ჰყავს,—იმის გულისთვის მაინც მოგცესო!“

ყაზახის ახალგაზრდა გულში უცებ გრძობათა ზღვამ გაი-
ღვიძა.

„მერე, შენ როგორ მოჰხვდი აქ? როგორ მოხვედი?“

„მიწის თხრილით“.

„მერე, გაქვთ, განა, მაგისთანა თხრილი?“

„გვაქვს“.

„სადა?“

„ხომ არ გაგვცემ, რაინდო?“

„წმ. ჯვარს გეფიცები!“

„ჩახვალთ ხრაშში, გაივლით ტოტს, იქ, სად ლერწმე-
ბია და“.

„და შეხვალთ ქალაქში?“

„პირდაპირ ქალაქის მონასტერთან“.

„წავიდეთ, წავიდეთ ეხლავ!“

„მაგრამ, ქრისტეს გულისთვის, არ დაივიწყო, ჰურის ნა-
ტეხი!..“

„კარგი. აქ იყავ ურემთან, ან არა, სჯობს ზედ დაწევი:
ვერავენ დაგინახავს, ყველასა სძინავს; მე ეხლავე დავბრუნ-
დები“.

და ურემებისაკენ წავიდა, სადაც იმათის კურენის საგზალი
იყო შენახული. გული ძლიერად უცემდა. მთელი წარსული,
ყაზახთა მკაცრის ცხოვრებითა და ბრძოლით მივიწყებულ-მი-
ძინებული, უცბად ისევ გამოცოცხლდა და დღევანდელი ყო-
ველივე დაჩრდილა. ამაყი დედაკაცი თვალ-წინ წარმოუდგა
ისევ, ისევ გაახსენდა მშვენიერი ხელები, თვალები, მომღიმა-
რე ტუჩები, ხშირი მოშავო კაკლის ფერი თმა, ხუჭუჭებად რომ
ეყარა მკერდზედ, ერთი სიტყვით, მთელი მისი შეთანხმებული
ქალწულებრივი ტანი. არა, ანდრიას ყველა ეს როდი ჩაჰქრო-
ბოდა გულში, მხოლოდ დროებით მიჰფარებოდა, რომ სხვა,
ძრიელ მოძრაობისათვის ადგილი დაეთმო; ხშირად გაჰკრთო-

ბია ძილი ახალგაზრდა ყაზახს ამ გრძნობათა გამო, მაგრამ მიზეზი ვერ აეხსნა.

მიდიოდა, მაგრამ გული თანდათან ძლიერად უცემდა, რომ კიდევ ჰნახავდა მას; მუხლთ ეკეცებოდა, ცახცახებდა. მივიდა ურმებთან, მაგრამ დაავიწყდა, რისთვის მივიდა, მიიღო შუბლზე თითი და დიდხანს იგონებდა რა უნდა ექმნა. უცებ შეხტა, შიშმა შეიპყრო: წარმოიდგინა, ვითომ შიმშილით კვდებოდა იგი. ეცა ურემსა და რამდენიმე ვებერთელა შავი ჰური ამოიღო ილღიაში; მაგრამ გაახსენდა მაშინვე, რომ ნახის აგებულობის პატრონისათვის ეს უბრალო, ზაპროკოელოს საკვები პური ძნელი მოსანელებელი იქნებოდა? აქვე გაახსენდა, რომ წინა დღით კოშვევი უსაყვედურებდა მექაშეებს სამის დღის საკმარისი ბურღული ერთად მოგიხარშიათო. დაიმედებულმა, რომ წინა დღით ყაზახებს მორჩებოდათ რამე, დაველო თავისს მამის სამგზავრო პაწია ქვებს ხელი და გასწია თავიანთ კურენის მექაშესთან, რომელსაც ჯერ ისევ თბილის ორის ათათვედრიან ქვების გვერდით ეძინა. ჩაიხედა, მაგრამ მისდა გასაკვირებლად ორივე ქვაბი ცარიელი დაჰხვდა. მართლაც-და იშვიათი, არა-ადამიანური* მადა უნდა ჰქონოდათ, რომ ეს ამოდენა ქვაბები ამოეცალათ, მით უფრო, რომ მათს კურენში ყველაზე ნაკლები იყო ხალხი. დაიარა და დასინჯა სხვა კურენების ქვაბებიც, მაგრამ ვერსად რა ნახა, და უნებურად მოაგონდა ანდაზა: „ზაპროკოელნი ბავშვებივით არიან—ცოტაა, შესჭამენ,—ბევრია, არც იმას გაუშვებენ გაუთავებელსაო“. რა უნდა ექნა? გაახსენდა, რომ მამის რაზმის ერთს ურემზედ თეთრი პურები უნდა ყოფილიყო ტომრით, გაძარცულ მონასტრის ფურნიდან წამოღებული. ანდრია გულ და გულ მივიდა ურემთან, მაგრამ ტომარა იქ აღარ დაჰხვდა: ოსტაპს თავ ქვეშ ამოედო და იქვე მიწაზე გულიანადა ხვრინავდა. სტაცა ხელი ანდრიამ ტომარასა და ზორბად გამოსწია, ისე რომ თავ ქვეშიდან გამოაცალა; ოსტაპის თავმა ძირს ბრავგანი მიიღო. წამოჯდა

ნამძინარევი ოსტაპი და თვალ დახუჭულმა მორთო ყვირილი: „დაიჭით, დაიჭით ძალლი ლიახი, ცხენიც დაიჭით, ცხენიცა!“— „ჩუმათა, თორემ მოგკალი!“ შეჰყვირა შეშინებულმა ანდრიაშა და ტომარა წამოუქნია. მაგრამ ოსტაპს მეტი აღარა უთქვამს-რა, მიწვა და ისეთი ხვრინვა ამოუშვა, რომ მისი სულთქმისაგან ბალახს გაჰქონდა ბიბინი. ანდრიამ ფრთხილად მიიხედ-მოიხედა ოსტაპის ბოდვამ ყაზახთაგანი ხომ არაფინ გამოაღვიძაო. ერთმა ჩუბიანმა ყაზახის თავმა თითქოს წამოიწია კიდევ მახლობელ კურენიდამ და მიმოავლო თვალი, მაგრამ მალე ისევ მიესვენა მიწაზედ. ორის წამის ცდის შემდეგ ანდრიამ ისევ გასწია თავისის ბარგით. თათრის ქალი უძრავად იწვა: „ადე, წავიდეთ! ნუ გეშინიან, ყველასა სძინავს? ვერ ჰზიდავ ერთ-ერთს ამ პურს, მე რომ ყველას ვეღარ მოვეერიო?“ უთხრა თათრის ქალს, მოიკიდა ტომარები; ერთ ურემთან კიდევ ერთი ტომარა ფეტვი სხვა მოიგდო ზურგზედ, დაავლო ხელი ახლა იმ პურებს, რომლებს წამოღებასაც თათრის ქალსა სთხოვდა და სიმძიმისაგან წელში მოკაკეული მძიმედ გაუდგა გზას მძინარე ზაპოროველთა შორის.

„ანდრია!“ შეუძახა ბულბამ, გვერდით რომ გაუარეს. გული გადაუქანდა ანდრიას, შედგა და აცახცახებულმა ჩუმად ჩაილაპარაკა: „რა იყო?“

„ე, ვინ დედაკაცია შენთან! აი, თუ ავდგები, გამიხარიან ავინთებ მაგ გვერდებსა! დედაკაცები ხეირს არ შეგყრიან!“ სთქვა ესა, დაეყრდნო მხარსა და შალში გახვეულ თათრის ქალს დაკვირვებით დაუწყო ცქერა.

ანდრია აღარც ცოცხალი იყო, აღარც მკვდარი, იდგა ქვასავით და ვერ გაეხედნა მამისათვის შეეხედა. ბოლოს, როცა აიხედა, ნახა, რომ მოხუცს ბულბას თავი ხელის გულზე მიედო და ეძინა.

ანდრიამ პირჯვარი გადაიწერა; შიშმა გადაუარა. შალში გახვეული თათრის ქალი, შორის ცეცხლისაგან ოღნავ გაშუ-

ქებული, შავის ქვის ქანდაკებასა ჰგავდა, ისე მკვდარივით გახე-
ვებულიყო შიშისაგანა. წაავლო ანდრიამ ხელი სახელში და
გასწიეს, თან განუწყვეტლივ უკან იხედებოდნენ, ხომ არავინა
გვხედავსო; ბოლოს ჩავიდნენ ღელეში, რომლის ძირადაც ზარ-
მაცად მიიკლაკნებოდა მდინარის ტოტი და რომელიც ღელი-
თა და ბალახით იყო დაფარული. ღელეში რომ ჩავიდნენ,
მინდვრიდან მთლად მიეფარნენ, სადაც ზაპროჟელნი იდგნენ
ბანაკად. ანდრიამ რომ მიიხედა უკან, მთელი კაცის სიმაღლე
ფერდობი მოჰფარებოდათ. მალლა, ფერდობზე, აქა-იქ, მხო-
ლოდ რამდენიმე ეკალა ბალახი მოქანაობდა, რომელსაც
თავზე აღმაცერად ოქროს ცელივით მოკაშკაშებული მთვარე
დაჰყურებდა. მინდვრის სისინა ნიავი ცხად-ჰყოფდა, რომ გათე-
ნებას ბევრი აღარ უკლდა. მხოლოდ მამლის ყვილი არსად
ისმოდა: არც ქალაქში და არც მოოხრებულს მიდამოებში
არსად აღარ იყო ქაჭანება მამლისა. გავლეს ტოტზე გადებუ-
ლი ხე და გავიდნენ მეორე ნაპირას, რომელიც უფრო შემა-
ღლებული და დახრამული იყო. როგორც მოსჩანდა, ამ ადგი-
ლას უფრო მაგარი და საიმედო უნდა ყოფილიყო ქალაქის
სიმაგრე: მიწის თხრილი შედარებით დაბალი იყო და იქვე
შორი-ახლოს მონასტრის მაღალი და სქელი კედელი იყო ამარ-
თული. ჩახრამული ნაპირი მთლად სხვილ ღეროიან ბალახით
იყო დაფარული. ნაპირსა და ტოტს შუა ღელეში კაცის სი-
მაღლე ღერწაში იყო აყრილი. ხრამის თავზედ რაღაცა წნუ-
ლი მოჩანდა, ნიშანი ქალაქის არსებობისა; — წნულის წინ ძირ-
ხვენას გაეშალა განიერი ფოთლები; მოჩანდა იქვე ნაცარ-ქათა-
მა და ლილიფარა, რომელსაც ყველაზე მალლა აეღო თავი.
აქ თათრის ქალმა გაიძრო ქოშები, აიწია კაბა და ფეხშიშველ-
მა გასწია, რადგანაც ჰაობიანი, წყლიანი ადგილი იყო. ღერწ-
მიანში ისინი ერთს ადგილს დაგროვილს ფიჩხის კონებს წაღ-
გნენ. გადაყარეს ფიჩხი და რაღაც გამოქვაბულის მზგავსი თხრი-
ლი გამოჩნდა, ცოტა იმაზე მეტი, ფურნეს რომ გაუკეთებენ

ხოლმე. დახარა თავი თათრის ქალმა და შევიდა; ქალს მიჰყვა
ახლა წელში მოხრილი ანდრია, რომ ტომრებით როგორმე
გატეულიყო და მალე ორივენი ბნელში დარჩნენ.

ინ-ანი.

(შემდეგი იქნება)

ს ე ნ თ ი *)

რუს-ოსმალის (1877—1878 წ.) უკანასკნელ ომს
დროის ისტორიული რომანი

რ ა ზ ზ ი ს ა

(თარგმანი სომხურიდან)

სულელმა დღეში ქვა დიაგორა, ასი კევიანი
შეიკრიბა და ამოღება ვერვის შესძლოვო.
ვიდრე კევიანი მოიფიქრებდეს, სულელი უკვე
წყალს გავაო.
სულელის პასუხი — სწორეაო.
ხალხური თქმულება.

I

ბაიაზეთს ალყა ჰქონდა შემორტყმული.

ნახევრათ დანგრეულს ქალაქს გარს ოსმალის ჯარის კაცთა, ბაშიბუზუკთა, ქურთთა, ბოშათა და სხ. ტომთა ბრბოსავან შემდგარი ოცი ათასზე მეტი კაცი შემორტყმოდა. მთელი ქალაქი ცეცხლში ისე გახვეულიყო, თითქო უზარმაზარი კოცონი აუნთიათო. სომხების სახლებში აღარავინ სჩანდა: მტარვალთა ხმალსა და ტყვევნა-რბევას მთლათ დაეცალიერებინა. ამ უბედურებას შხოლოდ მკირე ნაწილი გადარჩენილიყო, ისიც მარტო იმიტომ, რომ საზღვარს ახლო მდებარე სპარსეთის ქალაქ მაგუსკენ გაქცეულიყო და თავი იქ შეეფარებინა.

*) ხენთი ნიშნავს სულელს, დამთხვეულს, შეშლილს და მრავალ სხ. მაგრამ რადგან ამ სიტყვას სავსებით ვერც ერთი ქართული სიტყვა ვერ ხსნის, ამიტომ ისევ სომხური სახელწოდება დავტოვეთ. მთარგმნელი.

ბაიაზეთის პატარა ციხე-სიმაგრე ჯერაც ისევ ხელ-შეუხებელი იდგა. რუსის მცირე რაზმსა და სომეხ-ოსმალოთაგან შემდგარ მილიციას შეეფარებინა თავი და იმედ-გარდაწყვეტილნი მწარე მომავალს ელოდდენ. ციხეს მტერი ისე შემორტყმოდა გარს, თითქო რკინის რგოლიაო, და თან-და-თანობითი შევიწროებით უნდა ერთბაშად შემუსროსო. ციხესა და მიდამოს შორის მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილიყო.

ციხე-სიმაგრის გარ-შემორტყმა 1877 წ. ივნისის 6 დაიწყო და სრული 23 დღე გაგრძელდა. ეს სწორეთ ის დრო იყო, როდესაც რუსის ძლევა-მოსილ ხმლის ბედმა პირი იბრუნა. ადგილობრივი მაჰმადიანობა, პირველში რუსის შემოსვლას რომ ისე სიხარულით მიეგება, ხელობა აჯანყდა და ისმაილ ფაშის ჯარებს შეუერთდა. ერევნის ატრიადის სარდალი გენერალი ტერ-ლუკასოვი თავისი მცირე რიცხოვანი ჯარით იმ დროს ზეითევანისა და დალიბაბას შუა იყო დაბანაკებული და მუხთარ-ფაშის ხუთჯერ უფრო მეტ ძალას მამაცად ებრძოდა. როგორც ეტყობოდა, მან არა იცოდა-რა, რა უბედურებაც შემთხვევოდა საბრალო ბაიაზეთს, რომელიც მეციხოვნე (КОМЕДИАНТЬ) შტოაკვიჩისთვის ჰქონდა ჩაბარებული.

ღამე იყო.

ნამგლის მსგავსი ახალი მთვარე ის იყო ჩასულიყო და არე-მარე მთლად სიბნელეს მოეცვა. ეს წყვილი ამ ხელათ მფარველობას უწევდა ციხეში მყოფთ, რადგან მსოფლიოს საყვარელ მთვარის ვერცხლებრივ სინათლეს მათი არა სასურველი მდგომარეობის გამოაშკარავება შეეძლო. მაგრამ ამ წყვილი-აღმა მაინც ვერ შეიკავა მტარვალთა გამძვინვარებული თავდასხმა. ბაიაზეთის პატარა ციხე ერთ პატარა გორაკზე იყო წამოსკუპული შავი წერტილივით. მტრის მთელი ყურადღება ამ შავ წერტილისკენ იყო მიქცეული და ამიტომ ზარბაზნის ტყვიები თუ სხვა გვარი ასაფეთქებელი საგნები სეტყვასავით ეცემოდა. ციხე ისე ღმუოდა, თითქო რომელიმე გოლიათი მხეცი დაუბამთ და ყოველ მხრივ შეწუხებას აყენებენო. იგი ჯერ კიდევ იბრძოდა, მოახლოვებულ აღსასრულს უმკლავდე-

ბოდა; გარდაწყვეტილი ჰქონდა, თუ თავს ვერაფრით უშველიდა, სახელიანად მაინც მომკვდარიყო. ათასმდე რუსის ჯარის-კაცები და სომეხ-ოსმალთაგან შემდგარი მილიცია ის-მაილ-ფაშის ოცი ათასი კაცისაგან შემდგარ ძალის წინაღმდეგ იბრძოდნენ. ციხიდან ზარბაზნებს იშვიათად ისროდნენ, რადგან ტყვია-წამალი უთავდებოდათ და უფრო საჭირო დროსთვის ზოგავდნენ. ხან-და-ხან კი ერთს ან ორს ზარბაზანს ისროდნენ იმ მხრისკენ, საიდანაც მტრის ცეცხლი მოჩანდა.

სწორეთ იმ ღამეს ციხის ერთ ნაწილზე შენობათაგანში (რომელიც ერთ დროს ოსმალთს ჯარის სადგომის როლს ასრულებდა, მაგრამ რუსის შემოსევის დროს მიენგრ-მოენგრიათ და ისე გაქცეულიყვნენ) ხალხის ერთი წყება- მიწაზე დაყრილიყო და თავისის ქანც-გაწყვეტილობითა და უბედურობით საშინელ სანახაობას წარმოადგენდა.

— ერთი წვეთი წყალი!.. დაეიხრჩე წყურვილით... — მწარე ოხვრა-გმინვით გაისმოდა აქეთ-იქიდან.

— ერთი ლუკმა პური!.. მოკვდი სიმშლით... — ისმოდა სხვა მხარეს.

იმ საბრალეებს ერთი კვირის განმავლობაში თითქმის არც-არა ეკამათ და არც-არა დაელიათ-რა. ციხეს ისე უცებ და მოულოდნელად შემოერტყა მტერი, რომ შიგ მყოფთ საჭირო საგძლის შეტანა ვეღარ მოასწრეს, ამის გამო იძულებული იყვნენ სამ საშინელ მტერს გამკლავებოდნენ: ციხის შიგნით—სიმშოლსა და წყურვილს, გარეთ კი — მტრის შეუბრალებელ ცეცხლს.

ივნისის 8-დან ჯარის კაცებს თბილი საქმელი აღარ ეძლეოდა. მეციხოვნისა და არტილერიის ყველა ცხენი დაკლეს და შექამეს. ცხენებისთვის დანიშნული ქერიც ჯარის კაცთ მოხმარდა. ბოლოს საგძალი ისე გამოელიათ, რომ თითო ჯარის კაცს გირვანქის მერვედი („ასმუშკა“) სუხარი და თითო კოვზი წყალი-ლა ეძლეოდა. ივნისის სიცხე-კი თან და-თან უფრო აუტანელი ხდებოდა. საავადმყოფოში მყოფ ავადმყოფთა ხვედრი

ქამა-სმის მხრივ კარგა მყოფთა ხვედრისაგან არაფრით განირჩეოდა.

ციხე-სიმაგრეს წყალი არა ჰქონდა. ციხის გარეთ კი, ასე სამასი ნაბიჯის სიშორეზე, ერთი წყარო იყო, მაგრამ იგიც ოსმალებს დაეწყვიტათ. ყოველ ღამე ცდილობდნენ და ციხიდან გარეთ გადიოდნენ წყლის მოსატანათ, მაგრამ 20-30 კაცთან უკან ხშირათ ერთიც ვეღარ ბრუნდებოდა.

— ჰური!.. წყალი!.. გაისმა კვლავ გულის მომწყვლელი კვნესა.

მაგრამ აგერ ზარბაზნებმა კვლავ დაიგრიალა და ბედკრულთ ხმა ჩააწყვეტინა...

ეს წამი სწორეთ ის-წამი იყო, როდესაც ადამიანი მოყვასისადმი ყოველ-გვარ სიბრალულსა ჰკარგავს, რადგან შველის, დახმარების ჩარა აღარ არის. სწორეთ ეს იყო მიზეზი, რომ მშვიერთა და წყურვალთა ვაებას ყურადღებას არაეინ აქცევდა. ამ საერთო უბედურობის დროს ყველა იმ უკანასკნელ წამს ელოდდა, როდესაც მტერი აღიდებულ წყალსავით შევარდებოდა და იარაღით ხელში ნამუსიან სიკვდილს შეეგებებოდა.

მოდარაჯე ჯარის-კაცები ციხის ბურჯებში ჩამალულიყვნენ და სათოფურებიდან მტრის მოძრაობას თვალ-ყურს ადევნებდნენ. თავები მაღლა ვერ აეღოთ, რადგან მტრის საბანაკო ადგილებიდან საშინელი სროლა იყო ატეხილი, ტყვიას საზარელი ზუილი გაჰქონდა და დარაჯთა მახლობლად უსიამოვნო სითბოს ავრცელებდა.

ციხიდან კარგად მოჩანდა ქალაქი, რომელიც საზარელ სანახაობას წარმოადგენდა. ისე იყო განათებული, თითქო დიდი დღესასწაულიაო. განათებული იყო აგრეთვე მიდამოს მაღალი ადგილები. ადამიანთა მტარვალობის დღესასწაული იყო გაჩაღებული. იგი მხეცთა დღესასწაული იყო და მუსულმანებიც ზარითა და ზეიმით იხდიდნენ. თავისი მთელი საშინელებითა და ბოროტი სულებით გარშემორტყმული ტარტაროში თუ შეედრებოდა ამ გვარ მტარვალობასა და შეუბრალებლობას!.. იწვებოდა სომეხთა სახლები. ყოველი სახლის კარ-ფანჯრები

დან აღიდებულ ღვარსავით შავ კვამლთან ერთად ცეცხლის ალი გამოგრილებდა, გუგუნით მალლა მიჰქროდა და ცაში შადრევნის ნაპერწკლების მსგავსათ იშლებოდა. ცეცხლი თანდა-თან ძლიერდებოდა, მთელი სომხის უბანი ცეცხლში იყო შთანთქმული. ცეცხლი თანდა-თან ბანებსა და სახურავებსაც ედებოდა და აქეთ-იქიდან ალი ენების მსგავსათ გამოჰქროდა. დამწვარი კოჭები თავის დანიშნულებას ვეღარ ასრულებდა, სახლის სახურავები საშინელი ხმაურობით ინგრეოდა და ცეცხლის საბნებად ატყდებოდა თავს უბედურ მცხოვრებლებს, რომელთაც ცეცხლი ისე სწრაფლად შემოხვეოდა გარს, რომ გარეთ გამოსვლაც-კი ვეღარ მოესწროთ. საბრალო მსხვერპლთა ღრიალი და ხვეწნა-მუდარის ხმა უერთდებოდა საშინელ გრიალს ცეცხლის ალისას, რომელიც ცაში უზარმაზარ ვეშაპივით იკლაკნებოდა და მიდამოში საშინელ სინათლეს ავრცელებდა. ამ სინათლის წყალობით ყველაფერი ხელის გულსავის მოსჩანდა, ერთი მეორეზე უსაშინელესი სურათები ისე მისდევდა ერთმანეთს, თითქო უშველებელი პონორამააო. მუსუღმანები სომხებს მუსრს ავლებდნენ... ხოცავდნენ იმათ, რომელთაც ცეცხლისთვის თავი ძლივს დაეღწიათ. სქესსა და წლოვანობას (ჰანაკს) არავინ არჩევდა... ყმაწვილ ქალებს ნაწნავებში ავლებდნენ ხელს და სახლებიდან გარეთ ათრევდნენ... ყოველ მხარეს საშინელი კენესა-ღრიალი და მუდარების ხმა გაისმოდა... მაგრამ უბედურთა ვაება და ცრემლი მხეცთა გულს ვერ აღლობდა...

ამ მტარვალობაში მონაწილეობას არა თუ მარტო ქურთები იღებდნენ, არამედ ოსმალეთის კანონიერი ჯარი და, რაც უფრო საშინელია—თვით ქურთების დედაკაცებიც-კი!.. ამ უკანასკნელთ დედობრივი სიბრალული და სიყვარული დავიწყებოდათ, სომეხთა დედებს გააფთრებულ ფურიასავით (ავი სული) ეცემოდნენ, უბიდან ბავშვებს სტაცებდნენ და ცეცხლში ჰყრიდნენ... სომეხების მხრივ თვით უბრალო წინააღმდეგობაც-კი სიკვდილით ისჯებოდა...

სისხლის ღვრა სამს დღეს გაგრძელდა.

რამდენიმე სომხის თავისუფალი ჯარის კაცი ამ ჯოჯო-ხეთურ სანახაობას ციხე სიმაგრედან გაჰყურებდნენ და თან მწარეთ იცრემლებოდნენ...

— ოჰ, როგორ ჟღერებენ!.. გაიძახოდნენ კენესით.

იქვე იღვა ერთი სხვა ახალგაზდა სომეხი და იგიც ქალაქში მომხდარ მტარვალობას გასცქეროდა. თვალეში ცრემლი არ უჩანდა. გაჯავრებულ სახეზე ნაღველის აჩრდილიც კი არ ემჩნეოდა; მისი გული ამ ჟამათ მწარე ზიზლით იყო გავსილი, მაგრამ არა იმ მხეტთა მიმართ, რომელნიც ყველაფერს სწვავდნენ, ჟღერებდნენ, არამედ იმ მხდლებიხადმი, რომელნიც ბატკნებივით წვებოდნენ ყელების დასაქრელათ!..

— ერთი იმათ უცქირეთ! წამოიძახა მან, — იმოდენა ხალხში ერთ კაცს ვერ ნახავთ, რომ თავის მკვლელს ხელს უბრუნებდეს!.. განა კიდევ ამაზე მეტი საშინელებაა საჭირო, რომ ადამიანის გულში სიბრაზისა და ჯავრის ამოყრის გრძობა დაჰბადოს!? სახლკარს თვალწინ უწვავენ, შვილებს ცეცხლში უხრაკავენ; ცოლსა, ქალსა სტაცებენ!.. ვაჟაკი ყველა ამას თვალით უყურებს და თითონაც სრულის მორჩილებით კისერს უწვდის მტრის ხმალს! შე წყეულო, შენც კაცი ხარ! გასდარი ხელი, გადაუხადე სამაგიერო და ისე მოჰკვდი!

— ვარდან, მაგეთი უგულო ნუ ხარ ხოლმე, — შენიშნა ერთმა ამხანაგთაგანმა.

ვარდანმა არა უპასუხა-რა და გაშორდა იქ მდგომთ. თითქო ემძიმებოდა იმ გვარი სანახაგების ყურება, რომელშიაც სომხის სასირცხვილო სურათს ჰხედავდა. „ამ ერს სახელოვანი სიკვდილი არ შეუძლიაო“, — ფიქრობდა იგი.

კოტა მოშორებით ციხის ერთ მიყრუებულ კუთხეში შეგროვილიყვნენ სომხის სხვა თავისუფალი ჯარის-კაცები და შემდეგი ლაპარაკი ჰქონდათ გაბმული:

— თუ პეტროსიც არ დაბრუნდა, ამაღამ ეგ მეხუთე მსხვერპლი იქნება.

— ძალიან კი დაიგვიანა და... ვინ იცის საწყალი..

— არა, არა, ყური დაუგდეთ, ეს სწორედ მისი ხმაა! — ყვავის ჩხავილი ხომ გესმით?

— სწორეთ ის არის! თოკის კიბე ჩავუშვათ!

თოკი ჩაუშვეს, რამდენიმე წუთის შემდეგ გალავანზე ამოგოგდა ერთი ქაბუკი, რომელსაც ზურგზე წყლით სავსე მოზდილი ტიკი ჰქონდა გადაკიდებული. ამხანაგები მიეშველნენ და ძირს ჩამოიყვანეს. მაშინვე მიეხვივნენ და სიხარულით ხვევნა-კოცნა დაუწყეს. ერთი მათგანი უცებ შეკრთა, უკან დაიწია და უთხრა:

— სახე სველი რათა გაქვს?

ამ დროს ცეცხლის ალი უცებ მაღლა აფარდა და პეტროსის შეღებილი პირის სახე გაანათა.

— სისხლი სდის! — წამოიძახა ყველამ.

— არაფერია, — მიუგო სიცილით პეტროსმა: — რამდენი ხანია პირი არ დამიბანია, ეხლა კი გაგიხარიან ვიბანე...

პეტროსმა მოკლედ შემდეგი უამბო: წყალს რომ მიცუახლოვდი, რამდენიმე დარაჯი დავინახე, როგორც ეტყობოდა, ოსმალებს დაეყენებიათ, რომ წყალი არავის წამოეღო; დამინახეს თუ არა, მაშინვე მომეხვივნენ და, ვიღრე ყველას „ხმას ჩავაკმენდინებდი“, თავში დამქრესო...

— ანესა, თომასი, ადამი და ნერსონი რალა იქნენ? — შეეკითხნენ აქეთ-იქიდან.

— ეშმაკმა იცის იმათი თავი და ტანი! — მიუგო თავისი ჩვეულებრივი ხუმრობის კილოთი: — იმ წყეულებს თითქო ერთმანეთისთვის პირობა მიეცათ, რომ ერთ ღამეს წაეღოთ თავიანთი შნო და უნარი წიაღსა შინა მათი მამა-პაპისა... ერთი გალავნის ძირშივე ეგდო, ეტყობოდა, ჩასვლისათნავე გადაეყლაპა ტყვია... მეორე შუა გზაზე გორავდა, საწყალს ჯერ ვერ „მოესვენა“. ერთი უძრავი კუნძივით წყაროსთან დაგდებულიყო... საბრალო თომასი კი ცოტა მოშორებით მიწოლილიყო, გვერდის ქრილობაზე ხელი მიედო და ქურთებსა სწყევლიდა... მეც ავდექი და იმათი ჯავრი ამოვიყარე.

ის ოთხი ახალ გაზდა სომეხი, რომელთა შესახებაც პეტროსი ლაპარაკობდა, ერთი ერთმანეთზე წყლისთვის იყვნენ გაგზავნილნი, მაგრამ ვერც ერთიც ვერ დაბრუნებულყო. ამ გვრი რამ ისე ხშირად ხდებოდა, რომ სიკვდილი, მკვლევლობა ჩვეულებრივ მოვლენათ ჰქონდათ გარდაქცეული. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პეტროსის ნაამბობს ამხანაგებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. იმაზედაც კი არას ფიქრობდნენ, რომ პეტროსის თავის კრილობა შეეხვიათ, საიდანაც ჯერაც სისხლი არ შესწყვეტოდა, თუმცა ეს გარემოება არც თუ თითონ პეტროსას მოჰგონებია.

— ეშმაკმა წაიღოს ქურთების თავი და ტანი! — განაგრძო მან: — მაგ წყეულებს თითქო მგლის თვალები აბიათო, ისე ხედავენ ბნელაში. საიდანაც კი რაიმე ხმაურობას მოჰკრავენ ყურს, მაშინვე ტყვიას მიაქედავენ; ერთს შეაჭრუოლებს და გაგორდება კაკალი კაცი...

ასე ლაპარაკობდნენ ბნელაში, ბოლოს ძლივს გაანსენდათ პეტროსის კრილობა და შეუხვიეს. შემდეგ წყლით სავსე ტიკს დაავლეს ხელი და გაეშურნენ, სადაც ხალხი იყო მოთავსებული. ვინ იცას ის ტიკი რამდენი სულის სიცოცხლეს შეიცავდა!

— ბიჭებო! — თქვა ერთმა მათგანმა: — ოსმალებს ერთ წვეთსაც ნუ მივცემთ: ხუმრობა საქმე ხომ არ არის? ამ ერთი ტიკი წყლის გულისთვის ოთხი კაცი დავკარგეთ. მაგათგან კი არავინ იკადრა ციხის გარედ გასვლა.

— არა, ეგ არ ივარგებს, — თქვა პეტროსმა: — მაგათაც უნდა მიეცეს.

— რატომ არ ივარგებს? — მიუგო პირველმა, — რამდენიმე დღის წინად მაგათაც მოიტანეს წყალი, მაგრამ ქურდებსავეთ დამალეს და მარტო თითონ გამოიზოგეს.

— ისინი ცუდათ მოიქცნენ, მაგრამ ჩვენ უნდა დავუმტკიცოთ, რას ნიშნავს ძმობა ომინანობის დროს ჯარის-კაცთა შორის.

ამ დროს კიდევ მიაღწიეს დანიშნულს ადგილს.

— წყალი!.. წყალი!—გაისმა სიხარულის კიჟინა და იმოდენა ხალხი ახალგაზდებს მიეხვია.

შეუძღვებელია აწერა, რა სიხარულითა და აღტაცებით მიეგება იმოდენა მწყურვალნი ხალხი წყლის ტიკს. შეიქნა ერთი ჟრიაშული, აირივ-დაირივნენ, ყველას უნდოდა მეორეს თავზე გადაჰფრენოდა, რომ წინ თითონ დაეღია.

— სანთელი აგვინთეთ და ხელს ნუ შეგვიშლით: ყველა თავის წილს მიიღებს, თქვა წყლის მომტანმა ახალგაზდამ და ტიკი ძირს დადო.

აანთეს კვარი, რომელმაც სიხარულისგან თავ-დავიწყებულსა და აღტაცებულ ხალხს მკრთალი მოლურჯო სინათლე მოჰქინა.

ერთმა ახალგაზდა სომეხმა გამონახა ერთი მომცრო არყის ტიქა და წყლის დარიგება დაიწყო. წყალს სუნი და გემო საზიზღარი ჰქონდა. რამდენმამე დალია, მაგრამ ვერა შეატყო-რა. ერთმა-კი წამოიძახა:

— ეს რა ფერის წყალია?

— დალიე,—მიჯგო იქვე მდგომმა პეტროსმა:—იქნება არ იცი, რომ ქურთები ეხლა მაგრე შეღებულ წყალს გვაძლევენ?..

— როგორ თუ შეღებულს? ხმა მისცეს აქეთ-იქიდან.

— ჩვენი სისხლით ღებავენ... თქვენ უნდა გენახათ, ტიკს რომ ვავსებდი, წყალში რამდენი გვამი ეყარა!..

ყველას შეეზარა, მაგრამ უკან-კი მაინც არავინ დაიხია. სვამდნენ ადამიანის სისხლით შეღებულ რალაც სითხეს, რომელშიაც, ვინ უწყის, რამდენი ადამიანის გვამი იყო გახრწნილი!.. ერთი მათგანი იქამდინ მივიდა, რომ ამგვარი ბარბაროსული სახუმარო სიტყვებიც-კი წამოიძახა:

— უფრო კარგი!.. წყალი გაპოხიერებული იქნება და უფრო მეტს ღონეს შეგვმატებს.

გარნა გამხიარულებულ ჯარის კაცთა ლაპარაკი ჩქარა შესწყდა. შორიდან კვლავ მოისმა ზარბაზნების გრიალი და ყუმბარებს საშინელი ზუილ-წუილი გაჰქონდა. ერთი მათგანი

ციხეს შიგნით დაეცა ჯარის კაცთა მახლობლად, გასქდა და მრავალი წუთი-სოფელს გამოასალმა.

ამ დროს ციხის ერთს ოთახში, სადაც ერთ დროში ოსმალებელ მეციხოვნეს ეცხოვრა, რუს მეციხოვნე შტოკვიჩის რამდენიმე აფიცერი შეეკრიბა და სამხედრო თათბირი ჰქონდათ. საბჭოში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე სომხისა და ოსმალოს მილიციის უფროსები. მომცრო მაგიდაზე ლამფა ენთო და დამსწრეთა დაღვრემილსა და დაფიქრებულ სახეს მკრთლათ ანათებდა.

უკანასკნელ ხანს წერილი წერილზე მისდიოდათ მტრის ბანაკიდან და დაჟინებით უთვლიდნენ—დაგვენბდითო. წერილები დაწერილი იყო რუსეთის დაუძინებელი მტრის გამოჩენილი შამილის შვილის, გენერალ-ლეიტენანტი შამილის ხელით, რომელიც თუმცა სულთანის მბლებელთა უფროსად იყო დანიშნული, მაგრამ საჭიროებას ბრძოლის ველზე გაეყვანა. უკანასკნელი წერილი მუქარითა და დაპირებით იყო საესე. სამხედრო საბჭოს საგანიც სწორეთ ეს წერილი იყო: უნდა გარდაეწყვიტათ—რა მიეცათ პასუხათ.

—სანამ პირში სული გვიდგა, ნუ დაენებდებდით! წამოიძახა მეციხოვნემ.

—ალყის შემორტყმა რომ კიდევ რამდენსამე დღეს გაგრძელდეს, წინააღმდეგობას ვეღარ შევიძლებთ, თქვა ერთმა აფიცერთაგანმა.

—ჩვენი მდგომარეობა დღესაც აუტანელია, —სთქვა მეორემ:—არც საჭმელი პური გვაქვს და არც ტყვია-წამალი.—არ ვიცი, ეს სულელი ქურთები რალას ახანებენ და ერთბაშათ არ დავეცემიან!.. რით უნდა გავუმკლავდეთ?—დაუმატა ცოტა არა გაჯავრებული კილოთი.

—დიად, ძალიან მოუფიქრებლად მოვიქვცით... თქვა სხვა აფიცრმა.

—წარსულს ვეღარ მოვებრუნებთ, ისევ მომავალზე ვიფიქროთ, —შენიშნა კამენდანტმა, რომელიც კრებას თავმჯდომარეობდა და სამხედრო კანონების თანახმათ დიდი უფლებებით

იყო აღჭურვილი.—სანამ პირში სული გვიდგა, ნუ დაენებდებოთ!—გაიმეორა პირველად ნათქვამი სიტყვები.

— თუ გარედან შეველა არა მოგვეცა-რა, დაღუპულები ვართ, მიუგო ოსმალოს თავისუფალ ჯარის უფროსმა-ხანმა.

— დახმარების ლოდინის ჩარა აღარა გვაქვს,—თქვა ერთმა ბეგმა;—უმჯობესია ციხის კარები გავაღოთ და გარშემორტყმული მტრის წრე გაეარღვიოთ: ამ გვართ ან თავს ვიხსნით, ან მტერს ჩაუვარდებით ხელში.

— ეგ უკანასკნელი გარემოება უფრო მოსალოდნელია,— მიუგო სომხის თავისუფალი ჯარის უფროსმა,—და შედეგიც საშინელი იქნება. ამ ჟამათ ეს ციხე-სიმაგრე ოსმალეთის ჯარის წინსვლას აბრკოლებს; ამასაც რომ დაეკარგავთ, მაშინ ისმაილ ფაშის ბაშიბუზუკებს გზა გაეხსნებათ, რამდენიმე დღის განმავლობაში სულ ადვილათ დაიპყრობენ ერევანს, ნახიჩევანს და ვინ იცის იქნება უფრო შორსაც წავიდნენ... ადგილობრივი მაჰმადიანობა, ნამდვილათ ვიცი, მოუთმენლათ ელის მაგ არა მკითხვე სტუმრებს; სომხებს-კი იარაღი სულ არ გააჩნიათ, რომ რაიმე წინააღმდეგობა გაუწიონ. აღნიშნულ ქვეყნების დასაცველათ სულ მცირე ჯარია დატოვებული, რადგან ჩვენი უმთავრესი ძალა ყარსის მიდამოებშია დაბანდებული. ვიდრე იქ რამეს შევატყობინებდეთ, ოსმალები ქვეყანას სულ გაანადგურებენ.

სომეხთა უფროსის სიტყვებმა ხანი გააწიწმატა და გამწყრალი კილოთი წამოიძახა:

— მაჰმადიანებს თქვენ ექვის თვალით უყურებთ.

— მართალია და ჩემი ექვი არც თუ უსაფუძვლოა, რადგან დასამტკიცებელი საბუთი ბევრი მოიპოვება. რაღა შორს წავიდეთ, ამ საათში რომ ქურთები გვარტყიან გარს, იმათში ბევრია იმისთანა, რომელიც ომის დაწყებამდე რუსის ქვეშევრდომათ ითვლებოდა. ნახიჩევანის მახლობლად კიდევ ვიღაც დამთხვეული მოლა გამომდგარა და იძახის: სიზმარში ვნახე, ჩქარა ამ ქვეყანას ისლამი დაეპატრონებაო.

თავმჯდომარემ მობაასენი შეაჩერა და სთქვა:

— უნდა მოვიცადოთ და უკანასკნელ სულის ამოსვლამდე მტერს ვებრძოლოთ. იმედი მაქვს, რომ ჩქარა რამე გვეშველება. გენერალი ტერ-ლუკასოვი აქედან არც ისე შორს არის დაბანაკებული და გაიგებს თუ არა ჩვენს გაჭირვებას, მაშინვე ბაიაზეთის დასახსნელად გამოეშურება. მხოლოდ ეს არის, ჩქარა უნდა შევატყობინოთ.

— მერე როგორ უნდა შევატყობინოთ?— ჰკითხეს აქეთ იქიდან.

— წერილით.

— ვინ მიუტანს?

— ამოდენა ხალხში, იმედია, ერთი გულადი ვაჟაკი მაინც გამოჩნდება.

— ვთქვათ კიდევ გამოჩნდა, მერე ყოველ მხრივ გარშემორტყმულ მტერს როგორ უნდა გაატანოს?

— ვცადოთ.

საბჭომ გარდასწყვიტა ტერ-ლუკასოვისთვის წერილით ეცნობებინათ თავისი გაჭირვება. ხუთმეტი წუთის შემდეგ წერილი მზათ იყო. კამენდატმა წერილი ხელში აიღო და სხვებთან ერთად გარეთ გამოვიდა.

გაისმა საყვირის ხმა და მთელი ჯარი ციხის მოედანზე შეიკრიბა. კამენდანტი წინ წარდგა და ხმა მაღლა წარმოსთქვა:

— ძმებო, ჩვენი მდგომარეობა ყველასთან ცხადია, ასე რომ ამაზე ლაპარაკი-კი მეტია. მთელი ჩვენი იმედი ახლა ღმერთზეა დამოკიდებული და მისი დახმარებით გარედან მოსულ შეველაზე. თუ დახმარებამ დაიგვიანა, დავიღუბებით. მაშასადამე ჩვენი გაჭირვება ჩქარა უნდა ვაცნობოთ ვისაც ჯერ არს. აი ეს წერილი უნდა ჩაჰბარდეს გენერალ ტერ-ლუკასოვს, რომელიც აქედან არც ისე შორს იმყოფება. წერილის მიღების უმაღლესე ჩვენ გამოსახსნელად გამოეშურება. ვინ იქნება თქვენში იმისთანა გმირი, რომელიც ამ დიდ საქმის შესრულებას იკისრებდეს? ვინც არის ამისთანა, მოვიდეს ახლო და წერილი ჩამომართოს. პირობას ვაძლევ, რომ ისეთ საჩუქარს მიიღებს, როგორისაც-კი ღირსი იქნება ამოდენა ხალხის

დახსნის მიზეზი.—ვისაც წერილის წაღება უნდა, ხმა ამოიღოს.

საერთო სიჩუმე ჩამოვარდა, იმოდენა ხალხში ხმას არავინ იღებდა.

— ვიმეორებ,—განაგრძო მეციხოვნემ უფრო გრძნობიერი ხმით,—ჩვენი ხსნა ამ წერილზეა დამოკიდებული: ვისა სურს ამგვარი დიდების დამსახურება, რომ ამოდენა ხალხის მხსნელად იწოდებოდეს?

კვლავ ხმა არავინ ამოიღო.

— ნუთუ თქვენში ასეთი გულადი არავინ არის? — წამოიძახა აკანკალებული ხმით,—წერილის წაღებას ვინ კისრულობს!?

— მე! წამოიძახა ერთმა ახალგაზდა კაცმა, ხალხი გაარღვია, კამენდანტის წინ წარდგა და წერილი ჩამოართვა.

ამ ახალგაზდა კაცის სახელი ვარდანი იყო*.)

II

მეორე დღით, როცა მზემ ქვეყანას თავისი პირველი სხივები მოაჭინა, ბაიაზეთი და მისი მიდამოები საზარელ სანახაობას წარმოადგენდა. ახლა-კი ცხადათ სჩანდა შედეგი იმ ხოცვა-ჟლეტისა, რომელიც სამი დღისა და სამი ღამის განმავლობაში მტარვალეებმა ჩაიდინეს.. ქალაქში სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. ამ სიჩუმეს მხოლოდ იმ ყვავ-ყორანთა ჩხავილი-ლა არღვევდა, რომელნიც გუნდებთ ხან ერთს ადგილს დაეცემოდნენ, ხან მეორეს და გახელებულნი ადამიანის ლეშსა თქვლევადნენ. უბედური ქალაქის ქუჩები მტკათ სამწუხარო და გულის მომწყვდიელ სურათს წარმოადგენდა. სახლები მთლათ ფერფლათ იყო ქცეული... ადგილ ადგილ ზოგიერთი დაუწველი საგნები ისევე

*) მართალია ახალგაზდა კაცის სახელი სამსონი იყო, მაგრამ ჩემი რომანის გმირისგან მე სულ სხვა ტიპი შევქმენი. რითაც ისტორიულ სინამდვილეს, ცოტა არაა, მხარი ავუქციე. იმედია, მკითხველი შემინდობს, რომ კერძო სინამდვილე საკუთრათ მწერლობითს (პოეტურს) თავისუფლებას შევწირე: შენიშ. ავტორისა.

ბოლაჯდა... თითქმის ყოველ სახლის წინ მოხუცებულთა, ახალგაზდათა, მანდილოსანთა და ბავშვთა უსულო გვამები ეყარა... სიმშლიისაგან გახელებული ძაღლები გვამებს აქეთ-იქით ათრევდნენ და ყეფა-ლრენით ყვავების გაფთხოვას ცდილობდნენ... ყველგან, ეზოში, სახლში თუ ქუჩაში გახრწნილ გვამთა საშინელი სუნი ტრიალებდა...

ამგვარად დაღუპებულ ქალაქში ერთათ ერთი ციხე-სიმაგრე-ლა იდგა უცვლელად და სამწუხარო მომავალს ელოდდა...

ალყა თან-და-თან უფრო აუტანელი ხდებოდა. მთა, ღელე, ველი თუ მინდორი მთლათ ბაშიბუზუკთა და სხვა შერეულ ჯარით იყო დაფარული. ეს ამოდენა ხალხი ნაწილ-ნაწილად იყო დაბანაკებული და ყოველ ბანაკს რაღაც მოძრაობა, მღელვარება და ხმაურობა ემჩნეოდა. სარწმუნოებრივი ფანატიკოსობა ომიანობის დროის გულქვაობას შეერთებოდა და წრეს გადასულ მტარვალობას წარმოადგენდა. მხეცად გარდაქცეული ადამიანი თავისავე მსგავს ადამიანს სასიკვდილოდ არ ინდობდა და შუა გლეჯდა.

სისხლის წყურვილის დაკმაყოფილების შემდეგ, ახლა ვერცხლის მოყვარეობის მადას იკლავდნენ. ქალაქში მდიდრებად ცნობილი სომხები ერთს ადგილს მიწაზე დაესხათ და სხვა და-სხვა ტანჯვა-ვაებას აყენებდნენ, რომ როგორმე ეთქმევინებინათ ვითომდა დამალული ფულის ადგილი. საბრალონი ტირილითა და ვედრებით უპასუხებდნენ, რომ რაც რამ გაგვანდა, ყველაფერი მოგეცითო. მაგრამ ვინ იყო გამგონი? მამების თვალწინ ბავშვებს ყელებსა ქრიდნენ, რომ ამით მაინც გამოვტეხთო. მეორე ადგილას ქურთები ნადავლს იყოფდნენ; მათი ცოლები ცხენებს სიხარულით აბარგებდნენ და შინ წასასვლელად ემზადებოდნენ. ცოტა მოშორებით სომეხ ტყვეებს იყოფდნენ, მაგრამ რომელიმე ლამაზ ქალზე ვერ თანხმდებოდნენ, ჩხუბი მოსდიოდათ და ერთმანეთზე ხმლებით მიიწევდნენ. ცოტა უფრო მოშორებით შეგროვილიყვნენ მელეები, გარეული კატები და მტაცებელ ფრინველებთან ერთად ზეზე ყრილ მკვდართა ღეშით საუზმეს შექცეოდნენ: იმ ადგილიდან არც

თუ ისე მოშორებით ღვთის მოყვარე მაჰმადიანი ჯარის კაცნი. სასოებით დილის ნამაზს ასრულებდნენ, ადამიანის სისხლით შეღებილ ხელებს მალლა იშვერდნენ და ისლამის ღმერთს აღიდებდნენ...

ყველა ეს ამბები ხდებოდა ბოლითა და ქვარტლით გაჟღენთილ ჰაერში, რომელიც ნისლს დამსგავსებოდა, ასე რომ მზე თავის სხივებს ძლივს ატანდა. ზარბაზნები შეუწყვეტილვ გრიალებდა, ყუმბარები ციხის გალავანს ეხლებოდა, მაგრამ მალლობზე წამოსკუპული პატარა ციხე ამაყად იღვა და მტრის მოქმედებას ზიზლით გადმოჰყურებდა.

გარნა ერთ ადგილს მტრის ბანაკის მთელი ყურადღება მარტო ერთ კაცზე იყო მიპყრობილი. იგი ტაშის კვრით მიდიოდა, ხან გაგორდებოდა, ხან ყირაზე გადავიდოდა და თან რალაც უაზრო ქურთულ სიმღერას დამღეროდა:

„ბებრუნანა დედაკაცი
 „გარდაიქცა ბაყაათა,
 „ზღვას ჩავიდა ღამისთვისა,
 „ღამი იქცა ოქროს ქვათა,
 „ოქრო მისცა, თხა იყიდა,
 „კოჭლი და ბრმა თხა იყიდა.
 „თხაო, თხაო, ნაზო თხაო!
 „თავს მოგეკლე, ჩემო თხაო!
 „მითხარ—ბრმაბა და სიკოჭლე
 „რა მიზეზიაა შეგემთხვარა?..“

— სულელი!.. მასხარა!..— აქეთ-იქიდან გაიძახოდნენ ქურთები, გარს ეხვეოდნენ და სიმღერებს ამეორებინებდნენ.

უცნობი მართლაც ნამღვილი სულელი იყო, ანუ თავს განგებ ისულელებდა. ჩაცმულობაც სწორეთ ისეთი ჰქონდა, ჩვენში რომ მასხარები მოდიან და თავიანთი ხტუნვა-თამაშით მაყურებელს სიცილს ჰგვრიან ხოლმე; ამ მასხარებს ხალხი „ტაკი მასხარას“ უწოდებს. უცნობი სულელიც სწორეთ ისე

იქცეოდა. იგი მაღალი ტანის ახალგაზდა იყო და შეხედულობა ნამდვილი ველურისა ჰქონდა; თავზე ნაბდის ნაგლეჯებისაგან უხვიროდ შეგჯიღნული მაღალი ჩაჩი ეხურა; ჩაჩი ოთხკუთხიანი იყო და ყოველ კუთხეზე თიუო პატარა ზარი ეკიდა. თავს რომ განგებ გაიქნ-გამოიქნევდა, ზარები ისე უსიამოვნოთ აწყარუნდებოდა, რომ ყურებზე თითი უნდა დაგეცოთ. სახე ვაქსით გაემურა და შიგა და შიგ სხვა-და-სხვა ფერათა ჰქონდა დაბაზული. ჩაჩს გარდა, მთელი მისი ტანისამოსი ერთი ნაჭრისგან შესდგებოდა: მთლათ შიშველ-ტიტველ ტანზე ერთათ ერთი სალდათის დაგლეჯილი ფარაჯა ჩაეცო და წელზე ქამრის ნაცვლად თოკის ნაჭერი შემოეჭირებინა; ფეხებზე კი სრულიად არა ეცვა-რა.

— აბა ერთი ვირივით დაიყოყინე, — ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდან.

სულელიც ყურებში თითს იცობდა, წელში იხრებოდა, პირს დააღებდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ღრიალებდა. ხალხის გროვა ხარხარებდა და აქეთ-იქიდან ფულებს უყრიდა. სულელი კი ჰკრებავდა, მაყურებლებს გაშტერებით შეაკეკრდებოდა, შემდეგ ფულებს გადაჰფანტავდა და თან გაიძახოდა: „მე ფული არ მიანდა, ერთი ნატეხი პური მომეცითო“... პურს რომ გადუგდებდნენ, დაავლებდა ხელს, ძალზე პირში იტენდა და დაუღეჭავსა ყლაპავდა.

— შენ იქნება დათვეური თამაშობაც იცოდე? — ეუბნებოდნენ მას, — აბა ერთი შენი უნარი გვაჩვენე!

სულელი გორავდა, ფეხებს მაღლა იშვერდა, ოთხი ფეხით დაძუნძულებდა, ხელებზე დადიოდა და ვინ მოსთვლის, რა სისულელეებს არ სჩადიოდა.

მთელი დღე ასე გაატარა: ყველას ართობდა, ქურთულათ ლაპარაკობდა და, როგორც ნამდვილი ქურთი, ლანძღავდა, სწყევლიდა რუსებს, თან ღრიალებდა და გაიძახოდა — მთელი „გიაურები“ უნდა გავეღიტოთო. შუაღამემდის იმისი ხმა არ დამდგარა, მეორე დილით-კი თვალით აღარავის უნახავს...

III.

შუადღე იყო. ისეთი საშინელი სიციხე იდგა, რომ ადამიანს სუნთქვა უძნელდებოდა, სწორეთ ის დრო იყო, როდესაც გზათ აღარავინ დადის და ყველა მხოლოთ იმის ცდაშია, რომ გრილი ადგილი მოიხსნოს და თავისუფლათ ამოისუნთქოს.

ამ სიციხე-პაპანაქებაში ბაიაზეთიდან ალაშქერტისკენ მიმავალ გზაზე მხოლოთ ერთი კაცი მოჩანდა. მიხვეულ-მოხვეული გზა მთებს შუა გადიოდა. მართალია საშინელი აღმართ-დაღმართი სიარულს აძნელებდა, მაგრამ მგზავრი დაღლილ-დაქანცულობას სრულებით არ გრძნობდა, თუმცა არც სამზეურა (ქოლგა) გააჩნდა და არც თუ ფეხზე ეცვა რამე. წინ მიდიოდა გაჩქარებული, არც დგებოდა, არც აქეთ-იქით იხედებოდა, ეტყობოდა ძალიან საჭირო რამ იზიდავდა წინ და ყოველი დაგვიანებული წუთი ძვირფასათ მიაჩნდა.

მგზავრი ერთი ახალგაზდა კაცი იყო, სწორეთ ისეთი შეხედულობისა და ისეთივე ტანსაცმლით, როგორც იყო წინა ლამინდელი სულელი. მის ტიტველ ტანს იგივე დაბლერძილი ფარაჯა ჰფარავდა და ქამრის ნაცვლათაც იგივე თოკი ჰქონდა შემოკერილი. მხოლოდ თავზე ის ზარებიანი ნაბდის ჩაჩი აღარ ეხურა, აღარც სახე ჰქონდა გამურული და ის ფერადი ხაზებიც აღარ ეტყობოდა. მზის მწვავე სხივების ასაცილებლათ თავზე ფოთლიანი ყლორტებისაგან მოწნული კალათის მსგავსი ქუდი ეხურა, სწორეთ ისეთი, გლეხები რომ თიბვის დროს იხურავენ ხოლმე. ეს ადამის დროის სადა ქუდი უგრძობდა მზისგან დამწვარ ნაღვლიან სახეს, რომელზედაც აღშფოთებასთან ერთათ მწარე უიმედობა იყო აღბეჭდილი. თვით იმ მასხარულ ტანისამოსშიაც კი ემჩნეოდა, რომ გამბედავი და მტკიცე ხასიათის მექონე ქაბუკი უნდა ყოფილიყო.

უცებ რაღაც ხმა შემოესმა, რომელიც უფრო ცხენის ხეხინისა ჰგავდა, გაჩერდა და გარშემო ყურება დაიწყო. რო-

ცა ხმა განმეორდა, დარწმუნდა, რომ ახლო ღელოდან მოისმოდა; ერთს წამს დაფიქრდა და გაეშურა ღელისკენ, რომელსაც ბილიკი ჩაუდიოდა. ცოტა რომ გაიარა, გაჩერდა ერთ ბექურზე და არწივის გამჭრიახი თვალით ღელეს თვალიერება დაუწყო. ნახა, რომ ღელეში სხვა-და-სხვა გვარი ბალახი ძალაზე ატეხილიყო და შიგ ერთი შეკმაზული ცხენი სძოვდა; გარდა ამისი რამდენიმე ბუჩქიც მოჩანდა. მგზავრმა უფრო მეტყურადღებით დაუწყო თვალიერება, ბოლოს შენიშნა, რომ ერთ ბუჩქზე გძელი შუბი იყო მიყუდებული, რომლის წვერიც მზის სხივებზე ძალზე ლაპლაპებდა. — „ჩანს აქ არის ვინმე, გაიფიქრა მან, — და, უეჭველია, მარტო ერთია, რადგან ცხენი ერთის მეტი არა ჩანს, ეს ცხენიც იმას უნდა ეკუთვნოდეს; უცნობი ქურთი უნდა იყოს, რადგან შუბი ქურთულია, ქურთულია აგრეთვე ცხენის შეკმაზულობაც; ქურთს უნდა ეძინოს, რადგან ცხენისთვის ბორკილი გაუყრია, რომ შორს არ წავიდესო.“ — ამის შემდეგ თავში რაღაც აზრმა გაუელვა და პირდაპირ ღელეში ჩაეშო.

ღელეს პატარა მდინარე ჩაუდიოდა, რომლის ნაპირებიც ჩალით იყო დაფარული. მგზავრი სწორეთ ამ ჩალიანში ჩაიმალა. მერე ჩუმის ნაბიჯით იმ ბუჩქებისკენ გაემართა, სადაც შუბი იყო მიყუდებული. მიხვრა-მოხვრაში გავარჯაშებული გველი ისე როგორ ისრიალებს, როგორც ის ზორბა ტანის ქაბუკი ჩალიანში დაძვრებოდა. ჩალის თავებს ნელი ნიავი ოდნავ არხვედა და ნიავის მიერ გამოწვეული შრიალი მგზავრისგან გამომხობილ შრიალს შეუმცნევლად ხდიდა. ყველაფერი გამარჯვებას ჰპირდებოდა...

უკვე იმ ბუჩქებს მიუახლოვდა, სადაც შუბი იყო აყუდებული. რამდენიმე ნაბიჯის სიშორეზე გაჩერდა და ჩალებიდან თვალიერება დაიწყო. მართლაც და ერთი ბუჩქის ძირში თვალი მოჰკრა მწოლიარე კაცს, რომელიც მხოლოდ ნახევრათ მოჩანდა. ტანისამოსზე ემცნეოდა, რომ ქურთი უნდა ყოფილიყო. ეტყობოდა რომ პაპანაქება სიცხეს ჩაეყვანა იმ ღელეში მოსასვენებლათ. ეძინა თუ ეღვიძა — ძნელი გამოსაცნობი იყო, რა-

დგან მგზავრისთვის პირი ჰქონდა შებრუნებული, და მარტო ზურგი უჩანდა. იგი გაწოლილიყო მაღალ ბალახზე, რომელიც რბილი ლეიბის მაგიერობას უწევდა.

მგზავრი ისევ თავის საფარში იყო და იქიდან უთვალთვალებდა. გულით უნდოდა შეეტყო—ქურთს ეღვიძა თუ ეძინა? პირისახე რომ მისკენ ჰქონოდა, მაშინ, რა თქმა უნდა, ადვილად შენიშნავდა—თვალეები ღია ჰქონდა თუ დახუჭული. მღეღვარებამ შეიპყრო, გული ძალზე უცემდა და თვალეებშიაც სიბრაზისგან სისხლი მორეოდა. ფიქრი-გონება ისე უღელავდა, რომ არ იცოდა, რომელ გარდაწყვეტილებას დასდგომოდა. სრულიად უიარაღო და შიშველ-ტიტველი თავიდან ფეხამდინ შეიარაღებულ მხეცს უნდა შებრძოლებოდა. საქმე რითიმე უნდა დაებოლოვებინა... დრო გარბოდა... ყოველი წუთი ძვირათ უღირდა... მაგრამ რით და როგორ უნდა დაებოლოვებინა საქმე?..

ამ ფიქრსა და საგონებელში იყო, როდესაც შენიშნა, რომ ქურთმა წამოიწია, მიიხედ-მოიხედა, გახედა თავის ცხენს და, როდესაც დარწმუნდა, შორს არ წასულაო, თავი ისევ ხურჯუნზე მიდო, რომელიც მუთაქის მაგიერობას უწევდა. მაშასადამე, არა სძინებოდა, ან კიდევ თუ ეძინა, ეხლა გამოიღვიძა. მგზავრს სახეზე კვლავ სიბრაზის ალმა გადაჰკრა, ცხვირის ნესტოები დაებერა და ტუჩებმა ცახცახი დაუწყა. მაგრამ როცა შუბს თვალი გადაავლო, ნახა, რომ ქურთზე საკმაოთ მოშორებით ეყუდა და ისიც სწორეთ იმ მხარეს, საითაც თითონ იყო ჩამალული. ამ გარემოებამ, ცოტა არა, დაამწვიდა; სახეზე ღიმილმა გადურბინა და თვალეებშიაც სიხარულის ნაპერწკალმა შეუთამაშა. იარაღი—აი რა იყო საჭირო, რომ თავისი აზრი განეხორციელებია. უცებ ჩალებიდან გააფთრებულ ვეფხსავით გამოხტა, შუბს ხელი დასტაცა და ერთ წამს მწოლიარე ქურთის წინ გამოიქიმა.

— აიღსენ იარაღი! შესძახა მაშინვე.

ქურთმა რომ მასხარული შეხედულობისა და სალდათის დაგლეჯილ ფარაჯაში გახვეული ადამიანი დაინახა, ზიზღით

შეხედა, არც-კი წამოუწევია, წელიდან დამბაჩა ისე გამოიღო, დაუმიზნა და თან დაუმატა:

— აჰა, წაიღე!..

დამბაჩამ დაიგრილა და მგზავრს გვერდზე გაუარა ტყვიამ.

— საძაგელო! მიძალიანდები კიდევ? წამოიძახა ესა და შუბი შიგ ყანყრატოში ჩასცა. კრილობიდან თბილი სისხლი გადმოსქდა, თავი აუტოკდა და მიწაზე დაეცა.

ქურთმა კვლავ წამოიწია და უნდოდა ხელახლა გასძალიანებოდა: ხმალს ხელი გაივლო, ქარქაშიდან ნახევრობაზე ამოსწია, მაგრამ ხელში ძალა გამოეღია და ხმალი შიგვე ჩარჩა.

— შე ძაღლო, რათა მკლავ?... შეეკითხა სულთმობრძავე ქურთი.

— ჩვენიანი შენ ბევრი მოგიკლავს... ბევრი მოგიტაცნია... კაცის კვლა თქვენგან ვისწავლე... ძარძვა-გლეჯა და მტაცებლობაც თქვენგან ვისწავლე... შორი გზა მაქვს გასავლელი... ხომ ხედავ, არც ტანისამოსი, არც იარაღი და არცა რა ცხენი გამაჩნია. შენი ტანისამოსი, შენი იარაღი და აგერ ის ცხენი, ბალახს რომ სძოვს, ჩემთვის საქირო იყო... ვიცოდი, რომ ვიდრე პირში სული გედგა, არაფერს დამანებებდი, აი სწორეთ ამიტომაც „მოგასვენე“... ვინ იცის, იქნება ბაიზეთის დავლასა და საშოვარსაც მოგაცდინე!. მაგრამ ნუ ინალღობ, შენი მოძმენი იქ ძალიან ერთგულად მოქმედებენ...

ქურთს აღარა გაუგია რა, თვალები უკვე სამუდამოთ დაეხუჭნა... უსულო გვამი მიწაზე იყო გაშლართული.

ყველა ეს სულ რამდენიმე წუთის განმავლობაში მოხდა. მგზავრმა თავის მსხვერპლს ტანისამოსი გააძრო, მისი გვამი ჩაღებში მიათრია, თავისი ნაბლერძები ზედ მიაფარა, თითონ კი მის ტანისამოსში გამოეწყო, აისხა მისივე იარაღი, მშვენიერ ლურჯას ვადაახტა და დანიშნულ ადგილისკენ გაქუსლა...

IV

ზემოხსენებული შემთხვევის ერთი დღის უკან ქურთის ტანისამოსში გამოწყობილი მხედარი მიადგა ტერ-ლუსაკოვის ბანაკს და გამოაცხადა, რომ გენერლის სახელობაზე ძლიერ საჩქარო წერილი მაქვსო. გენერლის კარავთან მიიყვანეს. უცნობი ცხენიდან გადმოხტა, წერილი ერთი აფიცრის ხელით შეუგზავნა, თითონ-კი გარეთ ლოდნა დაუწყო და თან ქაფში გაწურულ ცხენს ატარებდა. არ გავიდა სულ რამდენიმე წუთი, რომ შიგნით შეიხმეს.

კარავში იჯდა ასე შუა ტანის კარგად ჩასხმული სამხედრო წოდების კაცი, რომლის სახეზადაც ლომის გამბედაობა იხატებოდა. ზიგი თვით ტერ-ლუკასოვი იყო. სამწერლო მაგიდას მისჯდომოდა, გაქადარებული თავი ძირს დაეხარა და ახლად გახსნილ წერილებს დაჰყურებდა. ერთი მათგანი კვლავ ხელში აიღო, დაუწყო კითხვა და თან გამუდმებით ჰაპიროსს ეწეოდა. აღშფოთებულ სახეზე სულის მღვლევალება და ღრმა მწუხარება ემჩნეოდა. წერილის მომტანისკენ მობრუნდა და ჰკითხა:

— სომეხი ხარ?

— გარდა იმისა, რომ სომეხი ვარ, მღვდლის შვილიცა ვარ, მიუგო ქაბუკმა.

გენერალმა ქაბუკის გამბედავ სახეს გამჭრიახი თვალი გადაავლო და გამოკითხვა განაგრძო:

— ციხე-სიმაგრეში ჰური გქონდათ?

— რამდენიმე დღის შემდეგ ერთმანეთს დასჯამენ, თუ-კი სიმშლით სიკვდილს არ ისურვებენ.

— წყალი?

— არც წყალი. გარედან უნდა ეზიდონ. დღისით გარეთ გასვლა შეუძლებელია; ღამით-კი, როდესაც კარგად ბნელდება, ჯერით ათ, ოც კაცს ერთათ უშვებენ თოკებით გალავნიდან, რომ წყალი მოიტანონ. ქურთებმა ეს კარგად იციან და შორიდან თოფებს უშენენ, ასე რომ ხშირათ ერთი-ც ვეღარ ბრუნდება უკან.

— ტყვია-წამლის საქმე როგორ არის? კიდევ აქვთ რამე?

— აკლდებოდათ, მაგრამ ერთმა სომეხმა—ღმერთმა მუღამ პირნათლად ამყოფოს ჩვენი სომხები—იპოვნა ოსმალოთაგან დამალული საკმაო იარაღი და ტყვია-წამალი, ესლა იმით მიდიან იოლათ.

— შენ როგორღა მოახერხე ციხიდან გარეთ გამოსვლა?

— სისხამ დილით, როდესაც მზე ჯერ არ ამოსულიყო, ციხის გაღანეიდან ჩამოვობლდი და პირ-და-პირ ქურთის ბანაკისკენ გავწიე. მთელი დღე სიმღერებს ვუმღერდი, ვაცივებდი, ვამხიარულებდი, ვთამაშობდი და ათას გვარ ოინებსა ვშვრებოდი. ამ გვართ ყოველ ბანაკს ვეწვიე, ყველაფერი შევიტყე, შემდეგ ყველას „მშვიდობა“ ვუსურვე და გამოვეწიე.

გენერალმა გაოცებით შეხედა და ჰკითხა:

— სულელი ხომ არა ხარ, რეებს ლაპარაკობ?

— დიად, ბატონო,—დამშვიდებული გულით მიუგო ქაბუკმა:—ბედს ჩემთვის წილად ურგუნებია, რომ მთელი სიცოცხლე სულელის როლს ვასრულებდე... ცუდი როლი არ არის, ბევრ ფათერაკს გადამარჩინა... ჩემი თავი სულელათ ჩავთვალე და ქურთების ბანაკს ისე შევევრიე.

ქაბუკმა ყველაფერი უამბო, როგორ ტანისამოსშიაც იყო გამოწყობილი და რა მასხარაობითაც შეერია ქურთების ბანაკში.

გენერლის გამშრალ სახეზე მცირე ღიმილმა შეითამაშა და მეგობრული კილოთი ჰკითხა:

— ეგ ტანისამოსი როგორ იშოვნე?

— ღმერთმა მაშოვნინა. გზაში ერთი ქურთი შემხვდა და ეს ტანისამოსი, იარაღი და გარეთ რომ ცხენი მიდგა, სულ იმას წავართვი.—მიუგო ქაბუკმა თავისი ჩვეულებრივი კილოთი და ქურთის მოკვლის ამბავი დაწვრილებით უამბო.

— ყოჩალი ბიჭი ჩანხარ,—უთხრა გენერალმა, ისევ წინანდელი დაფიქრებული გამომეტყველება მიიღო და გამოკითხვა განაგრძო:

— ქურთები ბევრნი არიან?

— ამბობენ, ოცი-ათასზე მეტიაო, მაგრამ სულ ქურთები არ არიან, მაჰმადიანთა სხვა-და-სხვა ტომებიც ურევია. ვისაც კი ცხენი ჰყოლია და მცირე იარაღი ჰქონია, ყველა ბაიაზე-თისკენ გამოქცეულა და ამგვარად ურიცხვი სიმრავლე შემდგარა. მგზავრობის დროს შევნიშნე, რომ სულ ახალ-ახალი გუნდები მიეშურებიან იქითკენ.

— ზარბაზნები აქვთ?

— აქვთ.

— რას აპირებენ?

— ბაიაზეთის ციხის აღებას ეშურებიან, შემდეგ უნდათ ერევანი განვლონ და ერთი კვირის შემდეგ თფილისში ამოჰყონ თავი, რადგან მშვენიერ ქართვლის ქალთა და სომხის ქალბატონთა ხელში ჩაგდების სურვილს ძალიან გაუტაცნია იგინი.

გენერლის სახეს ღიმილის მსგავსათ კვლავ რალაცამ გადაჰკრა და დაცინვის კილოთი ჰკითხა:

— მერე და ოცი-ათასით თფილისში მიდიან? ეგ შეუძლებელია...

— თქვენო აღმატებულებავ, ოცი ათასი კაცი ცოტა როდია, როდესაც წინ ათასი კაციც არ უდგება... გარდა ამისა, ჩქარა ისმილ-ფაშის დანარჩენი ჯარებიც შეუერთდება მათ. ჩვენი მხრის მაჰმადიანობა-კი სიხარულითა და მოუთმენლად მოგლის თავის ერთ-მორწმუნე სტუმრებს...

გენერლის სახეს მწარე ნაღველი შავი ღრუბელივით კვლად გადაეკრა და ის გული, რომელიც არც ერთ გაპირებაში არ შემდრკალიყო, რაღაც მღელვარებამ შეიპყრო. შუბლზე ხელი მიიღო და უნებურათ სრესა დაუწყა, თითქო მოწოლილი ფიქრები უნდა მოიშორასო; ერთი წამის ფიქრის შემდეგ ქალარა თავი მალლა აიღო და ჰკითხა:

— თვით ბაიაზეთში შეხველი?

— დიად. სომხის ნიშან-წყალიც-კი არ ეტყობა: ყმაწვილები და ხნიანი კაც-დედაკაცი სულ გასწყვიტეს; გათხოვილი თუ გაუთხოვარი ლამაზი ქალები, ყმაწვილი ბიჭები სულ ტყვეთ წაიყვანეს; რაც-კი რამმოახელეს, ყველაფერი გაძარცვეს, აიკ-

ლეს და შემდეგ სახლებს ცეცხლი წაუკიდეს. მხოლოდ ერთ ასიოდეს სახლობას, რომლებსაც წინათვე სკოდნოდათ ბაიაზეთის ხვედრი, ქურთების შემოსევამდე მოუსწრია გაქცევა და სპარსეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ მუგუსთვის შეუფარებია თავი. მაგრამ იმათაც მარტო ცარიელი თავი გადაარჩინეს, მთელი ავლა-დიდება-კი მტერს დაუტოვეს. ოჰ, ეს მაჰმადიანები რა უგულოთა და უპატიოსნოდ მოექცნენ სომხებს?!..

— როგორ?

— ომის დაწყებისას რუსები რომ ბაიაზეთს მიუახლოვდნენ, იქაური მაჰმადიანები საშინელ შიშსა და საგონებელს მიეცნენ, რადგან ეგონათ, რომ, ოსმალების მგავსათ, რუსებიც მთლად გასძარცვავდნენ და დაარბევდნენ. ამ აზრით მთელი თავიანთი ავლა-დიდება მეზობელ სომეხთა სახლებში დამალეს და თან გაიძახოდნენ: „თქვენ ქრისტიანები ხართ, რუსები ხელს არ გახლებენ და ამ გვარად ჩვენი ქონება ხელ-შეუხებელი დარჩებაო“. რუსები მოვიდნენ და, რაღა თქმა უნდა, სარწმუნოების განურჩევლად ყველას რიგიანათ მოექცნენ. ამის მნახველი მაჰმადიანობა დამშვიდდა და სომეხებისგან ქონება უვნებლად ჩაიბარა. — ეხლა, როცა ხმა გავარდა — ქურთები მოდიანო, მაჰმადიანებმა სომეხებს შემდეგი სიტყვებით მიმართეს: „თქვენ რომ სიკეთე გვიყავით, ეხლა გვინდა სამაგიერო გადაგიხადოთ: ქურთები თქვენს ასაკლებათ მოდიან, თქვენი ქონება ჩვენ მოგვაბარეთ, შეგინახავთო“. სომეხებმა დაიჯერეს მათი სიტყვა, რაც რამ გააჩნდათ, ყველაფერი იმათ მიაბარეს; ზოგიერთი-კი ცოლ-შვილითაც იმათსავე სახლებში დაიმაღნენ. მაგრამ როცა ქურთები ბაიაზეთს მართლა შეესივნენ, მაშინ-კი გამოუცხადეს: „ჩვენი სახლებიდან გადიოთ, ქურთები შეიტყობენ, რომ სომხებს ვიფარავთ და ჩვენც თქვენთან ერთათ გავგულებტავნო“. ამ გვართ სომეხები მტერს ჩაუგდეს ხელში და მათი ქონება-კი თითონ მიითვისეს. ჟღერის დაწყების პირველი მაგალითის მიმცემი ადგილობრივი მაჰმადიანობა იყო... სწორეთ იგინი, რომელნიც თვე-ნახევრის წინათ ფიცს გვაძლევდნენ, რომ რუ-

სის მთავრობის ერთგული ვიქნებითო, ყოველ მხრიდან თოფებს გვიშენდნენ, თვით მათი ცოლებიც-კი გვესროდნენ!...

გენერალი ყურადღებით უსმენდა. ჭაბუკი-კი განაგრძობდა:

— ოჰ, თქვენო აღმატებულეზავ! რომ იცოდეთ, რამდენი მშვენიერი ვაჟაკი დავკარგეთ ქურთებთან ბრძოლაში, ვიდრე ბაიაზეთს ხელში ჩაიგდებდნენ! თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ციხის დასაცველად სომეხთა და ოსმალოთაგან შემდგარ მილიციასთან ერთათ რა მცირე რუსის ჯარი იყო დაყენებული. ბაიაზეთის გმირი შტოკვიჩი თავისი მცირე ჯარით ციხეს იმაგრებდა, ქალაქს-კი მილიცია იცავდა. ადრევე გვატყობინებდნენ, რომ შეიხ-ჯალალედდინისა და შეიხ-იბადულლაჰის მეთაურობით უთვალავი ქურთები ბაიაზეთისკენ მოდიანო. ამ ცნობებს ჩვენ ვანელი სომეხები გვაწვდიდნენ. ჩვენ ვცდილობდით ციხე საკმაო ჯარითა და ყოველგვარი სიმზადისით ჩქარა გაგვემაგრებინა. მაგრამ იმისთანებიც გამოჩნდნენ, რომლებიც გვარწმუნებდნენ, რომ ეგ ხმები სულ ტყუილია და არცა რა სამზადისია საჭიროვო. თუ რა აზრით ცდილობდნენ ის მოლალატენი, რომ მტრის შემოსევას მოუშაადებელი შეეხვედროდით—ამის თქმა არ შემიძლია; რა თქმა უნდა, ბატონო გენერალო, შემდეგში ყველაფერს შეიტყობთ.—ეხლა-კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სომეხი მულამ ერთგული ყოფილა და ერთგულათვე დარჩება.

როგორც სჩანდა, ჭაბუკის მოთხრობაში იმისთანა იმბებიც ერია, რომელთა გამომჟღავნებაც ეძნელებოდა, გენერალმა სიტყვა გააწყვეტინა და ჰკითხა:

— შენ ის მიაშბე ქურთები რომ შემოვიდნენ, როგორ მოიქეცით?

— ქურთები რომ შემოგვესივნენ, შტოკვიჩმა რამდენჯერმე სცადა მტერს შებრძოლებოდა, მაგრამ როცა დაატყო ყოველი ცდა უქმათ ჩაივლიდა, ციხისკენ გაეშურა, რომ ის მაინც გადაერჩინა. მილიციის ერთი ნაწილი ციხეს გარეთ დარჩა, რადგან ციხეში არც იმდენი ადგილი იყო და არცა-რა საკმაო სურსათი. ჩვენი ამხანაგი მაჰმადიანი მილიციონერები ზო-

გი იგდირისკენ გაიქცა და ზოგი-კი სპარსეთისკენ. ჩვენ, სომხებმა-კი გადავწყვიტეთ ან ქალაქი დაგვეცვა ან კიდეც მთლათ გავმწყდარიყავით. თუმცა რიცხვით ცოტანი ვიყავით, მაგრამ ადგილობრივი სომეხთა მეტი წილიც მზათ იყო მხარში ამოგედგომოდა. იმ საბრალოებმა კარგათ იცოდნენ, რა უბედურებაც მოელოდდათ, თუ ქალაქს ისევ ოსმალები ჩაიგდებდნენ ხელში. თქვენო აღმატებულებავ, კარგათ მოგეხსენებათ, ბაიანეთში შესულ რუსის გამარჯვებულ ჯარს სომხები როგორი სიხარულით მიეგებნენ. რუსების მიმართ სომხებც ამგვარ სიმპატიას ოსმალები არ დაივიწყებდნენ და შემთხვევის უმალვე ჯავრს ამოიყრიდნენ იმ ხალხისგან, რომელიც რუსეთის არწივის ქვეშევრდომობას ოსმალოს მიღეულ მთვარისას ამჯობინებდა...

— საგანს კიდეც გადაუხვიე, გააწყვეტინა გენერალმა, — შენ ეს მითხარ, საქმე რითი დაბოლოვდა?

გულზე მოწოლილი მწუხარე ამბების გახსენებისგან გამოწვეული აღტაცებული ლაპარაკი ქაბუკმა შესცვალა და განაგრძო.

— ღქნება ქალაქი კიდეც დაგვეფარა, ადგილობრივ სომხობისთვის წინათვე რომ იარალი დაერიგებინათ და ჩვენთან ერთათ ებრძოლათ. მაგრამ არაფითარი იარალი არ მიუღიათ. მაინც ბევრი შემოგვიერთდა. პირველში ბრძოლა ქვეშარიტათ დიდებული იყო. ერთი პატარა გუნდი მტრის უთვალავ ჯარის ძალას ებრძოდა. ჩვენი მხრიდან რამდენიმე ასი ოსმალოს თავისუფალი ჯარის კაცებიც იბრძოდნენ. მაგრამ უცებ შევნიშნეთ, რომ ჩვენმა მაჰმადიან ამხანაგებმა ბრძოლის ველს თავი ანებეს და გაიქცნენ. ალბათ, არ ესიამოვნებოდათ, რომ თავიანთ თანამორწმუნეთ ეომებოდნენ... დავრჩით მარტო ჩვენ, სომხები და კარგა ხანს გატაცებით ვიბრძოდით. ამ გვარი ბრძოლა რამდენიმე საათი გარგრძელდა, ვიდრე საომარი მასალა არ გამოგველია. ამის შემდეგ კი იძულებული ვიყავით ხელჩართული ბრძოლა გაგვემართა. ჩვენთაგანი ბევრი მოიკლა, ბევრი მტერს ჩაუვარდა ტყვედ, დანარჩენი კი, რომ ნახეს ყო-

ველი ცდა ამაო იყო, ბრძოლის ველი დასტოვეს და გაიქცნენ. ამის შემდეგ ქალაქი მტერს ჩაუვარდა ხელში.

— ცხადია ყველაფერი.—გაივლო გენერალმა გუნებაში, წამოდგა, ერთ პატარა ყუთს მიუახლოვდა, ყუთიდან ერთი ჯვარი ამოიღო. და ქაბუკს თავის ხელით ჩამოჰკიდა გულზე, თან დაუმატა:—ამის ღირსი ხარ, გარდა ამისა მთავრობასთან წაგადგენ, რომ ჩინითა და ჯაშაგირით დაგაჯილდოვოს. დღეიდან კი ჩემთან დარჩები, შენისთანა გმირები მე ყოველთვის მჭირია.

ქაბუკმა მადლობით თავი დაუკრა და უპასუხა:

— თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის ეს ჯვარიც კმარა. დიდ მოწყალებათ ჩავთვლი, თუ ამ საათშივე ნებას დამრთავთ, რომ სადაც მინდა წავიდე.

ქაბუკის ამგვარმა პასუხმა გენერალი განცვიფრებაში მოიყვანა და შეეკითხა:

— სად უნდა წახვიდე?

— ერთი არსება უნდა ვიხსნა, რომელიც ყველაზე ძვირფასად მიმაჩნია...

— უეჭველია, რაიმე საიდუმლო გექნება, მეგობარო, — გულკეთილობის უთხრა გენერალმა.

— დიად, ჩემი გულის საიდუმლოა...

— მაშ ეს მცირე საჩუქარი მაინც მიიღე, ვინ იცის იქნება ოდესმე გამოგადგვს? — უთხრა გენერალმა და ოქროთი საფეხ პატარა ქისა გადასცა.

— ჩემი დიდი საჩუქარი ის იქნება, რომ ჩქარა გამისტუმროთ. — უპასუხა ქაბუკმა და საჩუქარზე უარი განაცხადა.

— წადი, ღმერთი იყოს შენი მფარველი! — უთხრა გენერალმა და ხელი გაუწოდა.

ქაბუკმა თავი დაუკრა და გამობრუნდა.



ეხლა კი ომის რამდენიმე წლის წინად მომხდარ ამბებს დავუბრუნდეთ.

ბაგრევიანდის მაზრაში, ეფრატის ერთი ზევითა ტოტის ნაპირზე, წმ. იოანეს მონასტრის მახლობლათ ერთი სომხის სოფელი იყო, რომელსაც სახელათ ო — ს ეძახდნენ. იგი გაშენებული იყო საკმაოდ მოზდილ ხეობაში, რომლის სილამაზისთვისაც ბუნებას არაფერი დაეშურებია. ხეობა ორ მთა-გრეხილს შუა იყო გაკიმული და ამ მთა-გრეხილების სიმაღლეებს ისე ჩაჰკროდა გულში, თითქო საყვარელი შვილიაო. ხეობას შუაში მდინარე ეფრატის ერთი პატარა და მიხვეულ მოხვეული ტოტი ჩამოუდიოდა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ალ-სუ“-ს ეძახდნენ, ესე იგი „თეთრ წყალს“. და ღირსიც იყო ამგვარი სახელისა, რადგან მისი წყალი ძალიან სუფთა იყო. ხეობის ოთხსავე კუთხის მთებზე გადაჭიმულიყო მშვენიერი იალაღები, რომელიც მცხოვრებთა ურიცხვ საქონელს უხვს საზრდოს აძლევდა. ხეობის ველ-მინდორი კი სხვადასხვა პურეულობით იყო დაფარული. შრომის მოყვარე მარჯვენას არც ერთი მტკაველი მიწა არ გაეშო დაუმუშავებელი. ხეობაში ერთმანეთის მოშორებით სომხის სოფლები იყო გაშენებული, რომლებიც ვენახებსა და ხეხილოვან ბაღებს ში ისე ჩამალულიყო, რომ შორიდან ამწვანებულ კუნძულებს მოგაგონებდათ, მით უფრო, რომ მახლობლად ხეები არსად იყო.

ხეობის თავში, შიგ შუა ღელეში სოფ. ო... იყო გაშენებული. მამასახლისი ხაჩოს (მისი ნამდვილი სახელი ხაჩატურა იყო) სახლი ერთი იმ სახლთაგანი იყო, რომელიც სიმდიდრითა, სიდიდითა თუ სხვაფრივ სხვათაგან ბევრით განსხვავდებოდა. ყოველ დღიით იმის ეზოდან ნახირში ასზე მეტი სული საქონელი გადიოდა. მისი ფურები, ხარები, კამბეჩები თუ ცხენები მთელს სოფელში თითოთ საჩვენებელი იყო. ამ ოჯახს

ათასზე მეტი ცხვარი ჰყავდა, რომელსაც დაქირავებული მწყემსები უვლიდნენ. უნდა გენახათ, რა თვალ-წარმტაცი სანახავი იყო, როდესაც ამოდენა ცხვარი იალალს შეეფინებოდა ხოლმე. სოფელში ერთი ზეთის სახდელი დიდი ქარხანა იყო და ის ქარხანაც იმავე ოჯახს ეკუთვნოდა. იმ ოჯახსვე ეკუთვნოდა ის ლამაზი წისქვილიც, რომელიც სოფელ გარედ იმყოფებოდა და რომლის თვლებიც გამუდმებით ბრუნავდა. მაგრამ ხაჩოს სიმდიდრეთა შორის ყველაზე თვალსაჩინო უფრო ის იყო, რომ შვიდი ერთმანეთზე მოსწრებული ვაჭიშვილი ჰყავდა, რომელნიც ოჯახის სიმდიდრის ნამდვილ დედა-ბოძს წარმოადგენდნენ. ყველა დაქორწილებული იყო და ამიტომ მათი სახლი ყველა ჰასაკის ყმაწვილებით იყო გავსებული. ხაჩოს რამდენიმე შვილის-შვილიც ჰყავდა დაქორწინებული და ამათაც აგრეთვე შვილები ჰყავდათ. ამ გვარად მოხუცი ხაჩო ერთად თავმოყრილს რამდენსამე თაობას დაჰხაროდა. ამიტომაც იყო, რომ მისი ოჯახი პატარა ქვეყანას უფრო წარმოადგენდა, ვიდრე ოჯახს. ეს გარემოება სოფელში ანდახათ იყო გარდაქცეული და ყველა გაიძაოდა: „ხაჩოს ოჯახში იმდენივე ადამიანია, რამდენიც პირუტყვიო.“

ხაჩოს შვიდ შვილთაგან მხოლოდ ყველაზე უმცროსი, სტეფანიკა არ იყო დაქორწილებული. თექვსმეტი წლის სულ ახლად შესრულებულიყო. მაგრამ მისი პირისახისთვის რომ შეგეხედნათ, მაშინვე შეამჩნევდით, რომ წლოვანობას ის ჭაბუკობის იერი, დამლა ვერ დაესო, როგორც შეეფერებოდა მის ჰასაკს, მეტადრე იმისთანა ცხელ ქვეყანაში, სადაც ყმაწვილები ჩქარა ჭაბუკდებიან. სტეფანიკას სახეს ჯერაც ნაზი ყმაწვილოური შეხედულობა არ დაჰკარგოდა

ხაჩოს ყველა შვილებს მთელი სამუშაო—პირუტყვის მოვლა, მიწის დამუშავება თუ სხ.—ერთმანეთში ჰქონდათ განაწილებული და ამიტომ სახლში დღისით იშვიათათ რჩებოდა ვინმე. მხოლოდ ერთი სტეფანიკა იყო, რომელიც მუშაობაში ძლიერ ნაკლებ მონაწილეობას იღებდა. იგი ხაჩოსთვის ნამდვილ

მშვენიერ იოსებს წარმოადგენდა, რომელსაც მოხუცი მამამთავარი თვალიდან არ იშორებდა.

სტეფანიკასა და მშვენიერ იოსებს შორის დიდი მსგავსება იყო, მაგრამ მარტო იმიტომ-კი არა, რომ იგიც ისრაელის ძესავეთ ლამაზი, ნაზი და ჭკვიანი იყო, არამედ იმიტომაც, რომ მის ჩაცმუ-დახურვასა და მორთულობასაც ისეთსავე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ, როგორც იოსებისას. მის ტანზე მუდამ მხიარულ ფერის ალექსოს ატლასისაგან შეკერილს ფერად ზოლებიან ახალუხს ნახავდით; ზემოდან წითელი მაუდის ხალათის მაგვარი სამოსი ეცვა, რომელიც მთლათ ოქროს ბუზმენტებით იყო ნაკერი. წელზე ქირმანის შალის სარტყელი ჰქონდა შემორტყმული. მისი განიერი შალვარი ვანის რბილ შალისგან იყო შეკერილი. ფეხებზე არზრუმის წითელი ფეხსაცმელი ეცვა. თავზე შავი აბრეშუმის ფუნჯიანი ფესი ეხურა და ზედაც ფარჩის ბაღდადი ჰქონდა შემოკრული. ფესის ქვეით გამოჩანდა მშვენიერი წაბლის ფერი თმა, რომელიც მხრებზე ლამაზად ჰქონდა გადაშლილი. მშვენიერი იოსებისგან მხოლოდ ერთი რამით განსხვავდებოდა: იოსების ძმები მამის საყვარელ შვილს შურის თვალით უყურებდნენ, სტეფანიკა-კი ყველას სათაყვანებელი იყო.

მოხუცი ხაჩოს სახლი შორიდან მნახველებზე ნამდვილ ძველებურ ციხე დარბაზის შთაბეჭდილებას ახდენდა. იგი ერთ მაღლობ ადგილზე იყო აშენებული და მოყვანილობითა თუ მდებარეობით ყველა იმას შეიცავდა, რაც-კი საჭირო იყო გარეშე მტერთაგან დასაცველათ. ციხე-დარბაზს ოთხსავე კუთხივ მაღალი გალავანი ჰქონდა შემორტყმული, გალავანს შიგნით კარგა მორდილი ეზო იყო და ეზოში-კი სხვა-და-სხვა საჭირო შენობები იყო აგებული. ამ ციხე-დარბაზისთვის რომ შორიდან შეგებენდათ, ოთხ მაღალ ბურჯის მეტს ვერას გაარჩევდით; ბურჯები გალავნის ოთხივე კუთხესა ჰქონდა დატანებული. ციხეს შიგნით აგებული იყო სხვა-და-სხვა გვარი სადგომები თუ შენობები, რაც-კი რიგიან ნიადაგზე დაყენებულ შეურნეობას ესაჭიროებოდა. მაგ. ცხვრებისთვის მიწური ფა

რეხები, ცხენებისა, კამეჩებისა და ძროხების გომური; ყველა ეს საქონლის თვისების დაგვარად იყო დაყოფილი. იქვე იყო სამეურნეო იარაღის საწყობი: ჩარდახი, აგრეთვე მარანი, ბელელი, საქონლის საკვების შესანახი საბძელი, სათივეები და სხვა მრავალი საწყობები... იქვე იყო აგებული სხვა და სხვა სადგომები, რომლებშიაც მოხუცი ხაჩოს მწყემსები და მოჯა მაგირეები ცხოვრებდნენ თავიანთი ცოლ-შვილით. ყველა იგინი ქურთები იყვენ; მამაკაცები ზოგნი მწყემსობდნენ და ზოგნი მინდვრათ მუშაობდნენ, მათი ცოლები-კი სახლში მოახლეობდნენ. ერთი სიტყვით, გალავანს შიგნით მთელი სოფელი იყო გაშენებული, რომლის ბატონ-პატრონათ მარტო მოხუცი ხაჩო შექმნილიყო.

ხაჩოს ოჯახის შენობები და სადგომები არ იყო ისე სხვა და სხვა ნაირი და სხვა და სხვა სახელ. წოდებისანი, როგორც ახლა განათლებულ ქვეყნებში სჩვევიათ. ჯერაც კიდევ შერჩენოდა ის ძველებური სისადე და ელფერი, როდესაც დიდი ოჯახები ერთათ ცხოვრებდნენ დიდრონ ჩარდახებში; განსხვავება მხოლოთ იმაში მდგომარეობდა, რომ ეს ჩარდახები ახლა ქვითკირით იყო აგებული. მართალია, ხაჩოს ყოველ შვილს საკმაოთ დიდი ჯალაბობა ჰყავდა, მაგრამ მაინც ყველანი ერთ ქერს ქვეშ ცხოვრებდნენ, ერთსა და იმავე დარბაზში; რომელიც ოთხი კედლით იყო შემოფარგლული და მალღიდანაც უშველებელი კოჭებით დახურული. ცეცხლიც იქვე, დარბაზში ინთებოდა, პურიც იქა ცხვებოდა, საჭმელებიც შიგვე მზადდებოდა; სადილს, ვახშამს ყველანი ერთათ შეექცეოდნენ და დაძინებითაც ყველანი დარბაზში იძინებდნენ. ბავშვებთან ერთათ იქვე შეხვდებოდით ჩვილ ხბოებს, ციკნებს, დახტოდნენ, ჟივჯივებდნენ და ერთი ამბავი ჰქონდათ, მაგრამ თვით ეს ხმაურობაც-კი ოჯახს რაღაც სიხარულის ელფერსა სდებდა. ხშირათ არც ქათმები იწუნებდნენ დარბაზს, დაბძანდებოდნენ არხინათ და რაც ბავშვებს ხელიდან ნამცეცები ცვიოდათ, სიხარულითა ჰკენკავდნენ. ერთი სიტყვით ის დარბაზი ნამდვილ ნოეს კილობანს წარმოადგენდა, სადაც სხვადასხვა. ცხოველთ

ერთათ მოეყარათ თავი. გარდა ამისა, ევერღზე ერთი სხვა დარბაზიც ჰქონდა მოდგმული, რომელიც პირველისგან მხოლოდ იმითი განსხვავდებოდა, რომ წინა მხარე მთლად ღია ჰქონდა და მთელ ეზოს გაჰყურებდა. ამ უკანასკნელს ჩარდახს უწოდებდნენ და ზაფხულის სადგომით ჰქონდათ დანიშნული. ჩარდახსა და უმთაერეს დარბაზს შუა კარი ჰქონდა დატანებული და ამ გვარად უმთაერესი სადგომის დერეფანს წარმოადგენდა. მათს გვერდით ერთი სხვა განკერძოებული ოთახი იყო, რომელსაც სახელად ოდას ეძახდნენ. მის კარებს მხოლოდ მაშინ აღებდნენ, როდესაც ვინმე სტუმარი ეწვეოდათ; ამიტომაც ყოველთვის სუფთათ ინახავდნენ და რივიანათაც ჰქონდათ მოწყობილი.

❖

მიუხედავად ამ გვარი უბრალო და სადა მოწყობილობისა, ამ მამამთაერულ ოჯახში ცხოვრება მუდამ მხიარულათა და კმაყოფილებით მიმდინარეობდა. ოჯახში ცუდათ არავინ იყო, ყველა მუშაობაში იყო გართული და ღმერთიც თავის მოწყალე და მფარველ კალთას არ აკლებდა. ხაჩოს ბედლები თუ მარნები მუდამ გაქედილი იყო სხვა-და-სხვა ხორბლეულობით, ერბოთი, ზეთითა, ღვინითა და სხ. მთელ წელს მუშაობა არ აკლდათ, გინდა სიცხე ყოფილიყო, გინდა სიცივე.

მთებზე თოვლმა დნობა დაიწყო, მწვანეთ ახასხასებული მინდვრები უკვე ლამაზათ ილიმებოდა, გაზაფხული იყო. კეთილსურნელოვანებით გაეფთხილი ჰაერი ყველგან მაცოცხლებელ ძალას ავრცელებდა. მთების უთვალავ ნაკადულებს გველივით დაკლაკნული მიმდინარეობა მიეღოთ და ლამაზი ჩხრიალ-ხუილით ხეობაში ჩამორბოდნენ. ახლად მოფრენილი მერცხალი თავისი ტკბილი ჭიკჭიკით მუშებს მინდორში სამუშაოთ იწვევდა. ხაჩოს შვილებსაც სახნის-საკვეთი დაემზადებინათ.

მზე ახლათ ამოდირდა; მის ვარდის ფერ სხივებს მთების თოვლიანი მწვერვალები წითლათ შეეღება. მოხუცი ხაჩო დი-

ლის ლოცვიდან დაბრუნებულყო და გზაში მარცხნივ თუ მარჯვნივ ყველას ეუბნებოდა—„გწყალობდეთო“. მის შვილებს გომებიდან დღეს უნდა გამოეშოთ პირველად ხარები და კამეჩები, რომლებიც მთელს ზამთარს სინათლეს იყვენენ მოკლებულნი და ჯათას მოშორებულნი ძალზე დასუქებულყვენენ. გლენის ცხოვრებაში ეს გარემოება დიდი სიხარულის მომგვრელია, ამიტომაც ხაჩოს ეზოს კარებთან გლენები ბლომით შეგროვილიყვენენ, რომ ენახათ როგორი მოვლილ-ნაკვები საქორწინელი ჰყავდათ.

— კეთილი საათისა იცოს, მამასახლისო, — მიმართა ხაჩოს ერთმა გლენთაგანმა, — შენი შვილები კამეჩებს დღეს უშვებენ გარეთ?

— ჰო, დრო არის. როდემდის-ღა უნდა გვეყვანდეს დამწყვდეული? ტერტერამ მითხრა, „კეთილი დღეაო“ და მეც მინდა, რომ დღეს გამოიყვანონ, — მიუგო მამასახლისმა იმ გვარი კილოთი, რომ ეტყობოდა მღვდლის აზრს განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა.

ამ დროს ეზოში ხარის ხმა გაისმა. ხალხმა უკან დაიწია, რომ საქონლისთვის გზა მიეცა.

— ეს ჩორაა, ჩორა! — გაისმა ყველა მხრიდან.

ჩორას ეძახდნენ ხაჩოს ერთს შესანიშნავ კამეჩს; რომელსაც შუბლზე მთვარის მსგავსი თეთრი ნიშანი ჰქონდა და განთქმული იყო, როგორც ზორბა ტანისა და დიდი ღონის მექონე. ის იმოდენა გოლიათი პირუტყვი გომიდან ფშუილითა და ბლავილით გამოვარდა. მის ფეხთა ქვეშ რომ მიწას იტყვიან სწორეთ ზანზარი გაჰქონდა. უცებ სახლის წინა მოედანზე გაჩერდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ამ დროს მოხუცი ხაჩო მიუახლოვდა და შუბლზე უმი კვერცხი დაატეხა. კვერცხი გაითხლაჰა და ჩორას თეთრ შუბლზე ყვითლათ ჩამოედინა. (ეს ჩვეულება იმას ნიშნავდა, რომ ავი სული არ მიჰკარებოდა და „თვალი არავის ეკრა“). ამ გარემოებამ ჩორა ძალზე გაახელა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა შეფუხდრუკდა და ხალხში შეერია. მაშინვე ხაჩოს შვილები გამოცვივდნენ და მსხვილი კეტებით დაედევ-

ნენ, რომ როგორმე დაემორჩილებინათ. ადამიანის ძალა პირუტყვის ძალას შეებრძოლა. ბნელ თავლიდან გამოსულ ჩორას სინათლე როგორღაც ეხამუხებოდა და ყველაფერი ბუნდათა და არეულად ეჩვენებოდა. თავის პატრონებსაც კი ვეღარ არჩევდა, იმ პატრონებს, რომელნიც მთელ ზამთარს ჰკვებავდნენ და რომელთაც თითონვე ხელებს სიამოვნებით ულოკავდა. გახელებული ჩორა ხალხის ხან ერთ ჯგუფს დაედევნებოდა და ხან მეორეს. წინ ვერავინ უდგებოდა. ხაჩოს ექვსი შვილი კეტეზით ძალზე ურტყამდნენ, მაგრამ გაბრაზებულ ჩორას კეტები წკებლებათ ეჩვენებოდა. მოხუცი ხაჩო კი შორი ახლო გამდგარიყო და სიამოვნებით გაჰყურებდა ამ სახიფათო ბრძოლას, რომელიც თვით გამოჩენილ რომაელ გლადიატორსაც კი სახელს განუთქვამდა. მის თვალ-წინ ორი დიდი ძალა ერთმანეთს ეჯიბრებოდა—ძალა თავისი გმირი შვილებისა და გოლიათი კამეჩის ძალა. მისთვის ორივეს თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ორ ძალაზე იყო დამყარებული მისი მეურნეობის მთელი კეთილდღეობა. ბრძოლა უფრო გამწვავდა, რადგან ჩორას ყელზე შებმული ჯაჭვი თავის კონკილიანა შესწყდა. კონკილა იმიტომ შეებათ, რომ თავისუფალი სიარული არ შესძლებოდა. გლეხები მისცვივდნენ, რომ ეგება თოკებით მაინც შეებოკათ. მაგრამ ჩორას ერთი უბრალო მოძრაობაც კმაროდა, რომ თოკები დაეწყვიტა. ხან იქით აწყდებოდა, ხან აქეთ და იმოდენა ხალხს ბუზებივით იფრენდა. სწორეთ ამ საშინელი სურათის დროს ერთი საოცარი გმრობა მოხდა. მოხუცი საჩოს შუათანა შვილი, რომელსაც სახელათ ჰაპოს ეძახდნენ, უცებ გადახტა და ჩორას კულზე დაეჭიდა. გააფთრებულმა პირუტყვა რომ ამ გვარი წინააღმდეგობა შენიშნა, თითქო ითაკილაო, უნდოდა შემოტრიალებულიყო და მოწინააღმდეგე რქებით მოექკვიანებინა. შეიქმნა ერთი საშინელი ტრიალი. ჩორა ცდილობდა მტრისკენ მობრუნებულიყო, მაგრამ ჰაპოს კული მაგრა ეჭირა და საითაც პირუტყვი მიტრიალდებოდა, თითონაც თანა ჰყვებოდა. ამ გვარმა ბრძოლამ რამდენსამე წუთს გასტანა. ასტყდა ერთი საშინელი ხმაურობა.

გაათრებული პირუტყვი ძალზე ბდღენაედა, აქეთ-იქით ეხლებოდა და ისეთს კორიანტელს აყენებდა, რომ მებრძოლნი სწორეთ აღადკ-კი ჩანდნენ. ბოლოს ძლიეს ძმები გადემველნენ და როგორც იყო პირუტყვი ჯაჭვებით შებოქეს, ახლა-კი ყოველ მხარეს სიხარულის კიჟინა შეიქნა.

მოხუცი ჰაპოს მიუახლოვდა, შუბლზე აკოცა და თან დაუმბატა:

— ღეთის თვალი უკლებელი იყოს, შვილო, შენზე, რომ სახე გამინათლე.

ამ სიტყვებით მოხუცს ის უნდა ეთქვა, რომ ამოდენა ხალხში მოხუცი მამა არ შეარცხენიეო. შემდეგ ჩორას მიუახლოვდა, როგორც მეორე შვილს, თავზე ხელი გადუსო და უთხრა:

— აი, შე ეშმაკო, რათა გიჟობდი?

ჩორა უკვე დამშვიდებულიყო და თვალებიდანაც ბუნდი გადაჰყროდა. პატრონებს ეხლა-კი სცნობდა და ისეთი თვალით უყურებდა, თითქო ბოდიშს იხდისო. შეაბეს ყელზე ჯაჭვი, ჩამოჰკიდეს აგრეთვე კონკილა, რომლის წვერიც მიწას დასთრევდა. შემდეგ წყალზე გააგდეს, რომ ცივი წყლით გაეგრილებინათ და თანაც გაესუფთაებინათ.

შეკრებილი გლეხობა ხაჩოს ეზოს მაინც არ შორდებოდა, ჩორას გარდა უნდა გამოერეკნათ სხვა კამეჩებიც, რომლებიც ერთი ერთმანეთზე მსუქნები და ღონივრები იყვნენ. გარნა ხაჩოს შვილები ამ ხელათ სიფთხილით იქცეოდნენ და ამიტომ აღარავითარი განსაკუთრებული შემთხვევა აღარ მომხდარა. ნება ნება გამოჰყვანდათ სალი, მშვენიერი და ჯან-ღონით სავესე პირუტყვები, რომლებსაც არც ერთ სამეურნეო გამოფენაზე პირველი ხარისხის ჯილდო არ ასცდებოდა. მოხუცი ხაჩო სიამოვნებით შეჰყურებდა და ყოველ მათგანს შუბლზე კვერცხს ატენდა, რომ ავი სულები არ მიჰკარებოდნენ. გარდა ამისა, მღვდლისთვის რაღაც სათილისმო ლოცვები დაეწერინებია და მწვანე ტყავში გამოკრულს ყველას გულზე ჰკიდებდა. ხაჩოს შვილებს გლეხები ძალზე აქებდნენ, რომ საქონელი ისე

ჩინებულათ იყო მოვლილი. ხაჩოს ეს ქება-დიდება ესმოდა და თითონაც გუნებაში უხაროდა. ეს დამწყვედელი საქონელი ყოველ დღე ამ გვარათ უნდა გამოეყვანათ, ვიდრე სუფთა ჰაერსა და დღის სზნათლეს შეეჩვეოდნენ, რომ შემდეგ მღშობას შესდგომოდნენ.

ბ. კეანგულთა.

(შემდეგი იქნება).

„ს ა მ ნ ი“

მ. გორკასა

თარგმანი ივ. პოლუმორდინოვის მიერ

პაპა ერემეიმ დანაპირები აასრულა. ილოს წაღები, თბილი ტანთსაცმელი და ქუდი უყიდა და ბავშვი სკოლაში მიაბარეს. სკოლაში პირველად ცნობის მოყვარებით, მაგრამ გულში შიშით კი მიდიოდა, მაგრამ იქიდან ნაწყენი, დალონებული და თვალცრემლიანი დაბრუნდა: ბიჭებმა იცნეს პაპა ერემის მუდმივი თანამგზავრი, გარს შემოეხვივნენ და დასცინოდნენ, აჯავრებდნენ.

— ჰი, მენაგვე, მყრალი მენაგვე!

ზოგი სჩქმეტავდა, ზოგი ენას უყოფდა, ერთი მათგანი მიუაზლოვდა, შეისუნთქა ცხვირით ჰაერი, გახტა განზედ და ხმა-მალლა შეჰყვირა:

— უჰ, რა საძაგლათა ჰყარს!

— რად მაჯავრებენ?—გაკვირვებული და ნაწყენი ეკითხებოდა ილო ბიძას.—განა სასირცხვილოა ჩვირების კრეფა?

— არა გიშავს-რა!—ეუბნებოდა ტერენტი, თან თავზედ ხელს გადუსვამდა და სახეს მიიბრუნებდა, რომ ბავშვის გაკვირვებულ თვალებს მოჰრიდებოდა:—ეგენი ისე... ეშმაკობენ... არა უშავსრა! შენ მოითმინე!... თან-და-თან შეგეჩვევიან...

— წალებზედაც დამცინიან, პალტოზედაც!... სხვისია, სანავგიდან ამოთრეულიო!...

*) იხ. „მოამბე“ მე-7 №-რი.

პაპა ერემეიც სკდილობდა ბავშვი დაეშოშმანებინა:

— მოითმინე, მოითმინე! ის ჩაგითვლის!.. ის... ჩემო კარგო, იმის მეტი არაფერია ქვეყნიერობაზედ!

მოხუცი ღმერთზედ და მის სამართალზე ისეთის სიხარულით და რწმენით ლაპარაკობდა, თითქოს კარგათ იცის ღმერთის აზრი და ყოველი მისი განძრახვაო. და ერემეის სიტყვებმა თითქოს ბავშვს გულში წყენის გრძობა ჩაუქრეს, მაგრამ მეორე დღეს უფრო ძლიერად იფეთქა იმან. ილო მიჩვეული იყო კიდევ იმ აზრს, რომ მუშა კაცი იყო და მაშასადამე ქვეყანაზე რასმეს წარმოადგენდა; საველიც კი მეგობრულად ელაპარაკებოდა ხოლმე. ამხანაგებმა კი აბუჩად აიგდეს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ. ის ვერ შეჰრიგებოდა ამას: მწარე და გულის საკლავი სკოლის შთაბეჭდილებანი დღითი-დღე უფრო ეზრდებოდნენ და უფრო ღრმათ ისახებოდნენ მის ხსოვნას და პატარა გულში. მალე სკოლაში წასვლა მძიმე და უსიამოვნო მოვალეობად შეექმნა და როცა წავიდოდა, ამხანაგებისაგან მოშორებით იდგა ხოლმე. თავისი მიხვედრილობით, გამჭრიახობით პირველ მისვლისთანავე მიიქცია მასწავლებლის ყურადღება; მასწავლებელი ილოს მაგალითად უსახავდა ხოლმე სხვა ამხანაგებს, და ამან უფრო გაამწვავა დამოკიდებულება მისდამი. ილო პირველ რიგში იჯდა და უკან ყოველთვის მტრის თვალს ჰგრძობდა ხოლმე ისინი კიდევ თვალს ადევნებდნენ და ადვილად ჰპოულობდნენ მასში ისეთ რასმეს, რაზედაც დაცინვა და გაკიცხვა შესაძლებელი იქნებოდა. იაკობიც ამ სკოლაში სწავლობდა და არც თუ ის უყვარდათ ამხანაგებს; იმას „ცხვარი“ დაარქვეს. უნიჭო და უგულისყურო იაკობი ხშირად იყო ხოლმე დასჯილი, მაგრამ გულცივად იტანდა ამას. ყველა, რაც კი მის მახლობლად ჰხდებოდა, მისთვის უმნიშვნელო და უფერული იყო. სკოლაში და სახლშიაც ის თავის გონებით ცხოვრობდა. იმას თავისი ფიქრები ჰქონდა და თითქმის ყოველ დღე აკვირვებდა ილოს გაუგებარი კითხვებით. დრო-გამოშვებით ჩაფრქვებული, თვალების ბეჭუტვით დაეკითხებოდა ხოლმე ამხანაგს:

— ილო! ეს რისგან არის, რომ ადამიანს თვალები პატარა აქვს და ყველაფერს კი ჰხედავს! მთელ ქალაქს ხედავენ ხოლმე. აი მთელი ქუჩა, ამოდენა ქუჩა როგორ უნდა დაეტიოს ამ პატარა თვალებში?

ან არა და ცაში დიდი ხნის ცქერის შემდეგ უცბად წამოიძახებდა:

— მზე!

— რა?—დაეკითხებოდა ილო.

— უყურე, როგორა სწვავს!

— მერე რა იყო?

— არაფერი! იცი, მე რასა ვფიქრობ? იქნება მზე ქმარია და მთვარე ცოლი! ვარსკვლავებიც იმათგან იშვნენ!

პირველად ილოც ჩაუფიქრებოდა ხოლმე ამ საოცარ გაუგებარ სიტყვებს, მაგრამ ბავშვმა მალე შენიშნა, რომ ისინი ხელს უშლიდნენ მას—გაიტაცებდნენ და დააშორებდნენ ხოლმე იმ საგნებს და შემთხვევებს, რომლებიც მას უფრო მჭიდროდ ეხებოდნენ. ამისთანა შემთხვევა კი ცოტა არ იყო მის ცხოვრებაში და ილოც მიეჩვია მათ შენიშვნას.

ერთხელ ილო სკოლიდან დაბრუნდა და ღიმილით უთხრა პაპა ერემის:

— მასწავლებელი! ჰი! ჭკუის კოლოფი!... გუშინ მალაფევეის შვილმა შუშა გასტეხა ფანჯარაში, ცოტას გაუჯავრდა და დღეს კი თავის ხარჯზე ჩაასმენა ახალი შუშა...

— ნახე, რა გულკეთილი კაცი ყოფილა?—უთხრა ნასიამოვნებმა ერემიმ.

— კეთილი, დიად! ვანო კლიუჩაროვმა კი რომ გასტეხა, უსადილოთ დასტოვა, მერე იმის მამა დაიბარა და უთხრა: აბა ორი აბაზი ამოყაჭე!.. მამამ კარგა გააჭრელა შვილი!... უყურე როგორები არიან?..

— შენ ეგენი როდი უნდა შენიშნო, ილო!—ურჩია პაპამ თვალების ხშირი ხამხამით:—შენ ისე უნდა უყურო მაგისთანა საქმეებს, ვითომც შენ არც კი შეგეხებებინ ისინი. ხალხის უსამართლობის გარჩევა ღვთის საქმეა და არა ჩვენი. ჩვენ არ

შეგვიძლიან. უსამართლობას ყოველთვის ვხედავთ, მაგრამ მართალი კი ვერ გვიპოვნია. ის კი ყველაფერს გაარჩევს, ასწონავს!.. იმან ყველაფრის სამზღვარი იცის!.. აი მე, ვიცხოვრე ვიცხოვრე, ვუყურე, ვუყურე, იმდენი უსამართლობა ვნახე, რომ ვერც კი მოვსთვლი. სიმართლე კი ვერა ვნახე! აგერ ოთხმოცი წლის შევსრულდი და არ შეიძლება და არც დავიჯერებ, რომ ამოდენა ხნის განმავლობაში სიმართლე არ ყოფილიყოს ჩემ გვერდით... მე კი ვერა ვნახე... არც ვიცი...

— ოჰ!—ურწმუნოთ წამოიძახა ილომ,—ამას რაღა გაგება უნდა? თუ ერთს ორ აბაზს ახდევინებ, მეორესაც ორი უნდა გადაახდევინო: ეგეც შენი სიმართლე!..

მოხუცი ბავშვს არ დაეთანხმა; მან კიდევ ბევრი ილაპარაკა თავის თავზე, ხალხის სიბრმავეზე და იმაზე, რომ მათ არ ძალუძთ ერთმანეთის სამართლიანად გასამართლება და რომ ღვთის სამართალია მხოლოდ ქეშმარიტი და სამართლიანი.

— მერე როდის გაასამართლებს ღმერთი?—უცბად დაეკითხა ილო.

— ეგ არ ვიცი, ჩემო კარგო!... დაჰკრავს საათი, როცა ჩამოვა ის ჩვენ გასასამართლებლად... იცი რა გითხრა—მოდრი შაბათს წამომყე ეკკლესიაში...

— წავიდეთ!..

— ჰო და კარგი!..

შაბათს მართლა ილო და პაპა ერემეი საყდრის შესავალში იდგნენ გლახებთან ერთად, ორ კარებ შუა. გაიღებოდა თუ არა პირველი შემოსავალი კარები, შემოუბერავდა ცივი ქარი, შემოიჭრებოდა ყინვა და ილო ფეხების ბარტყუნს დაიწყებდა. მეორე კარების შუშებში კი ილო ჰხედავდა, რომ სანთლების შუქი და ოქრო-ვერცხლის ბრწყინვა სხვა-და-სხვა ფერად ანათებდნენ სამოსლებს, მლოცავების შავ თავებს, ხატებს და კანკელის შშვენეირ ჩუქურთმას.

ხალხი ეკკლესიაში უფრო კეთილად და მშვიდობიანად გამოიყურებოდა, ვიდრე ქუჩებში. ამ კრძალვით სიჩუმეში და სუსტ, მკრთალ სინათლეში ისინი უფრო ლამაზებიც მოჩანდ-

ნენ. ეკკლესიიდან გამოსავალი კარი რომ გაიღებოდა, მშვენიერ სუნწელოვანი საკმლის სუნი და გალობა-ღაღადების ტალღა მოზვირთდებოდა, აღერსით შემოეხვეოდა ბავშსა და ისიც სიამოვნებით ჰყნოსავდა მას. ძალიან მოსწონდა ჰაბა ერემეის მახლობლად დგომა, რომელიც ჩურჩულით რაღაც ლოცვებს ამბობდა. ის გაუაციცებით უგდებდა ყურს საგალობლების ლამაზ ხმებს და მოუთმენლად ელოდა იმ წუთს, როცა გაიღებოდა კარი, ეს სანეტარო ხმები მზიარულად და ძლიერად შემოიჭრებოდა დერეფანში და სუნწელოვანი სიტბო სახეში ეცემოდა. ილომ კარგათ იცოდა, რომ მგალობელთა გუნდში გრიშა ბუბნოვიც იყო, ყველაზედ გესლიანი დამცინავი და ილოს დაუძინებელი მტერი, თედო დოღგანოვიც, ყველაზედ ღონიერი სკოლაში და პირველი მოჩხუბარი, რომელსაც არა ერთხელ ეცემნა ილოსთვისაც. მაგრამ ეზლა აღარც წყენას ჰგრძნობდა მათგან: არც მძულვარებას მათდამი; ეს იყო მხოლოდ, ცოტა არ იყოს, შურდა მათი იქ ყოფნა. ის თითონ სიამოვნებით ჩაერეოდა მათ გუნდში, იგალობებდა და იქიდან ჰსჭერეტდა მლოცველთა გაბრწყინვებულ სახეებს. უსათუოდ ძალიან კარგი უნდა იყოს იქ ყოფნა, ოქროთი მბრკყვინავ კანდელთან ღაღადი, გალობა, იქ ყველაზე მალლა დგომა, რომ იქიდან მლოცველთა დამშვიდებულ სათნოიან სახეებს უცქერდე. ეკკლესიიდან ილო გულ-მოღბობილი, კეთილი წავიდა სახლში. ის მზათ იყო იმ წუთში შეჭრივებოდა ბუბნოვსაც, დოღგანოვსაც, ყველა თავის მტრებს—ამხანაგებსაც, მზათ იყო მისულიყო, გაეწოდა ხელი და გადაეკოცნა ყველანი. მაგრამ ორშაბათს კი ისევ ისე დაღერემილი და ნაწყენი დაბრუნდა, როგორც წინათ ბრუნდებოდა ხოლმე.

ყოველ წრეში და ყველა ყრილობაში მოიძებნება ისეთი კაცი, რომელსაც ემძიმება იქ ყოფნა, მათ შორის ცხოვრება, მაგრამ ამისთვის სრულიად არ არის საჭირო, რომ ამოთვალწუნებული წვერი ან ყველაზე უკეთესი იყოს, ან ცუდი. მისი სიძულვილის და გესლიანი ყურადღების დამსახურებისათვის საჭირო არ არის სრულიად ან დიდი, არაჩვეულებრივი ჰკუა-

განვითარება, ან უშნო, დამახინჯებული ცხვირი: ის აბუჩად ასაგდებად ამოირჩევეს ხოლმე ადამიანს მხოლოდ ერთი აზრით— გასართობათ. ამ შემთხვევაში არჩევანი ილო ლუნევს ერგო. შეიძლება დროს და ჟამთა ვითარებას დაევიწყებინა მისთვის ეს შევიწროება და შეერიგებია მისთვის, მაგრამ სწორედ იმ ხანებში ილოს ცხოვრებაში ისეთმა გარემოებებმა იჩინეს თავი, რომ სამუდამოთ შეაძულეს მას სკოლა, იქაური ცხოვრება; სამუდამოდ მოუყლეს მას სკოლისადმი ინტერესი და იმავე დროს აღამალეს ის უბრალო, წვრილმან კითხვებზე და ძირიანად ამოშალეს მასში სკოლის მოგონებანი და იქ მიღებული შთაბეჭდილებანი.

მთელი ეს ცვლილება იქიდან დაიწყო ჯერ, რომ ილომ და იაკობმა ერთხელ ქისკართან რაღაც ფაცი-ფუცი და არეულობა შეამჩნიეს.

— უყურე!— უთხრა ილომ ამხანაგს, — როგორც ეტყობა, კიდევ წაჩხუბულან!... გავიქცეთ!

ორთავემ მოჰკურცხლეს და ერთს წუთს იქ გაჩნდნენ, მაგრამ პირველ ხანებში ვერაფერი გაიგეს— ვიღაც უცხო ხალხი დარბოდა და იახდა:

— ჩქარა პოლიციას დაუძახეთ! უნდა შეიკრას ამ საათში!

სამკედლოსთან მკიდროდ შეჯგუფულიყო ხალხი და ხმა-ამოუღებლივ, გაუნძრევლად იდგნენ ერთ ადგილს. ბავშვები წინ გაძვრნენ, მაგრამ შეძრწუნებულნი შეჩერდნენ უცბათ და უკან დაიხიეს. იქვე, მათ ფეხთით, თოვლზედ პირქვე გაშხლართული დედაკაცი ეგდო; თავი სულ მთლად გასისხლიანებული რაღაც კომში ჰქონდა გახვეული და მის თავთან ირგვლივ თოვლი მუქ წითელ ფრად შედებილიყო. იქვე, მის გვერდით თეთრი დაკმუჭვნილი ხელსახოცი ეგდო და დიდი სამკედლო გაზი. სამკედლოს კარებში მოკუნტული იჯდა საველი და ქალს ხელებზედ დაჰყურებდა. მას ხელები გაეფართხა და თითებით მაგრა ჩაბლაუჭებოდა თოვლსა, თითქოს გახოხვას აპირებს წინაო. მკედელს წარბები მოელუშა და სახე გაჰფითრებოდა; ეტყობოდა, კრიკა მაგრა ჰქონდა მოჭერილი, რომ ლოყის თავებზე

კაცლებსავეთ წამოჰჯდომოდნენ დაჭიმული ძარღვები. მარჯვენა ხელით კარის ჩარჩოს ებჯინებოდა; მისი შავი, დიდრონი თითები კატის კლანჭებივით ინძრეოდნენ და იმ თითების გარდა სამქედლოში ყველაფერი შეჩერებულ-გარინდებულყო. მაგრამ ილოს ეგონა, აი ამ წუთას გააღებს მაგრა მოჭერილ კრიჭას და შეჭლიალებს, რაც ძალი და ღონე აქვსო.

ხალხი გაჩუმებული შეჰყურებდა მქედელს; ყველას სასტიკი, არა სახუმარო გამომეტყველება მიელო სახეზედ და თუმცა ეზოში დიდი ხმაურობა და მოძრაობა იყო, აქ, სამქედლოსთან არც მოძრაობა, არც ფრუტუნი... მხოლოდ ზოგიერთების სუნთქვა-ლა ისმოდა... უცებ ხალხის ხროვა გაიპო და გაბანჯგენილი, ოფლის ხვითქ-გადმოდენილი პაპა ერემეი წამოდგა წინა; მას მთრთოლვარე ხელში წყლით სავსე სურა ეჭირა, რომელიც მოსვლისათნავე მქეჭელს გაუწოდა და უთხრა:

— აჰა!.. ცოტა მოსვი...

— წყალი კი არა, მაგას სახრჩობელა უნდა, — წაიბუტბუტა ვილამაც. საველმა გამოართვა მარცხენა ხელით სურა და კაი ხანი სვამდა. სულ რომ გამოსცალა, დახედა ცარიელ სურას და მიყრუებულის, მიხრინწებულის ხმით დაიწყა:

— რამდენჯერ გავაფრთხილე... დაანებე თავი... ვეუბნებოდი—მოგკლავ მეთქი! რამდენჯერ ვაპატიე... აი ეხლა!.. საცოდავი პაშკა ოზლად დარჩება, პაპა... თვალყური ადევნე... შენ ღვთისნიერი ადამიანი ხარ... ღმერთსაც უყვარხარ... თვალი ადევნე...

— ეჰჰ, შე საბრალო! — ნაღვლიანად წარმოსთქვა მოხუცმა და აკანკანებული ხელი მხარზედ დაადო. ხალხში კი ვილამაც შეჰნიშნა:

— სულის მტერი! ღმერთსაც რომ ახსენებს!!

ეს კი მეტის-მეტი იყო. მქედელმა გაფითრებული, გამმაგებული თვალებით გადახედა ხალხსა და მხეცსავეთ შეჭლიალა:

— რა გინდათ? დამეკარგეთ ამ საათში ყველანი!

მისი მოულოდნელი შეკვივლება მათრახსავით მოხვდა ხალხს; გაისმა ყრუ ხმაურობა და ხალხმა უცბათ უკან დაიწია. მკედელი წამოდგა, გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი მიცვალებულისკენ, მაგრამ მაშინვე მიბრუნდა და, წელში გაშლილმა, სამკედლოსკენ გასწია. ყველამ დაინახა, შენიშნა, რომ სამკედლოში გრდემლზედ წამოჯდა, ხელები თავში იტაცა, თითქო უცბათ შემოჰფრინდა თავიო, და გაქან-გამოქანდა. ილოს ძალიან შეეცოდა მკედელი! ის მოშორდა სამკედლოს და უაზროთ, უსაგნოთ დაიწყო ეზოში ხეტიალი, ხან ერთს ჯგუფს მიუახლოვდებოდა, ხან მეორეს, ყურსაც დაუგდებდა იმათ ლაპარაკს, მაგრამ არათფერი ესმოდა, თავში არათფერი შესდიოდა. თვალწინ რაღაც დიდი წითელი ლაქა ედგა და სული ყელში ებჯინებოდა.

პოლიციაც მოვიდა, რომელმაც ჯერ ხალხი მირეკ-მორეკა და მერე მკვლეელიც წაიყვანა.

— მშვიდობით .. მშვიდობით, პაპა!—დაიყვირა საველმა, როცა ეზოდამ გაჰყავდათ.

— მშვიდობით, საველ ივანიჩ, მშვიდობით!—აჩქარებულად წამოიყვირა წვრილის, მიკნავებულის ხმით ერემემ და საველისკენ გაიწია.

მკედელს მოხუცის მეტი არავინ გამოეთხოვა.

ეზოში თავ-მოყრილი აქა იქ შექუჩული ხალხი რაღაცაზედ ლაპარაკობდა და დრო-გამოშვებით იმ მხარისკენ იხედებოდა, სადაც ჭილოფ-დაფარებული მიცვალებული ესვენა. სამკედლოს კარებში, იმ ადგილს, სადაც წელან საველი იჯდა, ვიღაც ვაჭარი დამჯდარყო, ჩიბუხს ეწეოდა, გამწარებული გვერდზედ იფურთხებოდა და პაპა ერემეის ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— განა იმან მოჰკლა?—ნელის ხმით, საიდუმლოდ ეჭურჩულებოდა მოხუცი:—ეს ბოროტი სულის ბრალია... ადამიანი ადამიანს როგორ მოჰკლავს?.. კაცი გაჩენითვე კეთილია, ღვთის სახის მატარებელი... არა, კაცი თავის დღეში ვერ მოჰკლავს, ეს ტყუილია!

ერემეი ხელების ქნევით და ხველებით უხსნიდა მომხდარ საიდუმლოებას.

— დიდი ხანია? — ამაყად დაეკითხა პოლიციელი.

— დიდი ხანია! ის ხომ შენიაო, რისა გეშინიანო. ისკი არა, ტყუილია ესა... ცხენი ჩემია... ძაღლიც ჩემია.. ცოლიკი ღვთისაა!.. ცოლიც ადამიანია!.. მან ჩვენთან ერთად მიიღო სამოთხეში პირველი წყველა-კრულვა და ჩვენთან ერთადა სწევს ცხოვრების მძიმე უღელს... ავი სული-კი სულ ჩასჩიჩინებდა: მოჰკალ, შენია!.. თითონ ხომ მტერია და მტერი მისი, ადამიანებიც უნდა თანაშემწედ იპოვნოს...

— გაზი კი, მე მგონი, იმანა სდრუხა თავში და არა ავმა სულმა, — სთქვა პოლიციელმა და გადააფურთხა.

— შერე ვინ ჩააგონა? — შეჰყვირა პაპამ: — შენ იმას ჩაუკვირდი, ვინ ჩააგონა?

— დაიცა! — უთხრა პოლიციელმა: — შენი რა არის ეს მკედელი? შვილია?

— არა, შვილი ვინ მომცა!..

— დაიცა, მაშ ნათესავია?

— არა, მე ნათესავი არავინა მყავს....

— მაშ რა გაწუხებს, ერთი ეს შითხარ?

— მე? ღმერთო ჩემო...

— იცი რას გეტყვი, — სასტიკათ წარმოსთქვა პოლიციელმა: — დაბერებულხარ და ჰკუა გამოგლევია, აი რა გალაპარაკებს შენა... წადი, დაიკარგე აქედამა!

ვაქარმა ტუჩების ცალი მხრიდან გამოუშვა ბოლი და მოხუცს შეაბრუნა პირი. ერემეიმ ხელი გაიქნია და ისევ დაიწყო აჩქარებული ლაპარაკი.

გადაფითრებული და თვალეზ-დაჰყეტილი ილო მოშორდა სამჭედლოს და იმ ჯგუფს მიუახლოვდა, სადაც მეეტლე მაკარი, პერფიშკა, მათაცა და სხ. ზეით სართულში მცხოვრები ქალები იდგნენ.

— ევა, ჩემო კარგო, ჯვრის წერამდინაც დაეხეტებოდა! — ამბობდა ერთი ქალთავანი: — მე კარგათ ვიცი! პაშკა შეი-

ძღება გიმნაზიის მასწავლებლისაგანაც იყოს, აი მალაფევეთან რომ სცხოვრობდა, და იქნება საწყალი მჭედელი აქ არაფერ შუაშია...

— რომელი? თავი რომ მოიკლა მერე? — დაეკითხა პერფიშკა.

— ჰოო!.. იმასთან დაიწყო მაგან პირველად...

— მაინც რაც გინდა იყვეს... დინჯათ დაიწყო მაკარმა, — ეგ მეტის-მეტია... ეგ თავისს ცოლს მიაძალღებს, მე ჩემსას, ეგ სად წაგვიყვანს?..

— აკრეფას ვერც კი მოასწრობენ! — სთქვა მხიარულმა პერფიშკამ: — აგერ ჩემი ცოლი სრულიად უვარგისია, მაგრამ ვითმენ!..

— კარგა ითმენ, შე ტარტაროზო, შენა! — ნაღვლიანად წარმოსთქვა მატრიცამ.

პერფიშკას დავარდნილი ცოლიც ამოხოხდა ზევით და ძონძებში გახვეული იჯდა ჩასავალ კარებთან. ხელები უნძრევლივ ეწყო მუხლებზედ, ტუჩები მაგრა მოეჭირა. ილომ ხან ქალს შეჰხედა თვალეებში, ხან ზეცას და უცბათ გაუელვა თავში აზრმა, იქნება პერფიშკას ცოლი ეხლა ღმერთსა ჰხედავს და რაღასაცა სთხოვს, ემუდარება?

მალე ბავშვებიც შეიკრიბნენ სარდაფის კარებთან. ისინი კიბეზედ ჩამჯდარიყვნენ, სკდილობდნენ, როგორმე მოეხურათ გახუნებულ-გაცვეთილი ტანთსაცმელი ტანზედ და ცნობის მოყვარეობით გატაცებულნი ყურს უგდებდნენ საველის შვილის ლაპარაკს: პაშკას სახე ჩამოსჭიმოდა და ცბიერი თვალეები მოუსვენრად ხან ერთს შეჰხედავდნენ და ხან მეორეს. ის გმირად ჰგრძნობდა თავს: მისთვის არასოდეს არ მიუქცევიათ ამისთანა ყურადღება, როგორც დღეს. თითქმის მეთავე მოჰყვებოდა ერთ და იმავე ამბავს და თითქოს გულ-გრილად ლაპარაკობდა.

— წავიდა თუ არა, ამ სამი დღის წინათ, იმ დღიდანვე გაშმაგდა მამა, სულ კბილებს აღრქიალებდა და მგელივით იღრინებოდა. წამ და უწუმ მე წამომწვდებოდა თმაში... მე იმ

საათში ვიფიქრე—აჰა! ჰო და მერე მოვიდა. სახლი დაკეტილი იყო და ჩვენ სამკედლოში ვიყავით. მე საბერველებთან ვიდექი. დავინახე, მოვიდა, გაჩერდა კარებში და გვითხრა: მომეცით გასაღებო! მამამ გაზს წამოაგლო ხელი და გასწია... ისე ნელა მიდიოდა, თითქო ეპარებაო... მე ისე შემეშინდა, თვალები დაეხუჭე. მინდოდა დამეყვირა, გამეფროთხილებინა: გაიქე, დედა, მეთქი, მაგრამ არ დავიყვირე... გავახილე თვალები, მამა ისევ მიდიოდა. თვალები ისეთი ჰქონდა, გეგონებოდა ცეცხლი წაჰკიდებიაო! მაშინ კი დაიხია დედამ... და მერე მიბრუნდა. ეტყობოდა, გაქცევას აპირებდა...

სახე შეუკრთა პაშკას და გამხდარი ტანი მთლად შეუტაცხდა. რამდენიც კი შეიძლო, ჰაერი ღრმად შეისუნთქა, მერმე შეკავებით გამოისუნთქა და სთქვა:

— აქ კი დასცხო უცებ თავში!

აქამდის უნძრეკლად მჯდომი ბავშვები შეინძრნენ, შემფოთდნენ.

— იმან კი აიქნია ხელები და წაიქცა... თითქო წყალში ჩაიყურყუმელავაო...

ბავშვი გაჩუმდა, რაღაცა ნაფოტას წაავლო ხელი, დაბეჯითებით გასინჯა, გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ბავშვების იქით გადააგდო.

— მაშ მოჰკლა? — დაეკითხა მაშოათრთოლებულის, წვრილის ხმით.

— ტუტუცო! — თავ-აუღებლივ სთქვა პაშკამ.

იაკობმა მოჰხვია გოგოს ხელი და ახლო მიიზიდა თავისთან, ილო კი პაშკას მიგვრა და ნელის ხმით დაეკითხა:

— შენ გეცოდება დედა?

— რა შენი საქმეა? — გაბრაზებული წაეხმაურა პაშკა.

სუყველამ ერთად ხმა-ამოუღებლივ გადახედეს პაშკას.

— აი სულ რომ დასეირნობდა, — გაისმა მაშოს წვრილი ხმა, მაგრამ იაკობმა აჩქარებით, მოუთმენლად შეაწყვეტინა ლაპარაკი.

—მა რას იზამდა!.. აბა მოიგონე, რასა ჰგავდა მქედელი. შავი და სულ მუდამ ბრაზიანი, სულ იგინებოდა, იღრინებოდა!.. ის კი მხიარული იყო პერფიშკასავით... და ვერა ძლებდა იმასთან...

პაშკამ შეჰხედა მოლაპარაკეს და დინჯათ, მოზდილსავით, დაიწყო:

— მე ვეუბნებოდი ხოლმე: დედა, დაიძალე! მოგკლავს-მეთქი!.. არ გაიგონა... ეს იყო მეხვეწებოდა ხოლმე—მამას ნურაფერს ეტყვიო... ტკბილეულობას მიყიდა ხოლმე ამისთვის. ფელტფებელი კი სულ შაურიანებს მადღევდა ხოლმე. მივეუბნებოდი თუ არა ბარათს, ის, უეჭველად, შაურიანს მაჩუქებდა, ისეთი კეთილი იყო!.. ღონიერი იყო, ი ამოდენა უღვავები ჰქონდა...

— ხმალიცა ჰქონდა?—დაეკითხა მამო.

— მერე რა ხმალი ჰქონდა!—უპასუხა პაშკამ და ამაყურად დასძინა:—ერთხელ მე ამოვიღე ქარქაშიდან, —ისეთი მძიმე იყო, რომა...

იაკობმა დაფიქრებით წარმოსთქვა:

— აი, ეხლა შენც ილოსავით ობოლი ხარ...

— შენმა მზემ, —უკმაყოფილოდ მიუგო ობოლმა:—შენა გგონია, მეც სანაგვეებზედ დაფიწყებ თრევესა? ვერ მოგართევს, დიად!

— მე მაგას კი არ გეუბნები...

— მე ეხლა რასაც მინდა, იმას ვაეკეთებ!...—იძახდა ამაყად პაშკა, თავი მალლა აელო და თვალები უბრწყინავდნენ.— მე ობოლი კი არა ვარ, ისე მარტოკა ვიცხოვრებ ეხლა. აი, მამას არ უნდოდა სკოლაში მივებარებინე და ეხლა სატუსალოში ჩასვამენ... მე კი სკოლაში წავალ და ვისწავლი... თქვენზეც კარგათ ვისწავლი!

— მერე, ტანისამოსს ვინ მოგართმევს?—ღიმილით დაეკითხა ილო:—სკოლაში დაგლეჯილებს როდი ილებენ!.. ჰე, მიირთვი?..

— ტანისამოსი?... მე... სამკედლოს გავყიდი, რა!.. სუყველამ პატივისცემით გადახედეს პაშკას და ილომ ცხადათ იგრძნო დამარცხება. პაშკამ დაინახა, რა შთაბეჭდილება მოახდინა და უფრო მალლა აღფრთოვანდა.

— მე ცხენსაც ვიყიდი... ცოცხალს განა, ნამდვილ ცხენსა! და სკოლაში ცხენით ვივლი ხოლმე!..

მას თითონ ისე მოეწონა თავისი ახალი აზრი, რომ სიამოვნებისაგან გაიღიმა კიდევ, თუმცა ეს ღიმილი ხან-მოკლე იყო, ოდნავ გამოეხატა ტუჩებზედ და გაჰქრა უცბათ.

— ეხლა აღარავინა გცემს ხოლმე, — უცბათ ჩაუმატა მაშომ, და შურით სავსე თვალებით გადაჰხედა პაშკას.

— კიდევ მოიძებნებიან ცემის მოყვარულნი! — დაბეჯითებით უპასუხა ილომ.

პაშკამ შეხედა, ყოჩაღათ გადააფურთხა გვერდზედ და ჰკითხა:

— ვინ? შენ ხომ არ აპირებ? აბა მობრძანდი!

იაკობი ისევე ჩაერია.

— რა საკვირველია, ძმებო!.. დღეს ცოცხალი იყო კაცი, დადიოდა, ლაპარაკობდა... როგორც ყველა, — ცოცხალი იყო, დაარტყეს თავში გაზი და წავიდა, აღარ არის!..

სამმავე ბავშვმა ყურადღებით შეხედა იაკობს; იმას კი თვალები გადმოეკარკლა და იყო ისე.

— მართლა! — სთქვა ილომ: — მეცა ვფიქრობდი მაგაზედ...

— იტყვიან ხოლმე, — მოკვდაო, — საიღუმლოდ, ჩუმის ხმით განაგრძო იაკობმა: — მერე რასა ნიშნავს ეს „მოკვდა“?

— სული გაფრინდა, — მოწყენილად აუხსნა პაშკამ.

— ცაში, — მიუმატა მაშომ, თან უფრო მიეკრა იაკობს და ზეცას შეჰხედა. იქ ვარსკვლავებს თან-და-თან ეკიდებოდათ უკვე ცეცხლი; ერთი იმათგანი, რომელიც უფრო ღიდი და კაშკაში იყო და არა ბეუტავდა, სხვებზე უფრო ახლო იყო დედამიწასთან და ცივის გაშტერებულის თვალით უყურებდა მას. მაშოს მიბაძვით სუყველამ შეიხედეს ზევით. პაშკამ შეჰხედა და იმ წუთსვე სადღაც გაიქცა. ილო დაშტერებით და შიშით

დიდი ხანი უყურებდა ცაში, იაკობის დიდრონი თვალები კი მოუსვენრათ გადადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეზედ, თითქოს ლურჯ ცის კამარაში რაღასაც დაეძებნო.

— იაშკა!—დაუძახა ამხანაგმა და თან თავი ჩაჰლუნა.

— ჰა?

— მე სულ იმაზედ ვფიქრობ... ილოს ხმა ჩაუწყდა.

— რაზედ?—იაშაკ ჩუმათ დაეკითხა ამხანაგს.

— სუყველაზედ...

— რა?

— როგორ... როგორღაც ვერ არის კარგი... კაცი მოჰკლეს, სუყველანი დაფაცურობენ, დარბიან... ათას რასმეს ამბობენ... და ერთმა კი არავინ იტირა... ერთმა არ შეიცოდა...

— ჰოო... ერემეი სტიროდა...

— ის ყოველთვის სტირის... ჰაშკა, ჰაშკა? გეგონებოდა ზღაპარს უამბობს ამხანაგებსაო...

— ის ებტიბარს არ იტებს... იმას ბარემ კარგათ ენანება, მაგრამ ჩვენი რცხვენოდა და ვერ იტირა... ეხლა გაიქცა და ვინ იცის, როგორა ღრიალებს...

ისინი ერთმანეთზე მიკრუნჩხულ-მიკრულნი კიდევ ისხდნენ რამდენიმე წუთი.

მაშოს მიეძინა იაკობის მუხლზედ და სახე ისე ზეცაში შემაცქირალი დარჩა.

— შენ გეშინიან?—ჩურჩულით დაეკითხა იაკობი..

— მეშინიან— ასევე მიუგო ილომ.

— ეხლა მიცვალებულის სული დაიწყებს აქ ხეტიალს...

— ჰო.. მაშოს კი სძინავს...

— შინ უნდა წავიყვანოთ... მე განძრევისაც კი მეშინიან...

— წამო ერთად წავიდეთ.

იაკობმა მოჰხვია მძინარა ბავშს ხელი, თავი მხარზე გადაიდგო, ძლივს წამოდგა ფეხზე და ჩურჩულით უთხრა ილოს:

— დაიცა, ილო, წინ მე წავალ...

ის წინ წავიდა ქანაობით, ეტყობოდა, ძლივს ერეოდა გოგოს და უკან აჩქარებული მისდევდა ილო. მას ეგონა ვილაც უხილაფი მოგვდევს უკან, აგერ სუნთქავს კიდევ და საცა ხელსა მტაცებსო. მან ხელი წაჰკრა ამხანავს ზურგში და ძლივს გასაგონი ჩურჩულით უთხრა:

— გასწი, ჩქარა!...

ამ შემთხვევის შემდეგ ერემეიმ ავადმყოფობა დაიწყო. ის თან-და-თან იშვიათად გამოდიოდა თავის ხელობის განსაგრძობად, უმეტეს ნაწილად შინ იყო და ან ეზოში დაფარფატობდა ნაღვლიანად, ან თავის ბნელ სოროში იწვა ხოლმე. გაზაფხული მოახლოვდა და ნათელ, კაშკაშა დღეებში, როცა მზე მხიარულად ბრწყინავდა ზეცაზედ და ათბობდა ყველა არეს, მოხუცი საღმე შუაგულ მზეზე იჯდა და ტუჩების ცმაცუნით თითებზე რაღასაც სთვლიდა. ბავშვებს ან სულ აღარ უამბობდა ხოლმე ზღაპრებს და თუ უამბობდა—წინანდებურად კობტად და მოხდენით ვერ ახერხებდა. დაიწყებდა და უცბათ ჩაბჟირდებოდა ხველით. გულში რაღაცა უქრტინებდა, თითქოს განთავისუფლებას ემუდარებოდა.

— კარგი, გეყოფა!—ურჩევდა ხოლმე მაშო, რომელსაც ყველაზე მეტად უყვარდა მოხუცის ზღაპრები.

— და...ი.ცა!..—ძლივს-ღა იტყოდა ხოლმე მოხუცი:— დაიცა ცოტა... ამ საათში...

მაგრამ ხველა არ ანებებდა თავსა და უფრო აუტაცხაცხებდა გამხმარ სხეულს. ხანდახან ისე დაიშლებოდნენ ხოლმე ბავშვები, რომ ვედარ მოისმენდნენ ზღაპრის ბოლოს. ამისთანა შემთხვევაში მოხუცი როგორღაც შებრალებით შეჰხედავდა ხოლმე მიმავალ ყმაწვილებს.

ილომ შენიშნა, რომ პაპას ავადმყოფობა მებუფეტე პეტრუსას და ბიძა ტერენტის ძალიან აწუხებდა და აშფოთებდა მათ. პეტრუსა დღეში რამდენჯერმე გამოჩნდებოდა ხოლმე დუქნის კარებში და რომ იპოვიდა მოხუცს, მხიარულის, მოცინარის თვალებით დაეკითხებოდა:

— როგორ მიდის შენი საქმე, პაპაე? ეხლა ხომ უკეთა ჰგრძნობ თავსა?

ახოვანის, ჩასხმული ტანის პეტრუხა, წითელი ჩითის პერანგში გამოწყობილი ბრჭყვიალა წადებით და მაუდის განიერ შარვლის ჯიბეებში ხელეხ ჩაწყობილი დადიოდა. ჯიბეებში ყოველთვის ფული უჩხრიალებდა. რგვალი თავი ეტვლიპებოდა შუბლიდან მოყოლებული, მელოდებოდა, მაგრამ ჯერ საკმაოდ ჰქონდა კიდევ ქერა ხუჭუჭი თმა თავზე და ყოველთვის კოხტად შეისწორებდა ხოლმე. ილოს წინადვე არ უყვარდა ისა, მაგრამ ეხლა თან-და-თან უფრო სძაგდებოდა. ის კარგათა ჰგრძნობდა, რომ პეტრუხას არ უყვარდა პაპა ერემეი. ერთხელ მან ყური მოჰკრა პეტრუხასა და ბიძის ლაპარაკს— მებუფეტე კუზიანს არიგებდა:

— შენ კარგა ადევნე მაგას თვალი! ეგ ძუნწია და მე მგონი ბალიშში ცოტა ფული არ უნდა ჰქონდეს დამალული აბა, ნუ კი გამოყრუვდები. როგორც ვატყობ, ბებერ თხუნელას დიდი დღე აღარა აქვს. შენ მეგობრად ხარ მაგასთანა და მაგას კი ერთი სული ნათესავი არ მოეპოვება! მოისხარე... გაანძრიე ცოტა ტვინი...

გუშინ პაპა ერემეი ძველებურად იჯდა ტერენტის გვერდით და ემუსაიფებოდა ღმერთზე, სიმართლეზე და კაცთა ცხოვრებაზე. კუზიანი ქალაქში უფრო დაუშნოვდა, უფრო დამახინჯდა, თითქო დაღაბა თავისს მუშაობაშიო; თვალები ჩაუცვივდა და აემღვრია, სხეული თითქო დაუნდა დუქნის მუდმივ დახშულ ჰაერში. მოსვრილ-მოთხვრილი პერანგი სულ კუზთან იხვეჭებოდა და წელი ტიტველი უჩანდა. როცა ვისმეს ელაპარაკებოდა, ტერენტის ხელები მუდამ ზურგთან ეჭირა, ხელის ჩქარი მოძრაობით „ბლუხას“ ისწორებდა, — კაცს ეგონებოდა თავისს ვეებერთელა კუზში რაღაცის დამალვას აპირებსო.

როცა პაპა ერემეი კარში იყო, ტერენტიც გამოვიდოდა ხოლმე თვალების ბჟუტვით, მზისგან ხელშეფარებული შეჭყუ-

რებდა მოხუცს. ყვითელი გახრიოკებული წვერი შეერხეოდა ხოლმე, როცა სუსტი, დამნაშავეს ხმით დაეკითხებოდა:

— პაპა ერემეი, ხომ არაფერი გინდა?

— გმადლობ!.. არა მინდა-რა!.. ეხლა აღარაფერი მინდა. .
— მიუგებდა ხოლმე ერემეი.

ზღაზნით მიბრუნდებოდა კუზიანი თავის სუსტ, ჩხირებსავე წვრილი, ფეხებით და ღუქნისკენ გასწევდა. მოხუცი კი თან-და-თან უკან მიდიოდა.

— ეე, როგორც მეტყობა, ჩემი საქმე წასულია, — უთხრა მან ერთხელ ილოსა. — სიკვდილის დრო მოვიდა, როგორც მეტყობა! მხოლოდ... — აქ მოხუცმა ეჭვის თვალთ მიიხედ-მოიხედა და ჩურჩულით განაგრძო:

— ადრეა ჯერ, ილო! ჯერ ჩემი საქმე არ გამითავებია! ვერ მოვასწარი! ჩვიდმეტი წელიწადია ფულს ვაგროვებდი... ღვთის სახლისთვის მინდოდა.. ჩემ სოფელში ვაპირებდი ეკლესიის აშენებას... საჭიროა... ძალიან საჭიროა ეს ხალხისათვის. კაცს ერთი თავშესაფარი აქვს მხოლოდ — ღმერთთან... ცოტა მოვავგროვე... არ ეყოფა.. და რაცა მაქვს, ისიც არ ვიცი, სად წავიღო... ღმერთო, შენ ჩამაგონე!.. ყვავები კი დამჩხავიან ღღესა, სუნი მიუვიდათ, მგონი... ილო, შენ იცოდე მხოლოდ!

ილომ მოუსმინა მოხუცს ლაპარაკი, თავი დიადი საიდუმლოების პატრონად იგრძნო და მიხედა ვინ იყვნენ ის ყვავები, რომლებზედაც უშიშით და ნაღველით ეუბნებოდა მოხუცი.

რამდენიმე დღის შემდეგ, სკოლიდამ რომ დაბრუნდა ილო თავის კუნჭულში და ტანთ გახდა დაიწყო, ერემეის ჯურღმულიდამ რაღაც ხმაურობა მოესმა. ვიღაცა ჰბუტბუტებდა და ხრიალებდა, თითქო ვიღაცას არჩობენო. დრო-გამოშვებით ცხადათ ისმოდა სისინი.

— ქმ.-ქმმმ.. გამეცა!...

შეშინებული ილო კარებს მიაწვა, მაგრამ დაკეტილი დახვდა. ეს რომ იგრძნო, ათრთოლებულის ხმით დაიყვირა:

— პაპავ!

კარებს იქიდან კი აჩქარებული ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები მოესმა:

— კშშ!.. ღმერთო შემიწყალე... ღმერთო... ღმერთო... და უცბათ შესწყდა ხმაურობა. ილო გადმოხტა უკან, არ იცოდა რა ექნა, მაგრამ იმ წუთსვე მივარდა კარების ნაქვერეტს და ცახცახით მიაკვდა იმ ადგილს. მოხუცის პაწაწინტელა ოთახში ბნელოდა. მისი პატარა, მოხვილი საკმლიდან სინათლე ძლივს შედიოდა ოთახში. ფანჯრიდგან გაზაფხულის სითბოთი დამდნარი თოვლის შხაპა-შხუპი ისმოდა. ეტყობოდა, ფანჯრიდგან შინაც ჩადიოდა წყალი. ილო ჩააკვირდა და დაინახა, რომ მოხუცი გულ-აღმა ეგდო ლოგინზედ და ხელებს ფართხავდა.

— პაპავ! — დაუძახა გულ-მომკვდარმა ილომ.

მოხუცი შეკრთა, თავი ასწია ქვეშაგებიდგან და წაიბუტბუტა:

— კშ... პეტრუსა... შეჰხედე, ღმერთი! ეს იმისია!.. მისი სახლისთვის არის ეს გადადებული... კშ... ყორანო... ღმერთო... შენია... შენი!.. შენ დაჰფარე... იხსენ... ღმერთო!...

ილო შიშისაგან ცახცახებდა, მაგრამ კარებს ვერ მოშორებოდა. ის კარგათ ჰხედავდა, რომ მისი სუსტი და მორთოლვარე მოკაცული თითით ვილასაც ემუქრებოდა.

— შეხე... ღვთისა!.. არ გაჰბეღო!..

აქ უცბათ შეჰკრთა მოხუცი, სულ მთლად მოიკუმშა და წამოჯდა ლოგინზე. მისი სვეტაკი თეთრი წვერი მჯრინავი მტრედის ფრთასავით ცახცახებდა. ხელები გაიწოდა წინ, ვილასაც ჰკრა ხელი და პირქვე დაეცა.

ილომ შეჰკივლა და გაიქცა. ყურებში რაღაც უწიოდა და კშ...კშ... სდევნიდა.

ბავშვმა ღუქანში შეირბინა და ძლივს შეჰყვირა—სულის ვერ ითქვამდა.

— პაპა... მოჰკვდა!..

ტერენტი შეკრთა, გულიდან ოხერა ამოსკდა, დაიწყო ერთ ადგილას უაზროთ ფეხების ბარტყუნი და ცახცახით ჰე-

რანგის გასწორებით დახლის წინ მდგარ პეტრუსას შეჰყურებდა:

— ძია, ჩქარა წადი!..

— რა? რაღას გაჩერებულხარ?—მკაცრად შეჰყვირა პეტრუსამ.—წადი რაღა! ღმერთმა აცხონოს! კი კაცი იყო, სხვათა შორის... ეჰ, მეც წამოვალ... დავხედავ მაინც... ილო, შენ აქ დარჩი პატარა ხანს... თუ საჭირო ვიყო, დამიძახე,—გესმის? იაკობ, შენ ბუფეტში დარჩი... მე ამ საათში მოვალ.

აუჩქარებლივ, წადების რაკა-რუკით პეტრუსამ გასწია დუქნიდან და ორთავე ბავშვა გაიგონეს, რომ კარებს იქით ერთი კიდევ უთხრა კუხიანს:

— წადი, წადი... შე სულელო...

თუმცა ილო ნანახით და გაგონილით მეტად იყო შეშინებული, მაგრამ გონებას მინც არა ჰკარგავდა და ყველაფერს ამჩნევდა, რაც კი ჰხდებოდა ირგვლივ.

— შენ თითონ ნახე, რომ ჰკვდებოდა?—დაეკითხა დახლიდან იაკობი.

ილომ შეხედა და კითხვითვე მიუგო:

— ისინი იქ რად წავიდნენ?

— სანახავად!.. შენ თითონ არ დაუძახე!...

ილო გაჩუმდა. მერე მაგრა მოკუმშა თვალები და სთქვა:

— ღმერთო, რა საზარელი იყო!... როგორ უძალადდებოდა!...

— ვისა?—ყურადღებით შეჰხედა და დაეკითხა იაკობი.

— ეშმაკს!—მიუგო ილომ და ჩაფიქრდა.

— შენ დაინახე?

— ჰა?

— შენ დაინახე ეშმაკი?—მიიბრინა მასთან და თავდაქერით შეჰკვივლა იაკობმა. მაგრამ ამხანაგმა ისევ თვალები დახუჭა და პასუხს არ აძლევდა.

— შეგეშინდა?—აჯანჯგარებდა და თან ეკითხებოდა იაკობი.

— დაიცა!—საიღუმლოებით წარმოსთქვა უცებ ილომ:—
მე ერთი წუთით.. მივირბენ... კარგი? მამას კი ნუ ეტყვი,
გესმის?

— კარგი, კარგი! მერე კი აქ მოივინე ისევ...

ნახევარზედ მიმხვდარმა ილომ დაითიშა და წუთს შემდეგ
აქვე სარდაფში იყო. თითის წვერებით, თავგსავით უხმაუროთ
შიძვრა კარებთან და ისევ ნაქვერეტს მიაკვდა. მოხუცი ჯერ ისევ
ცოცხალი იყო, —ხრიალებდა... მაგრამ ილო მას ვერა ჰხედავ-
და: მომაკვდავი იატაკზედ ეგდო ორ ცოცხალ ადამიანთა
ფეხ ქვეშ. ბურუსში ორთავენი ერთ რაღაც უშნო ფიგურას
წარმოადგენდნენ. მერმე გაარჩია ილომ, რომ მის ბიძას მო-
ხუცის საწოლთან წაეჩოქა და აჩქარებული ბალიშის პირს უკე-
რავდა. აშკარად ისმოდა ძაფის შრიალი. პეტრუხა ტერენტის
უკან იდგა, წაკუზულიყო და ისიც ბალიშს ჩასჩერებოდა. აგერ
გაიქნია თავი და ნაწყენი კილოთი წაიჩურჩულა:

— ჩქარა... შე უმგავსო შენა... გეუბნებოდი—ნემსი და
ძაფი მზათა გქონდეს მეთქი... ჰა, მაინც არ გამიგონე... აქ
მოგინდა ნემსის აგება... ეჰ, შე გამოყრუებულო! კარგა ვერ
უთვალ თვალე... მაგრამ ეჰ,—ღმერთმა უშველოს! ესეც საკმა-
რისია!.. გესმის? გონს მოდი-მეთქი, შე ბრიყვო!

პეტრუსას დამშვიდებული ჩურჩული, მომაკვდავის ოხვრა,
ძაფის შრიალი და ფანჯრიდან გუბეში ჩამონადენი წყლის ჭყაპა-
ჭყუპი,—ყველა ეს ერთად შეზავებული რაღაც ყრუ ხმაურო-
ბად მოისმოდა, რომელმაც ილოს თავ-ბრუ დაჰხვია. ჩუმად
მოშორდა კარებს და გასწია სარდაფიდან. დიდი, რაღაც გა-
მოურკვეველი ლაქა ურმის თვალსაფარით ტრიალებდა მის თვალ-
წინ, შიშინებდა და ეს თავს ბრუს ახვევდა და გულს ურევდა.
ლუქანში კიბეზედ მიმავალი ილო მაგრა ებლაუჭებოდა მოაჯი-
რებს და ფეხებს ძლივს მიათრევდა, კარებთან კი რომ მივიდა,
ჩუმი ქვითინი წასკდა. მის წინ იაკობი ტრიალებდა და რაღა-
საც ელაპარაკებოდა. მერე ხელი ვიღამაც წაჰკრა ზურგში და
პერფიშკას ხმა გაისმა...

— ვინ? რითი და რათა? რა? მოკვდა? ეხ.. დასწყევლოს ღმერთმა!—და ისევ წაჰკრა ილოს ზურგში და ისეთის სიჩქარით ჩაეშვა მეჩექმე კიბეზედ, რომ ამ უკანასკმელმა ზანზარი მორთო. მაგრამ კიბის ძირში მწუხარეთ შესძახა:

— ეჰ, წავიდა...

ილოს ესმოდა, რომ კიბეზედ პეტრუსა და ტერენტი მოდიოდნენ, მას არ უნდოდა მათთან ტირილი, მაგრამ ცრემლებს ველარ იმაგრებდა.

— იაკობ!—დაიძახა პეტრუსამ,—მიირბინე ერთი და მეეზოეს დაუძახე!.. უთხარი მოხუცი ერემეი ღვთის წინაშე წარსდგა-თქო... აბა მარდად!..

— ეჰ!..—ერთი კიდეე ამოიოხრა პერფიშკამ:—თქვენ იყავით კიდეე იქა? ჰმმ...

ტერენტიმ ისე გაუარა დისწულს, რომ არც კი შეეუხე დასწია იმისთვის. პეტრუსამ კი დაადო მხარზედ ხელი და უთხრა:

— სტირი? იტირე, იტირე,—ეგ კარგია... მაგითი ამტკიცებ, რომ გულკეთილი ყოფილხარ და სიკეთის დავიწყება არა გცოდნია. ცხონებული მოხუცი დიდი კეთილის მყოფელი იყო შენთვის!..

პატარა ხანს გაჩუმდა, მერე გაიყვანა გვერდზედ და დაუმატა:

— მაგრამ კარებში ნუ ხარ გაჩერებული..

ილომ სახელოთი ცრემლები მოიწმინდა და ყველას შეჰხედა. პეტრუსა დახლს უკან იდგა უკვე და თმებს ისწორებდა. მის წინ პერფიშკა იდგა, სახეში უყურებდა და ეშმაკურად ილიმებოდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ილიმებოდა, სახე ისეთი ჰქონდა, თითქო ეს არის ამ საათში წაუგია ყომაარში უკანასკნელი შაურიო.

— ჰა, რა გინდა ახლა, პერფალ?—წარბების აწევით, მკაცრად დაეკითხა პეტრუსა.

— მე?.. ჰმმ... მაღარიჩი არ იქნება?—უცბათ წარმოსთქვა პერფიშკამ.

— ეგ რა ამბავიაო, ვითომ რისთვისაო?—ზღაზნით დაეკითხა მედუქნე.

— ეჰჰ!—შეჰყვირა მეჩექმემ და ფეხით დაუტყუაზუნა: —მეცა მაქვს პირი, მაგრამ მე არ მაძლევენ ქალს! ეჰ, რაც იყო, იყო! ერთი სიტყვით, გისურვებ, პეტრე იაკობიჩ, ყოველ კეთილს და ხანგრძლივ სიცოცხლეს!

— რაიო? რას არახუნებ?—ეხლა კი ღიმილით დაეკითხა პეტრუსა.

— ისე.. გულისა და სულის უბრყვილოებით გეუბნები!

— მაშასადამე, გადაგაკვრეინო? ეს გინდოდა რაღა? ხე, ხე, ხე.

— ხა, ხა, ხა! გადინახარა მხიარულად მეჩექმემ. ილომ გაიქნია თავი, თითქო რილაცის მოშორება უნდაო, და გავიდა დუქნიდან.

ამ ღამეს ილო გვიან დაწვა დასაძინებლად და არც თავის ქოხში—დუქანში, იმ მაგიდის ქვეშ, სადაც ტერენტი ჭურჭელსა რეცხდა ხოლმე.

დახლზე ღამა იდგა და გაბერილ დიდ მუცელსა ჩაიდნებს და ბოთლებს ანათებდა. დუქანში კი ბნელოდა, ფანჯრებში შავი, უკუმეთი სიბნელე იკვრიტებოდა, ისმოდა წვრილი წვიმის შხაპა-შხუბი და ქარი ნელა ზუზუნებდა... ტერენტი დაძვრებოდა დიდ ვეებერთელა ზღარბსავეით, მაგიდებს ასწორებდა და მძიმედ ოხრავდა. ღამას რომ მიუახლოვდებოდა, იატაკზე ხშირი ჩრდილი გაიშლართებოდა ხოლმე და ილოს ეგონა ეს ერემის სული მისდევს ბიძას და ხრიალებსო.

— კუ... კუ...

ბავშვი შიშისა და სიცივისაგან ძაგძაგებდა, მას სინესტე ახრჩობდა.—შაბათი იყო და ის იყო იატაკი გარეცხეს—ეს საშინელი ნესტიანი სიმყრალე დუქანში მით აიხსნებოდა. იმას უნდოდა ეთხოვნა ბიძისთვის, რომ მალე მისულიყო და დაწოლილიყო მის გვერდით, მაგრამ მძიმე და ცუდი გრძნობა ნებას არ აძლევდა დალაპარაკებოდა ბიძას. ილოს თვალწინ წელში მოხრილი, თეთრ-წვერა ერემეი ეხატებოდა და ცხადათ

ესმოდა მისი ხრინწიანი, მაგრამ ალერსით და იშედით სავსე, ხმა:

— შეილო, შეილო! ღვთის მოთმინებასაცა აქვს საზღვა-რი.. არა უშავს-რა!..

— დაწვებოდი ბარემ შენცა!.. ვერ მოითმინა და აკან-კალებულის ხმით წაილაპარაკა ილომ.

კუზიანი შეკრა და მიყუჩდა. მერე გაუბედავად, ნელის ხმით იკითხა:

— ჰა? ვინ იყო ესა?

— მე; დაწექი მეთქი ბარემ...

— ამწუთას! ამწუთას, ამწუთას!...—მიაყარა აჩქარებით კუზიანმა და ბზრიალასავით დატრიალდა მაგიდებთან. ილო მიხვდა, რომ ბიძაც იტანჯებოდა და სიამოვნებით გაიფიქრა:

„ახია შენზედ!“...

წვიმა განუწყვეტლივ ჩქრიალებდა და საიდლანაც ყრუდ მოისმოდა რახუნის ხმა. ლამპის სინათლე ჰკრთოდა, ცახცახებდა და ჩაიდნები-ბოთლები ჩუმად ილიმებოდნენ. ილომ ბიძის ქურქი თავზედაც წაიხურა და იწვა გატრუნული. მაგრამ აგერ, მის გვერდით რაღაცა შეინძრა. ერთ წამს ცივმა ოფლმა გადაჰკრა, წამოყო თავი და ტერენტი დაინახა, მას დაეჩოქნა, თავი ისე დაექინდრა, რომ ნიკაპი გულზე ედო, და ჩუმად ჩურჩულებდა:

— ღმერთო, დიდებულო... ღმერთო!

ეს ჩურჩული ჰაპა ერემეის ხრიალს მიემსგავსებოდა. დუქნის უკუმეთი სიბნელე თითქოს იძროდა, მოძრაობდა და მასთან ერთად იატაკიც ჰქანაობდა, ბუხრებში ქარს ზუზუნნი გაჰქონდა.

უ-უ-უ-უ!

— ნუ ლოცულობ!..—წვრილის, წკრიალა ხმით შეჰყვირა ილომ.

— უჰ, რა დაგემართა?—ჩაწყვეტილის ხმით უთხრა კუზიანმა:—დაიძინე, თუ ღმერთი გწამს!

— ნუ ლოცულობ!..—დაბეჯითებით გაიმეორა ბავშვმა.

— კარგი, კარგი... აღარ ვილოცავ...

სიბნელე და ნესტი თან-და-თან უფრო მძიმე ლოდით აწევბოდნენ ილოს გულზედ, ძლივს-ღა სუნთქავდა; გულში კი შიში, პაპა ერემეის სიბრალული და ბიძისადმი ზოროტი, სიძულვილის გრძობა უღვიოდა.

— რა იყო? რა დაგეპართა?... — შეშინებული ეჭურჩულე-ბოდა ბიძა და თან სცდილობდა ხელით შეჭებოდა მას, მაგრამ ილო ხელს ჰკრავდა და ამტირალებულის ხმით, შეშინებული ეუბნებოდა:

— ღმერთო! ნეტა შეიძლებოდეს სადმე დამალვა... რომ ვერაფერს ჰხედავდე და არც შენა გხედავდნენ... ღმერთო!

ყელში მოწოლილმა ცრემლებმა ჩაუწყვიტეს ხმა. მან ძალა დაატანა თავს, ჩაჰყლაპა დამპალი, აყროლებული ჰაერი და ბალიშში თავ-წყაოფილმა მორთო ქვითინი.

(შემდეგი იქნება)

მ ა კ ბ ე ტ

გერგანუსისა

მაკბეტის შინაარსი შექსპირს აღებული აქვს გოლინშედი-საგან, რომელმაც თავის მხრით ისესხა იგი ჰექტორ ბოეციუსის ლათინურის ქრონიკის შოტლანდურ თარგმანიდან (1541). წინააღმდეგ ჰამლეტის მასალისა, აქ ჩვენს პოეტს შემუშავებული საგანი ჰქონდა, რომელიც ვარგოდა სასცენოთ. აქ ყველაფერი იყო შინაარსში: საჭირო იყო მხოლოდ მისი ფსიხოლოგიური დამუშავება. ისტორიულ გადმოცემით, როგორც ეს შექსპირსაც აქვს, მაკბეტი, ნათესავი სუსტის მეფის დუნკანისა, დაბადებით სასტიკი ადამიანი, ბანქოსთან ერთად არის დამცველი ტახტისა შინაგან მემამბოხეთა და გარეგან მტრებისაგან. როგორც შექსპირის პიესაში, ისე ქრონიკაში კუდიანები უწინასწარმეტყველებენ ორსავე სარდალს; მაკბეტის ამაყი ცოლი აქეზებს მას მეფის მოსაკლავად, რაიცა ბრალდებათ გაქცეულს შეიღებს. მიუნდობლობა და შური ბანკოსადმი, რომელსაც წინად, როგორც ეს შექსპირსაც აქვს გაკვრით აღნიშნული, ენდობოდა მაკბეტი, აიძულებენ მაკბეტს საიქიოს გაამგზავროს ბანქო, თუმცა მისი შვილი ფლენანსი კი გაუსხლტება ხელიდან. მაკბეტის იქვიანობას თან-და-თან განვითარება, მისი მტარვალობა, სისხლის წყურვილი, უნდობლობა მაკლუფისადმი, მაკლუფის გაქცევა, მისი ცოლ-შვილის მოკვლა, შემდეგი ცრუ წინასწარმეტყველება კუდიანებისა, შოტლანდიის განთავისუფლება—ყველაფერი ეს ისე მარტივად და დალაგებით არის

აწერილ ქრონიკაში, რომ შექსპირს შეეძლო ეს შინაარსი საე-
სებით შეეტანა. თავის პიესაში, თითქმის წვრილმანებიც კი, მაგ.
საუბარი შაკდუფსა და მალკოლმს შორის.

შექსპირის ნაწერებს შორის ამ ტრაგედიას განსაკუთრე-
ბული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მკითხველებისა და კრიტი-
კებისაგან. შილოლერმა გადააკეთა იგი გერმანულ სცენისათვის;
შლეგელი ლაპარაკობდა მის შესახებ გატაცებულის ენით;
დრეკმა აღიარა ეს პიესა ჩვენის პოეტის უდიდეს ნაწარმოებათ,
ყველაზედ უფრო მაღალ და შემადრწუნებელ დრამად მთელს
ქვეყანაზედ. იმ უცხოელებსაც კი, რომელთაც არავითარი კავ-
შირი არა აქვთ გერმანელთა ტომთან, შექსპირის პიესებში
ყველაზედ უფრო მოსწონთ ეს დრამა იმიტომ, რომ იგი მიამ-
სგავსებს ანტიკურ ტრაგედიას, ან თუ მოეწონათ მისი შინაარსის
ერთიანობა და განვითარების სიმარტივე, თუ იმის გამო, რომ
ხასიათები ამ პიესაში მეტად აშკარად არიან დახატულნი და
მოკლებულნი ყოველგვარს გამოცანას; მაგრამ, უეჭვებლია,
რომ ამ დრამაში უფრო მოსწონთ მხატვრობა და პოეტური
კოლორიტი. თუ ჰამლეტს ვერ შეედრება ვერც ერთი პიესა
შექსპირისა ღრმა-ფილოსოფიურის შეხედულებით ბუნებისა
და ადამიანის სხვა-და-სხვა ძალების შნიშვნელობის შესახებ;
ჰენრიხ IV-ს—ვერც ერთი პიესა იმ ცოცხალის მზიარულის
გრძნობის მხრივ, რომელსაც გრძნობს ადამიანი მომქმედის,
აქტიურის ცხოვრებისაგან; ოტელოს—გულის ხმიერ საფუძვე-
ლით და ხასიათების წინდახედულათ დასურათებით; ლირს—
ერთმანეთის მოწინააღმდეგე ვნებათა შეტაკებით; ციმბელინს—
ზნეობრივის პრინციპების სიდიადით,—მაკბეტი მუდამ იქნება
ერთად-ერთი ნაწარმოები თავის ბრწყინვალე პოეტურის
აღწერით და მხატვრობით, ადამიანების, დროთა და ადგილე-
ბის ცოცხლათ განხორციელებით (დახატვით). ჯერ კიდევ შლე-
გელი ამბობდა, რომ მაკბეტში ნათლად არის დახატული მხნე
გმირული დრო ჩრდილოეთისა, რკინის დროის თავობა, რომლის
სათნობა იყო სიმამაცე. ყველაფერი აქ დევ-გმირულ გიგანტურ
სახეს ღებულობს. როგორ სულ სხვა ნაირად წარმოგვიდგება აქ

მტარვალი მაკბეტი და სხვა გმირები—მაკდუფი, ბანქო, სივარდ მახინჯ რიჩარდ III-თან შედარებით, რომელიც იმარჯვებს მას-სავით მახინჯ ადამიანებზე! ჩვენ შოტლანდიის მთაში ვართ, სადაც ყველაფერი ცრუ-მორწმუნეობით არის აღსავსე, სადაც ნამდვილი და ზესთაბუნებითი ერთმანერთშია არეული, სადაც უსულო ბუნების და პირუტყვების ნიშნებს რაღაც წინასწარ-მეტყველობითი მნიშვნელობა აქვს, სადაც ამისდა მიხედვით ადამიანებსაც უფრო ცოცხალი ფანტაზია აქვთ და ადვილად იჯერებენ ყველაფერს, სადაც ადამიანები ლაპარაკობენ ენერგიულის მაღალ-პოეტიურის და საკვირვლად მხატვრულის ენით, რასაც დღესაც ვამჩნევთ გალთა თემების სახალხო ორატორებს. ამ საერთო სურათზე ნაკლებ არ არის დახატული ცალკე წვრილმანები. ჯერ კიდევ რეინოლდმა აქო სრულიად სამართლიანად მერცხლების დაბრუნება მაკბეტის სახლში, როგორც საუცხოვო სურათი მშვიდობიანობისა, რომელიც თან მოსდევს ბრძოლის ცოცხალს სურათს. კიდევ უფრო სამართლიანად იყო ნაქები საშინელების დახატვა—ლედი მაკბეტის სომნამბულიზმში, ნადიმის სცენასა და კუდიანებში. და ყველას ამას თავს დასტრინალებს ნათლად დახატული და მართალი სცენა ღუნკანის მოკვლისა, რომელიც შემადრწუნებლათ მოქმედობს, რაც უნდა ცუდად იყოს წარმოდგენილი.

შესაზარი ჩურჩული, რომლითაც ამ საშინელ ნახევრად დაბნელებულ კარ-მიდამოში ესაუბრებიან ერთმანეთს ცოლქმარი ცათ მლალადებელ განზრახვის აღსრულების შესახებ; გულის მომკვლელი სულის მდგომარეობა მაკბეტისა დანაშაულობის ჩადენის დროს; საშინელი ბურანი, რომელშიაც იმყოფებიან მსხვერპლათ შეწირულნი მოსამსახურენი, რომელთაგან ერთი საღამოს ლხინს ბოდავს, მეორე კი წინასწარ ჰგმრძობს შესაზარ ამბავს; დასასრულ გარეჯანი სიბნელე ღამისა, რომელიც ეწინააღმდეგება გამართულ ნადიმს, იმ ნადიმს, რომლის დროს მზადდება საფლავები,—ყველაფერი ისე ბუნებრივად მოქმედობს და მასთან ისე უბრალოდ და მარტივად არის და-

ხატული, რომ ადამიანი ვერაფერს ვერ ჰპოვებს ამის მსგავსს მთელს პოეზიაში.

რაც შეეხება იმას, თუ როდის არის დაწერილი მაკბეტი, ჩვენ ვიცით დაბეჯითებით მხოლოდ ის, რომ ეს პიესა წარმოდგენილია 1610 წ. გლობის თეატრში; დოქტორ ფორმანის დღიური იხსენიებს, რომ იგი წარმოადგინეს იმ წლის 20 აპრილს, თუმცა ზოგიერთები ჰფიქრობენ, რომ ტრაგედია დაწერილია უფრო ადრე. იმ გადაკვირთს სიტყვებს (IV, 1), რომელიც შეეხება სამის სამეფოს შეერთებას—ინგლისის, შოტლანდიის და ირლანდიის („ზოგიერთ მათგანს ბურთი უპყრია ორეული და სამი სკიპტრა“) —მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა, თუ დაწერილი იყო მალე ამ ამბის შემდეგ: იაკობ I კი გამოცხადებული იყო დიდის ბრიტანიის და ირლანდიის მეფეთ 1604 წ. 10 დეკემბერს. თუ აგრეა, მაშინ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ მაკბეტი დაიწერა 1605 წლის ახლო. მაგრამ ჩვენ თუ ვარჩევთ მას პირდაპირ ჰამლეტის შემდეგ, იმიტომ, რომ იგი დაწერილია, როგორც სრული წინააღმდეგობა ჰამლეტისა.

ჰამლეტი წარმოგვიდგენს ტრაგიკულ მასალის ისეთ განვითარებას, რომელიც შეუძლებელი იყო ანტიკურ ტრაგედიისათვის. პიესაში ორესტის შინაარსია განმარტებული. ქმარი და მამა მოკლულ იქმნა ავხორც ცოლის საყვარელისაგან: შვილის მოვალეობაა შურისძიება. მაგრამ თავიდანვე ვხედავთ ქრისტიანულ გულ-ჩვილობას, ვხედავთ იმაში, რომ დედა არამც თუ მონაწილეობას არ ღებულობს ამ მკვლელობაში, არამედ არც-კი იცის არაფერი ამ მკვლელობის შესახებ; და აჩრდილი მოკლულისა ავალებს შვილს, ნურაფერს ავნებ დედასო. ანტიკურ დრამის ყოველ მოქმედებაში გამოიხატება სისასტიკე ძველებურ მითისა. ორესტმა მთელი ყმაწვილობა იმაში გაატარა, რომ შურისძიებას ივარჯიშებდა; დაც ენერგიულათ აქეზებს მას შურის საძიებლათ; აქ საჭიროა არა მარტო მკვლელის და ტახტის წამრთმევის მოკვლა, არამედ დედის მოკვლა; შურის საძიებელს მარტო ეს საგანი უდგია თვალწინ და სრუ-

ლებით არ ყოყმანობს: სინილისი იღვიძებს მასში მხოლოდ საქმის შესრულების შემდეგ. ჰამლეტის მგრძობიერ ქრისტიანულ სულში სინილისი იღვიძებს საქმემდის და აბრკოლებს გადაწყვეტილებას და სამოქმედო ძალას: პოეტმა დიდი ყურადღება მიაქცია ჰამლეტში მომქმედ პირების კათოლიკურ ქრისტიანობას და ხაზი გაუსვა ლეგენდებს, ლოცვებს და სარწმუნოებრივ ექვებს, რაც არ სჩვევია საზოგადოთ მას სხვა პიესებში. ძველად ტრაგიკულ პირებათ წარმოიდგენდნ ისეთს ხასიათებს, რომლებიც შეეტაკებოდნენ ღვთის კანონს და უფლებას და იღუპებოდნენ თავის ძალების და გამბედაობის, თავის ძლიერის ნების და ადამიანურ თავისუფლების ნამეტნაობისაგან; ჰამლეტში კი ტრაგიკულს მდგომარეობას ჰქმნის მეტი სისუსტე, გაუბედაობა და გვიანობა. მაკბეტში, პირიქით, საქმის მდგომარეობა სულ სხვანაირია. მაკბეტი წარმოადგენს სრულს კონტრასტს ჰამლეტისას: იგი სავსებით ძველებური ტრაგიკული ხასიათია, რომელიც არა-ადამიანურ ძალასაც კი იჩენს და იმდენად მოუღრეკელი ადამიანია, რომ თვით ბედს, განგებასაც კი გამოიწვევს საბრძოლველათ. ისეთ საშუალო ადამიანისათვის, როგორც არის პრინცი ჰენრიხი, რომლის მოღვაწეობას ხელს ვერ უშლის ვერც აღზრდა, ვერც ყმაწვილობა, ვერც კეთილმსახურება, რომელიც ვერც პატივმოყვარეობამ, ვერც ძლიერებამ, ვერც ბედნიერებამ ვერ გადაქმნა ამაყ და უსამართლო ადამიანათ,—ასეთს ადამიანისათვის მაკბეტი და ჰამლეტი ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე უკიდურესობაა, რომლებიც იღუპებიან ნამეტნაობისაგან. ორივეში, როგორც ეს გამოთქმულია მაკბეტში, კეთილი და სათნო ბუნება იღუპება დიდებულის საქმის შესრულების დროს, მაგრამ ორივეში ეს სხვა-და-სხვანაირათ ხდება. აქაც და იქაც ერთგვარათ საშინელია ტრაგიკული რეაქცია, თუმცა ერთის უმოქმედობა წარმოადგენს სრულს წინააღმდეგობას მეორეს მოუსვენარის მოქმედებისას.

ორისავე პიესის გარეგანი ხასიათი სრულიათ შეეთანხმება მათს შინაგანს ძირითად განსხვავებას. ნელი განვითარება

ჰამლეტის მოქმედებისა არის პირდაპირი კონტრასტი მაკბეტის სწრაფის მოქმედებისა; იქ ნახევრათ ბნელა, აქ კი სრული სინათლეა; იქ ნელა მოძრაობს ვნება, ამ პიესაში კი ჩქარა მიილტვის წინ და ვნება, ვნება უძლიერესის ადამიანისა განვითარებულია უკიდურესობამდის. მუდამ გაუბედავის ჰამლეტის ხასიათისა გამო თვითონ მოქმედებაც პიესისა რაღაც დამღვარ, დაგუბებულ წყალს მოგვაგონებს, რომელიც ცხოველდება მხოლოდ აქა-იქ; ამ პიესაში კი მიჰქრის საშინელი ნაკადული, რომელშიაც მეტად გაბედულს და ხელოვან მცურავესაც ეკარგება ძალა და ღონე. ჰამლეტში, ჩვენის აზრით, პოეტმა განზრახ დაგვიხატა ორნაირის თვისების დრო, გარდამავალი ხანა განათლებისა და კულტურისა: იქ განათლებული ადამიანი სცხოვრობდა გმირულის დროის წრეში, სადაც სასტიკი ჩვეულებანი და ფიზიკური ძალა იყო გაბატონებული. აქ კი, პირიქით (როგორც ვფიქრობთ ჩვენ), ამ გვარსავე განზრახ დაპირდაპირებას წარმოადგენს ადამიანი, რომელიც აღჭურვილია ძველის გმირულის დროის ძალებით და ცხოვრობს კი ისეთ დროში, როდესაც ყველაფერი ქრისტიანულ გულ-ჩვილობისა და წყნარ თვისებებისაკენ მიისწრაფვის; ამასთანავე მაკბეტი თავის ბუნებით კი არ ეკუთვნის ველურს წარსულს, არამედ უახლოვდება ამ დროს თავის ბოროტის საქმეებით და მათის შედეგებით. პიესის შეხედულობა წმინდა ელუარდ ინგლისელისა და მის ღვთაებრივ გამკურნებელის ძალის შესახებ; წარმართის-ველურის მაკბეტის წინააღმდეგი ხასიათი—ღვთის მოყვარული სივარდი, ნამღვილი მოადგილე თავის წმინდა მეფისა, რომელიც თავგანწირულათ ხედავს, რომ მისი მოკლეული შვილი უერთდება ზეციერ მეომართა რაზმს; შოტლანდიის კანონიერ მეფეების აღდგენა ინგლისელების შემწეობით, რომელთაც, ქრონიკის გადმოცემით, პირველათ შეიტანეს შოტლანდიაში გემოთმოყვარეობა, მდიდრულათ ცხოვრება და უფრო ნაზი ჩვეულებანი,—ყველაფერი, ეს მოასწავებს ახალის, უფრო მშვიდის დროის დასაწყისს. მაკბეტი არ არის მწყალობელი ამ დროის და მისის ნებივრობისა. ზიზღით უწოდებს ეპიკურ-

ლებს ამ ინგლისელ განმათავისუფლებელთ. როდესაც მას გამოეცხადება ბანქოს აჩრდილი, იგი, წარტაცებული თავის ბოროტ საქციელებით აშკარად მიმართავს ძველს დროს და ამბობს: „სისხლი უწინაც დაქცეულა, ძველს დროებაში, ვიდრე კანონმა მოარჯულა კაცთა ზნეობა. მასუკანაც კი ბევრი კაცთ-კვლა მომხდარა თურმე სმენათ საშიში. იყო დრო, რომ, რაკი ტინს კეფით გადმოუნთხევდნენ, მოკვდებოდა და ყოველივე გათავდებოდა. ეხლა კი მკვდრეთით ღვებიან ოცგან დაქრილნი სასიკვდილოთ და სკამს გვართმევენ“, ე. ი.—ეხლა ასეთი საქმეები სტანჯავენ სინიდისს და წინათ-კი მათ არავინ არ აქცევდა ყურადღებასაო.

ყველაზედ უფრო არსებითათ უპირდაპირებს ჰამლეტის ბუნებას მაკბეტისას ის გრძნობათა სიმაგრე, რომელიც არაა ჰამლეტში და რომელიც საესებით მოეპოვება მაკბეტს. მაკბეტი ნამდვილათ ისეთია, როგორაჲც გამოგვეცხადება პიესის დასაწყისში: იგი სარდალია, რომელსაც ყველანი გაკვირვებით შეჰყურებენ, მეტად ხელოვანი და უშიშარი მეომარი. როგორც საქმის კაცს განსაკუთრებით, მას არა აქვს გონებრივი განათლება, რომლითაც შეუძლია იამაყოს ჰამლეტს. თუმცა მაკბეტი არ ებრძვის, არაფერს ამბობს განათლების წინააღმდეგ. საუცხოვოთ შეეფერება მას სალდათურ ბუნებას, რომ მასში სრულებით არ მოიპოვება აქტიურობა, განგებ სხვანაირათ თავის მოჩვენების სურვილი, რაიც შეადგენდა ჰამლეტის უმათერეს სულიერს თვისებას. იქაც-კი, სადაც ეს თვისება ძლიერ საჭირო იყო მის საგნისათვის, სადაც ამ თვისებაშია მისი ხსნა, იგი ვერ ახერხებს თავის თავის სხვანაირათ ჩვენებას წინააღმდეგ საკუთარის სურვილისა და ცოლის რჩევისა და ჩაგონებისა. როდესაც კულიანები პირველად უწინასწარმეტყველებენ, იგი ვერ მალავს თავის გაოცებას ბანქოს წინაშე. თავის ცოლს შეზღუდება ჩაფიქრებულის სახით და ცოლი ურჩევს გამოიცვაღე ეგ სახეო; გაჭირვებით და მძიმე ფიქრებით აღდება სუფრიდან, სადაც მეფე ნადიმს შეექცევა. გარრიკი თამაშობდა ამ როლს იმნაირათ, რომ მაკბეტს უჭირდა თავის სულიერ მღელვარების

დაფარვს, როდესაც პირველათ შეხვდება ღუნკას და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდება კუმბერლანდის პრინცის დანიშვნის შესახებ. მაკბეტის — საქმის ადამიანის — ბუნებას ყველაზედ უფრო შეეფერება პატივ-მოყვარეობა, რითაც იგი სრულიათ ეწინააღმდეგება ჰამლეტს. ეს პატივმოყვარეობა გამოაშკარავდა მაშინათვე, როგორც-კი უწინასწარმეტყველეს გულთმისანმა დებმა, მის „დიდების მოწილეს“ — ცოლისადმი მიწერილ წერილში. ამ წერილისა და ცოლთან მისი ლაპარაკიდან მიხვდება ადამიანი, რომ მაკბეტს და მის ცოლს ხშირათ მოსვლიათ პატივმოყვარეობის ფიქრები და განზრახვა, რადგან პატივმოყვარეობა, რომელიც აღეძრა მაკბეტს, კიდევ უფრო ღრმით ჩაუვარდა გულში მის ცოლს. დიდებულ საგნისათვის, ნამდვილ გამარჯვებისათვის მაკბეტი გასწირავს მომავალ ცხოვრებასაც. (ამაში გამოიხატება მისი ვნების სიძლიერე), რომელიც ჰამლეტისათვის წარმოადგენდა საშიშარს და ეჭვებით სავსე საგანს. და ჩვენ ვხედავთ, რომ მას შემდეგ, რაც ბედნიერებამ და შემთხვევამ ძლიერ გაუღვიძეს მაკბეტს პატივმოყვარეობა, იგი, ვასსალი, უკანონოთ, სისხლის დანთხევით ტახტს ართმევს თავის მეფეს და კეთილის მყოფელს; ჰამლეტი-კი, კანონიერი მემკვიდრე ტახტისა, ვერ იჩენს იმდენს სიმამაცეს და გამბედაობას, რომ სამართლიანათ და კანონიერათ დაიბრუნოს საკუთარი ტახტი.

რაც უნდა ძლიერი და ცხარი იყოს მაკბეტში ეს ვნება, იგი მაინც არ არის პირველი მისი თვისება; საჭიროა დიდი ცთუნება, რომ პატივმოყვარეობამ გაიღვიძოს მასში. ვიდრე მის პატივმოყვარეობას სძინავს, ჩვენ შემთხვევა გვაქვს დავინახოთ მაკბეტის უკეთესი თვისებები, რომლებიც არ დაუკარგავს მთლათ მერეც, და მათის შემწეობით მას კიდევ შერჩება ღირსება. ვიდრე დაებადება დამლუპველი განზრახვა მეფის მოკვლისა, მასში სრული თანასწორობაა კეთილისა და ბოროტისა. და როდესაც გულის სიღრმეში ჩაეწვეთება ცთუნება, იგი ყოყმანობს, არ იცის: მოუცადოს, რომ ბედმა თავისთავათ მოუტანოს პატივი და დიდება, თუ თვითონ ძალით.

გაიკაფოს გზა დიდებისაკენ. ვიდრე ცოლის ჩაგონება და წაქეზება გადასწონიდეს, მაკბეტის კეთილი ბუნება თვალ წინ გვიდგია. ამ ჯვარედინ გზაზე მაკბეტის ხასიათის იმნაირ ორგვარობას იჩენს, როგორც ჰამლეტი თავის მონოლოგებში, სადაც იგი გაყოფილია ორათ ძლიერ გადაწყვეტილებასა და თავის ფლეგმის (გულ გრილობის) ძალსა შორის. მას უნდა იყოს დიდებული, ამბობს ლედი მაკბეტი: არ არის მოკლებული პატივმოყვარეობას, მაგრამ უნდა, რომ ყველაფერი მიეცეს უბოროტოთ, რაც საზოგადოდ შეუძლებელია; რაც მას ყველაფერზე უფრო უნდა, უნდა რომ ყველაფერზე წმინდათ მოხედეს; არ უნდა იეშმაკოს თამაშში, მაგრამ-კი უნდა მოიგოს ის, რაც პატიოსანის საშუალებით არ მოიგების; უნდა ჰქონდეს, რაც ეუბნება მას: „ასე უნდა მოიქცე, თუ გინდა მოიპოვო!“ უნდა ჰქონდეს ის, რის მოქმედებაც ვერ გაუბედნია. ლედი მაკბეტი ამბობს მაკბეტის შესახებ, რომ მისი კეთილი ბუნება თითქო რძით არის გაჟღენთილი და შეიძლება გზას აცდესო. ეს სიტყვები ძლიერ უახლოვებენ მაკბეტს (როდესაც იგი დამწვინდებულია) ჰამლეტის სულის მდგომარეობას; ეს სიტყვები შეიძლება გვეთქვა ჰამლეტის შესახებაც. პოეტს უნდა გვითხრას, რომ მას არ მიაჩნია მოუთავსებლად ერთს ადამიანში განვითარებულის სულისა და ძლიერის მომქმედის ხასიათისა. თავდაპირველად მან მიაჩნია მაკბეტს ჰამლეტის ნაზი გრძობები: ეს გამოიხატება მის სინიდისის სიფხიზლეში. მისი სინიდისი ჰამლეტის სინიდისზე ნაკლებ ხმა-მაღლა არ ღაღადებს, შეიძლება უფროც ღაღადებდეს, მხოლოდ შეიძლება ამ მუდამ საქმეებში გართულ ადამიანის სინიდისს არა აქვს დრო და ადგილი თავის თავის გამოცხადებისა, როგორც ამას ვხედავთ ჰამლეტში. მაკბეტის სინიდისმა არამც თუ უნდა მოიფიქროს და ეჭვები გამოსთქვას, არამედ კიდევ უნდა იმოქმედოს; საქმის წინაშე უნდა შეებრძოლოს პატივმოყვარეობას და თუმცა დამარცხებულია, მაგრამ მაინც ძლევა-მოსილია და საშინლათ სტანჯავს მაკბეტს საქმის შესრულების დროს; ამიტომაცაა, რომ ეს ადამიანი, რომლისაგან ჩვეულებრივ დროს

ვერაინ გაიგონებდა ღეთის სახელს, რომელიც კაცის მკვლელებთან ლაპარაკის დროს თითქმის ჰგმობს სარწმუნოებას და ადვილად სჯის საიქიო ცხოვრების შესახებ, — ეს ადამიანი დიდს წუხილს აცხადებს იმის გამო, რომ ღუნკანის დარაჯების ლოცვაზე „ამინი“ ველარა ვსთქვიაო. შემდეგ ერთხელ კიდევ ემორჩილება სინიდისის მის სიძლიერეს. ძლიერმა ხასიათმა და ნებამ დაახშო სინიდისი, მაგრამ იგი არ გამშრალა მთლად უკანასკნელ წუთამდის. თუ მაკბეტი ამ პირვანდელ თავის თვისებით ემსგავსება ჰამლეტს, კიდევ უფრო უახლოვდება მას თავის ცოცხალის ფანტაზიით. მაგრამ თუ ჰამლეტის გაუბედაობის მიზეზი მისი კეთილსინდისიანობა და ფანტაზიაა, მაკბეტი ნათლათ გვიჩვენებს, თუ რამდენათ იმორჩილებს თანდაყოლილი მამაცური ძალა და სიმხნევე ძლიერის სინიდისის და ფანტაზიის გავლენას, რადგან თუ ერთის მხრივ მაკბეტის სინიდისი უფრო ხმა მალლა ღაღადებს, ვიდრე ჰამლეტისა, მეორეს მხრით ისიც უეჭველია, რომ მაკბეტის ფანტაზიის დამაბრკოლებელი ძალაც უფრო ძლიერია, ვიდრე ჰამლეტისა. საშინელი წარმოდგენა აზინებს მის შუიშარ ბუნებას. თვითონ ამბობს მაკბეტი, რომ უბრალო, ჩვეულებრივ გარემოებაშიაც ფანტაზია მოჰგვრიდა შიშსა და მღელვარებას. უბრალო ყვირილი ღამე კანკალს აწყებინებდა და თმას ყალხზე უყენებდა. ცოლმა იცოდა მისი ასეთი თვისება, რომელსაც შეეძლო შეესუსტებინა მისი მოქმედება და გადაწყვეტილება; ამიტომ მუდამ აფრთხილებს ქმარს: მართო არ დარჩე, ფიქრებს ნუ მიეცემიო, „მაგ საქმეებს ეგრე არ უნდა ჩაუკვირდე, თორემ ჭკუიდან შეგშლის ეგ ფიქრი“. ამავე დროს ეს თვისება, რომელიც ენერგიულ ადამიანში მოქმედობს ენერგიულათ, ე. ი. სხვანაირათ, ვიდრე ჰამლეტში, აქვსებს მაკბეტს საქმისათვის.

ნამდვილი საშინელება იმდენათ არ აზინებს ამ საქმის კაცს, რამდენათ აზინებს მოჩვენებული საშინელება: ბრძოლის ველზე იგი მხიარულია, მაგრამ სუსტია და უღონო ბოროტის მოჩვენებას წინაშე. სრულიათ წინააღმდეგ იმ ჰამლეტისა, რომელიც სტკბება უმოქმედობით და მტანჯველის სულის მდგო-

მარეობით, რომელსაც იწვევს მისი წინასწარ-გრძნობანი და წარმოდგენანი, წინააღმდეგ ამ ჰამლეტსა მაკბეტი იმნაირ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს იმიტომ მიეშურება საქმისაკენ, რომ თავი დააღწიოს სულიერ ბრძოლას, და საშინელ მოჩვენებას. ამ შემთხვევაში მისი თვალი დამონებულია (თითქოს გამოსულელებულია) სხვა გრძნობებით ისე, როგორც შემდეგ მოტყვილებულია მისი სმენა, როდესაც ესმის საკუთარი შინაგანი ხმა: „მაკბეტმა მოჰკლა ძილიო!“ მაგრამ ეს მოჩვენება ხელს არ უშლის, მოჰკლას დარაჯები, როგორც პირველმა მოჩვენებამ ხელი არ შეუშალა მოეკლა მეფე. აქაც ვხედავთ, რომ მისი ფანტაზია არ იკარგება ექვემსა და მონოლოგებში, არამედ იჩენს შემოქმედობითს ნიჟს: ამ ფანტაზიის შემწეობით მას კარგათ აქვს წარმოდგენილი როგორც თვითონ საქმე, ისე მისი განსახორციელებელი საშუალება; ჰამლეტის მეხსიერებიდან-კი ჰქრება მამის აჩრდილი, ის აჩრდილი, რომელსაც ხედავდა იგი და რომლის სიტყვები ესმოდა. ჰამლეტსაც და მაკბეტსაც ეჩვენებათ სულები და ეს იმის ნიშანია, რომ ორთავეს დიდი ნიჭი აქვთ წარმოდგენისა. აქ უნდა დავუმატოთ, რომ სულნი და აჩრდილები, რომლებსაც გვიხატავს შექსპირი, არიან მხოლოდ ხილულნი გამომხატველნი ცოცხალის ფანტაზიის წარმოდგენებისა, და სულნი გამოეცხადებიან მარტო იმ პირებს, რომლებს ადვილათ შეუძლიათ ყველაფრის წარმოდგენა და მეტათ მგრძნობელი ნიჭი აქვთ.*) ფხიზელი გერტრუდა ვერ ხედავს აჩრდილს; ცივის ჭკუის პატრონი ლედი მაკბეტი ვერ ამჩნევს ბანქოს სულს; მშრალი, ირონიით აღსავსე ლენოქსი და მისი თანამგზავრნი ვერ ხედავენ ვერც ბანქოს აჩრდილს და ვერც კუდიანებს. თვითონ ბანქოს, რომელიც არ არის მოკლებული პატივმოყვარეობის ოცნებას, მაგრამ არ არის მისგან დამონებული, თუმცა გამოეცხადებიან კუდიანები, მაგრამ არ გამოეცხადებიან, ვიდრე თვითონ არ მიმართავს მათ კითხვით.

*) ამიტომ სრულებით არაა წინააღმდეგობა, როდესაც ჰამლეტი, რომელსაც მოველინა აჩრდილი, ამბობს, რომ საიქიოდან არც ერთი მგზავრი არ დაბრუნებულაო.

თავის კუდიანების შესაქმნელათ შექსპირმა ისარგებლა ხალხურის რწმუნებით ბოროტის სულების შესახებ, მაგრამ შექსპირმა უფრო საშინელი არსებანი, ვიდრე ხალხს აქვს წარმოდგენილი; ამ გვართვე ისარგებლა მან ხალხურის გადმოცემით ელფების შესაქმნელათ „ზაფხულის ღამის სიზმარში“. კუდიანები არ არიან ისე მიმზიდველნი და იმნაირათ სავსებით დახატულნი, როგორც ელფები, მაგრამ მათ შექმნაშიც დიდი ხელოვნება გამოიჩინა შექსპირმა. თვითონ პიესის ტექსტში ლანძღვით უწოდებენ ამ არსებათ კუდიანებს, თავათ-კი გრძნეულდებს (weird sisters) ეძახიან თავის თავს; ამიტომ ზოგიერთი მთარგმნელები უწოდებდნენ მათ პარკებს, უფრო სწორი-კი იქნება, რომ დავარქვათ ჩრდილოეთის ნორნების ან ვალკირიების სახელი. იგინი არიან ველური, გამხმარი არსებანი, უშვერის სიტყვებით მოლაპარაკენი, უმადური ნახევარი-ქმნილებანი, უმსგავსონი, როგორც ბოროტება და ბოროტებასავითვე მოხუცი და მოკლებულნი სქესს. მათ მოქმედებას განაგებს უმაღლესი ძალნი; მოკლებულნი არიან ყოველგვარ ადამიანურს სიმპატიას და მუდამ ხელმძღვანელობენ მარტო ბოროტის განზრახვით. წინააღმდეგ ძველის დროის ევმენიდებისა ეს „გრძნეული დები“ სრულიათ არ არიან შურის მძიებელნი დანაშაულისათვის, პირიქით ესენი აქეზებენ ადამიანს ცოდვისა და ბოროტის საქმის ჩასადენათ. მაგრამ მათ არა აქვთ მინიჭებული მუხანიკური, ბატონური ძალა ადამიანების შესახებ, და ცდება ლემბი, როდესაც ამბობს, რომ მათის მიზეზით ინთხევა სისხლი და იბადება ყოველივე ბოროტი საქმეო. შლეგელიც ამბობს, რომ მაკბეტი იქნაცება ჯოჯოხეთურ ცთუნებისა და არა ბუნებრივ წაქეზების გავლენითო, მაგრამ ეს უნდა გვესმოდეს მხოლოდ იმ აზრით, რომ თვითონ მაკბეტის პატივმოყვარეობას და წამქეზებელ ძალებს აქვთ მეტათ მაგარი და არა-ბუნებრივი სიძლიერე.

(დასასრული იქნება)

უცხოეთის მიმოხილვა

გერმანია.—სამთა კავშირის განახლება.—ვილჰელმ II პრინცი.—გერმანელების აღტაცება.—როგორ ჰქმნიან „აღტაცებას“.—პოლონელების სიჩუმე.—ლანდმარშალის სიტყვა.—იმპერატორის პასუხი.—რუსის აფიკრები პოზნანში.

საფრანგეთი.—დესენ-რემის საქმე.—ორგვარა დისციპლინა.—ვიქტორ-ჰიუგოს ძველი ბეზანსონში.

ევროპის გაზეთები, რომელნიც ზოგჯერ კარგა წინასწარმეტყველოენ, ბევრს ლაპარაკობდნენ უკანასკნელ დროს „სამთა კავშირის“ მომავალზე და ბევრი მათგანი იმ აზრს ადგა, რომ, შეიძლება, იტალია კავშირიდან გამოვიდესო. მეტადრე ფრანგული გაზეთები იმას ჰხედავდნენ, რის დანახვაც ენატრებოდათ,—იტალია საფრანგეთისკენ იწევისო. საფრანგეთისთვის დიად სასურველი იყო, რომ იტალია მას დამეგობრებოდა, და არა მარტო იმიტომ, რომ ამით გერმანიას მოკავშირე აკლდებოდა. საფრანგეთის ლიბერალური პრესა ყოველი შემთხვევით სარგებლობს, რომ დაამტკიცოს ამ ორ ხალხთა მეგობრობისა და კავშირის აუცილებლობა და ბუნებრივობა. იტალიასა და საფრანგეთს შორის შეთანხმება მართლა მოხდა, მაგრამ ამით გერმანიას არაფერი ჰვნებია, „სამთა კავშირი“ არ დარღვეულა, —პირიქით იგი განახლდა და ერთ მოკავშირედ, როგორც წინად, იტალია დარჩა. „გერმანიასა და იტალიას შორის ხელშეკრულებაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა,—ამობს ერთი გერმანელი ოფიციალი,—შინაარსით, როგორც ფორმით, იგივე დარჩა. თუ რამ ცვლილებაა,—დასძენს იგივე გა-

ზეთი, —სამთა კავშირის სახელმწიფოებში და მათ ხელშეკრუ-
ლობაში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საზოგადო მდგომა-
რეობაში, რომლის განვითარებამ შეასუსტა ანტაგონიზმი და
ხიდი გასდო განცალკევებულთა შორის“. უკანასკნელ ფრაზაში
იგულისხმება, სხვათა შორის, ისიც რომ ალზას-ლორენის კით-
ხვამ დაჰკარგა მწვავე ხასიათი და რევანშის იდეიას საფრან-
გეთში მხოლოდ ნაციონალისტები, იგივე მონარხისტები, თუ
იცავენ. თვით გერმანიას იმდენად შეეცვალა შეხედულობა ამ
კითხვაზე, რომ ესრედ წოდებული „დიქტატურა“, ანუ განსა-
კუთრებული წესი, რომელნიც ალზასში არსებობდა, გააუქმა.
როგორც პოლიტიკური ფაქტი, საყურადღებოა აგრეთ-
ვე რუსეთის და გერმანიის „დაახლოება“. ვილჰელმ მე-II
რეველში საზღვაო აღლუმზე დასწრებას დიპლომატიური
პრესსა იმით ხსნის, რომ გერმანიის იმპერატორმა მხოლოდ
აუცილებელი ვიზიტი გადაუხადა რუსეთის იმპერატორს, რო-
მელმაც შარშან დანციგში ნახა იგიო. მართლაც, გერმ-
ნიის იმპერატორის მისვლას აჩავენ აწერდა ისეთ მნი-
შვნელობას, რომ მას შესძლებოდა ევროპის სასწორი შეერ-
ყია, მაგრამ გერმანიის კანცლერის ბიულოვის და რუსეთის
უცხოეთის მინისტრის რეველში დასწრება ამტკიცებს, რომ
მარტო „ვიზიტის“ გადახდა არა ყოფილა; ასეა თუ ისე, რის
შესახებაც უნდა ჰქონოდეთ საუბარი ამ მინისტრებს, უცდ-
ლობელია ის ფაქტი, რომ სამთა და ორთა კავშირი ერთმან-
ეთს „უახლოვდებიან“ და, მიუხედავად განუწყვეტელი შეიარ-
ღებისა, ერიდებიან ყოველ კონფლიქტს, პირდაპირ შეხებას.
ეს არის პოლიტიკა ყოყმანობისა, რომელიც აიხსნება არა მა-
რტო ერთმანეთის შიშით. ყოველ სახელმწიფოს შინ მეტად
ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი, ბევრი შინაური მტერი ჰყავს,
რომელზედაც მუდამ თვალ-ყური უნდა ექიროს. ზოგისთვის ეს
მტერი იქნება უფრო საშიშიც იყოს, ვიდრე გარეშე. პოლი-
ტიკურმა კავშირებმა ისეთი ფაქტიური მდგომარეობა შექმნეს
რომ სახელმწიფოებს თავისუფლად შეუძლიანთ შინაურ მტრებს
ებრძოლონ. თუ ზოგიერთი სახელმწიფო მშვიდობიანობას

შინაგან განვითარებას და წინსვლას ანდომებს, სამაგიეროდ სხვებისთვის ეს არის საუკეთესო საშუალება დაქვეითებისა. ამიტომ „კავშირთა“ არსებობას, სოციალური მხრით, იგივე გავლენა აქვს ცხოვრებაზე, როგორც ოდესმე ჰქონდა ეგრედ წოდებულ „წმინდა“ კავშირს, ე. ი. კავშირთა წყალობით გაშეფდა უკიდურესი რეაქცია. იმას გარდა, რომ სამთა კავშირმა სამუდამოდ დააქვეითა იტალია, რომ საზოგადოთ მთელ ევროპაში შექმნა „შეიარაღებული მშვიდობიანობა“, რაც უფრო მეტ ხარჯს თხოულობს და მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე თვით ომს. ცუდი მხარე „კავშირებისა“ კიდევ ის არის, რომ მათ არა აქვთ არავის თვალში არავითარი ზნეობრივი კრედიტი და იურიდიული ძალა. ზისმარკი, რომელიც დიდი ოსტატი იყო ამ საქმეში და ზოგჯერ თავის მოკავშირეთა წინააღმდეგ სხვა საიდუმლო კავშირებს ჰკრავდა ხოლმე, ამბობდა, რომ ხელშეკრულობის აღსრულება დიდ სახელმწიფოთა შორის მხოლოდ პირობითიაო, ესე იგი, იმაზეა დამოკიდებული, თუ რას მოითხოვს „ცხოვრებისთვის ბრძოლა“, აღსრულებას თუ აუღსრულებლობასო. ქვეყანაზე არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელმაც ხელშეკრულობის ერთგულებას თავისი არსებობა შესწიროს, თუ კი არჩევნის შეძლება ექნებაო. ერთი სიტყვით, ჯერ სარგებლობა, მერე ხელშეკრულობის პატიოსნური აღსრულება, — აი დევიზი, რომელსაც აღიარებენ ყველა სახელმწიფოები პრაქტიკულ ცხოვრებაში. ჯერ-ჯერობით დღევანდელი სამთა და ორთა კავშირი საჭიროდ ჰხედავს არსებულ პოლიტიკური მდგომარეობის დაცვას. იმპერატორების ნახვამ უფრო განამტკიცა ეს მდგომარეობა.

მშვიდობიანობა და სათნოება სუფევს გერმანიის საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ რამდენადც იმპერატორი ვილჰელმი სულ შვიდობიანობაზე ლაპარაკობს, როცა უცხოეთთან აქვს საქმე, იმდენადვე მოუხრიდებლად ირჯება საკუთარ სახელმწიფოში. იმპერატორს მეტად ცოცხალი, დაუდგრომელი ტემპერამენტი აქვს და, უფრო შორს წავიდოდა, გერმანიას რომ კონსტიტუცია არა ჰქონდეს, ამას წინად მარიენბურგში ვილჰელმმა

გასაოცარი რისხვითა და გულისწყრომით ილაპარაკა პოლონელების „თავგასულობაზე“, დაემუქრა არა თუ პოლონელებს, საზოგადოდ სლოვიანებს. ამ სიტყვამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, მეტადრე ავსტრიელ პოლონელთა შორის. მერე იყო და გასაოცარი დეპეშით მიმართა ბავარიის პრინცს ლეოტპოლდს, რომელსაც ადგილობრივმა სეიმმა უარი უთხრა ასი ათას მარკაზე. ეს კრედიტი ხელოვნების საქმეს უნდა მოხმარებოდა, მაგრამ ლანდტაგის კათოლიკეთა უმრავლესობამ, ცენტრმა, რომელსაც უსიამოვნება ჰქონდა მთავრობასთან, უარი უთხრა. ვილჰელმ II ლეოტპოლდს მისწერა დეპეშა, რომელიც გულის-წყრომით იყო სავსე და ენერგიულად ჰკიცხავდა ბავარიის ხალხის წარმომადგენელთა საქციელს.*) ამასთანავე იმპერატორი უძღვნიდა იმ ასი ათას მარკას, რომელიც ლანდტაგმა არ გაიმეტა. ლეოტპოლდის პასუხი, რომელიც მადლობას უცხადებდა იმპერატორს, ისეთი კილოთი იყო დაწერილი, რომელსაც უნდა ეგრძობინებინა იმპერატორისთვის მისი საქციელის უადგილობა: ლეოტპოლდი მადლობას უძღვნიდა იმპერატორს და აუწყებდა, რომ ასი ათასი მარკა უკვე შემოსწირა ერთმა პირმა. ბავარიის გაზეთებმა აღძრეს კითხვა, რა ნება ჰქონდა იმპერატორს, რომ ჩვენს შინაურ საქმეში ერეოდაო. თუ ჩვენს წარმომადგენლებს ამა თუ იმ მიზეზით არ უნდათ მთავრობის სურვილის ასრულება, ეს ჩვენი შინაური საქმეა და არა პრუსიის კოროლისაო. თვით პრუსიელმა მოწინავე პრესამ სასაცილოდ აიგდო იმპერატორის საქციელი და ერთმა სოციალისტურმა გაზეთმა კიდევ ურჩია იმპერატორს, შენი ჯიბიდან მიეცი ჯავშნიანი გემებისთვის ფული, თუ რეიხსტაგმა უარი გითხრასო. ამ გვარმა უტაქტობამ შექმნა „ბავარიის ინციდენტი“.

ავვისტოს შუა რიცხვებში ვილჰელმ მე-II პოზნანში მივიდა. პოზნანი სატახტო ქალაქია პრუსიის პოლონეთისა. იმპე-

*) ცენტრი ბავარიის ლანდტაგშიაც ღვდლებისაგან და კლერიკალეზისაგან შესდგება და როგორც საიმპერიო რეიხსტაგში რეაქციონურ პარტიას წარმოადგენენ.

რატორის მისვლას წინ-უძღვოდა ფრიად გამწვავებული აგიტაცია პოლონურ პრესაში და საზოგადოებაში. მარიენბურგის სიტყვამ, რომელშიც იმპერატორმა საოცარი სიმკაცრით მოიხსენია პოლონელი ერი, მეტად გააბრაზა და მოთმინებიდან გამოიყვანა პოზნანელი პოლონელები. თვით ის პოლონელი არისტოკრატია, რომლისთვისაც სულ უკანასკნელი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალურ კითხვას, ჩაერია ამ საქმეში და სხვა-და-სხვა გვარად ცდილობდა გამოეცხადებინა იმპერატორისთვის თავისი უკიდურესი უკმაყოფილება. მაგალითად, გადასწყვეტეს ბერლინის და გერმანიის საუკეთესო კურორტების მიტოვება. გამოჩენილმა სასახლის მხატვარმა, პოლონელმა, გამოუცხადა იმპერატორს, რომ ბერლინში დადგომა აღარ შემიძლია პოლიტიკურ პირობების გამო, და პარიზში გადასახლდა. ამ გვარი მაგალითები მრავალი იყო: მაგრამ, რასაკვირველია, ასეთ ფრონდას პოლონელების მხრივ არ შეეძლო და არ შეუძლია საზოგადო პოლიტიკის შეცვლა, რომელსაც ადგიან გერმანელები პოზნანში და რომლის უზენაესი ბელადი არის თვით იმპერატორი. „გაგერმანელება პოზნანისა“—აი ეს პოლიტიკა. მაგრამ პოლონელები მეტად მაგარი ხალხია და მტკიცედ ებრძვიან მტერს. ჯერ-ჯერობით პოზნანში გაპოლონელება უფრო ადვილია.

პოზნანელმა გერმანელებმა და ადმინისტრაციამ ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ რაც შეიძლება დიდებულად დახვედროდნენ იმპერატორს. თვით ბერლინიდან მრავალი ჯარი მიჰყვა იმპერატორს. ქალაქი სამხედრო-ბანაკად გადაიქცა. ამის გარდა, ახლო-მახლოდან მრავალი ხალხი მოაწყდა პოზნანს, ზოგი ნებით და ზოგი ძალით. საჭირო იყო ქვეყნისთვის და თვით იმპერატორისთვის ეჩვენებინათ, რომ პოზნანის პროვინცია „გაგერმანელებულია“. პოლონელებმა თავის მხრივ უარი სთქვეს დღესასწაულში მონაწილეობის მიღებაზე; მათი ვაზეთები ურჩევდნენ, შინ დარჩით, ქუჩებში ნუ გამოხვალთო. გერმანელების სახლები განათებული იყვნენ და ორ-ფეროვანი (თეთრი და შავი) დროშებით მორთულნი. პოლონელების სახლები კი ჩაბნელებუ-

ლნი გამოიყურებოდნენ და ზოგან ფანჯრის დარაბებიც კი და-
 ეხურათ და სტორები ჩამოეშვათ. ქალაქმა თავისი ელექტრო-
 ნი შესთავაზა პოლონელებს სახლების უფასოდ გასანათებად,
 მაგრამ მათ არც ეს ინდომეს. თქმა არ უნდა, პირდაპირ ძალას
 ვერ დაატანდნენ პოლონელებს, და სწორედ ამიტომ სხვა და სხვა
 საშუალებებს მიმართეს. საყურადღებოა, რომ გერმანელი ქა-
 ლები დიდ როლსა თამაშობდნენ ამ საქმეში. გერმანელ მო-
 ხელეთა ცოლებს, მოსილისათანავე სიას წარუდგენენ ხოლმე
 გერმანელ ვაჭრებისას, და ისინიც მუდამ ყოველიფერს მათგან
 ყიდულობენ. მაგრამ ბევრნი გერმანელი მანდილოსნები პო-
 ლონელებთანაც ვაჭრობენ. აი ამ მანდილოსნებმა თურმე რა
 ხერხს მიმართეს. დღესასწაულის წინა დღით შედიოდნენ მაღა-
 ზიებში, ყიდულობენ რასმე, და შემდეგ ეუბნებოდნენ: „რადგან
 თქვენ არ გინდათ მონაწილეობა მიიღოთ ნაციონალურ დღე-
 სასწაულში, ეს არის და ეს, მე თქვენთან აღარ ვივაჭრებ.“ აი
 მეორე ფაქტი, რომელიც უფრო საყურადღებოა. ერთ პოლონელ
 რესტორანში თურმე დიდი ხანია სადილობდნენ გერმანელი
 აფიცრები და მოხელეები. რასაკვირველია, მათ კარგად იცოდ-
 ნენ თავისი მასპინძლების პოლიტიკური შეხედულება, მაგრამ
 ალბად სასარგებლოდ ხედავდნენ იქ სადილობას. უკანასკნელ
 დროს ბრძანება მოუვიდათ, რომელმაც ამ რესტორანში სადი-
 ლობა აუკრძალა. გერმანელებმა სახლების მორთვაში ყოველ
 ზომის გადააჭარბეს. დროშები რამდენიმე ერთად იყო შეკრული
 და მრავალი გირლიანდები უხვად ჰფარავდნენ სახლების ფსა-
 დებს. ერთ მაღაზიის პატრონს შოკოლადისგან გაეკეთებინა ვილ-
 ჰელმის ბიუსტი, რომლის წინ ჯარი იდგა. თუმცა იმპერატორი
 ნეგროს უფრო მოგაგონებდათ, მაგრამ პოზნანელმა პრესსამ სე-
 რიოზულად აღნიშნა ეს უქვეშევრდომესი გრძნობის გამოხა-
 ტვა.

ახლა თვალი გადავაგლოთ იმპერატორის სიტყვას, რო-
 მელსაც მოუთმენლად მოელოდნენ როგორც გერმანელი, ისე
 პოლონელები. მორიენბურგის სიტყვის შემდეგ მოსალოდნე-
 ლი იყო, რომ ვილჰელმ II ისეთივე საომარ სიტყვას იტყოდა.

პოლონელებს ეს გადაწყვეტილი ჰქონდათ წინაღვე და აკი სწორედ ამიტომ მიმართეს იმ „ჩემ პროტესტს“, მომელიც ზემოდ აღენიშნეთ.

ლანდმარშალის სიტყვა თვით იმპერატორის მიერ იყო წინდაწინვე ბერლინში გასწორებული. რასაკვირველია, პასუხიც მოფიქრებული ჰქონდა. გაზეთების სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და გერმანელებმა ბევრი ეცადეს, მაინც „ურას“ ძახილი სრულებით არა ჰგავდა გრგვინვას და იმპერატორი სახე-მოღუშული იჯდა ცხენზე, და, თქმა არ უნდა, კარგად ამჩნევდა, რომ პოზნანის გაგერმანელება ჯერ კიდევ შორს არისო. აი რამდენიმე ადგილი იმპერატორის სიტყვისა: „პატრიოტული სიტყვები, რომელშიც თქვენ გამოგვიცხადეთ, მე და იმპერატრიცას, პოზნანის პროვინციის სულიერი განწყობილება, სიხარულით და მადლობით ავსებენ ჩვენს გულს. ამ სიტყვებს ამტკიცებენ პატრიოტული მოგებება აქაურ მცხოვრებთა. ჩვენ აქ ვიმყოფებით ერთგულ გერმანელ მკვიდრთა შორის, ჩვენ ვიმყოფებით ერთგულ გერმანულ ქალაქში, და ეს ერთგულება სჩანს იმ საქმეში, რომელსაც ემსახურებიან გერმანელები აქაურობის წარმატებისთვის“. შემდეგ იმპერატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა თანხმობა სუფევდეს გერმანელ პარტიათა შორის, რომ უკეთ განვრცელდეს გერმანული კულტურაო. „ამის გარდა, ცხადია, ჩემმა მოხელეებმა აუცილებლად ჩემი განმარტების და ჩემი ბრძანების თანხმად, მორჩილად უნდა ემსახურონ იმ პოლიტიკას, რომელიც მე ვპოვე საჭიროდ პროვინციისათვის“.

„მე ღრმად ვწუხარ, რომ ჩემ ქვეშევრდომთა ერთ ნაწილს, ტომით არა გერმანელთ, როგორც სჩანს, უჭირს მონარხის პირობებთან შეთანხმება. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ ორ შეცდომაში. ჯერ ერთი, რომ შიში აქვთ, რომ არ შეეხონ მათ სარწმუნოებას... მეორე შეცდომა ისაა, რომ ეშინიანთ ტომობრივი თავისებურობის და ტრადიციების შემუსვრისა. ესეც უსაფუძვლო შიშია. პრუსიის საკოროლო შესდგება მრავალ ტომთაგან, რომელნიც ამაცობენ თავისი ისტორიით და თავისებუ-

რობით. მაგრამ ეს მათ მაინც არ უშლით, რომ უპირველეს ყოვლისა ნამდვილი პრუსიელები იყვნენ. ასე უნდა იყოს აქაც. გადმოცემები და მოგონებანი უნდა დარჩნენ, მაგრამ ისინი ისტორიას და წარსულს ეკუთვნიან. ახლა მე მხოლოდ პრუსიას ვიცნობ, და მე მოვალე ვარ ჩემ წინაპართა წინაშე, რომელთაც აქ უშრომიათ, რომ ეს პროვინცია განუყრელად შეერთებული იყოს პრუსიასთან და სამუდამოთ დარჩეს ნამდვილ პრუსიელ და გერმანელ პროვინციათ. ამ კიქას, სავსეს ვაზის წვენით, რომელიც ხარობს მშვენიერი რეინის ნაპირზე, მე ვცლი პოზნანის პროვინციის წარმატების და მდინარე ვარტაზე მდებარე მის სატახტო ქალაქის სადღეგრძელოდ“.

ეს არის უმთავრესი ადგილები იმპერატორის სიტყვისა, რომელსაც ასე მოუთმენლად მოელოდნენ. ერთი თვალის გადავლენაა საჭირო, რომ ვიგრძნოთ ამ სიტყვის მშვიდობიანი და მეტად თავდაქერილი კილო. მაგრამ თუ გარეგანი მხრივ ეს სიტყვა არა ჰგავს მარიენბურგში წამოთქმულს, სამაგიეროთ შინაარსით სრულებით არ განსხვავდება. სერიოზული ტონი პირ-იქით უფრო მეტ სიმტკიცეს და სიმაგრეს აძლევს დედა აზრს....

პოზნანის დღესასწაულს დაესწრნენ აგრეთვე რუსის აფიცრები და ვარშავის გუბერნატორი ჩერეტკოვი. იმპერატორმა მათ ყველას ხელი ჩამოართვა.

საფრანგეთი კვლავ ებრძვის ბერების „შავ არმიას“ რაც დასახური სკოლები იყო, დახურეს; ბერებია და მონაზვნები ბევრი პრანქვა-გრების შემდეგ სკოლებიდან გამოვიდნენ. ზოგი მონასტრებს შეეფარა და ზოგმა სამუდამოდ დასტოვა უმადური სამშობლოს მიწა-წყალი და მოედნენ მთელ ქვეყანას, წავიდნენ იქ, სადაც მათ კაპიტალებს უფრო ნაკლები შიში მოეღოს.

წარსულ მიმოხილვაში მოხსენებული გვქონდა აფიცერი სენ-რემის საქციელი: მან უარი შეუთვალა თავის უფროსს, შენ

ბრძანებას ვერ ავასრულებ და „დების“ წინააღმდეგ ვერ ვიმოქმედებ, სარწმუნოება ნებას არ მაძლევსო.

ამისთვის სენ-რემი სამხედრო სამართალში მისცეს, მაგრამ მსაჯულებათ მისებრივე კლერიკალი აფიცრები ბძანდებოდნენ და ბრალდებული გაამართლეს. ამ გამართლებამ დიდი ალიაქოთი ასტეხა საზოგადოებაში და პრესაში. ყველამ კარგათ იცის, რომ ნაციონალისტების მუდმივი გოდება და ჩივილი რესპუბლიკის წინააღმდეგ იმას შეეხება, რომ რესპუბლიკელებმა, სოციალისტების გავლენით, ჯარი გარყვნეს, სამხედრო დისციპლინა, რომელიც ალფა და ომეგაა ჯარის არსებობისა, შეარყიეს და ამით უმაღლეს ინტერესს სამშობლოს დაცვისას უღალატეს, უღალატეს თვით სამშობლოს. ნაციონალისტები მუდამ ცდილობენ დამტკიცონ, რომ პატრიოტობა მხოლოდ მათი მონოპოლიაა და სხვები სამშობლოს გამყიდველები და მოღილატენი არიან. ეს სიყალბე და ორპირობა ნაციონალისტებისა ერთხელ კიდევ გამოქვეყნდა სენ-რემის პროცესის დროს. მათ არა თუ აპატიეს სენ-რემის უფროსის ურჩობა და დისციპლინის დარღვევა, მათ იგი რაღაც წამებულის პიედესტალე აიყვანეს. თითქმის მთელი ზომიერი პრესა ჰკიცხავს სენ-რემის მსაჯულებს და სამართლიანად ამტკიცებს, რომ იმ გვარი მიდგომითი განჩინება მართლა ძირს უთხრის სამხედრო დისციპლინასო....

ზომიერი „ტან“-ი, რომელიც სასტიკად სჯიდა კომბის დეკრეტებს და „სწავლის თავისუფლების“ პრინციპით აღქურვილი, კლერიკალებს ხელს აფარებდა, ახლა სწერს: „სამხედრო სასამართლომ მეტად მცირე, თითქმის სამასხარო სასჯელი მიუსაჯა სენ-რემის. ეს განაჩენი ხეირს არ დააყრის არც სამხედრო დისციპლონას, არც ჯარს. რეაქციონური და ნაციონალისტური გაზეთები კი დიდს სიხარულს მიეცნენ. მაგრამ ეს სიხარული უგონო სიხარულია“.

სენ-რემის პროცესის, რასაკვირველია, საუკეთესო იარაღს მისცემს ხელში მოწინავე ჯგუფებს მუდმივი არმიის და სამხედრო სასამართლოების წინააღმდეგ.

დიდი ხანი არ გასულა მას აქეთ, რაც პარიზში მშვენიერი ძეგლი აუგეს ვიქტორ ჰიუგოს მისივე სახელის მოედანზე. ეს ძეგლი ეკუთვნის გამოჩენელ სკულპტორ ბარიასს, რომელმაც წარმოადგინა იგი (შავად) წარსულ მსოფლიო გამოფენაზე. წელს თებერვალში პარიზშივე გადაიხადეს აგრეთ წოდებული „ჰიუგოს დღესასწაული“, რომლის მსგავსი არავის უნახავს, და ი ბოლოს დროს, წარსულ თვეში, ბეზანსონის ქალაქმა, პოეტის სამშობლომ, კვლავ მოიგონა მისი სახელი და ახალი ძეგლი დაუდგა.

საფრანგეთში არ არის მეორე მწერალი, რომლის თხზულებანი ისე გავრცელებული იყოს, როგორც ვიქტორ ჰიუგოსი, რომლის ნაწერები ისე უყვარდეთ, როგორც „საბრალონი“-ს ავტორისა. გარდა ნიჭისა, ამ საერთო თაყვანისცემის მიზეზი ის არის, რომ ჰიუგო მუდამ ემსახურებოდა მაღალ იდეალს თავისუფლებისას, ადამიანის სიყვარულისას, რომელიც ძალა-უნებურად იმონებს, განურჩევლად იმისა, თუ რა პოლიტიკურ ბანაკს ეკუთვნის მკითხველი.

ძეგლის კურთხევას დაესწრნენ ვაქრობის მინისტრი ტრუიო, რომელიც თავმჯდომარეობდა ცერემონიას, მეურნეობის მინისტრი, მუჟო, ელუარდ ლოკრუა, ჰიუგოს ოჯახის წარმომადგენელი, ჟიულ კლარესი, ბეზანსონის მერი, ადგილობრივი დეპუტატები და სენატორები, უმთავრესი მოხელენი ბეზანსონისა, მრავალი დელეგატები პარიზიდან, რომიდან, ბრიუსელიდან, მილანიდან და სხ.

ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა კოლსენემ, ვიცე-პრეზიდენტმა ძეგლის კომიტეტისამ, გადასცა მონუმენტი მუნიციპალიტეტს: „რამდენიმე დღის განმავლობაში ფრანშ-კონტე (პოვინციის სახელი) ეს მეორედ ადიდებს თავის სახელოვან შეღებს: ჯერ იყო პასტერი, ახლა ვიქტორ ჰიუგო! მთელი საუკუნეა ამ ორ სახელში“. ამის შემდეგ მან განაგრძო: „ეს (ჰიუგო) იყო ძლიერი ხმა, რომელმაც ქვეყნიერებას გააგონა სიმართლე, და ეს ხმა გადასცილდა საფრანგეთის საზღვრებს; მის მრავალ გვაროვან ნაწარმოებში იხატება ჩვენი ტანჯვა,

ჩვენი გულის წყრომა, ჩვენი იმედები. ყოველგვარი ტირანია მან გაჰკიცხა. უსამართლობა—მან გამოამკლავა. მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში იგი იყო სინიდისი ქვეყნიერებისა. და თქვენ, — მოუბრუნდა შემდეგ უცხოეთის უნივერსიტეტების სტუდენტებს, — თქვენ, რომელნიც მოსულხართ აქ დიდებული სახელის სადიდებლად, აგრეთვე თქვენ, საფრანგეთის უნივერსიტეტების სტუდენტო, ნუ დაივიწყებთ, რომ ე. ჰიუგოს უყვარდა ახალგაზრობა, მაგრამ უნდოდა, რომ იგი კვლავ იმობილი ყოფილიყო, იდეალის მოყვარული, მცირეთა მიმართ შებრალებით აღსავსე და მტერი ძმათა-შორის ბრძოლისა. შეერთდით და მოუშვადეთ ჩვენ მოადგილეებს ამ ქვეყნად უფრო ტკბილი მომავალი უფრო მხიარულ ცის ქვეშ“.

ბენანსონის მერმა, რომელმაც შემდეგ ილაპარაკა, მოიყვანა თვით ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები შექსპირის შესახებ: „ძველი შექსპირს? რად უნდა? ის სტატუია, რომელიც მან თავის თავს დაუდგა უკეთესია. პიედესტალად შექსპირს მთელი ინგლისი აქვს. იგი არა საჭიროებს პირამიდას: მას დარჩა თავისი ნაწარმოები. რის მაქნისია მისთვის მარმარილო? რა შეუძლია ბრინჯაოს იქ, სადაც არის სახელი?“ მან ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „ეს პატივისცემით სავსე აღტაცება აქაურ მცხოვრებთა, რომელნიც ნამდვილნი რესპუბლიკელნი არან, შეეხება არა მარტო აღფრთოვანებულ პუტს, დრამატურგს, ფილოსოფოსს, მეცნიერს, იგი შეეხება აგრეთვე და უმეტესად ყოვლისა დიდებულ დემოკრატს, რომელსაც ასე სამართლიანად უწოდეს მომავალი მშვიდობიანობის და სოციალური ჰარმონიის პოეტი.“

ფრიად საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა მინისტრმა ტრუიომ. ამ სიტყვას უფრო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს და არა მარტო იმიტომ, რომ მინისტრმა უმთავრესად ხაზი გაუსვა ვიქტორ ჰიუგოს პოლიტიკურ მოღვაწეობას. დღეს ს: ფრანგეთში გაცხარებული ომია თავისუფალ მოაზრეთა და რეაქციონერ კლერიკალთა შორის და აი სწორედ ამიტომ აქვს მინისტრის სიტყვას მეტი მნიშვნელობა. „ახალი თაობანი, —

სთქვა მინისტრმა, — რომელიც მზა-მზარეულს ჰპოვებენ ყოველ გვარ თავისუფლებას, რომელსაც ასე დიდხანს მოკლებულნი იყვნენ მათი უფროსნი: ფიქრის, კრებების და ბოლოს საერო ასოციაციების თავისუფლებას, რომელიც დიდ შიშს ჰგვრიდა წარსულ რეჟიმს და რომლის მოპოვებას ში წელიწადი მოა-ნდომა რესპუბლიკამ, — ეს თაობა, რომელსაც არ გამოუტდია ჩვენი აღშფოთება და ტანჯვა, იქნება საკმაოდ ვერ მიხვდეს რა დიდია ჩვენი მადლობის ვალი პოეტისადმი, რომელიც ერთსა და იმავე დროს იყო საუცხოვო მოღვაწე და რომლის გავლენა ისე ღრმა იყო მის დროის პოლიტიკურ საქმეთა ვითარებაზე. ვიქტორ ჰიუგო იყო ნამდვილი აღმზრდელი იმ ახალგაზდობის, რომელიც გამოვიდა ასპარეზზე იმპერიის დასასრულს. ვიქტორ ჰიუგო იყო, რომ გაადვიდა ჩვენი პატრიოტიზმი; მისმა საუცხოვო ლექსებმა გაახურეს ჩვენი ენტუზიზმი. თუ დღევანდელ თაობას გულში აქვს ღრმა სიძულვილი იმპერიისა და სიყვარული თავისუფლებისა, მან კარგად იცის, თუ რამდენად მადლობელი უნდა ვიყოთ იმ პატარა შურის-მაძიებელ ლექსებისა, რომელსაც ჰიუგო გვიგზავნიდა განძეგების ადგილიდან... ვიქტორ ჰიუგო იყო ერთი უძლიერესი მუშა რესპუბლიკისა, რომელიც სამუდამოდ დამკვიდრდა და რომელიც დღეს მის სახელს უძღვნის გვირგვინს და აღმერთებს.“

მინისტრის შემდეგ ილაპარაკა ჟულ კლარესიმ საფრანგეთის აკადემიის სახელით. თუ ჩვენ აღვნიშნეთ ეს დღესასწაული, სწორედ იმიტომ, რომ მისი პოლიტიკური მნიშვნელობა საკმაოდ დიდია, გაცილებით მეტი, ვიდრე რომელიმე ფანატიკოს სოფლის კიურეს, თუნდ ფრანსუა კოპპეს კლერიკალური მანიფესტაციისა.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბაღარი

ათინის მოცუქულები სახლში აღარ მიდიოდნენ, სანამ ცოტა უფრო საიმედო პასუხს არ მიიღებდნენ მისნისაგან. აპოლონმა მეორეთ ასე ილაპარაკა პითიის პირით: „ტყუილად ემუდარა ათინა თავისმამას: ძვესი ყურს არ უგდებს მის თხოვნას. აი რა სურს ათინისათვის მის გააფთრებულ გულს: ღვთაებრივ კითერონიდან ეგეის ზღვაშდე კეკროპსის ქვეყანა უნდა განადგურდეს. შენი და შენი შვილების მტრისგან დამხსნელი ერთად ერთი ხის კედელია. ნუ ელოდები ქსერქსესს, აჩქარდი, გაიქეც, აიცილე მისი მხურვალე დევნა; როცა დრო მოვა, სხვა ადგილს იბრძოლებ. ღვთაებრივო სალამინო! რა საშინელი უბედურება დაუშხადებია ბედისწერას შენთან შებრძოლებისათვის! დემეტრა იქნება მანდა, თუ არა, სულ ერთია“.

პითიის პასუხში რალაც იმედის ნასახი იყო, მაგრამ რას ნიშნავდა ეს „ხის კედლები?“ ბევრი, განსაკუთრებით ხნიერები იმ აზრის იყვნენ, რომ ღმერთი გულისხმობდა აკროპოლისს, რომელსაც ძველი დროიდანვე შემოვლებული ჰქონდა მესერი; სხვებისთვის კი „ხის კედელი“ გემებს ნიშნავდა: ღმერთი ათინის მიტოვებას და გემებზე თავის შეფარვას გვიჩვენებდა. თემისტოკლეს ამ აზრის იყო და დიდის ენერგიით სცდილობდა, ყველა დაეჯერებინა; ქალები და მოხუცებულები ტიროდნენ, არ უნდოდათ ქალაქის მიტოვება, და, რომ ერთი ხერხი არა, ხალხი ქალაქს არ მიატოვებდა: გამოცხადდა, რომ აკროპოლისის წმინდა გველი გაჰქრა; გულუბრყვილო ხალხმა დაიჯერა ეს ხმა და გადასწყვიტა ქალაქის მიტოვება, რადგანაც, მისი აზრით, ქალაქის მფარველი ღმერთი ათინაც ამავე აზრის იყო. ვისაც იარაღის ტარება შეძლო, გემებზე ავიდა; სხვებმა კი ქალებითა და ბავშვებით მეზობელ ქალაქებს შეაფარეს თავი. ყველაზედ მეტი პელოპონესში, სახელდობრ ტრეძენაში წავიდნენ. აქ მასპინძლებმა გამოიჩინეს ისეთი გრძობის სიფაქიზე, რომელიც იშვიათი არ არის ბერძენთა შორის და რომელიც ძალა უნებურად გაყვარებთ მათ: ტრეძენელებმა თავის ხარჯზე დაუქირავეს მასწავლებლები ათინელ ბავშვებს და ნება მისცეს მათ ბაღებში ხილის კრეფისა.

23. სპარსელები და ათინა, ყველაზედ უწინ ქსერქსესი ათინის ხელში ჩაგდებას ეშურებოდა: ათინა იყო მიზანი სპარსელების ჰირველ გამოლაშქრებისა; იგი დარჩა მეორე გამოლაშქრების უმთავრეს საგნადაც. ეს აზრი კარგად არის აღნიშნული „სპარსელებში“, ესხილის ტრაგედიაში. ატოსა ქსერქსესის დედა, ეკითხება ხოროს:

ატოსა.—სად უნდა მდებარეობდეს, მეგობრებო, ქალაქი ათინა?

ხორა.—შორს, ძალიან შორს, დასავლეთისაკენ, იქ, სადაც იმალება მზე, ჩვენი ძლიერი მეუფე.

ატოსა.—მიუხედავთ ამისა, ჩემ შვილს ცეცხლს უკიდებს ამ ქალაქის ხელში ჩაგდების სურვილი.

ხორა.—ეს იმიტომ, რომ თუ ათინა მისი იქნებოდა, მთელი საბერძნეთი მისი ქვეშევრდომი გახდებოდა.

ატოსა.—მაშ ათინელებს დიდძალი ჯარი ჰყოლიათ.

ხორა.—იმდენი მაინც, რომ სპარსელებს ათასი ჭირი ანახვეს.

ატოსა.—ჯართან სიმდიდრეც საკმარისი აქვთ?

ხორა.—მათ აქვთ ვერცხლის წყარო, საუნჯე, რომელსაც მათ მიწა აძლევს.

ატოსა.—იარაღი, რომელიც მათ ხელში ბრწყინავს, მშვილდ-ისარია?

ხორა.—არა, ისინი ახლო მოდიან მტერზე შუბებით და ფარი უჭირავთ ხელში.

ატოსა.—რომელი მეფე მოუძღვის და სარდლობს მათ ჯარს?

ხორა.—არც ერთ მომაკვდავს არ ჰყავს ისინი არც მონებად და არც ქვეშევრდომებად.

24. უთანხმოება ბერძნების სარდალთა შორის. თემისტოკლეს დიდი როლი. როცა სპარსელები ათინასთან მოვიდნენ, ქალაქი თითქმის სრულებით ცარიელი დახვდათ; ქსერქსესი მივიდა ნაპირზე და თათბირი გამართა გემების უფროსებთან ზღვაზე ბერძნებთან შებრძოლების შესახებ. ყველა, გარდა გონიერ და შორს გამჭვრეტ ჰალიკარნასის დედოფლისა, იმ

აზრის იყო, დაუყოვნებლივ შებოძდნენ ბერძნებს. მაგრამ ცოტა დააკლდა, რომ მათი სურვილი არ შესრულებულიყო; ბერძენთა შორის დიდი უთანხმოება იყო: პელოპონეზელნი, განსაკუთრებით კორინთელნი, კორინთის ყელისაკენ იცქირებოდნენ და იქ რჩეობდნენ მტრის შებმას. ათინელები კი, რომელთაც ესლა გემების მეტი არა მოეძეებოდათრა, რასაკვირველია, წინააღმდეგი აზრის იყვნენ. მთავარ-სარდალმა ევრიბიდესმა, რომელსაც ენერგიაც აკლდა და მიხვედრის ნიჭიც, არ იცოდა, ვის მხარეზე გადასულიყო. პირველი ბჭობა ამ კითხვის შესახებ უნაყოფოდ გათავდა; მეორე ბჭობა მძაფრი და შფოთიანი იყო. თემისტოკლეს მხურვალე სიტყვაში იხატებოდა ის გულისთქმანი, რომელნიც მის გულს აღელვებდნენ: მამულის სიყვარული, პატივმოყვარეობა და სასოწარკვეთილება, რომ ამისთანა მშვენიერი შემთხვევა იკარგებოდა. ამისთანა მხურვალე გატაცებამ გამწარებული წინააღმდეგობა გამოიწვია: შური, ეს ბერძენთა ტომის განუშორებელი სენი, ხიფათის წინაშეც კი არ ჩამქალა. „თემისტოკლე, წამოიძახა აღიმანტეს კორინთელმა, მას, ვინც დანიშნულ დროზე აღრე გაიქცევა, ჯოხი მოხვდება“. — „ეგრე იყოს, უპასუხა თემისტოკლემ, მაგრამ უკან ჩამორჩენილი გვირგვინს ვერ მიიღებს“. მერე იგი მოუბრუნდა ევრიბიდესს და უმტიციებდა, რომ სალამინთან შებრძოლება წაართმევს სპარსელებს იმ უპირატესობას, რომელსაც მათ გემების რიცხვი აძლევს; თუ ბრძოლა გაშლილ ზღვაზე იქნება, მაშინ სპარსელები მოიხმარებენ ამ უპირატესობას და ბერძნებს გარს შემოერთყმიან; გარდა ამისა სალამინთან შებრძოლება დაიხსნის განადგურებიდან სალამინს, მეგარას, ეგინას. — მხურვალედ და გატაცებით ლაპარაკობდა თემისტოკლე — ამ წინადადებაზედ იყო დამოკიდებული მისი სიკვდილ-სიცოცხლის საქმე. მწარედ და შურიანმა აღიმანტესმა მეორეთ გააწყვეტინა ლაპარაკი თემისტოკლეს: „რათ უგდებ ყურს, ევრიბიდეს, ამ მკვებარს! ჯერ მან თავისი ქალაქი გვიჩვენოს და აზრის გამოთქმის ნებას მერე მივცემთ.“ შეურაცხყოფისაგან გაბრაზებული თემისტოკლე

ფეხზე წამოვარდა და აღიმანტესს მოუბრუნდა: „საბრალოვ, თუ სახლები და კედლები მივატოვეთ, ეს იმიტომ, რომ არ გვინდოდა ჩვენი თავისუფლება უსულო საგნებისათვის გვემსხვერპლა; მაგრამ ჩვენ დაგვრჩა კიდევ საბერძნეთის უდიდესი ქალაქი; იგი იმყოფება აქ, ორას გემზე, რომელნიც არიან აქ თქვენდა დასახმარებლად და დასახსნელად, თუ გინდათ, რომ დაიხსნათ თავი. მაგრამ თუ თქვენ წადით, თუ მეორეთაც მიგვატოვეთ, ბერძნები მალე გაიგონებენ, რომ ათინელებს შეუძენიათ თავისუფალი და ძველზედ ბევრად უკეთესი ქალაქი.“ შემდეგ იგი მიუბრუნდა ევრიბიადესს: „თუ ღარჩები, სამართლიანი კაცი იქნები; თუ არა და, შენ დაღუპავ საბერძნეთს, რადგანაც ომის ასე თუ ისე გათავება დამოკიდებულია ჩვენ გემებისაგან. კარგად გაიგონე, რასაც გეტყვი: თუ შენ არ იზამ, რასაც გირჩევ, ჩვენ ყველა, ჩვენის ბავშვებითა და ქალებით წავალთ იტალიაში—სირისში; სირისი ჩვენი ძველი ღროიდანვე; მისნები ამბობენ, რომ იქ ჩვენები უნდა დასახლდნენ. პელოპონეზელები, ჩვენისთანა მოკავშირეების დამკარგველნი, მოიგონებენ ჩემ სიტყვებს“.

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს და გადასწყვიტეს აქვე შემბოღდნენ მტერს; მაგრამ შესაძლებელი იყო ერთხელ კიდევ გამოეცვალათ აზრი, იმდენად დაუდევარი იყო ბერძენი და იმდენად ეშინოდა მას სპარსეთის ფლოტისა. თემისტოკლე ჰხედავდა, რომ ძალდატანება იყო საჭირო და ამისათვის შემდეგ ხერხს მიმართა. ერთი სპარსელი ტყვის პირით შეუთვალა მტრის ფლოტის უფროსებს, რომ ბერძნები გასაქცევად ემზადებიან და თუ არ უნდათ, რომ ისინი ხელიდან გაუსხლტნენ, უნდა აჩქარდნენ და მათ გარს შემოერთყან. ხერხმა თავისი გაქრა: სპარსელებს ტყუაში არ მოსვლიათ, რომ მათ ხაფანგს უგებენ, და თემისტოკლეს რჩევისამებრ მოიქცნენ. ეგინაში მყოფი არისტიდე, რომელმაც თავის თვალით დაინახა სპარსელების მანევრები, მოვიდა ბერძნების ფლოტთან და ყველაფერი შეატყობინა ჯერ კიდევ რყევაში მყოფ სარდლებს.

უკან დახევა შეუძლებელი შეიქნა: ან უნდა გემარჯვნათ ან თავი შეეკლათ მტრისათვის.

25. სალამინის ბაძოლა (480 წ.). განთიადზე ორივე მხარე ემზადებოდა სასტიკ ბრძოლისათვის. ორივე მხარე მზად იყო თავგანწირვისათვის, მაგრამ მოტივი ამ თავგანწირვისა სხვა და სხვა იყო: ბერძნები, განსაკუთრებით ათინელები, ხედავდნენ, რომ თუ დამარცხდებოდნენ, მათ ცოლშვილს, რომელიც სალამინის მალლობებიდან ბრძოლის ველს დასცქეროდა, სამარცხვინო და დამამცირებელი მონობა მოელოდა. სალამინის პირდაპირ კი ნაპირის ერთ-ერთ გორაკზე ამართული იყო ვერცხლის ფეხებიანი დიდი ტახტი, რომელზედაც იჯდა მეფეთამეფე, გარშემორტყმული მხედრებით, კარის კაცებით და მწერლებით, რომელთაც ქსერქსესის შენიშვნები უნდა ჩაეწერათ; მეფის თვალის წინ უნდა შებმოდნენ სპარსელები მტერს. აი როგორ აგვიწერს ამ დაუფიწყარ ბრძოლას ესხილოსი, რომელიც თვითონ იღებდა მონაწილეობას ამ ბრძოლაში და, რასაკვირველია, საუცხოვოდ აგვიწერს მას. „დღემ მალე მოჰფინა ქვეყანას თვისი ბრწყინვალე სინათლე; უცბად გაისმა ბერძენთა რაზმებიდან ძლიერი ხმაურობა, მზგავსი წმინდა საგალობლისა, და მას ხმა მისცეს კუნძულის კლდეებმა. ბარბაროსებს იმედები გაუცრუვდათ და შეძრწუნდნენ, რადგანაც ბერძნების ძლიერი გალობა გაქცევის ნიშანი არ ყოფილა; შეურყეველის მამაცობით აღსაესე ბერძნები საომრად დაიძრენ; ბუკისა და ნაღარის ხმა ცეცხლს უკიდებდა ამ მოძრაობას; ნიჩბების რიტმიულმა მოძრაობამ შეახმაურა ზღვა, რომელიც კენესოდა. ერთბაშად ჩვენ თვალ წინ გამოჩნდა მტრის ფლოტიც. წინ მიდიოდა მარჯვენა მხარე ლამაზად ჩამწკრივებული, სხვები მას მოსდევდნენ; იმ დროს შორიდან მოისმა ხმა: „გასწით, საბერძნეთის შეილნო, განათავისუფლეთ მამული, თქვენი შეილები და ცოლები, განათავისუფლეთ თქვენ ძველთა ღმერთების ტაძრები და მამაპაპის საფლავები. ერთის შებრძოლებისაგან არის დამოკიდებული თქვენი პედი, თქვენი მომავალი.“ ბრძოლა იწყებოდა. გემების სპილენძის ცხვირები ერთმანერთს დაეტაკნენ;

პირველად ბერძნების გემმა ფინიკიელი გემი დაამსხვრია. შეიქნა პირის პირი, ხელჩართული ბრძოლა; სპარსელთა უზარმაზარს ფლოტს უკან ვერ დააწვეინა პირველმა დატაკებამ, მაგრამ ვიწრო სივრცეზე მომწყვდეულნი მათი გემები ერთი-ერთმანეროს დაეტაკნენ; ნიჩბები და ანძები დაიმსხვრნენ. მაშინ ბერძენთა ფლოტი ხერხიანის მოძრაობით დაიშალა, წრედ შემოევლო მტერს და ყოველის მხრიდან სცემდა მას. სპარსელთა გემები ყირამალა გადადიოდნენ. ზღვა დაიფარა მოტივტივე წამსხვრევთა და დახოცილთაგან, აგრეთვე ნაპირებიც. ბარბაროსების ფლოტი გზა-კვალ აბნეული გარბოდა, მზგავსად ბადიდან გამომძვრალ თევზისა; ნიჩბის ტარით და ფიცრის ნახეთქებით ჟღერდნენ და თავ-პირს ამტერევდნენ ბერძნები სპარსელებს; ზღვა გულისკლავად კვნესოდა და ოხრავდა. ბოლოს დაღამდა და დამარცხებული გამარჯვებულს სიბნელეში მიემალა.“

26. ქსერქსესის გაჭკვავა. სამარცხვინოდ დამარცხდნენ სპარსელები, მაგრამ უფრო სამარცხვინო იყო მეფეთა მეფის ყოფა-ქცევა დამარცხების შემდეგ. როცა მან დაინახა სპარსელთა დამსხვრეული გემები და გაჟღერებულ ზღვაოსანთაგან დაფარული ზღვა, იგი შეშინდა, ვაი თუ ჰელესპონტის ხიდი დაანგრიონ ბერძნებმა და მე ევროპაში დავრჩე მომწყვდეულიო. მარდონიოსი მიუხვდა მეფეს მის საიდუმლო სულის კვეთებას და შემდეგი სიტყვები შებედა: „მეფევ, ნუ სწუხარ, ნუ გახდი სპარსელებს ბერძნების სასაცილოდ: ისინი არ არიან დანაშაული მომხდარ უბედურობაში. და შენ არ შეგიძლია თქვა, რომ ჩვენ ვაჟკაცობა გვაკლია. ფინიკიელები, ეგვიპტელები, კიპრელები, კილიკიელები რომ ლაჩრები იყვნენ, ჩვენ პასუხის მგებელნი არ ვართ; და რადგანაც ჩვენ შენ წინაშე დანაშაული არ მიგვიძღვის, გამიგონე: თუ არ გინდა აქ დარჩე, დაბრუნდი სახლში და თან წაიყვანე ჯარის უდიდესი ნაწილი. მე დამიტოვე სამასიათასი ჩემგან არჩეული ჯარის კაცი და მალე დამონებულ საბერძნეთს მოგართმევ.“

მეფე იდუმალის სიხარულით დასთანხმდა ამ წინადადებას მით უმეტეს, რომ ამ დროს მას მოუვიდა, როგორც ამბობენ, თემისტოკლედან მოციქული: თემისტოკლემ, ნეოკლესის შეილმა, ათინელების მთავარ სარდალმა, გამოგზავნა მე შენდა სათქმელად, რომ, რადგანაც მას სურდა შენთვის დახმარების აღმოჩენა, გააჩერა ბერძენთა ფლოტი, როდესაც იგი გამოუდგა შენ ფლოტს და განზრახვა ჰქონდა ჰელესპონტის ხიდი მოეშალა. ეხლა შეგიძლია უშიშრად დაბრუნდე სახლში.“

ამ გარემოებამ მას ფრთები შეასხა; მიატოვა ატიკა და ჩრდილოეთისაკენ გასწია. თესალიაში მან დასტოვა მარდონიოსი, რომელსაც დაუტოვა „უკვდავთა“ რაზმი და სხვა საუკეთესო ჯარები, თვითონ კი დანარჩენი ჯარით მეტის-მეტის სიჩქარით გაიარა მაკედონია და თრაკია, გავლო ჰელესპონტის ხიდი და მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს და შეიქნა ისევ მედიდური მეფეთა-მეფე.

27. მარდონიოსი საბერძნეთში. მარდონიოსი სცდამლობს ათინასა და სპარტას შუა განხეთქილების ჩამოგდებას. ომი ჯერ ვათავებული არ იყო. ძლიერი მტერი ჯერ კიდევ საბერძნეთში იყო დაბანაკებული და ბერძენთა შორის ისევ იჩინა თავი ძველმა სენმა—უთანხმოებამ და განხეთქილებამ. ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ ათინელი მეომრები თავიანთ გადამწვარ ქალაქში, რომ მათ ექვის თვალთ დაუწყეს ყურება თანამემამულეებმა და განსაკუთრებით სპარტანელებმა; თვითონ ათინაში სცდილობდნენ დაემცირობიათ საბერძნეთის ნამდვილ მხსნელის, თემისტოკლეს, სახელი, რომელსაც სამაგიეროდ სპარტანელებმა, სამამაცო ზნეთა კარგათ მცოდნეებმა, არა ჩვეულებრივი პატივი სცეს. მარდონიოსი, რომელიც ქსერქსესზე უფრო მოხერხებული და გაქნილი იყო, და რომელსაც შავი დღე მოელოდა, რადგანაც მისი რჩევით იყო დაწყებული ეს ლაშქრობა, სცდილობდა გამოეყენებია თავის-და სასარგებლოდ ეს უთანხმოება და განხეთქილება. მაგრამ არისტიდემ აქ იყო: მან მიახვედრა ათინელები, რომ არც მათი ღირსება, არც მათი ინტერესი არ მოითხოვდა დანარჩენ საბერძნეთის ჩამო-

შორებას წვრილმან და უღირს უსიამოვნებათა გამო. მისის შეგონებით, ათინელებმა გაისტუმრეს მარდონიოსის მოციქული ალექსანდრე მაკედონელი, და შეშინებულ სპარტანელებს მისცეს პასუხი, რომელიც სრულიად უნდა მოვიყვანოთ აქ, რადგან იგი ნამდვილ მამულიშვილურ გრძობის გამოხატვაა, და მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ ორი ათასი წელიწადი გავიდა, ეხლაც იგი ქკუის მასწავლებელია იმ ერისათვის და კერძო პირისთვის, რომელიც, რამე მიზეზის გამო, თავის მოვალეობას ივიწყებს:

„საკვირველი არ არის, რომ სპარტაში შეშინდნენ, როცა დაინახეს, რომ ჩვენ ბარბაროსთან გვექონდა მოლაპარაკება, მაგრამ თქვენ არ გეკადრებათ ამ გვარი შიში, რადგანაც იცნობთ ათინელებს, იცით, რომ არ არის ისეთი ოქრო, არ არის ისეთი მხარე, რაც უნდა ნაყოფიერი და მშვენიერი იყოს იგი, რომ მას შეეძლოს ჩვენი სპარსელების მხარეზე გადაყვანა, შეეძლოს ჩვენი მოღალატეებად გახდომა. მიზეზები, რომელნიც ჩვენ ნებას არ მოგვცემენ ისე მოვიქცეთ, როგორც თქვენ გეგონათ, ბევრია და მეტად ძლიერიც: უპირველესი და სხვაზე გავლენიანი არის ის, რომ იმ დროს, როცა ღმერთების ქანდაკებათ და ტაძრებს ჯერ კიდევ კვალი ასდით და არ წამოგვიყენებია ისინი, ჩვენი მოვალეობაა შური და არა ვიძიოთ კავშირით შევეკრათ ამის ჩამდენ მტერს. მეორე გარემოება ის არის, რომ, რადგანაც ბერძნებს ერთი სისხლი და ენა აქვთ, ტაძრები და მსხვერპლების შეწირვა საერთო გვაქვს, ზნე-ჩვეულებით ერთმანეთს ვგეგვართ, ათინელები საქვეყნოდ თავს შეირცხვენდნენ, რომ მათ ბერძენთა საქმეს უღალატონ და მტრის მხარე დაიჭირონ. იცოდეთ ამის შემდეგ, თუ აქამდე არ იცოდით, სანამ ერთი ათინელი მაინც ცოცხალია, ათინისა და ქსერქსესის კავშირი შეუძლებელია“.

28 ათინის ისევ სპარსელებს ხელში ჩაგარდნა. მშვენიერი და კეთილშობილი გრძობებია გამოთქმული ამ პასუხში; ძვირად კი დაუჯდათ იგი ათინელებს—ათინა მეორედ აღიღეს სპარსელებმა. მარდონიოსი შემოვიდა ატიკაში; დაიკავა

ათინა და სულ ერთიან გადაბუგა; მცხოვრებლებმა წინ-და-წინვე მიატოვეს ქალაქი. სპარტანელები/ მოვალენი იყვნენ დაუყოვნებლივ დახმარე ჯარები გაეგზავნათ ათინელებისათვის, მაგრამ საქმე იმდენად დააგვიანეს და გააქიანურეს, რომ ათინელები მოთმინებიდან გამოვიდნენ. ბოლოს, როცა გაიგეს, რომ ისტმის ყელის კედელი მზად იყო; გაგზავნეს სპარსელების წინააღმდეგ 5000 სპარტიტი, თვითეულ სპარტიტს თან ახლდა შვიდი ჰიდოტი.

29. **პლატეის ბრძოლა (479).** გაიგო: თუ არა მარდონიოსმა სპარტანელების წამოსვლა, დაანება თავი ატიკას, რადგანაც ამ ქვეყნის უსწორ-მასწორ ნიადაგზე მის ცხენოსან ჯარს თავისუფლად მოძრაობა გაუჭირდებოდა, გადავიდა კითერონზე და გაჩერდა ბეოტიაში მდ. აზოპის ქალაში პლატეის საზღვარზე. აქ მოვიდნენ ბერძენთა შეერთებული ჯარებიც, რომელთა რიცხვი 110,000-მდე აღიოდა, მხოლოდ ბერძნებს არ ჰყოლიათ ცხენოსანი ჯარი; ამათი მთავარ-სარდალი იყო სპარტანელების მეფე პავზანიასი. ათი დღის განმავლობაში ბრძოლა არ მომხდარა, ბოლოს მარდონიოსმა გადასწყვიტა აზოპის მეორე ნაპირას გადასვლა და ბერძნებზე იერიშის მიტანა. პირველად ბერძნები ცოტა აირივნენ და უკან დაიხიეს. ლაკედემონელები არ იწყებდნენ ბრძოლას, რადგანაც კარგ ნიშნებს ვერ ხედავდნენ, და ამიტომ დიდათ დაზარალდნენ. პავზანიასმა რომ ეს დაინახა, მოუბრუნდა ჰრას ტაძარს პლატეის წინ და შეევედრა ღმერთს, რათა ბერძნებს გამართლებოდათ თავიანთი იმედები; ამასობაში კარგი ნიშნები გამოჩნდნენ და ლაკედემონელები დაეძგერნენ მტერს, რომელიც მამაცურად იბრძოდა. მაგრამ სპარსელებს საგერი იარაღი არ ჰქონდათ, ისინი არ იცნობდნენ ბერძნების სამხედრო ხელოვნებას და ამას თანავე არ იყვნენ ისე მარჯვე თავიანთ მოძრაობაში, როგორც ბერძნები. მარდონიოსი, რომელიც თეთრ ცხენზედ იჯდა, ამხნევებდა თავისიანებს ხმითა და მაგალითით; მაგრამ ისიც დაეცა და სპარსელებმაც მიაშურეს თავიანთ ბანაკს. ლაკედემონელებმა სცადეს ბანაკში შესვლა, მაგრამ ათინელების დაუხმარებლად

ვერ მოახერხეს. რა კი ბანაკში შეცვინდნენ, ბერძნებს მტრის ჟღერის მეტი არა სჭირდებოდათ რა, რადგანაც წინააღმდეგობას არავინ უწყევდა. სარდალთაგან მხოლოდ ერთი არტაბაზი გადურჩა სიკვდილს. 300,000 სპარსელთაგან 40,000-ლა დაბრუნდა სახლში. ბრძოლის გათავებისათნავე თავი იჩინა ბერძნულმა შურიანობამ: ვის ერგოს ჯილდო მამაცობისათვის, ვინ იყო პირველი ბრძოლის ველზე? სპარტანელები და ათინელები მზად იყვნენ აქვე დატაკებოდნენ ერთმანერთს; როგორც იქნა, არისტიდემ მოახერხა მათი შეთანხმება; მისი წინადადებით, პირველობა და მამაცობის ჯილდო პლატეელებს არგუნეს. მაგრამ ამგვარი უთანხმოება, მერე ბრძოლის ველზე, საბერძნეთის დამღუბველ სენის მჭევრებელი იყო და, საუბედუროთ, ყოველთვის არისტიდე არ ჰყავდათ.

30 თემისტოკლეს ოპერაციები ზღვაზე; მაკალესთან ბრძოლა. თვით პლატეის ბრძოლის დღეს, თუ გადმოცემას დავუჯერებთ, ბერძნებმა დაამარცხეს სპარსელები ზღვაზედაც. ხმელეთის ჯარის ოპერაციების დროს, ფლოტი უსაქმოდ არ ყოფილა. ქსერქსესის დამარცხების შემდეგ, თემისტოკლემ წაიყვანა იგი ეგეის ზღვაში და მოსთხოვა ანგარიში პატარა კუნძულებს, რომელთაც მხარი მისცეს სპარსელებს. პირველად ფლოტი მიადგა კუნძულ ანდროსს. „ათინელები მოვიდნენ თქვენთან და თან მოიყვანეს ორი ღვთაება—**აჟცილებლობა და შეგანება**; მიეცით მათ უხვად შემწეობა“, შეუთვალა თემისტოკლემ ანდროსელებს. ამათაც იმავე ირონიული კილოთი უპასუხეს: „ათინა მდიდარია, რადგანაც მას ბევრი მწყალობელი ღმერთები ჰყავს. ჩვენ მხოლოდ ორი ღვთაება გვყავს—**სიდატაკე და უღანობა**, რომელნიც ნებას არ გვაძლევენ, რომ რამე გავსცეთ“. თემისტოკლემ მათ დაუმტკიცა, რომ ქვეყანაზე ისეთი ღარიბი არ მოიპოვება, რომ მისი ფაცვქენა არ შეიძლებოდეს. ამის შემდეგ პაროსი და კარისტოსი თავისით დამორჩილდნენ ათინელ ფლოტს და გადაიხადეს დიდ-ძალი ფულები, რომელთაც გაამდიდრეს ათინა და თვითონ თემისტოკლე, რომელსაც ცოლდათ არ მიაჩნდა ამ ფულების ნაწილის

მითვისება. ზამთარმა შესწყვიტა ფლოტის მოქმედება, გაზაფხულზე ათინელი ფლოტი ისევ შეუდგა საქმეს, მაგრამ ეხლა მასთანვე მოქმედებდნენ მოკავშირეებიც, რომელნიც ექვის თვალთ უცქეროდნენ ათინის მოქმედებას. დელოსი და სამოსი უომრად დამორჩილდნენ შეერთებულ ფლოტს. სპარსელებს იმდენათ გაუტყდათ გული, რომ ზღვაზე შებმას ბერძნებთან ველარ ბედავდნენ; მათ გაიტანეს თავიანთი გემები ნაპირზე მიკალეს კონცხთან და შემოავლეს გამაგრებული დიდი თხრილი, მაგრამ შრომამ ტყვილა უბრალოდ ჩაუარათ. სპარსელს გული აღარ ერჩოდა და ბერძენმა კი, ამდენ გამარჯვებით წათამამებულმა და გამხნევებულმა, არ იცოდა წინააღმდეგობა რა იყო. ერთ წაშს სპარსელთა ბანაკი ბერძნების ხელში იყო. მიკალეს ბრძოლის ამბავი მთელ აზიას მოედო და იონიის ქალაქები გამარჯვებულების მხარეზე გადმოვიდნენ.

31. ბერძენთა გამარჯვების მიზეზება. ბერძენმა გაიმარჯვეს სპარსელებზე და გადასწყვიტეს ბრძოლა თვით მტრის ტერიტორიაზე გადაეტანათ. რა იყო ამ გამარჯვების მიზეზები? პირველად ყოვლისა მტრის უნიჭობა: ქსერქსეს ფულიც ბევრი ჰქონდა, ფლოტიც და ჯარიც დიდი ჰყავდა, მაგრამ ვერ მოიხმარა. ქსერქსესი იყო, როგორც წინედ იყო ნათქვამი, ნამდვილი აღმოსავლეთელი მმართველი, სიმდიდრითა და გარყენილებით გამოყუათებული, პირფერობით დაბრმავებული და დამთვრალი იმ რწმენით, რომ იგი სხვაზე მალლა დგას. იგი ბევრად უფრო დანაშაული იყო თავის ჯარის წინაშე, ვიდრე ჯარი მის წინაშე. მართალია, ეს ჯარი იყო უფრო უწესრიგო აღმოსავლეთელი ბრბო, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელი და მის შემდეგ ბევრი ევროპიელი სარდალი რამდენიმე ათასი კაცით ამარცხებდა, მაგრამ ნამდვილი სპარსელები ვაჟკაცობით ბერძნებზე დაბლა არ იდგნენ. მხოლოდ საომარი იარაღი შედარებით არ უფარგოდათ; სპარსელ-ბერძნების ომიანობა, როგორც სხვა ბევრი ომიანობა, თუნდ ჩვენი დროისაც, იყო გამარჯვება კარგი იარაღისა ცუდ იარაღზე, და მართლაც; რა უნდა გაეწყოთ სპარსელების ძეწნის ფარსა და ისრებს ჰოპლი-

ტების ჯავშნისა და გრძელ შუბების წინააღმდეგ? აქ ნაჩვენებია წმინდა სამხედრო მიზეზები, მაგრამ მათ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ. გარდა ამისა, ბერძნების გამარჯვება უნდა მიეწეროს მათ მამულიწვილობას, სამშობლო მიწის სიყვარულს და თავისუფალ მამულიწვილის ღირსებას, რომელიც შედეგია აღზრდისა და პოლიტიკურ წესწყობილებისა. მაგრამ აქ არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ეს თვისებები თავისუფალი მამულიწვილისა გამოიჩინეს სპარტისა და ათინის შვილებმა და აგრეთვე პლატეელებმა, თესპიელებმა და ტეგეატებმა. სხვა ყველა თემებმა კი, განსაკუთრებით იმათ, სადაც ოლიგარხები იყვნენ გაბატონებულნი, გამოიჩინეს სულ-მდაბალი მორჩილება მტრისა, შურთანობა, მტრობა და ლაჩრობაც კი, როგორც, მაგალითად, კორინთელებმა. თვითონ სპარტამ გამოიჩინა თავი უფრო თავის მეომრების ვაჟკაცობითა და მამაცობით, ვიდრე თავის გულწრფელ და ცხად პოლიტიკით. და თუ ჩვენ, ძველ ბერძენთა ჩვეულების მიხედვით, უნდა მივსცეთ ვისმე ჯილდო არა მარტო მამაცობისათვის, არამედ ღირსებისათვის, გაუტეხელობისათვის გაქვირების დროს, აზრთა მიმართულებისა და ფიცის სიმტკიცისათვის და ეროვნული საქმის ერთგულებისათვის,—პირველი ჯილდო უთუოდ ათინას ეკუთვნის; მართლაც, მარტო ათინა შეიქნა უფროსობის ღირსი გამარჯვების შემდეგ, რადგანაც თვითონ გამარჯვებაც მისი მეოხებით მოხდა. იმ დროსაც კი ამასვე ამბობდნენ. პინდაროს თებელიც კი უწოდებდა ათინას „ჭელლადის სვეტს“ და არტემიზიუმთან ბრძოლის შემდეგ ამბობდა, „რომ ათინელთა შვილებმა აქ ჩაჰყარეს თავისუფლების ბრწყინვალე საძირკველი“-ო.

32 ბერძენთა გამარჯვების შედეგება. ბერძენთა გამარჯვება მეტად დიდ-მნიშვნელოვანი შეიქნა—მან დაიხსნა საბერძნეთი და ცივილიზაცია. სპარსელების გამარჯვებას, შეიძლება, არ დაეღუპა ბერძენთა ტომი, მაგრამ იგი შეხუთავდა და მოსპობდა მის განვითარების ნიქს, თავისუფალ აზროვნებას და მოქმედებას, რომელმაც შექმნა ამდენი უკვდავი ნაწარმოები და შეავნებინა ადამიანის გონებას თავისი თავი. სარწმუნოება,

ხელოვნება, მეცნიერება, ყველაფერი გაჰქრებოდა აუტანელ დესპოტიზმის სიმძიმის ქვეშ. ამიტომ უსაბუთო როდია ის მოვლენა, რომ ბერძნების გამარჯვებას ჩვენ გამარჯვებად ვთვლით და დიდებულ ხსოვნას სალამინისა და პლატეისას ოცი საუკუნის შემდეგაც კი არა დაუკარგავს - რა არც სიძლიერისა და არც ბრწყინვალეობის მხრივ.

თ ა ვ ი მ-XIV-ი

ათინასა და სპარტას მეტოქეობა. დელოსის და ზელაონეზის ლიგა პლატეის ბრძოლიდან „30 წლის“ კარიგებამდე.

საზჩქევი. 1. ათინასა და სპარტას მეტოქეობის მიზეზები.—2. განხეთქილების პირველი ნიშნები.—3. ათინის ჰეგემონია (პირველობა) ეგეის ზღვაზე; მეფე პავზანიასის ლაღატი.—4. დელოსის ლიგის ორგანიზაცია.—5. კიმონი.—6. გალაშქრება თრაკიაში.—7. თემისტოკლეს განდევნა.—8. თემისტოკლეს თავგადასავალი გადახვეწის შემდეგ.—9. თემისტოკლეს უკანასკნელი დღეები.—10. კიმონის გამარჯვებანი ბრძოლა ევრიმედონთან.—11. უთანხმოება დელოსის ლიგის წევრთა შორის.—12. კიმონი და დემოკრატიული პარტია.—13. ომი პელოპონეზელებსა და ათინელებ შუა. კიმონის დაბრუნება და სიკვდილი.—14. 30 წლის ზავი სპარტასთან. ზავი სპარტასთან (449 ან 445).

1. ათინასა და სპარტას მეტოქეობის მიზეზები. სპარსელებთან ომიანობამ ყველაზედ უფრო სპარტა და ათინა დააწინაურა; ამ ორი თემის ერთობამ საბერძნეთი თავისუფალი და ძლიერი გახადა; მათმა ცილობამ კი მალე უბედურებათა უფსკრულში ჩააგდო იგი. რა იყო ამ ცილობის მიზეზები? შუარი სპარტასი, რომ ათინამ დიდი სახელი და დიდება შეიძინა სპარსელებთან ომიანობის დროს, ზღვაოვან თემების, განსაკუთრებით ეგინისა და კორინთის, შიში, რომელიც ჯერ კიდევ თემისტოკლეს მოქმედებამ გამოიწვია, და ის სრული კონტრასტი, რომელიც სპარტასა და ათინას შუა არსებობდა,

პოლიტიკური წეს-წყობილებით სპარტა ოლიგარხიას წარმოადგენდა, ათინაში კი დემოკრატიათ გაიმარჯვა; ცივილიზაციის მხრივ სპარტა იყო ტრადიციის, რუტინის ქვეყანა; ათინა კი გონებრივ განვითარებისა და საზოგადოდ წინ-მსვლელობის კერას წარმოადგენდა. დორიელი და იონიელი, ათინელი და სპარტანელი ნამდვილი ანტიპოდები იყვნენ, და სხვა მიზეზებიც რომ არ ყოფილიყო, მარტო ეს იყო საკმარისი, რომ მათ შორის შეტაკება მომხდარიყო.

2. **განხეთქილების ზირგელი ნიშნები.** სპარტასი და მის მოკავშირეთა ჯერ უჩინარი მტრობა ათინელებისადმი სპარსელებზე გამარჯვებისათანავე დაიწყო. ათინელები რომ სახლში დაბრუნდნენ, გადაბუგულ ნანგრევების მეტი არა დახვდათ-რა და დაუყოვნებლივ მხნედ შეუდგნენ ახალ ქალაქის აშენებას. მაგრამ მარტო ქალაქის აშენება არ კმაროდა: საჭირო იყო ამ ქალაქის მტრის შემოსევისაგან უზრუნველ ყოფა. თემისტოკლეს ეს ესმოდა და ათინელებსაც შეასმინა. დაიწყეს ძველზე უფრო დიდი კედლების შენება ათინისა და პირეის ირგვლივ. ეს ამბავი მთელმა საბერძნეთმა შეიტყო. სპარტამ მაშინვე მოციქულები გამოგზავნა ათინაში: „რათ აშენებთ კედელს, რომელიც, თუ მტერი დაბრუნდა, სიმაგრე იქნება მისთვის. თავის ხსნა შესაძლებელია მხოლოდ პელოპონესში, რომელიც თვით ბუნებას შეუქნია სიმაგრედ.“ თან წინადადება მისცენ ათინელებს, შესწყვიტონ მუშაობა. ძლიერ სპარტას წინადადება ბრძანებას უდრიდა. თემისტოკლემ ხერხს მიმართა. ურჩია ათინელებს, რაც შეიძლება, დაეჩქარებიათ მუშაობა; ათინელებიც დაემორჩილნენ და ყველა, ბავშვები და ქალებიც კი, დღე და ღამე მუშაობდნენ. თვითონ თემისტოკლე ზოზინით სპარტასაკენ გაემგზავრა. როგორც კი მოვიდა, კედლის ამბავი ჰკითხეს; თემისტოკლემ პირდაპირ უარჰყო კედლის აშენების ამბავი. მას არ დაუჯერეს: იგი მაინც თავისას ამბობდა წარბ-შეუხრელად და დინჯად და ბოლოს, ვითომ და მოთმინებიდან გამოსულმა, უთხრა სპარტანელებს: „თუ ჩემი არ გჯერათ, გავზავნეთ საიმედო კაცები ათინაში და ისინი შეგატყობინებენ“

ამდვილ ამბავს. მათ დაბრუნებამდე მე აქ დავრჩები“. გაგზავნეს კაცები, მაგრამ ათინელებმა ისინი უკან არ გამოუშვეს—ინიცობაა, თემისტოკლეს რამე მოსვლოდა, ესენი იქნებოდნენ სასუხის-მგებელი მძევლები. ეხლა კი თემისტოკლემ ნილაბი გამოიხსნა და წარბ-შეუხრელადვე გამოუცხადა ეფორებს, რომ ათინელებს არ სურთ მათი ქალაქი მესამედაც გადამწვარი დაიწახონო. ვისაცა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ. სპარტანელები გულში ბრაზობდნენ, მაგრამ იმდენი ძალა მანც იხმარეს, რომ თემისტოკლეს გამოუცხადეს—ჩვენ კარგი რჩევის მოცემის მეტი აზრად არაფერი გვქონიაო. ორ წელზე ათინა და პირეა მაღალი კედელით იყო გარშემორტყმული. განსაკუთრებით პირეა იყო გამაგრებული. აქ იყო გემების სახელოსნოები, არსენალი და სხვა სამხედრო საწყობები: ათინის გული აქ სცემდა.

პ. ათინის ჭკეპიანია ეგეას ზღვაზე; მეფე პავზანასის დაღატაკა. ამ ბრძნულ ღონისძიებათ შესაფერი ნაყოფი მოჰყვა. ათინელი ფლოტი ჩქარა გაბატონდა ეგეის ზღვაზე და ჰეგემონია ზღვაზე ათინის ხელში გადავიდა. ამ გარემოებას ხელს უწყობდნენ სპარტანელების შეცდომებიც. 476 წელს მოკავშირეთა ფლოტი სპარტანელ მეფის პავზანასის მთავარ-სარდლობით იდგა ბიზანტიასთან: სესტოსი ბერძნების ხელში იყო და ბიზანტიაც რომ მათი გამხდარიყო, სპარსეთისთვის ევროპის კარები სამუდამოთ დაკეტილი იქნებოდა. ქალაქის აღებას დიდი ხანი არ დასჭირებია. პავზანასი, ისედაც სუსტი გონების პატრონი, ამ გამარჯვებამ სრულებით გამოასულელა. ბიზანტიაში ნაშოვნი დიდი სიმდიდრე, ნამდვილი აღმოსავლეთის განცხრომით ცხოვრება, რომელსაც იგი აქ ეძლეოდა; ძალაუნებურად აგონებდა მას იმ სასტიკ და სიამოვნებას მოკლებულ ცხოვრებას, რომელიც მას კანონის ძალით. სპარტაში უნდა ეტარებინა. მას არ უნდოდა ერთხელ ნაგემი სიტკბოება ხელიდან გაეშვა და თავიც წააგო. უბედურმა ტყვეებთან ერთად შემდეგი წერილი გაუგზავნა სპარსეთის მეფეს: „პავზანასმა, სპარტას მეფემ, ტყვედ წაიყვანა ეს ხალხი და გიგზავნის მათ, რათა გასიამოვნოს შენ. მე განზრახვა მაქვს, თუ შენც თანახმა

იქნები, შევიტოო შენი ქალი და დაგიმორჩილო სპარტა და დანარჩენი საბერძნეთი. შენთან ერთად მე შევეძლებ ეს განზრახვა სისრულეში მოვიყვანო. თუ შენც მოგწონს ეს აზრი, გამომიგზავნე სანდო კაცი; რომლის საშუალებით შეგვეძლება მოლაპარაკების განგრძობა“. ქსერქსესი სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებას. მაგრამ პავზანიასის გარეგანმა ქცევამ, მდიდრულმა სპარსულმა ტანისამოსმა, ეგვიპტელებისაგან და სპარსელებისაგან შემდგარ მცველ რაზმმა, რომელიც მას გარს ერტყა, ექვები გაუღვიძეს ბერძნებს; ესენი გრძობდნენ, რომ აქ ღალატი მზადდებოდა. ეფორებმა იგი სპარტაში დაიბარეს. პავზანიასი თამამად დაბრუნდა სპარტაში და ფიცავდა, რომ იგი დამბეზღებლებს შეარცხვენს; ამ გაბედულებამ და გარდამეტებულმა სიფრთხილემ დალუპეს იგი. ერთმა მისმა შიკრიკთაგანმა, რომელსაც პავზანიასი სპარსეთში აგზავნიდა, შეამჩნია, რომ არც ერთი იქით გაგზავნილი უკან აღარ დაბრუნებულა; მან გახსნა პავზანიასის წერილი, რომელიც მას უნდა წაედო, და წაიკითხა, რომ იგი უნდა მოეკლათ, როგორც კი მინდობილ საქმეს შეასრულებდა. სიკვდილს გადაჩენილმა შიკრიკმა, რასაკვირველია, ყველაფერი ეფორებს აცნობა. ესენი მაშინვე პავზანიასის დასაქერად წავიდნენ, მაგრამ მან მოასწრო ტაძარში დამალვა: ტაძრიდან მისი ძალით გამოყვანა შეუძლებელი იყო, რადგანაც ეს, ბერძნების წარმოდგენით, ღვთის გმობის თანასწორი იყო; და რომ მას გაქცევად შესძლებოდა, ტაძრის კარები ამოაშენეს; ამბობენ, პავზანიასის დედამ პირველმა მოიტანა ქვა კედლის ამოსაშენებლად. მოლაღატე შიმშილით მოკვდა ამ ტაძარში.

პავზანიასის ღალატის შედეგი იყო, რომ შეერთებულ ფლოტის უფროსობა ათინელების ხელში გადავიდა. იონიელების, რომელთა განაზებული ბუნება ვერ ეგუებოდა სპარტანელების სასტიკ და მოუღრეკელ ხასიათს, სიამოვნებით მიემხრნენ ათინელებს. ამათი წარმომადგენლები მცირე აზიაში იყვნენ არისტიდეს და მილტიადეს შვილი კიმონი. ამ გვარად გაჩნდა საზღვაო ლიგა, რომლის სათავეში ათინა ჩადგა და რომელიც სპარტას ძლიერებას სწორ-წონაობდა.

27/4

მ ლ ა მ ბ ე

წელიწადი მეცხრე

გამოდის ყოველ თვეს

ფასსა უყრნხლ „მოამბისა“ გაზაგანათ:

| | |
|---------------------------------|------------------------------|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში: | საზღვარ-გარედ: |
| ერთის წლით 10 მან. | ერთის წლით 13 მან. |
| ექვსი თვით 6 მან. | ექვსის თვილ 7 მან. |
| სამი თვით 4 მან. | სამი თვით 5 მან. |

ვინც „მოამბის“ მთელის წლით გამოიწვას, „ცნობის მშრცხელი“ ზ სურათიფიანი დამატება უფასოდ დამთხოვა

ფასის განაწილება შეიძლება ასე: პირველად 5 მან. 1-ლ აპრილამდე— 3 მან, და 1-ლ ოქტომბრამდე— 2 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში რომელიც იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27.

ქალაქს გარეშე ხელის-მოწერა ადრესის გამოცვლისათვის ქრთი მანეთი უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: **Тифлисъ, Редакция „Моамбе“**

ჟურნალში დასაბეჭდად მიღებულ წერელებს, თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია შეასწორებს და შეამოკლებს. ხელნაწერები, რომლებიც აღ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში, — მერმე ვეღარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდავ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭვლად ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერ.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ, ჟურნალმა თავისი აზრი წარმოისტვეს, ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოუგზავნოს რედაქციას.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირათქმეებს გარდა, შუადღიდან ნაშუადღევს ორ საათამდინ.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის-მოწერთ, რომელთაც ეი ჟურნალის ნომერი არ მიუვთა, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი არავის გაეგზავნება.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი **ა.ლ. ჯაბადარი**